ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

დოქტორანტი: ***იზოლდა დუმბაძე***

# „მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი: **ამირან კახიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი

კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი: **მინდია ჯალაბაძე**

ბათუმი 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**იზოლდა დუმბაძე**

**„------“------------------„2022 წ.**

## შინაარსი

შესავალი............................................................................................................................4

თავი I. მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლის ისტორიიდან

§ 1. მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (ისტორიული წანამძღვრები)............6

§ 2. წყაროები და ისტორიოგრაფია.....................................................................................10

თავი II მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

§1. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლები .............32

§ 2. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ჭურჭლები.........59

თავი III. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში კლასიკურ და ელინისტურ ხანაში

§1. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში კლასიკურ ხანაში ............................................73

§2. ანტიკური სამყარო და მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურება ძველ კოლხეთში (ფიჭვნარში აღმოჩენილი მასალების მიხედვით) ..................................78

§3. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში ელინიზმის ეპოქაში. სამეთუნეო ნაკეთობათა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის სასაქონლო ხასიათის ზრდა...............................................................................................................................115

თავი IV. მევენახეობა-მეღვინეობა რომაული ხანისა და ადრე შუასაუკუნეების აჭარაში

§1. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში რომაულ ხანაში (ახალი სახეობის ქვევრები)……......………………………………………………………….................134

§2. მევენახეობა-მეღვინეობა ადრე შუასაუკუნეებში (მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენა)...................................................................................................147

**დასკვნა**...............................................................................................................169

**გამოყენებული ლიტერატურა** ......................................................................................177

**შემოკლებათა განმარტება** ...........................................................................................195

**ტაბულების აღწერილობა** ............................................................................................196

**ტაბულები**..........................................................................................................................200

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. აქ ჯერ კიდევ ცივილიზაციების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი კულტურულ მევენახეობას. საქართველოში ვაზისა და ღვინის ისტორია ათასწლეულების მანძილზე განუწყვეტლად ვითარდებოდა. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დონე განსაზღვრავდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ქართული ღვინო საგარეო ვაჭრობაშიც უძველესი დროიდან საექსპორტო საგანს შეადგენდა (ჯავახიშვილი, 1986:303).

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დღემდე შემონახულია ღვინის დაწურვის, შენახვისა და მოხმარების არქაული წესები, რაც მეღვინეობის სხვა ცენტრებში დაკარგულია. აქ წარმოდგენილია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღი (ბარი, თოხი, სასხლავი, სარცხი, ორშიმო); ყურძნის საწური და ღვინის შესანახი ჭურჭელი (საწნახელი, საქაჯავი, თაღარი, ჭური, ქვევრი, ქოცო), სუფრის საღვინე ჭურჭელი და სასმისები (ხელადა, ფიალა, თასი, ჯამი, ჭინჭილა, კულა, მარანი, ყანწი და სხვ.). თითოეულ ხსენებულ არტეფაქტს ხანგრძლივი და უწყვეტი ტრადიცია აქვს საქართველოში (ბარისაშვილი, 2019). ქართულ ენას გააჩნია მევენახეობასთან დაკავშირებული მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა, რომელიც უტყუარი მოწმეა საქართველოში ვაზის კულტურის მდიდარი ისტორიისა (ასათიანი, 1978:4-6,11-67; ჯავახიშვილი, 1986:317-321). მევენახეობის სიძველე კარგად აისახა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქართული ვაზის ჯიშთა სახელებში. ვაზის ქართული ჯიშების სახელწოდებები, ხშირად იმ მიკროზონასთან არის დაკავშირებული, სადაც ესა თუ ის ჯიშია გავრცელებული, რაც მის ადგილობრივ წარმოშობაზე მეტყველებს. ყურძნის სახელწოდებათა მრავალფეროვნებაში ჩანს, როგორც ყურძნის გარეგნული და თვისობრივი მახასიათებლები, ასევე მათი წარმომავლობა საქართველოს ცალკეული კუთხეების, ადგილდასახელებისა თუ გვარ-სახელების მიხედვით (რქაწითელი, საფერავი, ჭრელყურძენა, შავთითა, განჯური, არაგვისპირული, გორულა, მცვივანა, კუმსი, ყუნწმაგარა, მტევანდიდა, თითა, ალექსანდროული, ციცქა, პუმპულა,

კვირისტავა, შონური, კლარჯული, ატენური, კაიკაციშვილისეული და ა.შ). ვხვდებით გარეგნობის მიხედვით შერქმეულ სახელებსაც (ჩიტისთვალა, ხარისთვალა, მხარგრძელი, მელისკუდი, ყორნისთვალა, ცხენის ძუძუ და სხვა (კეცხოველი, რამიშვილი.., 1960:42-46; ჯავახიშვილი, 1986:321-322; ჭილაშვილი, 2004:123-129; კალანდაძე, 2015:593-02).

მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა ჩვენი საკვლევი რეგიონი აჭარაც. ცნობილია, რომ ყველაზე მტკიცე კავშირი ველური ვაზისა აბორიგენულ ჯიშებთან დადგენილია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, აჭარასა და გურიაში. მაგრამ რეგიონის რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია მეტად საინტერესოდ წარიმართა (კეცხოველი, რამიშვილი.., 2012:14-15). გასული საუკუნიდან მოყოლებული მიმდინარეობს მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება. დღეს აჭარა საქართველოს ერთ-ერთი პერსპექტიული ღვინის რეგიონია, რომელიც უბრუნდება მევენახეობა-მეღვინეობის ძველ ტრადიციებსა და კულტურას (კახიძე,1971:3-26; ხაზერდია, 2018: 127-129; რამიშვილი, 1948:3). ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია წლების განმავლობაში შემთხვევით, თუ არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის მონოგრაფიული კვლევა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე. ყურადღება გამახვილებულია, როგორც მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ასპექტების კვლევაზე, ასევე პროდუქციის მომხმარებელი საზოგადოების მაღალი გემოვნების გადმოცემაზე. კვლევაში გამოყენებულია, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციებში შესული მასალა, ასევე სსიპ აჭარის მუზეუმის (ბათუმის არქეოლოგიური და ხარიტონ ახვლედიანის) ფონდებში დაცული ჩვენთვის საინტერესო ეპოქების გამოუქვეყნებელი არტეფაქტები და უახლესი მონაპოვრებიც.

## თავი I. მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლის ისტორიიდან

### § 1. მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (ისტორიული წანამძღვრები)

საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები უაღრესად ხელსაყრელი იყო აქ ადამიანის ძველთაგანვე დასახლებისა და მისი მრავლფეროვანი სამეურნეო საქმიანობისათვის. თავისებურმა რელიეფმა, ჰავამ და კლიმატურმა პირობებმა განაპირობა საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება.

ჩვენი ქვეყნის მეტად საინტერესო და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ აჭარა უძველესი ეპოქებიდან ჩართული ჩანს მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში. ცნობილია, რომ დასავლეთ ამიერკავკასია განეკუთვნება საკაცობრიო ცივილიზაციის იმ კერათა რიცხვს, სადაც პირველად დაიწყო მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. აჭარაში აღმოჩენილი ნეოლითური კულტურის ადრეული ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ შესანიშნავი კლიმატური გარემო, ასევე მრავალფეროვანი მცენარეული საფარის არსებობა ქმნიდა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს მესაქონლეობისა და სამიწათმოქმედო საქმიანობის განვითარებისათვის (ლორთქიფანიძე, 2002:50-52; გოგიტიძე, 2007:99-109,121-123; კახიძე, მამულაძე, 2016:10). ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანისათვის ჩვენი საკვლევი ტერიტორია გვევლინება საყოველთაოდ აღიარებული კავკასიის სამთამადნო მეტალურგიული და ლითონდამუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობათა სფეროში. ახლო კონტაქტები ჩანს ანატოლიურ, მესოპოტამიურ და ეგეოსურ ცივილიზაციებთან. მსგავსმა ორმხრივმა კონტაქტებმა განაპირობა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების, ეკონომიკისა და კულტურის საგრძნობი აღმავლობა. მეტალურგიასთან ერთად აქაურ მკვიდრთა საქმიანობის გამოკვეთილ დარგებად გამოიყურებიან ჩვენთვის საინტერესო, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, ხელოსნური წარმოება. ეჭვგარეშეა, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის გენეზისისადმი ადრეული ეპოქებიდან შეიქმნა მკვიდრი ნიადაგი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წვლილი განსაკუთრებულია დასავლურ-ქართული კოლხური ტომობრივი კულტურის შექმნაში. ასევე ძველი აღმოსავლეთისა და ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის სფეროში. სწორედ ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ამ მხარესთან უნდა იყოს დაკავშირებული მითი არგონავტების შესახებ. ამას ემატება ისიც, რომ აქ წარმოიშვა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები დიაოხისა და კოლხას სახით. მსგავსმა წანამძღვრებმა განაპირობა ისიც, რომ ადრერკინის ხანისათვის მომზადდა ნიადაგი კლასობრივი საზოგადოებისა და ურბანისტული ცივილიზაციის გაერთიანებისათვის (მხედველობაშია კოლხეთის სამეფოს წარმოშობა). აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო მევენახეობა-მეღვინეობის დარგმა, სწორედ ამ ეპოქიდან წამოწყებული, მიიღო ცალკე გამოკვეთილი სახე.

აჭარის ბუნებრივი პირობები და რელიეფის სპეციფიკა განაპირობებს მხარის მეურნეობის თავისებურებებსაც. აჭარა ორ ძირითად ნაწილად იყოფა, შავი ზღვის სანაპირო რაიონები (ქობულეთი და ხელვაჩაური) და აჭარისწყლის ხეობა (ქედა, შუახევი, ხულო). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გეოლოგიური აგებულების, ნიადაგების, ნალექების, აგროკლიმატური პირობების მიხედვით, რაზეც დამოკიდებულია მევენახეობა- მეღვინეობის დარგის განვითარება. აჭარა ზღვის ტენიან სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს. ზღვასთან სიახლოვის მიუხედავად, ცალკეული ზონების მიკროკლიმატი განსხვავებულია (რამიშვილი, 1948:26-27).

ისტორიულად მევენახეობის გავრცელების არეალზე იყო დამყარებული ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული და ბოტანიკურ-აგრონომიული დაყოფა, რაც ამ დარგის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. „სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“ (ჯავახიშვილი, 1986:303; ჯავახიშვილი, 1996:310-318). ვახუშტი ბაგრატიონი კი ასე აღწერს აჭარას: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრატოიანი, მთიანი-ტყიან-ნადირიანი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა,

1997:135), ხოლო ბარს ასე ახასიათებს: „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი.... და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თუნარინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად (ჯავახიშვილი, 1996:331-332; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1997:177). ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ოდითგან აჭარისათვის მაღლარი მევენახეობა იყო დამახასიათებელი.

ვაზს, როგორც მცენარეს გეობოტანიკურ სივრცეში დიდი ხნის ისტორია აქვს, ხოლო მევენახეობა, როგორც დარგი რამდენიმე ათასეული წლით შემოიფარგლება. ცნობილია, რომ ვაზის ფილოგენეზური ისტორიის მეტ-ნაკლებად რეალური სურათის შექმნა ყოვლად შეუძლებელია პალეონტოლოგიური მასალების ანალიზის გარეშე. ვაზის პალეონტოლოგიური ისტორიის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით არაერთ უცხოელ და ქართველ მეცნიერებს (ბ. სოლოვიოვი. კ, ჩოჩიევა. ლ, რუხაძე. ი, რამიშვილი. ნ, რატიანი. ა, ნეგრული და სხვა). მათი შრომებიდან ირკვევა, რომ ვაზის უძველესი წინაპარი დაახლოებით 60 მილიონი წლის წინათ, მეზოზოური ერის ზედა ცარცის პერიოდში დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა გაჩენილიყო. მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში მიმდინარე კავკასიისა და საქართველოს პალეობოტანიკური კვლევების შედეგად მოპოვებული ფაქტობრივი მასალების მიხედვით ჩანს, რომ პლიოცენის ხანაში საქართველოში ვაზის Vitis-s-ის მრავალი წარმომადგენელი არსებობდა (კეცხოველი, რამიშვილი.., 1960:13; რამიშვილი, 2001:9-16; რუსიშვილი, 2010:7-15; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014: 13).

ასევე საინტერესოა კულტურული ვაზის წარმოშობისა და მისი თავდაპირველი სამშობლოს საკითხით დაინტერესებული მკვლევარების შეხედულებები. მიჩნეულია, რომ კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს, კულტურული მევენახეობის წარმოქმნის სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არაერთი მეცნიერი აღიარებს, რომ ყველაზე უხვად ველური ვაზი ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, მთელ საქართველოში მოიპოვება. სულხან-საბას განმარტებით გარეულ ვაზს ქართულად უსურვაზი ეწოდებოდა. „უსურვაზი კრიკინა ვაზი“ არისო, ხოლო კრიკინა კი ველური ყურძენი არისო. იგი ველურ ვაზს „ძღუამლი-ს“ სახელითაც იხსენიებს. უსურვაზი უსრულ ვაზს ნიშნავს და ჩანს, ამ

სახელში ქართველ მევენახეს გარეული ვაზ-ყურძენის დაბალი ღირსება გამოუმჟღავნებია (სიჭინავა, 1960:15-19; ბოხოჩაძე,1963:18-25; ჯავახიშვილი,1986: 308-309, 383-384; ფრუიძე, 2016:30-36). მსოფლიოს თითქმის არცერთ მევენახეობის რაიონში არ მოიპოვება ვაზის ისეთი მდიდარი აბორიგენული ასორტიმენტი, როგორც ეს საქართველოშია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცნობილი 1180 ჯიშიდან, საქართველოზე 500-ზე მეტი აბორიგენული ჯიში მოდის. ეს ჯიშები ათეულ საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდნენ და ყალიბდებოდნენ მისთვის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობების შესაბამისად. საბოლოოდ კი, მივიღეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ გარემოსთან შეფარდებული ენდემური ჯიშები (ქანთარია, რამიშვილი, 1948: 12; კეცხოველი, რამიშვილი.., 1960:15).

## § 2. წყაროები და ისტორიოგრაფია

წერილობითი ცნობები. ვაზისა და ღვინის, ასევე მევენახეობისა და მეღვინეობის, როგორც სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგის შესახებ პირველ ინფორმაციას გვაწვდის შუმერულ-აქადური წარწერები. პირველწყაროდ მიჩნეულია ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული პირველი ეთიკურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული სახის ნაწარმოები „გილგამეშის ეპოსი“. ამ უძველესი ისტორიული დოკუმენტიდან ჩანს რომ წარღვნას გადარჩენილი მცენარე - ვაზი სამოთხის ერთ-ერთი ატრიბუტი ყოფილა, ხოლო ამ ღვთიური მცენარის ნაყოფებიდან დაყენებული სასმელი - ღვინო არა მარტო ღმერთებისა და მეფეებისათვის, არამედ უბრალო მოკვდავთათვისაც იყო განკუთვნილი (რამიშვილი, 2001:24-25; ფრუიძე, 2016:6-14).

პირველი ძველაღმოსავლური წერილობითი წყაროები კოლხეთში მეღვინეობის შესახებ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ჩნდება. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I (ძვ.წ.1115-1077) და თიქულთა-ნინურტა (ძვ.წ.1245-1209), რომლებიც სამართლიანად არიან მიჩნეული კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობის დოკუმენტურ დასაბუთებად. განსაკუთრებით საინტერსოა ასურნასირფალ II (ძვ.წ. IX ს.) „ანალებში“ დაცული ინფორმაცია. „ასურნასირფალს უამრავი ქალაქი დაულაშქრავს, მდინარე ტიგროსი გადაულახავს და ქვეყანას მისდგომია. ამ ქვეყნის საზღვარზე ასურეთის მეფეს ქუთმუხისა და მუშქების ქვეყნებიდან ხარკად სპილენძის ჭურჭელი, მსხვილფეხა საქონელი და ღვინო მიუღია“. მუშქების ქვეყანაში მესხების ქვეყანა იგულისხმება. სამხრეთი საქართველო ნამდვილად გამოირჩევა ბრინჯაოს კოლექციებით, ლითონდასამუშავებელი საწარმოებით. ცხადია, ხარკში ჩათვლილი ღვინო, სამეფო დონისა იქნებოდა, ვინაიდან წყაროში საუბარია საუკეთესო ღვინის შესახებ, რომელიც იგზავნებოდა საქართველოდან (ლორთქიფანიძე, 2002:139; ჭილაშვილი, 2004:75-77; ფრუიძე, 2014:49-56, იქვე სხვა ლიტ.).

ბერძნული კოლონიზაციის წინა პერიოდის ელინური სამყაროსა და კოლხეთის შესახებ მდიდარი ინფორმაციის მომცემია, ასევე ბერძნული წერილობითი წყაროები: ჰომეროსის „ილიადა“, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა,“ (ძვ.წ. III ს.),

ჰეროდოტეს „ისტორია“, ქსენოფონტეს „ანაბაზისი“ (ძვ.წ.V-IVს), სტრაბონის „გეოგრაფია“ და ა.შ. (ყაუხჩიშვილი, 1961:260-264,300-301; ლორთქიფანიძე, 1966:9-23,107-116; მელიქიშვილი, 1970:400-405; ჭანტურიშვილი, 1993:92-102; ლორთქიფანიძე, 2002:28-30; 186-187).

ჰომეროსის „ილიადაში“ მოხსენიებულია კოლხური ღვინოები. „ოდისევსი თორმეტი თვის განმავლობაში გრძნეული კირკეს კუნძულზე ცხოვრობდა. კირკე მას ყოველდღიურად უმასპინძლდებოდა საუკეთესო ხორცითა და „საამო სასმელით“. ბერძნები „ლალისფერ ცქრიალა ღვინოს“ ვერცხლის თასებით მიირთმევდნენ. თვით ჰომეროსი კირკეს, მრისხანე აიეტის დად მიიჩნევდა“ (ყაუხჩიშვილი, 1961:21-46; ლეკიაშვილი, 1972:13).

კოლხეთის მევენახეობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მითი არგონავტების შესახებ. ლეგენდის მიხედვით: „როდესაც საბერძნეთის გმირი იასონი და მისი მხლებლები ეახლნენ აიეტის სატახტო ქალაქ აიას, დიდებულ სასახლეში, უნახავთ უამრავი სიმდიდრე და ბევრი გასაოცარი სანახაობა. ისინი გააოცა მეფის სასახლის გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა და სვეტებმა, რომლებიც მწკრივზე იყვნენ აღმართულნი კედლების გარშემო. სასახლის ჭიშკრის ზღურბლთან მათ იხილეს მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები. ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჩქეფდა მიწის წიაღიდან, რომლებიც ჰეფესტომ ამოაჩქეფა მიწის გულიდან. ერთი რძის შადრევანი იყო, მეორე ღვინისა, მესამედან სურნელოვანი ზეთი მორაკრაკებდა“ (აპოლონიოს როდოსელი, 1948:116-117; სიჭინავა, 1960:13; ლეკიაშვილი, 1972:13; ლორთქიფანიძე, 2002:140; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:22).

საინტერესოა ქსენოფონტეს (ძვ.წ. 430-335 წწ.) ცნობები ღვინის სმასთან დაკავშირებით. კოლხები ღვინოს სვამდნენ, მაგრამ წყალნარევს, აქაური ღვინო უწყლოდ მწკლარტე იყო, წყალნარევი კი - „სურნელოვანი და საამო“, ხოლო ტიბარენები “გაუზავებელ ღვინოს ყანწებით შეექცეოდნენ. გვაქვს ასევე სტრაბონის გეოგრაფიაში დაცული ცნობები ალბანეთში (კახეთი) ვაზის კულტურის შესახებ (რცხილაძე, 1956:6; სიჭინავა, 1960:55; ლეკიაშვილი, 1972:14; ხახუტაიშვილი, 2009:156). საქართველოს ტერიტორიიდან ღვინის ექსპორტის შესახებ საინტერესო

ცნობებს იძლევა VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი. მისი გადმოცემით მესხებს ბევრი ვენახები ჰქონიათ და თავიანთი ღვინო გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში გასაყიდად. ასევე კარგი ღვინო ჰქონიათ მოხირისშიც-ლაზიკა (სიჭინავა, 1960: 56; ყაუხჩიშვილი, 1965:54).

მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ბიბლია და ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. ფეოდალური ხანიდან მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული, ასევე ქართულ საისტორიო წყაროებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში (ფრუიძე, 2016:12-13). საქართველოს ისტორიისა და ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად ძვირფას წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“ (მათიაშვილი, 1968:69-71; ლეკიაშვილი, 1972:18;24-30; ჭილაშვილი, 2004:110-120).

მევენახეობაზე, ქართულ სუფრასა და ღვინოზე ცნობები დაცულია არაერთი უცხოელი მოგზაურის დღიურებსა თუ ჩანაწერებში. მათ შორისაა ამბროზიო კონტარინი, არქანჯელო ლაბერტი, ქრისტეფორე კასტელი (ჯავახიშვილი, 1996:140-143; ლეკიაშვილი, 1972: 34-39). ქართული სუფრისა და ღვინის ექსპორტის შესახებ საუბრობს ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენი - „XVII საუკუნეში ღვინო ბლომად გადიოდა სომხეთში, მიდიაში, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში“. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „თუკი მევენახეობა-მეღვინეობას ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად განადგურებულ და გაღარიბებულ საქართველოში, ძნელი არაა იმის წარმოდგენა თუ რა როლი ექნებოდა მას ექსპორტში იმ დროს როცა ქვეყანა აყვავებული იყო“ (ჯავახიშვილი, 1996:140-141; რცხილაძე, 1956 :7).

მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული დაწინაურება იწყება XVIII საუკუნიდან, როდესაც მაჰმადიანურ სამყაროსთან ხანგრძლივ ბრძოლებში დასუსტებული საქართველო რუსეთს შეუერთდა, გაჩნდა რუსი ელჩების ვრცელი, დაწვრილებითი და მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ (ჯავახიშვილი, 1996:144-148). ჩანს, ზვრები და მარნები მებატონე-ფეოდალების, სახელმწიფოსა და მონასტრების ხელში იყო, რომელთაც ბეგარით ამუშავებდნენ გლეხები. მათ გვერდით გაჩნდა მონაშენე გლეხთა და ვაჭარ-მრეწველთა ფენა, დაარსდა მემამულეთა და საუფლისწულო ვენახები. მომდევნო პერიოდისათვის

(XIX ს) გაფართოვდა ბაზარიც, გაჩნდა მოთხოვნილება ევროპული ტიპის ღვინოებზე, შამპანურზე, კონიაკებზე, რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი ადგილზე წარმოების საჭიროება. დაიწყო ახალი ტექნოლოგიების ათვისება, გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ბიძგი მიეცა მევენახეობა-მეღვინეობის აღმავლობას (რამიშვილი, 2001:74-80).

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთო მდგომარეობის შესწავლის მიზნით 1811 წელს საქართველოში იმოგზაურა კავკასიის მხარის მრჩეველმა კ. სტევენმა, მის მოხსენებით ბარათში საუბარია ქართული ღვინოების ხარისხზე. საექსპორტო ღვინოების გაუმჯობესებას ემსახურებოდა 1817-1823 წლებში თბილისის გუბერნიაში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება (სულ 486 ოჯახი), რომელთა დანიშნულება იყო მეღვინეობის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანა (რამიშვილი, 2001:81-82). ამ მიზნით პირველი წარმოება კახეთში ჩამოყალიბდა 1830 წელს გერმანელი მეღვინე გ. ლენცის მიერ. ქართველ თავადთა მიერ ჩამოყალიბდა მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობები და წარმოებები. XIX საუკუნეში გამართულ ღვინის მსოფლიო გამოფენებზე ევროპა გაეცნო ქართულ ღვინოებს და ღვინის პროდუქტებს - არაყსა და კონიაკს. შემდგომში ქართული ხარისხიანი სამარკო ღვინოები სხვადასხვა გამოფენებზე იქნა წარდგენილი, სადაც დიდი მოწონებით სარგებლობდნენ (რცხილაძე, 1956:12-13; რამიშვილი, 2001:94-111; ჭილაშვილი, 2004:181-182). საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ასევე XIX საუკუნის ფრანგი მწერალი ა. დიუმა, ჟაკ ფრანსუა გამბა, ი. მარი, ჟან მურიე, ინგლისის ელჩი თურქეთში ჯიფორდ პალგრევი, რუსი არქეოლოგი პრასკოვია უვაროვა, გერმანელი ისტორიკოსი ევგენი ვეიდენბაუმი, რუსი ისტორიკოსი ა. ფრენკელი მოგზაური ვინმე პლატონ ზუბოვი, ე. დანდუროვი, ა. იაკოვლევი, ს. ტიმოფეევი, ვ. სტაროსელსკი, ნ. მარი და სხვა (ბერიძე, 1975:12-15; ჯავახიშვილი, 1986: 414-415; ჯავახიშვილი, 1996:144-148; რამიშვილი, 2001:80-89). აღსანიშნავია, რომ ქართული ღვინისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო, მოგზაურთა ნაწილი იწონებდა ქართულ ღვინოს, ნაწილი კი უარყოფით შეფასებას აძლევდა და შთაბეჭდილებას საჯაროდ აქვეყნებდა. ქართული ღვინის კრიტიკულ შეფასებებს პრესაში ეხმაურებოდნენ მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის

წარმომადგენლები (ზერიძე, 1975:12-17; რამიშვილი, 2001:90-93; ჭავჭავაძე, 2017:221-224; სიჭინავა, 1960:15).

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობას რადიკალურად განსხვავებული და არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა. თურქების დამკვიდრებამ აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობა განსაკუთრებით მოშალა და გაანადგურა. მეღვინეობა გაქრა, მევენახეობა კი დარჩა (კახიძე, 1971:3-10; კახიძე, 2009:312-319; რამიშვილი, 2001:111). ამ ფაქტს გულისტკივილით ადასტურებდნენ მაშინდელი მოგზაურები თავიანთ ისტორიულ, არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებში. აჭარის სხვადასხვა ვაზის ჯიშების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული გ. ყაზბეგის 1874 წლის მოგზაურობის ამსახველ დღიურებში. მას სოფ. ჩაოში (ხულოს მუნიც.) მაღლარი ვაზის მრავალი ხე უნახავს. იგი გვაწვდის ინფორმაციას საღვინე ჯიშების შესახებ, რომელთა სახეობები გადაშენება-მოსპობის პირას იყო მისული. იმ დროისათვის აჭარაში ღვინოს მხოლოდ არამუსლიმანი  მოსახლეობა აყენებდა. აჭარაში მას უნახავს მიწაში დაფლული დიდი ზომის ქვევრებიც (ყაზბეგი, 1960:91,108; კახიძე, 2009:312,317). 1874 წელს ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ იმოგზაურა აჭარასა და გურიაში, რომელმაც მეცნიერულ დონეზე გადმოგვცა მდიდარი ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალა.  იგი სხვადასხვა საინტერესო მონათხრობთა შორის აჭარისწყლის ხეობაში აფიქსირებს მაღლარი ჯიშის ვენახებს, რომლებიც მურყანისა და ხურმის ხეებზე იყო აშვებული (ბაქრაძე, 1987:47).

დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული თ. სახოკიას მოგზაურობის დროს შექმნილ ეთნოგრაფიულ აღწერაში. რომელშიც რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომის შემდგომი მდგომარეობაა  გაშუქებული. სახოკიას აღწერილი აქვს მაღლარი ვაზის ჯიშები, მეღვინეობის მდგომარეობა და მიტოვებული, უფუნქციოდ დარჩენილი ქვევრები. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ  „მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ-ერთ სახსართაგანს შეადგენდა“ (სახოკია,

1985:221-226). მე-19 საუკუნის მიწურულის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს გადმოცემული ასევე ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელს ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი ათი წლის განმავლობაში გამუდმებით მოგზაურობდა სამუსლიმანო საქართველოში და მრავალი წიგნი დაბეჭდა მაჰმადიან ქართველებზე, მათი სოფლების ცხოვრებაზე, საიდანაც მეღვინეობის მდგომარეობაზეც ვგებულობთ საინტერესო ცნობებს (ჭიჭინაძე, 3-6; კახიძე, 1971:12; კომახიძე, 2010:633-636).

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ ერთ-ერთი პირველი საფუძვლიანი კვლევა განახორციელა აკად. ივ ჯავახიშვილმა, რომელიც პირველად 1934 წ. გამოქვეყნდა „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მეორე ტომში. ნაშრომი წარმოადგენს ადგილობრივ და უცხოურ წერილობით წყაროებზე დამყარებულ საფუძვლიან გამოკვლევას. მასში წარმოდგენილია მევენახეობის განვითარება და შესწავლილია მევენახეობასთან დაკავშირებული პროცესები. აღმოჩნდა, რომ საქართველოს ყველა თემში 420 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობა იყო გადარჩენილი. მასში აჭარის ადგილობრივი ყურძნის 12 ჯიშია განხილული (ჯავახიშვილი, 1986:479-482,488). ცალკეული რაიონების მიხედვით ქართული ვაზის ჯიშების პირველი დეტალური შესწავლა და აღწერა ჩაატარა მაქსიმე რამიშვილმა. 1948 წელს გამოიცა პირველი ტომი, რომელშიც შევიდა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები. აღსანიშნავია, რომ ქართული ვაზის ჯიშთა რაოდენობა 500-მდე გაიზარდა (რამიშვილი, 1948:8). ვაზის გეოგრაფიული გავრცელების ზონების, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების, აგრეთვე, ვაზის ჯიშობრივი შედგენილობის შესახებ პროფესორების. ნ. კეცხოველის, მ. რამიშვილისა და დ. ტაბიძის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებმა თავი მოიყარა 1960 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში -„საქართველოს ამპელოგრაფია“.

მევენახეობა-მეღვინეობის კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაპოვრებს. უძველესი ნივთიერი საბუთი, რომელიც ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობის არსებობას ადრეული ენეოლითის (8 ათასი წლის წინ) ხანას მიეკუთვნება. უძველესი

წიპწებისა და ვაზის სხვა ნაწილების უმდიდრესი კოლექცია, მთელი საქართველოს ტერიტორიას მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა მევენახეობა-მეღვინეობა ისტორიული ეპოქების მიხედვით დავახასიათოთ. ვაზისა და ღვინის კვლევას სათავეში უდგას ე.წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურა. იგი ერთ-ერთი უძველესია, როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე მთელი მაშინდელი კაცობრიობის ისტორიაში (ტაბიძე,1950:8-17; რუსიშვილი,2010:13; რამიშვილი,2001:18-19; ლორთქიფანიძე, 2002:62; რუსიშვილი, 2021:460).

შულავერის, იმირისა და ხრამის დიდ გორაზე ცილინდრული ფორმის საცხოვრისებში ნაპოვნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღები, ირმის რქისგან ნაკეთები თოხები, ობსიდიანისა და კაჟის საჭრისები, საფხეკები, ხელსაფრქვავები, გაპრიალებული ქვის ცულები, სატეხები და სხვ. ასევე მიკვლეულია მარცვლეულ კულტურათა (9 სახეობის ხორბალი, 5 სახეობის ქერი, ოსპი, ბარდა, ჭვავი) და შინაურ ცხოველთა ნაშთები, რქის სახნისი, 50-მდე თიხის ფიგურა „დიდი დედის„ გამოსახულებით. მონაპოვართა შორისაა ყურძნის წიპწები, რომლებიც მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნებით ვაზის კულტივირებულ სახეობა vitis vinifera-ს მიეკუთვნება. უძველესი ყურძნის წიპწები (Vitis Vinifera L.) განსაზღვრეს მაქსიმე და რამინ რამიშვილებმა. აქვეა მოპოვებული მოზრდილი ზომის განიერპირიანი და ბრტყელძირიანი თიხის დერგი. რომელსაც პირზე რელიეფურად ამკობს ყურძნის მტევნები. ჭურჭლის კედლებზე დადასტურდა უძველესი ღვინის დანალექი. არსებული მასალები წარმოადგენს საქართველოში ვაზის მოშენების, გაკულტურებისა და ღვინის დაყენების მატერიალურ ფაქტს (რამიშვილი, 2001:19; ჭილაშვილი, 2004:50-52; რუსიშვილი, 2010:12-16,37; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:13-14; რუსიშვილი, 2021:460-461).

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალით გამოირჩევა შემდგომი ეპოქა ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურა (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი - III ათასწლეულის პირველი ნახევარი). იგი მიწათმოქმედი-მესაქონლე საზოგადოების კულტურაა. მიწათმოქმედების დაწინაურებაზე მეტყველებს მდიდარი პალეობოტანიკური მასალაც (რუსიშვილი, 2010:17-19,სურ.3,4,5). საკმაოდ შორსაა

წასული მეტალურგიის ცალკე დარგად გამოყოფის პროცესი. ჩნდება ბრინჯაოს, ტყვიის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები. თიხის ჭურჭლის დამზადება ადის მაღალ დონეზე, როგორც გარეგნულად ასევე ტექნოლოგიურადაც. მონაპოვრებში წამყვანია ვარდისფერსარჩულიანი და შავპრიალა კერამიკა. მრავალფეროვან კერამიკულ ნაწარმში განსაკუთრებით გამოიყოფა დიდრონი, სქელკედლიანი ვიწროძირიანი და განიერპირიანი დერგები. სავარაუდოდ ასეთი ჭურჭლები დაბალ ორმოებში იდგმებოდა, როგორც ჩანს ისინი ყურძნის დასაწურად და ღვინის დასაყენებლად გამოიყენებოდა. დერგების ზედაპირები საგულდაგულოდ დამუშავებული და გაპრიალებული იყო. ხშირად ისინი შემკული იყო გეომეტრიული ფიგურებით, სპირალებით, წეროების გამოსახულებებით, მცენარეული და სხვადასხვა ცხოველის ფიგურებით. საფიქრებელია, რომ ასეთ ჭურჭელში ინახებოდა საზეიმო და სარიტუალო დანიშნულების სითხე. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (ხიზანანთ გორა, ქვაცხელებში, ურბნისი, თბილისი-დიდუბე, ამირანის გორა, შულავერის გორა, ბედენი და ა. შ) აღმოჩენილია მდიდრულად შემკული სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭლები, ყურძნის წიპწები, ვაზის ლერწის ნაწილები და სხვა. მევენახეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ე.წ. ბედენური კულტურის ერთ-ერთ ყორღანულ სამარხში სხვადასხვა მდიდრულ ნივთებს შორის ჩატანებულ ვაზის ტოტები, რომლებიც ვერცხლის თხელფურცლოვანი სალტეებით არის დაფარული. გარსაკრავები ნაკერების გარეშეა, რაც ლითონდამუშავების თავისებურ მეთოდზე მიუთითებს. მდიდრულ სამარხში ვაზის ლერწის ვერცხლით შემკობა, შესაძლებელია თვით ვაზის კულტისადმი თაყვანისცემის გამოხატულება იყოს (გობეჯიშვილი, 1981:90; ჯაფარიძე, 1991:104-135; ლორთქიფანიძე, 2002: 75-82; ჭილაშვილი, 2004:55-63; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:14).

გაცილებით მდიდრული და მრავალფეროვანია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მომდევნო ხანის (თრიალეთის კულტურა ძვ.წ. III-ის მეორე ნახევარი - II ათასწლეულის პირველი ნახევარი) არქეოლოგიური მასალა. სამეთუნეო ჩარხის სრულყოფამ განაპირობა მაღალხარისხიანი თიხის ნაწარმის მიღება. ჩნდება სრულყოფილი მრავალგვარი ჭურჭლის ფორმები. წამყვანია დერგები და ქილები, რომლებიც შემკულია როგორც წერტილოვანი, ასევე ამოკაწრვის მეთოდით

შესრულებული რთული გეომეტრიული ორნამენტებით (სვასტიკა, ბადეები, რომბები, სამკუთხედები). რელიეფური ორნამენტი იშვიათია, სამაგიეროდ შავპრიალა კერამიკისათვის დამახასიათებელია წითელი, შავი და ღია საღებავებით მოხატვა. კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმავლობას განიცდის ლითონის დამუშავებისა და მხატვრული ოქრომჭედლობის ტექნიკური დონე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გასული საუკუნის 30-იან წლებში თრიალეთში N5 და N17 ყორღანებში ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი ვერცხლისა და ოქროს თასები, ასევე ვერცხლის პატარა საწყული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თასის ფსკერიც ძვირფასი თვლებითაა მორთული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასმისი დაცლის შემდეგ დაპირქვავებული უნდა დამდგარიყო მაგიდაზე (ბოხოჩაძე, 1963:179, ტაბ.V,2; ჯაფარიძე, 1970:211-212; გოგაძე, 1972:69-78; ჭილაშვილი, 2004:68-69; კალანდაძე, 2015:20).

ღვინის რიტუალური სმის პროცესია გამოსახული ვერცხლის მოზრდილ თასზეც, რომელზეც 22 ტუნიკიანი და ნიღბებიანი ადამიანის ფიგურაა გამოსახული. თასი წარმოადგენს ღვინის სასმისს, რომელზეც სავარაუდოდ გამოსახულია ღვინის ან ლუდის სმასთან დაკავშირებული რიტუალური შინაარსის პროცესია. თასზე გამოსახული შინაარსის ირგვლივ არაერთი განსხვავებული აზრია გამოთქმული (ბოხოჩაძე, 1963:179, ტაბ.V,1; ჯაფარიძე, 1970:212-213; კიკვიძე, 1976:181-186; ჭილაშვილი, 2004:66,68).

საღვინე ჭურჭელი და ღვინის სმის მოტივი გვხდება სხვადასხვა ნივთებზეც. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მოგვიანო პერიოდის ბრინჯაოს სარტყელი (ძვ.წ. VIII-VIIსს), რომელიც გრავირებულია და მრავალფიგურიანი სცენითაა დამშვენებული. სარტყლის ცენტრში ორი მამაკაცია გამოსახული, ერთი დოქით, მეორე წელში გამოყვანილი სასმისით. მოქეიფეები ერთმანეთს უჭახუნებენ სასმისებს (რამიშვილი, 2001:44; ჭილაშვილი, 2004:80). ეს სცენა კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული სუფრისა და ღვინის სმის არქაულობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად მაღალგანვითარებულ მეღვინეობას ადასტურებს სხვადასხვა ადგილებში (ანაკლია, ნოსირი, თრელიგორებში და სხვ) აღმოჩენილი შესაბამისი პერიოდის

ყურძნის წიპწები. ღვინო რომ საკულტო დონეზეა აყვანილი, ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებისას სალოცავ ადგილებში საღვინე ჭურჭლების გამოყენებისა და მიძღვნის ფაქტები. ამ მხრივ, დამახასიათებელი სურათები ჩანს კახეთში აღმოჩენილ საკულტო ძეგლებზე. განსაკუთრებით საინტერესოა მამაკაცის ბრინჯაოს სკულპტურა, რომელიც ითიფალურ პოზაშია ჩამოსხმული და ხელში ყანწი უკავია. აქ ორი ელემენტია საყურადღებო ნაყოფიერება და ღვინის კულტი (სიჭინავა, 1960:35-37; მელიქიშვილი, 1970:211-217; რამიშვილი, 2001:30-31; ლორთქიფანიძე, 2002:97; ჭილაშვილი, 2004:72,78; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:15).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებიდან საფუძველი ჩაეყარა კოლხურ კულტურას. კოლხური ტომების წინაპრებმა შექმნეს ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამ პერიოდის ხუტორული დასახლებებისათვის, დამახასიათებელი იყო ხის ჯარგვალური ნაგებობანი, განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგია, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ „მელითონეთა განძებში“ სასოფლო-სამეურნეო იარაღების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებაა დაფიქსირებული. წამყვანი სამეურნეო იარაღებია ცული, წალდი, სეგმენტური იარაღი, თოხი და ა.შ. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იარაღი წალდი. ამ იარაღის, გავრცელების არეალს ძირითადად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი წარმოადგენს. მიწათმოქმედებისა და მევენახეობის რაიონებში წალდი ტყისა და ბუჩქების მოსაკაფავად გამოიყენებოდა. ცნობილია, ასევე რომ მსგავსი თანამედროვე რკინის წალდებიც ტყე-ბუჩქის გასაკაფად და მაღლარი ვენახის სასხლავად გამოიყენებოდა (გობეჯიშვილი, 1959:148; კალანდაძე, 1959:182; რამიშვილი, 1974:70-72; ჯაფარიძე, 1991:204; ლორთქიფანიძე, 2002:131; ჯაფარიძე, 2007:149-152,154-157,სურ.12,13.14). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოდითგან მაღლარი ვენახები იყო გავრცელებული. გვიანბრინჯაოს ხანიდან, ხდება მევენახეობის განვითარების მეორე საფეხურზე გადასვლა. იწყება მაღლარი მევენახეობიდან ოლიხნარზე გარდამავალ პერიოდი, შესაბამისად ჩნდება ვაზის გასხვლის მოთხოვნილება, რაც დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა

(ჯავახიშვილი, 1986:341-343). ამ მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს ვენახის სასხლავი იარაღის წარმოქმნა. ამიტომაც მკვლევარები განძებში შემავალ ბრინჯაოს მომცრო წალდებსა და მოხრილ „სასხლავ დანებს" ვაზის გასხვლისათვის საგანგებოდ გამოჭედილ იარაღებად მიიჩნევენ. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ადრეული ბრინჯაოს ნამგლებისაგან, გვიანბრინჯაოს ხანაში ვრცელდება განსხვავებული უყუნწო ვაზის სასხლავი ნამგლები. მსგავსი მოხრილი და მრუდე დანები საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონშია აღმოჩენილი. საინტერესოა, ასევე კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კომბინირებული იარაღი „ცულ- ნამგალა", რომელიც ასევე ვაზის სასხლავად არის მიჩნეული (სიჭინავა, 1960:40; ბოხოჩაძე, 1963:42-66; ლეკიაშვილი, 1972:67; კიკვიძე, 1976:95-97; ჯავახიშვილი, 1986:345-346; ხახუტაიშვილი, 1989:50; ჯავახიშვილი, 1986:346-347; რამიშვილი, 2001:40-41; ლორთქიფანიძე, 2002:166; ჯაფარიძე, 2007:157,სურ13,5; კახიძე, მამულაძე, 2016:21; კახიძე, სურმანიძე.., 2016:70; რუსიშვილი, 2021:460).

გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მონაპოვრებში ჭარბობს შავად გამომწვარი დიდი ზომის თიხის დერგისებური ჭურჭლები, რომელთა დამზადება იწყება ენეოლითის ხანიდან და მარცვლეულისა თუ საკვები პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. ჩნდება მეღვინეობასთან დაკავშირებული ჭურჭლების სხვადასხვა ფორმები (ცალყურა და ორყურა დოქები, სხვადასხვა ფორმის სასმისები, ტოლჩები, ჯამები, დიდი ზომის დერგისებური ჭურჭლები), მრავალრიცხოვანი ორნამენტებითა (ირიბი და მრგვალი ჭდეები, წიწვისებური, ორნამენტი, რელიეფური კოპები, და ა.შ.) და თავისებური ყურებით (ზოომორფული, ფრინველის და ა.შ). კულტურულ ფენებში უკვე დიდი რაოდენობით გვხვდება სქელკედლიანი, მოზრდილი, პირფართო და ბრტყელძირა თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება ღვინის შესანახ ჭურჭლებად მივიჩნიოთ. ისინი გვხვდება ნამჭედურის ნამოსახლარის ფენაში, რომელიც ძვ.წ. XI-IX სს. არის დათარიღებული (ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 975:94). დიდი ზომის თიხის ჭურჭელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა განვითარებას, ფორმებისა და მოყვანილობის დახვეწას, რაც ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის დღესაც არსებული და ფართოდ გავრცელებული ქვევრის ჩამოყალიბებით დასრულდა (სიჭინავა, 1960:41-42;

ბოხოჩაძე, 1963:126-135; მიქელაძე, 1974:62; ხახუტაიშვილი დ, ხახუტაიშვილი ნ., 2007:191). ადრეანტიკური ხანიდან ქვევრების დამზადება წარმოგვიდგება კერამიკული ხელოსნობის ცალკე დარგად (კახიძე, 1971:40; აფაქიძე, 1963:89-91; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:95-96). ადრეული ქვევრებისა და დერგების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ბათუმის ციხის ადრეანტიკური გორანამოსახლარი. მრავალფეროვან ნივთიერი კულტურის ძეგლებში წამყვანია ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი, რომელთა შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა კოლხური ქვევრები. სახეზეა მუცლისა და პირ-ყელის შემკობის სხვადასხვა მოტივის თანაარსებობა. გამოყენებულია: რომბული ბადის ორნამენტი, წიწვისებურ-ტალღისებური, ჯვარედინი ხაზები, მცენარეულ-რელიეფური, ჭდეები, გრეხილი რელიეფური ქედები, მჭიდროდ მიჯრილი პარალელური ღარები, ასტრალური ნიშნები, ცხოველების გამოსახულებები და ა.შ. გვხდება ქვევრები, რომელთაც სავენტილაციო ნახვრეტები აქვთ გაკეთებული. ფიქრობენ, რომ ისინი მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. ამ პერიოდის ქვევრების ძირი ბრტყელია, ისინი დაახლოებით 750-800 გრადუს ტემპერატურაზე იყვნენ გამომწვარი და მუქი, მოშავო, მორუხო შეფერილობა ჰქონდათ. თუ ქვევრების ძირისა და შემკულობის მიხედვით ვიმსჯელებთ სავარაუდოდ ისინი მიწის ზემოთ იდგმებოდნენ ან ნახევრად იფლებოდნენ მიწაში. ანტიკური ხანიდან იწყება ქვევრების მიწაში ყელამდე ჩაფვლა. ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე იბერიასა და კოლხეთში მეორადი დანიშნულებით ხმარებიდან გამოსულ თუ საგანგებოდ დამზადებულ ქვევრებს დასაკრძალავ ურნებადაც იყენებდნენ. სხვა საიმქვეყნო ნივთებთან ერთად ხშირად ქვევრსამარხებში სავაზე-სასხლავი იარაღებიცაა ჩაყოლებული, რაც ქვევრსამარხებში გარკვეულწილად მეღვინეების დაკრძალვით შეიძლება აიხსნას. მეღვინეობის დარგის წინსვლაში დიდი როლი მიუძღვის იმ დროისათვის არსებულ კულტებსაც (ცქიტიშვილი, 1959:138; ბოხოჩაძე, 1963:126; აფაქიძე, 1963:86; მიქელაძე, 1974:61-62; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:98-101; თოლორდავა, 1980:65; კახიძე, მამულაძე, 1988:47-60; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:59-61; ინაძე, 1994:154-155; ლორთქიფანიძე, 2002:172-173; ჭილაშვილი, 2004:91-102).

ანტიკურ ხანაში, ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურმა და

კულტურულმა ურთიერთობებმა, მეურნეობის ბევრ დარგს სასაქონლო ხასიათი მისცა. ელინებმა გაიჩინეს არაერთი დასაყრდენი პუნქტი, რომელთა მეშვეობითაც ისინი პონტოს სხვა ნაწილებთანაც ადვილად ამყარებდნენ კონტაქტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ჩვენი საკვლევი რეგიონი (აჭარა). არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით მსხვილი დასახლებული პუნქტების არსებობა დასტურდება ბათუმისციხის, ციხისძირის, ფიჭვნარის, ურეკის, ფაზისის, გიენოსის, დიოსკურიისა და ეშერას მიდამოებში. კოლხეთიდან ბერძნებს გაჰქონდათ სხვადასხვა სახის ნედლეული, კერძოდ გემთმშენებლობისათვის ძვირად ღირებული ხე-ტყე, სანთელი, ფისი, სელი და სელის ნაწარმი. არქეოლოგიურ მონაპოვრებში მრავლადაა საშუამავლო ვაჭრობის შედეგად შემოტანილი პროდუქციაც (ლორთქიფანიძე, 1966:68-91; კახიძე, 1971:36-42; ლორთქიფანიძე, 2002:185-208; კახიძე, 2007:247-254; კახიძე ა. კახიძე ე, 2014:52-65; კვირკველია, გამყრელიძე, 2021:218-220).

საქართველოს ისტორიის ანტიკური, ათსაუკუნოვანი პერიოდი - ძვ.წ. VI საუკუნიდან ახ.წ. VI საუკუნემდე - მეღვინეობის ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს. ანტიკურ-ელინისტური ეპოქისათვის ღვინო განსაკუთრებული საექსპორტო საგანი იყო საგარეო ვაჭრობაში (კახიძე, 2007:255-268). ამას ადასტურებს არქეოლოგიურ მონაპოვრებში სამეურნეო, სატრანზიტო თუ სასუფრე დანიშნულების ჭურჭელთა (ქვევრები, დერგები, ამფორები, მრავალგვარი დოქები, ქოთნები, კათხები, მათარები, სასმისები, ჯამები და ა.შ.) არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება. ღვინო რომ განსაკუთრებული ვაჭრობის საგანი იყო, ამას სხვადასხვა ბერძნული ცენტრების ამფორათა სიმრავლეც ადასტურებს. აჭარის ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მრავლადაა ასევე გამოვლენილი ადგილობრივი კოლხური ამფორებიც. კოლხური პითოსები და ამფორები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც, რაც აქაური ნაწარმის (თაფლი, სანთელი, დელფინის ქონი, სელის ზეთი, ღვინო), სასაქონლო ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. მეღვინეობის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ხდებოდა როგორც სამეურნეო ტარის (ქვევრები, ამფორები) ასევე ღვინის იმპორტიც. კლასიკური და ელინისტური ხანის კოლხური ქვევრების ფრაგმენტები და ამფორები აღმოჩენილია პანტიკაპეონის, ნიმფეოსის, ჰერმონასის,

ქერსონესის, მირმეკიონისა და მათი ქორას გათხრებისას. მიუხედავად იმისა, რომ ქვევრების ძირითადი ფუნქცია მეღვინეობასთანაა დაკავშირებული, მას მარცვლეულის, ზეთის, დამარილებული თევზის და სხვა პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისთვისაც იყენებდნენ (კახიძე, 1965:71-72; მელიქიშვილი, 1970:407-411; კახიძე, 1971:111-115; მიქელაძე, 1974:63; ცეცხლაძე, 1991:49-56; რამიშვილი, 2001:55; ლორთქიფანიძე, 2002:201-202; ვაშაკიძე, 2007:296-314; კახიძე, კახიძე ე, 2014:21-25).

მეღვინეობასთან დაკავშირებული განსაკუთრებით მდიდარი არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ბერძნული და კოლხური სამაროვნების ტერიტორიაზე, რომელსაც დაახლოებით 6 ჰა. ფართობი უჭირავს. შესწავლილია ანტიკური ხანის ასობით სამარხი (კოლხური-552, ბერძნული-498, ელინისტური-350-ზე მეტი). მდიდარი ნივთიერი მასალა კარგად ასახავს ანტიკურ სამყაროსთან ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს. სამარხეული ინვენტარში მხატვრული ოქრომჭედლობის, უცხოური თუ ადგილობრივი მონეტების, გლიპტიკისა და ტორევტიკის ნიმუშების გვერდით წამყვანია ადგილობრივი და ბერძნული სამეთუნეო ნაწარმი. სასუფრე და სამეურნეო კერამიკული ნაწარმის მიხედვით ჩანს, რომ ფიჭვნარელი ელინები ძვირადღირებული ღვინის ფართო მომხმარებლები ყოფილან. ღვინის დაწინაურებულ როლზე მიუთითებს სადა, შავლაკიანი წითელფიგურული სასმისების, დოქების, კილიკების, ოინოხოიების, სკიფოსების, კანთაროსების, კრატერების და სხვა სიმრავლეც (კახიძე, 1971:87-115; კახიძე, 1975:34-45; კახიძე, 2007:79-82,სურ/24-27,130-135; კახიძე, 2007:274-275,სურ/40,41; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:28-41; კახიძე ა, კახიძე ე., 2014:39-42).

მდიდარია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წინაქრისტიანული თუ შემდგომი ხანის არქეოლოგიური მონაპოვრებიც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამ არნახული გაქანება მისცა მევენახეობის აღმავლობას. ღვინის წარმოებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ეკლესია-მონასტრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ორგანიზების მაღალი დონით. ეს ძალიან კარგად ჩანს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე

გამოვლენილი მარნების, საწნახლებისა და ცალკეული ქვევრების მიხედვით (რამიშვილი, 2001:55-56; ჭილაშვილი, 2004:110-120; კახიძე, მამულაძე, 2016:113-117).

**მარანი.** ღვინის დაწურვა-შენახვის საქმეში განსაკუთრებული როლი აკისრია მარანს. ცნობილია მარნის სხვადასხვა ტიპი. მარნის ტიპის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ბუნებრივ პირობებს და ხალხის გამოცდილებას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებობს სხვადასხვა ტიპის მარნები: დახურული და ღია, ასევე ჭურისთავი, ჭურ-მარანი, სახლის გვერდით აშენებული, კლდეში ნაკვეთი, სარიტუალო, სამონასტრო, სასტუმროს ტიპისა და სხვა (ბოხოჩაძე, 1963:149-151,175-176; სუმბაძე, 1968:35; თოფურია, 1968:29-34; თოფურია, 1984:8-22; ჯავახიშვილი, 1986:150-152; ხაზერდია, 2018:29-33). აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია ღია ტიპის ან ხის მსუბუქი კონსტრუქციით დახურული მარნები. აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესობა დახურულ, ქვისგან ნაგებ მარნებს ენიჭება (გიაშვილი, 1961:5; ბოხოჩაძე, 1963:174-176; ფრუიძე, 1974:105-111; ნუცუბიძე, 1976:5; თოფურია, 1984:9-29; ხაზერდია, 2018:29). საქართველოში უძველეს მარნად ღია მარნის ტიპია მიჩნეული. საქართველოში უძველესი მარნის ნაშთი ნ. ხოშტარიას მიერაა მიკვლეული ვანში (ძვ. წ. IV- III სს), რომლის ტიპი ზუსტად არაა განსაზღვრული (ხოშტარია, 1972:92; ფრუიძე, 1974:113). ადრეული მარნებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნეკრესის მარანი, რომელსაც 200 კვ.მ. ფართობი უჭირავს და ადრე, სასახლის დარბაზს წარმოადგენდა. IV საუკუნეში კი მარნად გადაუკეთებიათ. აქ დაფიქსირებულია ხუთი ქვის საწნახელი, რომლებშიც ერთბაშად ათიოდე ტონა ყურძნის დაწურვა იყო შესაძლებელი (აფაქიძე, 1963:81.ტაბ.XVI,5-6; ბოხოჩაძე, 1963:159-165; ჭილაშვილი, 2004:106). ახ.წ. IV საუკუნიდან მოყოლებული კი საქართველოში არ არსებობს, ნამოსახლარი და ნაქალაქარი, სადაც სხვადასხვა ტიპის მარანი არ იყოს აღმოჩენილი (ბოხოჩაძე, 1963:166-174). საქართველოში შედარებით იშვიათია კლდეში ნაკვეთი მარნის ტიპი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სამ ძეგლზეა გამოვლენილი ესენია: უფლისციხე (ძვ.წ. IV-III სს), დავით-გარეჯი (VI-VII სს) და ვარძია (XII ს. ბოხოჩაძე, 1963:169-171; ხახუტაიშვილი, 1989:6,43).

უკანასკნელ წლებში, აჭარის მთისწინა და მაღალმთიან რეგიონებში გამოვლენილი და შესწავლილია სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ღია თუ დახურული ტიპის, ასევე სახლისა და ციხის კომპლექსში შემავალი მარნებიც. ესენია: ჩაქვის ჩაისუბანი, კაპნისთავი, ხიხანი, ზესოფელი, გვარა და სხვ. (მამულაძე, 1993:154-158; კახიძე, სურმანიძე…, 2013: 5-24; კახიძე, სურმანიძე, 2013:222-234; მინდორაშვილი, 2015:132-148; კახიძე, მამულაძე, 2016:117; კახიძე, შალიკაძე…, 2017:25-33; მინდორაშვილი, 2017:323-333; 84; კახიძე, სურმანიძე..., 2018:9). ჩვენს საკვლევ რეგიონში (აჭარა) ვენახთან, ღვინოსთან და მარანთან დაკავშირებით გვხდება არაერთი ტოპონიმი: ნავენახარი, ნამარნევი, ნავენახევი, ვაზნარიგვერდი, ვენახნარი, დიდვენახი, ღვინის წყარო, ჯღინკვენახი, მარანტდიდი, მარანათი და სხვა (სიხარულიძე, 1958:113; ჩელებაძე, 2007:2; ბერიძე, 1975:12; კახიძე, მამულაძე, 1988:47-60, ტაბ. XXIII, XXIV, XXVI).

**საწნახელი.** ქართული მარნის მრავალრიცხოვან ჭურჭელ-იარაღთაგან უმთავრესია ყურძნის დასაწური ჭურჭელი ანუ საწნახელი. ყურძნის დასაწურ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ერთ ხეში ამოკვეთილი საწნახელი, რომელიც ამ ტიპის ჭურჭლის ყველაზე ძველი სახეა და მეღვინეობის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. უპირატესობა ენიჭებოდა ცაცხვის ხეს, იგი მსუბუქია, რბილი მერქანი აქვს და არ იბზარება (ბოხოჩაძე, 1963:191; ლეკიაშვილი, 1968:52-55; ჯავახიშვილი, 1986:640-644). საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საწნახელს განსხვავებული სახელით მოიხსენიებენ: ქართლსა და კახეთში მას - „ნავი“ ეწოდება, სამეგრელოში - „ოჭინახი“, რაჭა-ლეჩხუმში - „ხორგო“, ხოლო იმერეთში, გურიასა და აჭარაში - „საწნახელი“. ქვის საბადოებით მდიდარ რეგიონებში (უფლისციხე, ვარძიის ქვაბთა კომპლექსი, სოფლები ჭაჭკარი და ფია (ასპინძა) გავრცელებული იყო ქვაში გამოკვეთილი საწნახლები, რომლებსაც ვაზისა და ყურძნის გამოსახულებები ამშვენებდა. უფლისციხის, გურიის (სოფ. შემოქმედი) და ზენითის საწნახელები ადრეულებია, თარიღდება ძვ.წ. IV-III სს. ისინი აღნაგობის მიხედვით განსხვავებულნი არიან შემდგომი ეპოქის საწნახელებისაგან (ბოხოჩაძე, 1963:90; ხახუტაიშვილი, 1964:21-25; ხახუტაიშვილი, 1989:42-43,47; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:78; კახიძე, მამულაძე, 2016:113). შედარებით მრავლადაა გამოვლენილი

განვითარებული და გვიან შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი საწნახლები. ესენია: ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ზუნდაგაში, კორომხეთში, მახუნცეთში, ორცვაში, ძენწმანში, ბზუბზუში, ახოში, აქუცაში; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ზედა ჩხუტუნეთში, ჩიქუნეთში, ცხემლარაში, ქედ-ქედში, შუშანეთში, ორთაბათუმში და სხვა (კახიძე, 1971:5-6; დავითაძე, 1974:4-34; კახიძე, მამულაძე, 2016:113-117).

საინტერესოა მარანში ქვევრის მოვლისათვის და ღვინის მოვლა-დაყენების შრომატევადი პროცესისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები: სარცხი, მაწაწური, ხრიკა, ხაპირი, კრაზანა, ჩაფი გოზაური, ორშიმო, სათხლევეები, სარეველა, სარქველი, საგოზელა, ორხელი და სხვა. ქვევრის სარეცხი საშუალებები ორგვარია: ქვევრში ჩასასვლელი და ზევიდან სარეცხი, პირველი მათგანი გამოიყენება დიდი ქვევრებისათვის, მეორე - პატარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ქვევრის, მარან-საწნახელისა და ღვინის დაწურვა- შენახვასთან დაკავშირებული ჭურჭლების სახელწოდებები საქართველოს მხარეების მიხედვით განსხვავებულია (ჯავახიშვილი, 1986:635-661; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:81-82).

მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართული საღვინე ჭურჭლები. განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული სასუფრე თუ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი. ამ მხრივ მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჩვენი საკვლევი რეგიონიც. სხვადასხვა ტიპის თიხის სასმისებისა და დოქების შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

დღეისათვის საქართველოში გავრცელებულია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული განსხვავებული ფორმის, შინაარსისა და მოცულობის საღვინე ჭურჭელი. ესენია: კულა, ჭინჭილა, ყარყარა, კათხა, კონჩხო, ფიალა, ფეშხუმი, გოზაური, აზარფეშა, რიტონი, ყანწიმარანი, ბადია და სხვა (მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:82-83).

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ღვთაებები, წეს-ჩვეულებანი. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში მეღვინეობასთან დაკავშირებული უძველესი ღვინის ღვთაებები და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაპოვრები. წინაქრისტიანული პერიოდის რელიგიური მიმდინარეობებიდან

საქართველოში, დიდი პოპულარობით გამოირჩეოდა დიონისეს კულტი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში თუ მის პერიფერიებში. ამ მხვრივ, განსაკუთრებით საინტერესო მასალებია მოპოვებული ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია 1966 წელს ვანში კარიბჭესთან მოპოვებული ანტიკური კოროპლასტიკის ნიმუში-დიონისეს ნიღაბი (ხოშტარია, ლორთქიფანიძე.., 1972:177-178; ლორთქიფანიძე, 2002:225; სურ. 114; ლორთქიფანიძე, 1972:67-69). ასევე ითქმის დიონისეს კულტთან დაკავშირებული უძველესი (ძვ.წ. II ს.) ტაძრის ნაგებობისა და საკულტო საკურთხევლის ტერიტორიაზე მოპოვებულ ნივთებთან დაკავშირებით. მათ შორისაა მოზეიმე, მხიარული გამომეტყველების მქონე დიონისეს წრის ღვთაებათა (პანი, სატირი, არიადნე, მენადები) გამოსახულებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. მათ შემკულობაში წამყვანია ვაზის ფოთლები და ყურძნის მტევნები. აშკარაა, რომ იგი მევენახეობა-მეღვინეობის კულტთან არის დაკავშირებული. საკურთხევლის შემოწირულობაში ასევე ფიქსირდება კოლხური ქვევრი, 40-ზე მეტი ამფორა, სპილენძის მონეტები და სხვა (ხოშტარია, ლორთქიფანიძე…, 1972:175-185, სურ:138-142).

ძვ.წ. V-IV საუკუნიდან ზოგიერთ არქეოლოგიურ ძეგლზე გამოკვეთილად ჩანს მარნისა და ტაძრის ურთიერთობა. ამ მხვრივ აღსანიშნავია სარკინესა და ციხიაგორაზე დადასტურებული ტაძარი და მასთან არსებული მრავალი ქვევრის შემცველი მარანი. გამორჩეულია ციხიაგორის სატაძრო კომპლექსი, რომელიც უნიკალურია ანტიკური ხანის ისტორიისა და კულტურულ-რელიგიური ასპექტების შესწავლისათვის. სატაძრო კომპლექსში კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოსავლური და დასავლური კულტურების შერწყმა და გავლენა. ციხიაგორას კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. IV-III სს-ით. ჩანს, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნიდან ქართლში ფეხს იკიდებს ირანიდან გავრცელებული მითრას კულტი. ციხიაგორის გათხრებისას გამოვლენილი ბევრი დეტალი მოწმობს, რომ კომპლექსი, ზოგადად, აქამენიდური ირანიდან გავრცელებული კულტურისა (მითრას კულტი) და ბერძნული კულტურის (დიონისეს კულტი) ელემენტების ნაზავია. აქამენიდურ კულტურასთან დაკავშირებული გამორჩეული ძეგლია ძვ.წ. V-IV ს-ის გრაკლიანის გორის ნამოსახლარი. მითრას კულტმსახურებაში, რომ ღვინოს გამორჩეული

ადგილი ეჭირა ამის ნივთიერი დადასტურებაა ნეკრესის ნაქალაქარის შესანიშნავი აღმოჩენა, ქვევრის პირის დაზიანებული ფრაგმენტი, რომელზედაც ძველი ტექსტის ფრაგმენტია შემორჩენილი. წარწერის მიხედვით ქვევრი მითრას სახელზე ყოფილა „დარგული“ (ლორთქიფანიძე, 2002:244-246; ჭილაშვილი, 2004:91-95; ცქიტიშვილი, 2003:16-25; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:105; ლიჩელი, 2014:15-22; რუსიშვილი, 2021:460). წინაქრისტიანულ საქართველოში უცხოეთიდან შემოსული ღვინის სხვა ღვთაებებიც დამკვიდრდა, ოღონდ სახეშეცვლილი და გაქართულებული სახით. საინტერესოა ქართველი ეთნოგრაფების მიერ დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებული, არაერთი ტრადიცია და წეს-ჩვეულება. ცნობილია, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად ვენახსა და მარანში სრულდებოდა სხვადასხვა მისნური მოქმედება, ლოცვა და მსხვერპლშეწირვა. ღვინო წმინდა სასმელად იყო მიღებული და ღვთაებებსაც სწირავდნენ. ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ღვთაებებისა და წმინდანებისათვის სასმელის შეწირვამ ფართო გავრცელება ჰქონდა. მათთვის შეწირულ ღვინოს სპეციალური სახელი - ზედაშე ეწოდებოდა. ცნობილია, რომ სხვადასხვა (საძმო, სათემო, ახლო ნათესაური) სახის ზედაშე სხვადასხვა დროს (სამღვთო, საკალანდო, სამაისო, საჭაბუკო და სხვ.) შეიწირებოდა. ყურძნისა და ღვინის წყალობით სათაყვანებელი ადგილი გახდა მარანი, სადაც ხდებოდა მნიშვნელოვანი დღესასწაულების აღნიშვნა (თოფურია, 1979:34-37,75-90; ბარისაშვილი, 2019:147-156).

ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები (შესაწირავები, ლოცვა-ვედრება) და სხვადასხვა რიტუალები, რომლებიც სათავეს წარმართულ ხანაში იღებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში განსხვავებულად სრულდებოდა. საინტერესოა ვაზისა და ღვინის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება, რომელიც საკალანდოდ სრულდება გურიაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, ესაა „აგუნა-“ს გადაძახება. მევენახეობის მფარველი აგუნას (ანგურა) კვალი ყველაზე კარგად გურიაშია შემონახული. ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში და რაჭაში, საახალწლოდ ცხვებოდა საგანგებოდ ყურძნის მტევნის მოყვანილობის პური, რომელსაც ვაზის რქა ან მტევანა ერქვა. გურიაში იგი კვერად ცხვებოდა და განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მას აგუნას პური ეწოდებოდა. ასეთი პურით

ოჯახის უფროსი ვენახსა და მარანში გარკვეულ რიტუალს ასრულებდა. არ არის გამორიცხული, რომ აგუნა მევენახეობა-მეღვინეობის ქართული ღვთაება იყოს. საახალწლოდ „ჭურისთავის შელოცვის"-სა და ყურძნის უხვი მოსავლის დაბედების რიტუალს ატარებდნენ ასევე ლიხთ-იმერეთშიც. ჩვენს საკვლევ რეგიონში თურქთა ბატონობამ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტრადიციების გაქრობა-მივიწყება გამოიწვია. მოსახლეობაში შემონახულია რამდენიმე წეს-ჩვეულება: სასტიკად იკრძალებოდა ვაზის მოჭრა, ღეროს დაწვა, ლერწის გატეხვასაც კი ერიდებოდნენ, თუ ეს მოხდებოდა გამოსულ წვენს ვაზის ცრემლებსა თუ „ტირილს" უწოდებდნენ და ცუდის მომასწავებლად მიიჩნევდნენ (ბოხოჩაძე, 1963:187-188; ბარდაველიძე, 1968:12-13; ლეკიაშვილი, 1972:114-118; ვარშალომიძე, 1979:67; თოფურია,1984:60-90; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:25-29,109-110; ჭილაშვილი, 2004:96-97; რამიშვილი, 2001:56).

საპატიო ადგილი დაიკავა ვაზმა და ღვინომ ქრისტიანულ რელიგიაში. ღვინო ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში გამოიყენება „ზიარების საიდუმლოების" ატრიბუტად (ლეკიაშვილი, 1972:20-22).

ხალხურ ფოლკლორში ვაზს, ყურძენს, ღვინოსა და მათ ნიშან-თვისებებს გამორჩეული ადგილი ეჭირათ. მათთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, საოჯახო, სატრფიალო, დიდაქტიკური და ეკონომიური ხასიათის ლექსი-შაირი, აფორიზმი, ანდაზა და გამოცანა ბლომადაა გაბნეული ხალხურ სიტყვიერებაში (რცხილაძე,1956:9; ლეკიაშვილი,1972:24-25; კეცხოველი,1968:3-8). ჟანრობრივად მრავალფეროვანია ვაზის თემაზე შექმნილი ქართული მრავალხმიანი სიმღერა და საგალობლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის შვილის მეფე დემეტრე I-ის (1125-1156წწ.) მიერ შექმნილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი", რომელიც ვაზისა და მზის ერთიანობის სიმბოლოა. ეს საგალობელი სრულდება საეკლესიო რიტუალის დროს, როგორც ღვთისმშობლის ტროპარი, იგი ასევე სრულდება საერო დღესასწაულებზე. ქრისტიანულ მწერლობაში „ვაზი", „ვენახი" ღვთისმშობლის სახეა, ხოლო „ტევანი" მისგან შობილი ძე ღვთისა, ანუ მაცხოვარი (ბოხოჩაძე, 1963:187; ჭილაშვილი, 2004:115).

ვაზისა და ყურძნის მოტივებმა გაბატონებული ადგილი დაიკავა ეკლესიების

მშენებლობაში და ჩუქურთმა-მხატვრობაში. ვაზის ორნამენტები სხვადასხვა ეპოქის ქართული ტაძრის რელიეფთა განუყოფელ ნაწილად იქცა. ყურძნისა და ვაზის ხვიარების გამოსახულებანი ამკობდა არაერთ საოჯახო ნივთს, ავეჯს, იარაღს. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს გამაჰმადიანებული პროვინციების მოსახლეობის მიერ, მევენახეობის დარგთან დაკავშირებული სახვითი გამოვლენა. აჭარაში არაერთი მუსლიმანური საკულტო ნაგებობაა (თხილვანა, ღორჯომი, დღვანი, გულები, ზუნდაგა, ჩიქუნეთი, ჯაბნიძეები და სხვა) დაფიქსირებული, რომელთა ინტერიერში ხეზე ამოკვეთილი ან ზეთის საღებავით შესრულებული ვაზისა და ყურძნის მტევნების ორნამენტებია წარმოდგენილი. გამუსლიმანებულ მხარეებში ქართველ ხის ოსტატთა მიერ ჯამეების ინტერიერზე ვაზის რელიეფური გამოსახვა ქართულ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებზე ვაზის გამოსახვის დეკორატიული თავისებურების გაგრძელებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაზისა და ღვინის თემატიკა ქართველ ოქრომჭედელთა და მხატვართა შემოქმედებაში (რცხილაზე, 1956:9-10; ვარშალომიძე, 1979:61-67; ხუნდაძე, 2017:26, სურ.54, 56-58; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:108-112; ჭილაშვილი, 2004:178).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში წელიწადის თორმეტი თვიდან ერთ-ერთს, ოქტომბერს, ყურძნის კრეფისა და მაჭრობის თვეს, ღვინობისთვეს უწოდებდნენ.

მევენახეობა-მეღვინეობის კვლევასთან დაკავშირებული სიახლეები. მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებული უახლესი კვლევები. 2014 წლიდან, „ასოციაცია ქართული ღვინო"-ს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით განხორციელდა საერთაშორისო მულტიდისციპლინარული პროექტი „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა". მასში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდნენ პენსილვანიის (აშშ), მილანის (იტალია), კოპენჰაგენის (დანია), ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს (საფრანგეთი) აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები. პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად

მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის" და „შულავერის გორის" არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე, ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vitis vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. ჩატარდა ასევე პალეობოტანიკური კვლევები. მილანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები არსებობდა. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, C 14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი) (McGovern, Jalabadze, Batiuk, Callahan, Smith, Hall, Kvavadze, Maghradze, Rusishvili, Bouby, Failla, Cola, Mariani, Boaretto, Bacilieri, This, Wales, Lordkipanidze, 2017:1-10). ამრიგად, უახლესი კვლევების შედეგებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოში ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

საქართველო გამოირჩევა კულტურული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით. საქართველოში დღეისათვის 530-ზე მეტი დასახელების ადგილობრივი ჯიშია ცნობილი (მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:57; კალანდაძე, 2015:593-602; დიდი ენციკლოპედია ღვინო, 2016:494).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან იუნესკოს გადაწყვეტილებით, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა.

## თავი II. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში

### § 1. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლები

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ნივთიერი კულტურის ძეგლები თანმიმდევრული, სისტემატიური საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტებად იქცნენ. კვლევების შედეგად დაგროვდა სხვადასხვა ეპოქის მეტად საყურადღებო არტეფაქტები, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ჩვენი ქვეყნის ამ მხარის ისტორიის, კულტურისა და სამეურნეო ყოფის აქტუალური პრობლემების კვლევის სფეროში. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს თემასთან დაკავშირებით-„მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში არქეოლოგიური მასალების მიხედვით“.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა განსაკუთრებით იჩენს თავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან. ამ მიმართებით საინტერესო მხარეა ჩვენი საკვლევი რეგიონი აჭარა, რომელიც ბრინჯაოს ხანაში, კოლხური კულტურის უძველეს კერას წარმოადგენდა.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში მნიშვნელოვანი გარდაქმნები შეინიშნება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. წინაურდება ბრინჯაოს მეტალურგია, ეპოქის განვითარების გარკვეულ საფეხურზე შემოდის რკინა, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებიდან ლითონის წარმოებაში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ჩნდება სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის მაღალგანვითარებული დარგები. საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ყალიბდება სხვადასხვა ხასიათის კულტურები. ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური და დასავლურ-ქართული – იგივე კოლხური. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლები საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანია: ნამოსახლარები, სამაროვნები, ლითონისა და კერამიკის წარმოების ნაშთები, საკულტო ადგილები, განძები და სხვ. (ლორთქიფანიძე, 2002:102-123; ჯაფარიძე, 2007:149). დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის ფორმირება კოლხეთის ზღვისპირეთში მიმდინარეობდა, უფრო კი მის

სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისთვის დამახასიათებელია ლითონის მრავალფეროვანი საომარი და სამეურნეო იარაღი (ცულები, თოხები, სეგმენტები, წალდები და სხვ), უაღრესად სპეციფიკური კერამიკა (თასები, ჯამები, კოჭობები, ტოლჩები, ქილები, დიდი ზომის დერგისებური ჭურჭელი და სხვ.) და ჯარგვალური ტიპის არქიტექტურა. ამ კულტურის ფორმირების დაწყება ივარაუდება ძვ.წ. XVI-XV სს-დან (კალანდაძე, 1959:155; მიქელაძე, 1974:40; ლორთქიფანიძე, 2002:127, 134) ამავდროულად ცნობილია, რომ ჭოროხის აუზი ითვლება კოლხური კულტურის კერად, შესაბამისად ურარტული, ასურული და ბერძნული წერილობითი წყაროები მდიდარია აქ მცხოვრები ტომების სხვადასხვა ისტორიული ასპექტების გაშუქებისათვის. ძვ.წ. IX-VIII სს ძველი კოლხეთის სამეფო, ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა და აჭარის ტერიტორიასაც მოიცავდა. რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მონაპოვრებიც, რომელთა შორის მრავლადაა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები (ლორთქიფანიძე, 2002:138-139, 184-187; ჭილაშვილი, 2004:75-80; მელიქიშვილი, 2007: 174-180).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მევენახეობა-მეღვინეობის კვლევის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა არქეოლოგია. პრეისტორიული მემკვიდრეობის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქეობოტანიკურ (მცენარეები, მიკრონარჩენები) მასალას და მისი კვლევის შედეგებს. იგი წარმოადგენს მყარ ფაქტობრივ საფუძველს კულტურულ მცენარეთა ჩამოყალიბების, მიწათმოქმედების წარმოშობის, თავისებურებებისა და ადგილის შესახებ უძველეს ცივილიზაციებს შორის. არქეობოტანიკური კვლევების დროს შეგროვებული მონაცემები, შესაძლებელია, სხვა წყაროების (არქეოლოგია, გეომორფოლოგია, პალეონოლოგია, არქეოზოოლოგია და ა.შ.) მონაცემებთან შევაჯეროთ და წარსულის სხვადასხვა ასპექტები აღვწეროთ. ცნობილია, რომ კულტურულ მცენარეთა წარმოშობის მხვრივ პირველადი რეგიონი წინააზიური ცენტრია. ამ რეგიონთანაა დაკავშირებული ხორბლის, ქერის, პარკოსნებისა და ვაზის დომესტიკაცია (რუსიშვილი, 2010:6-10). საქართველოც წინააზიური ცენტრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაზისა და

ხორბლის შესახებ არსებული პალეობოტანიკური მონაცემები. მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლისათვის არქეოლოგიური გათხრების შდეგად მოპოვებულ მასალებთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურძნის წიპწები, რომლებიც აღმოჩენილია ნამოსახლარებზე, სამარხებში, მარნის ქვევრებში და სხვ. წიპწები შეიძლება იყოს, როგორც ველური, ასევე კულტურული ვაზისა. მათი გამოცნობა ხდება მორფოლოგიური შესწავლის გზით. ვაზის ჯიშის განსაზღვრისას ამპელოგრაფები ასახელებენ ყურძნის წიპწის ყველაზე მუდმივსა და დამახასიათებელ ნიშნებს. მაგ: ტანის მოყვანილობა, ნისკარტი, ქალაძა, ზომა, ფერი და სხვ (ბოხოჩაძე, 1963:70-71). საქართველოში ვაზის ნაშთების (წიპწა, მტვრის მარცვალი, რქა) არქეობოტანიკური მონაცემები მოიცავს 42 არქეოლოგიურ ადგილსამყოფელს. კვლევის შედეგად დაგროვდა უამრავი მასალა, რომელთა ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი ენეოლით-ბრინჯაო-ანტიკური-შუასაუკუნეები, საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ვაზის კულტურის გავრცელების ინტენსივობას საქართველოს ტერიტორიაზე (რუსიშვილი, 2010:11; მაღრაძე, 2014:16; რუსიშვილი, 2021:460-462).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უძველესი პალეობოტანიკური და არქეოლოგიური მასალა გამოვლენილია შულავერის ჯგუფის ძეგლებზე, რომლებიც თარიღდება ძვ.წ VI-IV ათასწლეულით (რუსიშვილი, 2010:13; რამიშვილი, 2001:19; ჭილაშვილი, 2004:50-52; რუსიშვილი, 2021:460; McGovern, Jalabadze, Batiuk, Callahan, Smith, Hall, Kvavadze, Maghradze, Rusishvili, Bouby, Failla, Cola, Mariani, Boaretto, Bacilieri, This, Wales, Lordkipanidze, 2017:1-10). კოლხეთის დაბლობზე კი უძველესი არქეობოტანიკური მასალა დიხა-გუძუბას ენეოლითური ხანის დასახლებას უკავშირდება, რომელზეც აღმოჩენილია კარგად დაცული ფეტვისა და ხორბლის მარცვლები, წიფლის ნაყოფები, თხილი, რკო, ასევე ჩვენთვის საინტერესო ვაზის რქები. ვაზის ღეროს უძველესი ნაშთები ნოსირშია (სენაკის რ-ნი, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) აღმოჩენილი. ერთ-ერთი უძველესი ვაზის წიპწები კი აღმოჩენილია სოფ. ერგეტში (ზუგდიდის მუნიც.) ანტიკური ხანის სამაროვანზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით. მორფოლოგიური ნიშნებით ჩანს, რომ წიპწები იხრება ველური Vitis sylvestris Gmel ვაზისაკენ, რაც ნიშნავს რომ კოლხეთის ტყეებში ვაზი

ბუნებრივად იზრდებოდა (გოგაძე, 1982:223; რუსიშვილი, 2010:30; რამიშვილი, 2001:34-35). ვაზის წიპწები აღმოჩნდა ასევე ანტიკური ხანის (ძვ.წ. VIII- VI სს.) ნაქალაქარ გიენოსის ტერიტორიაზე (ოჩამჩირის მუნიც.). ძვ.წ. VII-VI საუკუნეების კულტურულ ფენებში სხვა პალეობოტანიკურ მასალასთან ერთად გამოვლინდა ვაზის 18 წიპწა. ისინი კულტურული და ველური ვაზის სახეობებს მიეკუთვნება. სავარაუდოა, რომ ამ დროისათვის კულტურულ ვაზთან ერთად ველური ვაზის შეგროვებაც ხდებოდა, რომლითაც ასევე მდიდარია დასავლეთი საქართველოs და აფხაზეთის ტყეები (რუსიშვილი, 2010:31; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:15). საინტერესოა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყულევის არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი არქეობოტანიკური მასალაც. აქ ძვ.წ. VI-III საუკუნეებით დათარიღებული დასახლების ერთ-ერთი უბანზე გამოვლენილი კომპაქტურად (0,5 კვ.მ ფართობზე) დაყრილი ყურძნის წიპწების გროვა (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017: 70; ტაბ.65/1; სურ.59). პალეობოტანიკოს ნანა რუსიშვილის განსაზღვრით წიპწები კულტურული ვაზის ნაყოფს წარმოადგენს. ვაისმანის (ისრაელი), ინსტიტუტის რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების ლაბორატორიაში მიღებული პასუხის თანახმად მისი აბსოლიტური ასაკია 2383 +/-17 წელი ანუ ძვ.წ. V საუკუნის დასასრული თუ მეოთხე საუკუნის დასაწყისი (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017: 73).

აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებზე ყველაზე ადრეული არქეობოტანიკური მასალა დაფიქსირებულია ნამჭედურის მე-V ფენაში, რომელიც ძვ. წ. XII-XI სს მიეკუთვნება. მოპოვებულია სპელტას კარბონიზებული ძნა-ხორბლის თავთავები, ფეტვისა და თიხის ჭურჭელებში შენახული ღომის მარცვლები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:18-19; ხახუტაიშვილი, 1995:54-55; ხახუტაიშვილი, 2007:187; ყვავაძე, 2021:467). აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ვაზთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა, ამიტომაც ჩვენს მთავარ დასაყრდენს ამ ეპოქის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად სხვა სახის არქეოლოგიური მონაპოვრები წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, ასევე რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის ფართოდ გამოიყენებოდა სამეთუნეო მორგვი და სწრაფმბრუნავი ფეხის ჩარხი, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფდა

წარმოებული კერამიკული პროდუქციის სრულყოფასა და დახვეწას. სწორედ ადრერკინის ხანიდან სახეზეა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმის მომრავლება. ჩნდება კოლხური ქვევრები-პითოსები (მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ორნამენტებით შემკული) და სასმისების ადრეული ფორმები (ცილინდრული და კონუსურძირიანი სასმისები და სხვ.), ბიკონუსური და ყურმილიანი დოქები, დიდი მოცულობის დერგის ფორმის ჭურჭლები, რომლებსაც სხვადასხვა პროდუქტების შესანახად იყენებდნენ (მიქელაძე, 1974:61-62; რამიშვილი, 2001:42; ხახუტაიშვილი, 2007:191-192; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:15). თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში ადრერკინის ხანა (ძვ. წ. IX-VI სს). სათავე დაედო ცივილიზაციის ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს საფეხური აღინიშნა მნიშვნელოვანი ძვრებით, ნოვაციებით, როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, გაიზარდა კონტაქტები მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტის ხალხებს შორის. არნახული პროგრესი განიცადა ფერადი ლითონების მეტალურგიამ. რკინის სამრეწველო გამოყენებაზე სწრაფმა გადასვლამ, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გაერთიანებების წინააზიური კულტურის ცენტრებთან სიახლოვემ და მათთან უშუალო კონტაქტებმა, სწრაფი ტემპით წაიყვანა აქაური მოსახლეობის კონსოლიდაცია და სოციალ-ეკონომიკური განვითარება. დაიწყო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მკვეთრი აღმავლობა. სწორედ ამ ეპოქებიდან სახეზეა ინტენსიური კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობანი უძველესი ფესვების მქონე ანატოლიურ, მესოპოტამიურ და ეგეოსური სამყაროს კულტურებთან (ლორთქიფანიძე, 2002:154; მელიქიშვილი, 2007:176).

მსგავსი სიახლეები შესანიშნავად აისახა ჩვენთვის საკვლევ თემატიკაზე. სახეზეა კოლხეთის ეგეოსურ-ხმელთაშუაზღვისპირეთისა და პონტოსპირეთის მევენახეობა-მეღვინეობის ადრე დაწინაურებულ ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) არქეოლოგიურ მონაპოვრებში, ცალკე ჯგუფს ქმნიან მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საოჯახო თუ სამეურნეო ნაკეთობანი. განსაკუთრებული შემკულობით გამოირჩევა სასუფრე ჭურჭელი. მრავალფეროვანი დეკორის დასატანად მეთუნე ოსტატი იყენებს

ამოკაწვრას, ჭდევას, წნევას, აგრეთვე ზედაპირის გაპრიალებას. უმეტესად ჭარბობს გეომეტრიული სახეები (ხახუტაიშვილი, 1986:53). მკვლევარი რ. პაპუაშვილი, ყულევის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურული ფენის კერამიკულ ნაკეთობებზე არსებული შემკულობის მიხედვით გამოყოფს 90-მდე სახის ორნამენტს. ესენია: რომბისებური ბადეები. ჯვრისებური, ტეხილი, სწორხაზოვანი, ტალღისებური, ჭდეული, წიწვისებური და პარკეტისებური ორნამენტები, სამკუთხედები, კონცენტრული წრეები, ზენური ხვიები, მეანდრები, ყვავილისებური ფორმები, კანელურები, კოპები, და ცხოველსახოვანი გამოსახულებები (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:58). უნდა აღინიშნოს, რომ ადრერკინის ხანაში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეთუნეო ნაწარმის მომრავლებასთან ერთად სახეზეა დიდი წინსვლა ვაზის მოვლის საქმეშიც. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება „დაბლარ“ მევენახეობაზე გადასვლა. სახეზეა ვენახში ჩასატარებელ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული ინვენტარ-იარაღების შემდგომი სრულყოფა (რამიშვილი, 2001:36-39). გამოთქმულია არაერთი მოსაზრება, რომ კოლხურ განძებში შემავალი მომცრო წალდები, სავაზე ნამგლები და მოხრილი დანები, მაღლარი და მაღლარიდან დაბლარ მევენახეობაზე გადასვლის პროცესში წარმოშობილი ვაზის შუალედური ფორმის „ოლიხნარის“, გასასხლავად გამოიყენებოდა. ამრიგად საფუძველი ეყრება კულტურულ მევენახეობას (ზოხოჩაძე, 1963:9-10; ჯაფარიძე, 1991:203; რამიშვილი, 2001:39-41; ლორთქიფანიძე, 2002:128-131; ხახუტაიშვილი, 2007:184).

მეღვინეობასთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმი დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: სამეურნეო (ქვევრები, დიდი ზომის დერგის ფორმის ჭურჭლები) და სასუფრე ჭურჭლები (სასმისები, ყურმილიანი დოქები). მათ განხილვას დავიწყებთ კოლხური სასმისებით. სასუფრე ჭურჭლის ეს სახეობა (სასმისები) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. აღსანიშნავია, რომ ისინი ყოველთვის დერგებთან, ყურმილიან დოქებთან და ქვევრებთან ერთად გვხდება და მეღვინეობის შემდგომ განვითარებაზე მიუთითებს. სასმისების ახალი მრავალფეროვანი ფორმების მომრავლება ბრინჯაოს ხანას უკავშირდება (ზოხოჩაძე, 163:180; მიქელაძე, 1974:62; ხახუტაიშვილი, 1986:53;

микеладзе, 1990:37; ხახუტაიშვილი, 1995:76-77; ჭილაშვილი, 2004:75). კოლხური სასმისების შესწავლას არაერთი მკვლევარი შეეხო. მათ შორისაა ბ. კუფტინი, რომელმაც 1950 წელს გამოსცა ნაშრომი, „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის" II. მასში განხილულია 1935-1936 წლებში რიონის პირა დაბლობში და შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. მონოგრაფიაში წარმოდგენილია დაბლაგომის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური სასმისების თითქმის ყველა სახეობა (Куфтин, 1950:98-99, рис. 22/21-36, таб.31).

კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკა კარგადაა დახასიათებული არქეოლოგ თ. მიქელაძის არაერთ ნაშრომში. არსებობს მის მიერ შემუშავებული კოლხური კერამიკისა და მათ შორის სასმისების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და დათარიღება, რომელსაც არაერთი მკვლევარი იზიარებს. მან ჩვენთვის საინტერესო ძველკოლხური პერიოდის კერამიკის განვითარება ორ ეტაპად დაყო. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. II ათსწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისს, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავს I ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. VII საუკუნის ბოლომდე. ჩვენთვის საინტერესო ძველკოლხური (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ძვ.წ. VII საუკენემდე), კერამიკული ნაწარმი მრავლადაა გამოვლენილი კოლხეთის შემდეგ ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე: ცხემი, საელიავო, ზურგა, ნაოხვამუ, ნამჭედურის მე-V ფენა, ნოსირი, ნამარნუ, ნიგვზიანი, ყულანურხვა, პალური, წითელი შუქურა, დაბლაგომი და სხვ. მათი კლასიფიკაცია შეიმუშავა თ. მიქელაძემ (მიქელაძე, 1974:62, ტაბ.IX; მიქელაძე, 1978:28, 34, 37, 56; მიქელაძე, 1985:23-24, 74; микеладзе, 1990:37-38, 80-81).

აღსანიშნავია, რომ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებსა და საექსპოზიციო დარბაზში დაცულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხეთისათვის დამახასიათებელი წამყვანი კერამიკული ნაკეთობანი. მრავლადაა მეღვინეობასთან დაკავშირებული ჭურჭლები. სამეურნეო-სამზარეულო და სუფრის ჭურჭლების ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ საუბარია ნაშრომში-„მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლხური კერამიკა"(სულავა, ქორიძე, 2017:142-147).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამაროვნებზე გამოვლენილი მრავალრიცხოვანი ინვენტარის, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო კერამიკული ნაკეთობების (სასმისები, ყურმილიანი ხელადები) დაჯგუფება შეიმუშავა რ. პაპუაშვილმა (პაპუაშვილი, 1998:43-55). კოლხური სასმისები განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი 1999-2006, 2012 წლებში ყულევში ჩატარებული არქეოლოგიური საუშაოების შედეგად გამოვლენილ მასალებში. ავტორები გამოყოფენ კოლხური სასმისების რამდენიმე ჯგუფს (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:55 ტაბ.18/3.სურ.38;18/4-13;18/7; 57/2;24/2; 19/22-28).

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემულია ავტორთა ჯგუფის მიერ სახელმძღვანელოში-ვანი V. გამოყოფილია სასმისების ხუთი ტიპი (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:38-42).

კოლხური სასმისების თითქმის ყველა სახეობაა წარმოდგენილი აჭარის არქეოლოგიური ძეგლებიდანაც. არქაულობით გამოირჩევა კოლხური სასმისები ფიჭვნარის დიუნიდან. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ფიჭვნარის დიუნაზე მოპოვებული ფეხიანი სასმისი (ტაბ.1/1). იგი მდიდრულადაა შემკული ურთიერთგადამკვეთი პრიალა შავი ზოლებით, რომლებიც ქმნიან რომბისებრ ბადეს (რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48; კახიძე, 1965:75,სურ.3). ისინი მრავლად გვხდება აჭარის სხვა ძეგლებზეც. მაგალითად: ფიჭვნარი, ნამჭედური, კოხი, მახვილაური, ბათუმის ციხე, ჭარნალი და სხვა (ქათამაძე, 1963:37-38, სურ. 14; კახიძე, 1965:73/სურ.3; Микеладзе, Хахутаишвили, 1985:18-19, таб. 70; კახიძე, 1971:46-49 ტაბ. 6/7-10, 13; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/1,2,3,10,11; XXXVI/7; კახიძე, სურმანიძე.., 2013:10-13, ტაბ.XVIII/1-4; XXIII/3-6; კახიძე, ძნელაძე.., 2017: 88, ტაბ. X/4; XVII/10; შალიკაძე, 2019:96, ტაბ. 8/5). წლების განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევების შედეგად დაგროვდა მოზრდილი კოლექცია, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ფორმათა ორიგინალობისა და შემკობის მოტივებზე. ხშირ შემთხვევაში მათ ზუსტი პარალელები ეძებნებათ კოლხეთის თანადროულ ძეგლებზე გამოვლენილ სასმისებთან. კოლხეთის დაბლობზე შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური სასმისები ჩნდება ძვ.წ. VII

საუკუნიდან, ხოლო ძვ.წ. VI-V საუკუნეებში განსაკუთრებით მასობრივი წარმოების საგანი ხდება (კახიძე, 2016:74-77; კახიძე, ფარტენაძე, 2017:10,11 კატ. 3,4. გვ. 16, კატ. 11, გვ. 20-22, კატ. 16, 18, 19 20, 21; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021: 287). კოლხური სასმისები ფიჭვნარის გვიანარქაული და ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაპოვრებში ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ფიჭვნარის მონაპოვრების მიხედვით არქეოლოგი ა. კახიძე გამოყოფს კოლხური სასმისების ოთხ ჯგუფს (კახიძე, 1971:46-48; კახიძე, 2016:74-75).

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი სასმისების მიხედვით შემუშავებული რამდენიმე კლასიფიკაცია. თ. მიქელაძე გამოყოფს სასმისთა ოთხ ტიპს, თუმცა რიგი თავისებურებების გათვალისწინებით თითოეულ სახეობას გააჩნია ქვეტიპებიც (микеладзе, 1990:37-38; მიქელაძე, 1974:62, ტაბ. IX). მოვიტანთ მათ დახასიათებას.

პირველი ტიპის სასმისები სადა, სხვადასხვა ზომისა და ქილისებური მოყვანილობისაა, აქვთ ოდნავ მომრგვალებული ტანი, ბრტყელი ძირი. განსხვავდება ყურების ფორმითა და შემკულობით. გვხდება, როგორც სადა, ასევე რქისებრი შვერილით შემკობა (микеладзе, 1990:37,таб.12,1-3).

მეორე ტიპის სასმისები ჭიქისებური ფორმისაა, ძირისაკენ შევიწროებული, ისინი უმეტესად სადაა, თუმცა არის გამონაკლისებიც. მრგვალგანივკვეთიანი ყურების ზედა ნაწილი ზოგ შემთხვევაში ბოლოვდება შვერილებით (микеладзе, 1990:37,таб.12/4-6).

მესამე ტიპის სასმისები კასრისებური მოყვანილობისაა. მათი ტანი ხშირად შემკულია კანელურებითა და ვერტიკალური ხაზებით (микеладзе, 1990:37,таб.12/7-9).

მეოთხე ტიპის სასმისები ახლოს დგას სასმისების მეორე ტიპთან, მათ შორის განსხვავებაა ფეხის გამოყოფა. მეოთხე ტიპის სასმისები ითვლება წინამორბედად ფეხიანი სასმისების შემდგომი სახეობებისათვის, რომლებიც კოლხეთის კომპლექსებზე თავს იჩენს ძვ.წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე და ძვ. წ. VI-IV სს. კოლხური კერამიკის წამყვანი ელემენტი ხდება (микеладзе, 1990:37,таб.12/10-11).

აღსანიშნავია ასევე, რომ თავის მხრივ გამოიყოფა ფეხიანი სასმისების სამი

ტიპი. I ტიპის სასმისები მაზრისებური მოყვანილობისაა, ტანი კანელურებითაა დაფარული, ხოლო ყურის ზედა ნაწილში აქვს რქისებრი შვერილი (микеладзе, 1990:37, таб.13/1). II ტიპის სასმისებიც მაზრისებური ფორმისაა, ოღონდ ბრტყელძირიანია და ყური მიძერწილი აქვს კორპუსის შუა ნაწილში (микеладзе, 1990:37,таб. 13/2/4). III ტიპის სასმისებში ერთიანდება ორი სახეობა. პირველი, სასმისები, რომელთაც აქვთ მაზრისებური კორპუსი, შევიწროებული ფეხი და ყურის ზედა ნაწილის რქისებრი შვერილით დაბოლოება (микеладзе, 1990:37,таб. 13/5). მეორე სახეობის სასმისებს აქვთ ასევე მაზრისებური კორპუსი, მაგრამ უფრო მკვეთრად შევიწროებული, გამოყოფილი და მაღალი ფეხი. კორპუსი შემკულია ჰორიზონტალური ღარებით და სადა ოვალური ყურით. მნიშვნელოვანია, რომ კოლხური სასმისების მეოთხე ტიპის, სწორედ ეს ნაირსახეობა შეიძლება ჩაითვალოს კოლხური სასმისების ყველაზე გავრცელებულ ფორმად. ფეხიანი სასმისების ეს ტიპი, კოლხეთის დაბლობის ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია. ფეხიან სასმისთა ეს ტიპი, ყურმილიან დოქებთან ერთად კარგად განმსაზღვრავს ადრერკინის ხანის კომპლექსებსა და სამაროვნებს. მათი ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VII-VI სს. განისაზღვრება (микеладзе, 1990:38, таб.13/3). ფეხიანი სასმისები შემდგომში კოლხური ანტიკური კერამიკის წამყვანი ფორმაა.

აღსანიშნავია, რომ კოლხური სასმისების II და III ტიპის კორპუსი, მორკალური ყურის მიერთების ფორმა და ადგილი, ასევე შემკულობის მოტივები თითქმის მსგავსია, განსხვავება გამოიხატება ძირის მოყვანილობაში. ჩანს, რომ II ტიპის სასმისებს ცილინდრული ტანი კონუსისებრი მოყვანილობის ძირისაგან არ აქვთ გამოყოფილი ამიტომაც ეს ფორმები გააერთიანეს კონუსურტანიანი სასმისების ჯგუფში, ხოლო III ტიპის ცილინდულტანიანი სასმისის ძირი ბრტყელი და გამოყვანილია. ძირის ბოლოები გვხდება ზოგჯერ სწორხაზოვნად ჩამოჭრილი ან სადგრისებურად გამოზიდული. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს კოლხური სასმისების რამდენიმე კლასიფიკაცია. თ. მიქელაძე მსგავს სასმისებს აერთიანებს ფეხიანი კოლხური სასმისების II ტიპში (микеладзе, 1990:37, таб.13/2/4).

ჩვენთვის საინტერესოა ასევე, ბოლო წლებში მარტვილის მხარეთმცოდნეობის

მუზეუმის კოლექციის მიხედვით შემუშავებული კოლხური სასმისების ტიპოლოგია. ისინი ოთხი ტიპითაა წარმოდგენილი. პირველ ჯგუფში ერთიანდება კონუსურტანიანი სასმისები, მეორეში ცილინდრულტანიანი, ხოლო მესამეში კასრის ფორმის სასმისები. მეოთხე ტიპში გაერთიანებულია ლარნაკის ფორმის კოლხური სასმისები. სასმისების სიმრავლე ნათელი მაგალითია იმისა, რომ კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მევენახეობა-მეღვინეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია (სულავა, ქორიძე, 2017:145 ტაბ. 4/1,3,4).

კოლხური სასმისების უახლესი კლასიფიკაცია გაკეთებულია ყულევის მრავალფენიანი ნამოსახლარის უახლესი აღმოჩენების მიხედვითაც. ეს ძეგლი გამოირჩევა კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი წამყვანი ფორმების სიმრავლით. მათ შორის მრავლადაა მოპოვებული მეღვინეობასთან დაკავშირებული სასუფრე თუ სამეურნეო ჭურჭელი. სასმისები 40-ზე მეტი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი (პაპუაშვილი, ჩიტაია..., 2017:55, ტაბ. 18/4-13; 24/1-18). არის მთლიანი ნიმუშებიც. ყულევში მოპოვებულ სასმისებს შორის გამოიყოფა სამი ჯგუფი. I ჯგუფში ერთიანდება ეგზემპლარები, რომელთაც გააჩნიათ გაშლილი, ზოგჯერ ოდნავ გადაშლილი პირი, ჭრაქისებური კორპუსი, სწორი ან გამოყვანილი ძირი, ისინი უყუროა, II ჯგუფში გაერთიანებულ სასმისებს კი კორპუსის შუაში თითო, ზემოდან მორკალული ყური აქვს მიძერწილი. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვაგვარი დეკორითაა შემკული. ცალკე გამოიყოფა III ჯგუფი, რომელთაც აქვთ სწორი ან ოდნავ გაფართოებული პირი, ცილინდრულთან მიახლოებული კორპუსი და კონუსისებურად გაფართოებული ბრტყელი ძირი აქვს. კორპუსის ზედა ნაწილში ან შუაში მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი პატარა ყური. კორპუსი უმეტეს შემთხვევაში შემკულია კონცენტრირებული ღარებით ან ტალღისებური ანდაზით. ერთ-ერთი ნიმუშის ყურზე დატანილია გველის რელიეფური გამოსახულება (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017: 55, ტაბ. 24/2). ფართოდ გავრცელებული კოლხური სასმისების გარდა ყულევის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურულ ფენებში ჩნდება განსხვავებული ჭურჭლები, რომლებიც სასმისთა განსხვავებულ სახეობადაა მიჩნეული. ჭურჭელი სამ განყოფილებიანია და შედგება თანაბარი ზომის ერთნაირი ფორმის სამი კოჭობისაგან (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:56, ტაბ.

18/3,7.სურ.38; 57/2; 19/22-28).

განვიხილავთ აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ კოლხურ სასმისებს. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული კოლხური სასმისების მომრავლება განსაკუთრებით შეინიშნება უძველესი გორანამოსახლარების არქეოლოგიურ მონაპოვრებში. როგორც ვიცით, ადრერკინის ხანაში ჩნდება თვისობრივად ახალი ტიპის დასახელებები. გამაგრებული გორანამოსახლარების გვერდით ჩნდება გაუმაგრებელი სამოსახლოები. აღსანიშნავია, რომ ამ ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანისათვის გავრცელებულია ახალი ტიპის ერთგვაროვანი კერამიკა და ლითონის ნაწარმი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩვენთვის საინტერესო ტიპის კოლხური კერამიკა ფიქსირებულია ისეთ კარგად ცნობილ ნამოსახლარებზე, როგორიცაა ქობულეთის „ნამჭედური“, ყულევი, ანაკლიის დიხა-გუძუბა, ფიჩორი, ხოლო ქვეყნის შიგნით - მთელს რიონ-ყვირილის აუზში, მდ. ენგურის, ტეხურის და აბაშის, აგრეთვე მდ. სუფსის აუზშიც (მიქელაძე, 1974:47-48; ლორთქიფანიძე, 2002:134; ხახუტაიშვილი, 2007:207; პაპუაშვილი, ჩიტაია..., 2017:34; 40-43). აჭარაში მსგავსი დასახლება წარმოდგენილია მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესაყარის ზონაში. ისინი კონცენტრირებული არიან ცენტრალური დასახლების გარშემო, რომელიც ნამჭედურის გორასაცხოვრისის სახითაა წარმოდგენილი. იგი ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან არსებული ჩვეულებრივი კომპაქტური დასახლებიდან მსხვილი დაბური ტიპის დასახლების ცენტრალურ, გამაგრებულ ნაწილად იქცა. დასახლების ახალი ფორმის გაჩენა სოციალურ და სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებთან იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, ნამჭედურის სამოსახლოზე იყო კარგად გამაგრებული საფორტიფიკაციო სისტემა, სადაც ჰეგემონი თემის არისტოკრატია და ქურუმები სახლობდნენ მის ირგვლივ გაფანტულ სამოსახლოებზე კი განლაგებული იყო დაქვემდებარებული თემები და სახელოსნო უბნები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:4-8; ლორთქიფანიძე, 2002:137). სწორედ ამ დანიშნულების ძეგლია ახალშავზღვიურ ტერასაზე წარმოქმნილი ფიჭვნარის დიუნური ნამოსახლარები (ქვიშაზვინულები). ჩვენთვის საინტერესო კოლხური სასმისების უძველესი

ფორმებიც, სწორედ დიუნურ დასახლებაზეა აღმოჩენილი. მისი არქეოლოგიური შესწავლა 1961 წლიდან დაიწყო. აქ გამოვლენილია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლი, რომელიც კერამიკული ნაწარმით მდიდარ ოთხ კულტურულ ფენას შეიცავს (რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48). დიუნაზე გამოვლენილი საყოფაცხოვრებო კერამიკა მორგვზეა დამზადებული, თიხა ქვიშანარევია, კარგად განლექილი. ჭურჭლების ზედაპირი მოგლუვებული და გაპრიალებულია. გვხდება, როგორც წითლად გამომწვარი, ასევე ლეგა და შავკეციანი ჭურჭლები. დიუნის მონაპოვრებში წარმოდგენილია კოლხური სასმისების რამდენიმე სახეობა. ცილინდრული ფორმის სასმისი წითლადაა გამომწვარი, ბოლოსკენ გაფართოებული, გაპრიალებული ვერტიკალური ზოლებით, ზედა ნაწილი მოღარული ტალღისებური ხაზების სარტყლებითაა შემკული. ბოლოსკენ შემოუყვება ორი ამოღარული ზოლი. ძირი კონუსისებრი (ტაბ. 1/2).

მსგავსი კოლხური სასმისი აღმოჩნდა 1962 წელს ფიჭვნარის დიუნაზე. კონუსურტანიანი სასმისი (ფ.დიუნა,1962/201), შავზედაპირიანი, წითლად გამომწვარი, ბრტყელძირიანი (ტაბ.1/3). ტანი დაფარული აქვს ამოღარული ზოლების სარტყლებს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტი ამავე წლის მონაპოვრებში არის ჭიქისებური ფორმის სადა (ტაბ.1/4) სასმისის ძირი (ფ.დიუნა, 1962/199) და სასმისის პირ-კედლის ფრაგმენტი (ფ.დიუნა,1962/165), პირი ოდნავ გაფართოებული. პირს ქვემოთ შემოუყვება ფართო ამოღარული ზოლის სარტყელი, რომელზეც მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის ზედა ნაწილი. ამოღარულ ზოლს ქვემოთ შემოუყვება ტალღისებური ორნამენტი. ყურის ზედა ბოლოზე მიძერწილია ჯიხვის რქისებრი შვერილები (ტაბ.1/5).

სასმისების ნაირსახეობას წარმოადგენს 1963 წელს აღმოჩენილი კოლხური სასმისის ძირ-კედლის (3 ცალი) ფრაგმენტებიც. 1. კოლხური სასმისის ძირისა და ტანის ნაწილი (ფ.დიუნა,1963/9). ძირი ბრტყელი ცილინდრული ფორმის, ტანის დასასრული შემკულია ტალღისებური სარტყელით. 2. სასმისი - (ფ.დიუნა,1963/251), ბრტყელი ვიწროძირიანი, წითლად გამომწვარი, უნდა ჰქონოდა მრგვა-ლგანივკვეთიანი ყური. 3). სასმისის ძირი, მკვეთრად გამოყვანილი (ფ. დიუნა,1963/55), შავზედაპირიანი და წითლად გამომწვარი. გადარჩენილი ნაწილი

სადაა (ტაბ.1/6-7).

საინტერესოა 1964 წელს მოპოვებული კოლხური სასმისის ფრაგმენტზე არსებული შემკულობის მოტივი (ფ.დიუნა,1964/123). დაცულია ცილინდრული ფორმის სასმისის ზედა ნაწილი, აკლია პირი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლოზე წყვილი კოპია დატანილი. გარე ზედაპირზე მიუყვება ჰორიზონტალური ღარები (ტაბ.1/9).

დიუნური ნამოსახლარის სასმისებიდან აღსანიშნავია ასევე 1967 წელს აღმოჩენილი სასმისი (ფ.დიუნა,1967/158). აკლია პირი. ყელი შეზნექილპროფილიანი, ტანის ზედა ნაწილი მომრგვალებულია და ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული. ძირი ბრტყელი. მხრის არეში დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ტანი დაფარულია ვერტიკალური ზოლებით (ტაბ.1/10).

აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკის განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა, ნამჭედურის მრავალფენიანი ნამოსახლარი, სადაც ჩვენთვის საინტერესო კერამიკული ნაკეთობები მე-4 და მე-3 კულტურულ ფენებშია გამოვლენილი. სწორედ ნამჭედურის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურულ ფენებში გვხდება კოლხური სასმისების ნიმუშები. აქ მოპოვებულია სადა ფეხიანი სასმისის ფრაგმენტი (Микеладзе, Хахутаишвили, 1985,таб.27/3). განვიხილავთ სსიპ აჭარის მუზეუმის. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცულ სხვადასხვა ტიპის სასმისთა ფრაგმენტებს, ჩოლოქისპირისა და ნამჭედურის ნამოსახლარებიდან (ტაბ.VI/1-7).

ზემოთ განხილული სასმისები არაა გამოქვეყნებული, წარმოდგენილია სსიპ აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფოტო-არქივისა და საველე დავთრების ჩანაწერების მიხედვით. დავიწყეთ მათი დამუშავება.

კოლხური სასმისების რამდენიმე ნიმუში გამოფენილია აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში. გასული საუკუნის 60-იან წლებში ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზეა მოპოვებული კონუსურტანიანი სასმისი (აჭმ. 19507), რომელიც მუზეუმს 1968 წ. გადაეცა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. აკლია კორპუსის ზედა ნაწილი. კონუსური ძირი სადაა, ტანის დასაწყისი შემკულია წყვილი ჰორიზონტალური

ღარით, ზედა ნაწილი კი დაფარულია ტალღისებური ორნამენტით (ტაბ. II/1).

ჩვენთვის ასევე საინტერესო არის ჯერ კიდევ შეუსწავლელი ძვ.წ. V საუკუნის ფიჭვნარის ნაქალაქარზე მოპოვებული სხვადასხვა სახის სასმისები, რომელიც შესულია კატალოგში „აჭარა ადრეანტიკურ ხანაში." ისინი ექსპონირებულია სსიპ აჭარის მუზეუმის- ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში. მათი აღწერილობა ასეთია: სასმისი (ქფ.01:224). დაცულია ცილინდრულ ტანიანი სასმისის ტანის ზედა ნახევარი და ყური (ტაბ.II/2). მოშავო-მონაცრისფრო თიხის. ტანის ზედა ნაწილში აქვს მრგვალგანივკვეთიანი, სტილიზებური ყური. ტანი მთლიანად დაფარულია ჰორიზონტალური ღარებითა და ტალღისებური ორნამენტით (კახიძე, ფარტენაძე, 2017:10, კატ.3). ზომები: სიმაღლე-13სმ. ტანის ზედა გაფართოებული ადგილის დიამეტრი-5 სმ, ფეხის მხარეს 3 სმ. ყურის განივკვეთი 1 სმ. მსგავსი სასმისები აღმოჩენილია კოხში, სიმაგრესა და ჭალადიდში, ოჩამჩირეში, დაბლაგომში, ჭარნალში და სხვ. (რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:38-42. იქვე იხილეთ სხვა ლიტ.; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/5-9;12; XIX/2; შალიკაძე, 2019:96, ტაბ. 8/5). 2. სასმისი. ცილინდრულტანიანი. აკლია პირისა და ძირის ფრაგმენტები (ტაბ.II/3). ღია ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი. ტანის ცალკეული მონაკვეთები შემკულია სუსტი ჰორიზონტალური ღარებით. ტანის არეში გამოყვანილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომლის ზედა მონაკვეთზე დაძერწილია კოპი (კახიძე, ფარტენაძე, 2017:11, კატ.4) ზომები: სიმაღლე 13,2 სმ, ტანის ზედა გაფართოებული ადგილის დიამეტრი-5,5 სმ, ძირის დიამეტრი- 3 სმ. იგი მსგავსია ვანის, ფიჭვნარის დიუნის, ბათუმისციხის და სხვა ძეგლებზე მოპოვებული ნიმუშებისა (რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:38-42. იქვე იხილეთ სხვა ლიტ. კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/5- 9;12; XIX/2). 3. სასმისი კონუსურტანიანი (ქფ,99:123). დაცულია ძირისა და ტანის ნაწილი. თიხა მოშავო-მოყავისფრო (ტაბII/4). აქვს სადა, ფართო კონუსისებრი ძირი. ცილინდრული ტანი დაფარულია ტალღისებური ორნამენტის ზოლებით (კახიძე, ფარტენაძე, 2017:22, კატ.20). ზომები: სიმაღლე - 10,5 სმ, ტანის დიამეტრი - 4 სმ, ძირის დიამეტრი - 9,5 სმ. მსგავსი სასმისები ჩნდება დაბლაგომში, დაფნარსა და ვანში, სიმაგრისა და ფიჭვნარის დიუნაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებში

(Куфтин, 1950:98-99, рис. 22/32,35,36; таб.31/4,7; რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48; მიქელაძე, 1974:62, ტაბ. IX /1-3; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..,1981:40. იქვე იხილეთ სხვა ლიტ.; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/5-9;12; XIX/2). სასმისების ეს ჯგუფი გაერთიანებულია კოლხური სასმისების II ტიპში, რომელსაც ძირის მოყვანილობის მიხედვით მკვლევარები ე.წ. კონუსურტანიან სასმისებს უწოდებენ (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:39).

ფიჭვნარის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მომდევნო სასმისი მიეკუთვნება კოლხური სასმისების III ტიპს, რომელშიც გაერთიანებულია ცილინდრულტანიანი ნიმუშები. მისი აღწერილობა ასეთია: 4. სასმისი (ქფ.01.45) დაცულია ძირისა და ტანის ნაწილი (ტაბ.II/5). თიხა რუხი. ძირი მკვეთრად გამოყოფილი, დისკოსებრი, ნახევარწრიული შეღრმავებით, ტანი ცილინდრული (კახიძე, ფარტენაძე, 2017:22, კატ.21). ზომები: სიმაღლე-11,5 სმ, ტანის დიამეტრი - 3,5 სმ, ფეხის დიამეტრი- 7 სმ. ჩანს, რომ ცილინდრულტანიანი სასმისები ფართო გამოყენების საგანს წარმოადგენდა, რაზეც მიუთითებს მათი სიმრავლე კოლხეთის ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლებზე (Куфтин, 1950:98-99, рис. 22/32,35,36; таб.31/4,7; რამიშვილი, 1964:17. ტაბ. XI/48; მიქელაძე, 1974:62, ტაბ. IX /1-3; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:40. იქვე იხილეთ სხვა ლიტ.; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/5-9;12; XIX/2).

მომდევნო ნიმუშები წარმოდგენილია ფეხიანი სასმისების ძირ-ქუსლისა და ტანის ფრაგმენტის სახით 1. (ქფ.01.88). თიხა მოწითალო-მოშავო (ტაბ.II/6). აქვს მომაღლო ცილინდრული ფეხი, დისკოსებური გამოყვანილი ძირი. გაფართოებული ტანი ჰორიზონტალური ღარებითაა შემკული (კახიძე, ფარტენაძე, 2017:21, კატ.18). ზომები: სიმაღლე - 9 სმ, ძირის დიამეტრი - 5,5 სმ, ქუსლის სიმაღლე - 4 სმ. 2. სასმისი ქფ.01.260). თიხა მოწითალო-მოყავისფრო (ტაბ.II/7). ოდნავ გაფართოებული ღრუ ფეხი ძირისაგან არაა გამოყოფილი. მომრგვალებულ კორპუსზე დატანილია წყვილი ჰორიზონტალური ღარი (კახიძე, ფარტენაძე, 2017:21, კატ.19). ზომები: სიმაღლე-10 სმ, ძირის დიამეტრი - 4 სმ, ქუსლის სიმაღლე 3 სმ (Куфтин, 1950:98-99, рис. 22/23, таб.31/1,2; მიქელაძე, 1978:56-57,ტაბ.XXXI; микеладзе, 1990:37-38; таб.XIII/3). წარმოდგენილი ფორმები თ. მიქელაძის სასმისების კლასიფიკაციის მიხედვით

შედის III ტიპის მეორე სახეობაში. მათ ახასიათებთ  მკვეთრად შევიწროებული და გამოყოფილი ფეხი, ჰორიზონტალური ღარებით შემკული კორპუსი  და  შუა ნაწილში გამოყვანილი სადა ოვალური ყური (микеладзе, 1990:37,таб.13/3, 5). მნიშვნელოვანია, რომ კოლხეთის დაბლობის ადრერკინის კომპლექსებზე, სადაც ჩნდება ფეხიანი სასმისების ეს ტიპი, ყურმილიანი დოქები და კერამიკული ნაკეთობები, რომელთა ყურების ზედა მხარე შემკულია რქისებრი შვერილებით, თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს და შემდგომშიც, ანტიკური ხანის კოლხური კერამიკის წამყვანი ფორმაა (микеладзе, 1990:38).

2018-2019 წლებში ქობულეთ-ფიჭვნარში „ნამჭედური II"-ის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს, ანტიკური ხანის კულტურულ ფენაში გამოჩნდა კონუსისებრტანიანი სასმისების ძირისა და ტანის ფრაგმენტები. ასევე მიკვლეულია ფეხიანი სასმისი (ქფ.ნამჭ.II,2019/6), რომლის აღდგენა ნაწილობრივ მოხერხდა. სასმისი რუხი-მონაცრისფრო ფერისაა (ტაბ.II/8). ფართოდ გაშლილი პირი ტანისაგან არაა გამოყოფილი. ძირისაკენ კი მკვეთრადაა შევიწროებული. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ტანის ქვედა მონაკვეთზე. ტანის შუა ნაწილი შემკულია ჰორიზონტალური ღარებით. სიმაღლე - 11,5 სმ, პირის დმ - 12 სმ, ძირის დმ -5,5 სმ. სასმისის ეს ნიმუში მიეკუთვნება ფეხიანი სასმისების მესამე ტიპის მეორე სახეობას.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მორიგი სასმისები უკავშირდება ქობულეთის მუნიც. სოფელ კოხს. აღმოჩენის ადგილიდან 60-70 მეტრის დაშორებით მდებარეობს გორაკი, რომელსაც ადგილობრივები „ნაჯიხურალს" უწოდებენ. აქედან გამომდინარე სამეცნიერო ლიტერატურაში  ეს არქეოლოგიური ძეგლიც კოხის „ნაჯიხურალის" სახელითაა ცნობილი. აქ 1958 წელს სასოფლო გზის გაფართოებისას ტრაქტორმა შემთხვევით  ამოყარა ანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარი  (კოლხური ამფორა, ბრინჯაოს მუზარადი, რკინის მახვილი). ისინი ზედაპირიდან 1,5-2 მ სიღრმეზე ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული. ჩვენთვის საინტერესოა ის მონაპოვრები, რომლებიც დაფიქსირდა სამარხეული ინვენტარიდან 2 მეტრის დაშორებით, იმავე სიღრმეზე, გამოვლენილ კულტურულ ფენაში (ქათამაძე,1963:29). აღმოჩენილი კერამიკული მასალა ადგილობრივ ნაწარმს მიეკუთვნება და ადასტურებს აღნიშნულ

ტერიტორიაზე, ძველი კოლხური ნამოსახლარის არსებობას. ისინი წარმოდგენილია დოქების, ამფორების, ჯამების, დერგების, ხელადების, კოლხური სასმისების ძირებისა და ადრეული სხვადასხვა ორნამენტებით გაფორმებული პითოსების ფრაგმენტების სახით (ქათამაძე, 1963:37, სურ:9-14).

სასმისები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. სასმისი (აჭმ.18658) ჭიქისებური ფორმისაა (ტაბ.III/1) დაზიანებული. შემორჩენილია სასმისის ძირი ზემოთკენ გაფართოებული. სიმაღლე - 3 სმ, ძირის დმ.- 4,3 სმ, კეცის სისქე - 0,5 სმ. თიხა მოშავო- მოყავისფრო. სასმისი თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით სასმისთა მესამე სახეობას მიეკუთვნება (მიქელაძე, 1974:63; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:38). 2. სასმისი (აჭმ. 18659) წარმოდგენილია ცილინდრულტანიანი სამისის ძირით (ტაბ.III/2). ძირი სადა. ძირის დმ-8,5 სმ, კორპუსის დმ-5 სმ. თიხა მოწითალო-მოყავისფრო 3. სასმისი (აჭმ.19105/1) ცილინდრულტანიანი, შემორჩენილია კორპუსის ზედა ნაწილი. მრგვალგანივკვეთიანი ყურის თავზე დაძერწილია გამოსახულება, რომლის გარჩევაც ჭირს, ხოლო იქეთ-აქეთ დაცულია კოპი. პირი გარეთ გადაშლილი. კორპუსი შემკულია ჰორიზონტალურ ღარებს შორის ჩასმული რომბისებული თუ ვერტიკალური ჭდეული ორნამენტით. სიმაღლე-11,5 სმ, დიამეტრი-3,8 სმ. თიხა მოწითალო-მოშავო (ტაბ.III/3). 4. ფეხიანი სასმისის ძირი (ტაბ.III/4). კოხის ადგილობრივი ნაწარმს პარალელი ეძებნება დასავლეთ საქართველოს თანადროული ნამოსახლარების (ეშერა, დიხა-გუძუბა, ურეკი, დაბლა გომის, ნამჭედური) შესაბამისი ფენის კერამიკასთან. შესწავლილი კერამიკული ნაწარმის ქრონოლოგიური დიაპაზონი (ძვ. წ. XI ს-დან ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლომდე) დიდია (ქათამაძე, 1963:29,37-38; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:40).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთ-ერთი ადრეული ძეგლი, გამოვლინდა 1944 წლის ზაფხულში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბანში. გათხრები წარმოებდა ადგილ „ნაურვალის“, ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს მდ. კინტრიშისა და „ურიის ღელე“-ს შეერთების ადგილას. აქ ჯერ კიდევ 1881 წელს აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა და ადგილობრივი მოსახლეობა შემდგომშიც ადასტურებდა სხვადასხვა ნივთების აღმოჩენის შემთხვევებსაც. გამოვლინდა რიყის

ქვით გარშემორტყმული რამდენიმე ორმო-სამარხი მრავალფეროვანი ინვენტარით. სამარხებში აღმოჩნდა რკინის ზოდები, ბრინჯაოსა და რკინის იარაღები, დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები, ორნამენტიანი თუ სადა კერამიკა, ასევე საკულტო დანიშნულების საგნები (იოსელიანი, 1973:106-112, ტაბ, 9/2; ტაბ. 11). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კონუსისებური (ძაბრისებური) ფორმის სასმისი (აჭმ.12632). დაზიანებულია, აკლია პირისა და ტანის ნაწილი. ძირი კონუსური, პირი გარეთკენ გადაშლილი. პირს ქვემოთ შეინიშნება შვერილი, რომელიც სავარაუდოდ ყურის დანიშნულებას ასრულებდა. ზედაპირი სადა.

თიხა ყავისფერი (ტაბ.III/5). ზემოთ განხილული კლასიფიკაციის მიხედვით ხუცუბნის ეს სასმისი ფეხიანი სასმისების I ტიპს მიეკუთვნება. მსგავსი ფორმის სასმისების ტანი უმეტესწილად კანელურებითაა დაფარული, ხოლო ყურის ზედა ნაწილში აქვს რქისებრი შვერილი (микеладзе, 1990:37, таб.XIII/1). აღსანიშნავია, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის ძეგლების კერამიკისათვის, დამახასიათებელია ღვინის სმისათვის განკუთვნილი განსხვავებული სასმისების მომრავლება, რაც ადასტურებს მევენახეობა- მეღვინეობის დაწინაურებას.

კოლხური სასმისების სიმრავლით გამოირჩევა ერთ-ერთი თავისებური და მნიშვნელოვანი ძეგლი ბათუმისციხის გორანამოსახლარი, რომელიც მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის მარცხენა შესართავთან. აღნიშნული ძეგლის შესახებ არსებობს საინტერესო წერილობითი ცნობები და სათანადო ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობაც (ყაუხჩიშვილი, 1987:109-11; ინაიშვილი, 1973:24). ბათუმისციხეზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების (1962-1963; 1968-1978; 2012) შედეგად გამოვლინდა ტიპური გორასამოსახლო, რომელიც გაჩენილა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. უძველესი კულტურული ფენა ძვ.წ. VIII- VII სს განეკუთვნება. ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმთან ერთად, აღმოჩენილია ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესი (ძვ.წ. VII ს ბოლო-ძვ.წ.VI ს. დამდეგი) იმპორტული ნაკეთობანი (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:42-92, ტაბ. III-IV; კახიძე, 2007: 247-254; კახიძე, სურმანიძე.., 2013:8; ხახუტაიშვილი, 2007:206). ბათუმისციხეზე მოპოვებულ ნივთიერ მასალაში წამყვანია კერამიკული ნაწარმი, რომელიც

წარმოდგენას გვიქმნიან მაშინდელი სამეურნეო საქმიანობისა თუ სულიერი კულტურის შესახებ. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო და საოჯახო-შინსახმარი ჭურჭლები. აქ გამოვლენილი კოლხური სასმისები წინაანტიკური და ანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმის ერთ-ერთი წამყვან სახეობას წარმოადგენენ. ორიგინალური და მრავალფეროვანია მათი ფორმები და შემკულობის მოტივები. ბათუმისციხის სასმისები რამდენიმე სახისაა (ტაბ.III/6-9). ერთ ჯგუფს აქვთ ფართო კონუსისებური მოყვანილობის ძირი და მაღალი ცილინდრული ფეხი ისინი კონუსურტანიანი სასმისების ტიპს მიეკუთვნება. ნაწილი სასმისებისა კი ბრტყელძირიანია, აქვთ სწორი და ოდნავ გარეთკენ გაფართოებული კედლები. ასეთი სასმისები ცილინდრულტანიანი სასმისების ჯგუფში ერთიანდება (მიქელაძე,1974:62, ტაბ. IX /1-3; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:39-40; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXVIII/1, 2, 3,10,11;12, XXXVI/7). ერთ-ერთ სასმისზე, ყურის მაგივრად დაძერწილია წყვილი მოზრდილი მორჩისებური კოპი, აქვს სწორი პირი, გარეთკენ გაშლილი კედლები და კონუსისებრი მოყვანილობის ძირი (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:66, XXIX/1). ბათუმისციხეზე 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს, კვლავ აღმოჩნდა ჭიქისებური და ცილინდრულტანიანი ტიპის კოლხური სასმისების რამდენიმე ნიმუში (ტაბ.IV/1-5). ასეთი სასმისები ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, ძვ.წ. VII საუკუნეში (კახიძე, სურმანიძე.., 2013:10-13, ტაბ.XVIII/1-4; XXIII/3-6).

კონუსურტანიანი კოლხური სასმისები აღმოჩენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭარნალში. ძეგლი მდებარეობს მდინარე ჭარნალის მარცხენა სანაპიროზე. 2004 წელს დავით გორგაძემ საცხოვრებელი სახლის სამხრეთით სათბურის მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორიის მომზადების დროს შემთხვევით აღმოაჩინა ნამოსახლარი. 2005 წელს ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. შ. მამულაძე. ძეგლზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მასალები. კერძოდ ქვევრების, დერგების, ქოთნების, სასმისების, ჯამებისა და ხუფების ფრაგმენტები, ხელსაფქვავები და სხვა. მონაპოვრების მიხედვით ძეგლი დათარიღდა ძვ. წ. VI-V

საუკუნეებით. აქ მოპოვებულ კოლხურ სასმისს აქვს მაღალი ცილინდრული ტანი, ძირისაკენ ოდნავ გაფართოებული კონუსისებრი მოყვანილობის სადა ძირი. წითლად გამომწვარი და შავზედაპირიანი. ტანის ზედა ნაწილში ცალ მხარეს აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური. შუა და ქვედა ნაწილში ამოღარულ პარალელურ სარტყლებში ჩასმულია ამოკაწრული ირიბი ხაზები. სარტყლებს შორის ადგილი სადაა (ტაბ. IV/6).

სოფ. ჭარნალის მურმანეთში ძვ.წ. I ათასწლეულის ნამოსახლარზეც გვაქვს ცილინდრულტანიანი კოლხური სასმისის უახლესი მონაპოვარი (შალიკაძე, 2019:96, ტაბ. 8/5). 2017-2018 წლებში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა დავით მიქელაძის საკარმიდამო ნაკვეთში. სხვადასხვა მონაპოვრებთან ერთად სასუფრე ჭურჭლებიდან გვხდება სასმისი და პატარა ზომის ჯამის ფრაგმენტები. სასმისის (ჭარ.2017/46) ზედაპირი დაფარულია ტალღისებრი ნაჭდევებით, ძირი დისკოსებრი. თიხა მოყავისფრო-მოწითალო. ძირის დიამეტრი - 6 სმ (ტაბ.IV/7). ცნობილია, რომ კოლხური სასმისების ეს ტიპი ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VII-V სს. ნამოსახლართა, ნაქალაქართა და სამაროვანების ტერიტორიაზე.

კონუსურტანიანი სასმისის ტანისა და ძირის ფრაგმენტი აღმოჩნდა 2005 წ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაშიც (ჯვრის მთა), ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე. ძირის მიხედვით ჩანს, რომ სასმისი მოზრდილი ყოფილა (ტაბ.IV/8) შემორჩენილი სიმაღლე 6,5 სმ, ტანის დიამ. - 5 სმ, ძირის დიამ. - 10 სმ. ანალოგების მიხედვით უნდა ვივარაუდოდ, რომ სასმისს ჰქონია პირისაკენ ოდნავ გაფართოებული ცილინდრული მოყვანილობის ტანი, კონუსური ძირი, რომელიც მთლიანადაა დაფარული ბადისებური ორნამენტით (სურმანიძე, 2013:27. ტაბ. V/3,VIII/1).

კოლხური სასმისები აღმოჩნდა ასევე, 2015 წელს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახვილაურში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრებისას, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე (ძვ.წ. VIII-VII სს). მათგან ერთი ჭიქისებური ფორმის მთლიანად დაცული სასმისია. თიხა შავი, მსხვილმარცვლოვანია (ტაბ.IV/9). აქვს ფართო გარეთკენ გადაშლილი პირი.

კორპუსი ძირისაკენ შევიწროებული. ძირი ბრტყელი. პირს ქვემოთ დატანილი აქვს ჰორიზონტალური ღარები.  ტანის შუა ნაწილში მიძერწილი  უნდა ყოფილიყო მრგვალგანივკვეთიანი ყური. სიმაღლე - 7,5 სმ, პირის დიამეტრი - 7,5 სმ, ძირის დიამეტრი - 4 სმ. (კახიძე, სურმანიძე.., 2016:114, კატ. 170; კახიძე, ძნელაძე.., 2017: 88, ტაბ. X/4; XVII/10). შემდგომი ნიმუშები კონუსისებური ფორმისაა. 1. სასმისი (მახვ.2015/193), თიხა უხეშია, მონაცრისფრო-მოყავისფრო (ტაბ.V/1). პირი დაზიანებული აქვს. კონუსისებრი ტანი ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული, ტანის ზედა ნაწილზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. სიმაღლე - 7 სმ, პირის დიამეტრი - 6,5 სმ (კახიძე, სურმანიძე.., 2016:114, კატ. 169; კახიძე, ძნელაძე.., 2017:88, ტაბ.X/3; XVII/8). 2. სასმისი პატარა ზომის კონუსისებური ფორმისაა (მახვ.2015/103) თიხა უხეში მოშავო-მოყავისფრო (ტაბ.V/2). სასმისის პირი შიგნითკენაა ჩაკეცილი. კორპუსის შუა ნაწილში მიძერწილია შვერილი (კახიძე, ძნელაძე.., 2017:88, ტაბ. X/4 XVII/8). მსგავსი სასმისების ნიმუში ცნობილია დაბლაგომის ნასოფლარის ყველაზე ძველ კულტურულ ფენაში, რომელიც მიეკუთვნება გვიანბრინჯაოს დასასრულს (Куфтин, 1950:98-99, таб.31/6). ადრერკინის ხანის მსგავსი სასმისები თ. მიქელაძეს გაერთიანებული აქვს  კოლხური სასმისების I  ტიპში. ამ სახეობის სასმისებს აქვთ ძაბრისებური კანელურებით დაფარული ტანი და სტილიზებული ყური. კოლხეთის ადრერკინის სამაროვნებზე აღმოჩენილი ძაბრისებური ფორმის სასმისები შემკულია წვრილი კანელურებითა და სტილიზებული ყურებით. აღვნიშნავთ, რომ მკვლევარები ამ ტიპის სასმისებს ძაბრისებურს ან კონუსისებურს უწოდებენ (მიქელაძე, 1974:56, ტაბ.VI/6, 12; მიქელაძე, 1985,74/XLIV(1434); микеладзе,1990:38,таб.13/1).

ზემოთ აღნიშნული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე (აჭარა) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, გვხვდება კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი სასმისების ნაირსახეობანი. თავს იჩენს ღვინის სმისათვის განკუთვნილი განსხვავებული სასმისებიც, რაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქისათვის მთელი კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი. როგორც ვნახეთ, სასმისთა სხვადასხვა ტიპი წარმოდგენილია, როგორც ორნამენტირებული, ასევე სადა ნიმუშების სახით. ისინი კოლხური კერამიკის წამყვან სახეობას

წარმოადგენენ მომდევნო წინაანტიკურ და ანტიკურ ხანაშიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხური სასმისების დამზადებასა და ფართო მოხმარებას აქვს უწყვეტი ხასიათი. ჩანს, რომ ანტიკურ ხანაშიც ისინი კონკურენციას უწევენ მსგავსი დანიშნულების, მშვენიერი ხელოვნებით დამზადებულ ბერძნულ საღვინე ჭურჭლებსაც (კახიძე, 1971:49). კოლხური სასმისების შემკობის მოტივებში ვხედავთ სულიერი კულტურის მაღალ დონეს. მსგავსი სასმისების სიმრავლე დასავლეთ საქართველოს კოლხურ დასახლებებში ერთიანი კოლხური კულტურის კონსოლიდაციის მაუწყებელია. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ კერამიკაში სამეურნეო ჭურჭლებთან (ქვევრები, დერგები) ერთად ღვინის სმასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლის, კოლხური სასმისების, მრავალრიცხოვნება და მათი ფართოდ გამოყენება მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული დაწინაურების დასტურად უნდა მივიჩნიოთ.

**ყურმილიანი დოქები.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად, მორიგ საინტერესო ჭურჭელს წარმოადგენს ყურმილიანი დოქები. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობზე არ არსებობს არცერთი, ნამოსახლარი ან სამაროვანი, სადაც ყურმილიანი ხელადები, კოლხურ ქვევრებთან და სასმისებთან ერთად არ იყო ადასტურებული (მიქელაძე, 1985:23; ლორთქიფანიძე, 2002:171-173; სურ. 133, 135,138; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021:288-289).

ყურმილიანი დოქების განმსაზღვრელი ნიშანია თავისებური ყური. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: სწორხაზოვანპროფილიანი, მრგვალგანივკვეთიანი მილისა და ოვალურგანივკვეთიანი რკალისაგან, რომლითაც მილი ყელს უერთდება. დოქს აქვს სწორი, გამობერილპროფილიანი პირი, ქვემოთ დავიწროებული ყელი, ბიკონუსური ან სფერული მოყვანილობის ტანი, გამოყვანილი ბრტყელი ძირი. ყელსა და ტანის ზედა ნაწილში მიმაგრებულია მილიანი ყური. ყურის ორივე ბოლოზე დატანილია ჭდეები, ხოლო ზედაპირი შემკულია თევზიფხური ორნამენტით, ყურის ზედა ნაწილზე კი აქვს კოპი. ტანის ზედაპირი გაპრიალებულია და შემკულია სხვადასხვა დეკორით, როგორიცაა: ირიბი ნაჭდევები, ირგვლივი ღარები, სარტყლებად განლაგებული ტალღისებური ორნამენტი, დახრილი ჭდეები, სამკუთხა შევრონები და სხვ. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატირაში ამ ტიპის დოქებს სხვადასხვა

სახელწოდებით მოიხსენიებენ: „ყურმილიანი დოქები“, „ყურმილიანი ხელადა“, ან „საწრუპავპირიანი დოქი“ (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:33-38, იქვე იხილეთ სხვა ლიტ. კახიძე, ვიკერსი, 2004:31-32; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021:288-289). დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული შემდეგ ძეგლებზე: ფიჭვნარი, ბათუმისციხე, მახვილაური, კოხი, კვაშტა, კოლოტაური, ფუშრუკაული, გონიო-აფსაროსი, ციხისძირი, ყულევი, გურიანთა, დაბლაგომი, ვანი, სოფ, საზანო, ურეკი, ოჩამჩირე, დაფნარი, ითხვისი, ბრილი, თლიის სამაროვანი, გოსტიბე, ოჟორა, უფლისციხე, ციხიაგორა, სამთავრო და ა.შ. საინტერესოა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთისათვის დამახასიათებელი სასუფრე ჭურჭლის – ყურმილიანი ხელადების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა. თ. მიქელაძე თავის ნაშრომში (კოლხეთის არქეოლოგია) აღნიშნავს, რომ ამ სახეობის დოქები იმდენად სტანდარტულია, რომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ჭირს. ცალკეული ეგზემპლარები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ზომებით, გამოყოფილი ძირით, პროპორციებითა და შემკულობით, თუმცა ზოგიერთი ძეგლის მიხედვით მოცემულია ყურმილიანი დოქების რამდენიმე ტიპის გამოყოფაც (ქათამაძე, 1963:37; კახიძე, 1971:45; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..., 1981:34-35; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:65; микеладзе, 1990:39,таб.15; ლორთქიფანიძე, 2002:173; კახიძე, 2016:67-72; კახიძე, სურმანიძე..., 2016:113, კახიძე, მამულაძე, 2016:25; კახიძე, მნელაძე.., 2017:86-88; კატ. 167,168; პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:55, ტაბ. 25/26-29). ყურმილიანი დოქების დამზადება წინაანტიკურ ხანაში იწყება, მაგრამ ფართო წარმოების საგანი ხდება კლასიკურ ხანაში. ელინისტური ეპოქისათვის ჭურჭლის ეს სახეობა განიცდის დეგრადაციას. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. III საუკუნის კოლხეთში ისინი აღარ იწარმოება (კახიძე, 1971:45-46; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..., 1981:33-35; მიქელაძე, 1985:23; კახიძე, ფარტენაძე, 2017:51, 57, 61, 64, 78, 82; კატ. 64, 70, 74, 77, 96, 101; კახიძე, 2016:68). ყურმილიანი დოქები გვხდება კოლხური კულტურის მოსაზღვრე რეგიონებშიც. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჭურჭლის ეს სახეობა, ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილო კავკასიაში. გვხდება დაღესტანში, ყუბანისპირეთში, კავკასიის მინერალური წყლებისა და ჩრდილო ოსეთის მთიან

რაიონებში. ყურმილიანი დოქები აღმოჩენილია ასევე შუა რუსეთში, ტულის ოლქში სადაც მას უწოდებენ კავკასიურ ტიპს. ყურმილიანი დოქები ცნობილია ქერჩის გათხრების მიხედვითაც. ჭურჭლის ეს ფორმა გარკვეულ პარალელებს აქემენიდური ირანის ტორევტიკის ნიმუშებშიც პოვებს. ჩამოთვლილ რეგიონებში ყურმილიანი ხელადების წარმოება გრძელდება ახ.წ. I-II საუკუნეებშიც (კახიძე, 2016:68).

კოლხური სასმისების მსგავსად ყურმილიანი დოქების სიმრავლით გამოირჩევა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ისინი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კერამიკულ ნაწარმში მრავლადაა წარმოდენილი. ყურმილიანი ხელადები ერთმანეთისაგან განსხვავდება, პროპორციებითა და ზომებით (სულავა, 2014:51; სულავა, ქორიძე, 2017: 145). ყურმილიანი დოქები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ყულევის ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის ნამოსახლარებიდანაც (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:55, ტაბ. 25/26-29).

შევჩერდებით აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე. აჭარის არქეოლოგიური ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ყურმილიანი დოქების ადრეული ნიმუშები, რომლებიც გვხდება ფიჭვნარის ქვიშაზვინულების ზედა ფენაში. დოქები მხრის არეში შემკული ყოფილა სამკუთხა შევრონებით. მათგან ყურადღებას იქცევს ქუსლიანი ნიმუში, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს არის დათარიღებული. ფეხის გამოყოფა ყურმილიანი დოქების ადრეულ ფორმებს ახასიათებთ (კახიძე, 1971:45-46; ტაბ. IV/8). იგივე პერიოდისაა სამკუთხა შევრონებით შემკული ყურმილიანი დოქი, რომელიც 1955 წ. ხულოს მუნიც. სოფელ ვერნებში შემთხვევითაა აღმოჩენილი (ტაბ.VII/4). (დაცულია აჭარის მუზეუმის ხ. ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში). გვიანარქაული პერიოდისაა (ძვ.წ. VI-V სს) ფიჭვნარის ნაპურვალაზე (კოლხური სამაროვანი) მოპოვებული ბიკონუსურტანიანი დოქი, რომლის ყურის კიდეები ნაჭდევებითაა შემკული (კახიძე, 1971:45-46). ამ სახეობის მორიგი ეგზემპლარი დაცულია აჭარის მუზეუმის ხ. ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში. მდიდრულად შემკული, მინიატურული ყურმილიანი დოქი (აკლია ყური და პირ-ყელი) 1966 წ. ფიჭვნარის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი (ტაბ.VII/6 ).

ყურმილიანი ხელადების ფრაგმენტები გამოვლენილია ბათუმისციხის

გორანამოსახლარის ტერიტორიაზეც (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:65, ტაბ. XXIII/6,7; კახიძე, სურმანიძე.., 2013:13,XVII/7). ყურმილიანი ხელადების უახლესი აღმოჩენებიდან საინტერესოა 2015 წ. ხელვაჩაურის მუნიც. სოფ. მახვილაურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრები (ტაბ.VII/1,2,3,5,VIII/1-2). კოლექტიურ სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ნაკეთობები, სარდიონის, ქარვის, მინის, ოქროს მძივები, რკინის იარაღები, ბრინჯაოს თოხი, დიდი დედის კულტთან დაკავშირებული მხედარი ქალის ქანდაკება, ვერცხლის სამაჯური და სხვა. თანადროული კოლექტიური სამარხები შესწავლილია კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა ოლქში (ლორთქიფანიძე, 2002:168-170). მახვილაურის სამარხის ინვენტარში აღინიშნება ყურმილიანი დოქების სიმრავლე. სულ გამოვლენილია 20-ზე მეტი დოქის პირ-ყელის, ძირ-ტანისა და მხრის ფრაგმენტები. მოხერხდა რამდენიმე ნიმუშის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა (ისინი ექსპონირებულია არქეოლოგიური მუზეუმში). წარმოდგენილი ნაკეთობანი შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ ყურმილიანი ხელადებისათვის დამახასიათებელი ფორმების ადრეული ნიმუშების შესახებ. ერთ-ერთი მათგანი (მახვ.2015/199) თითქმის მთლიანადაა აღდგენილი. თიხა მოშავო-მონაცრისფრო (ტაბ.VII/3). მკვეთრად გამოყოფილი პირი, გარეთკენაა გადაშლილი. ყელი ცილინდრულია. ტანის ზედა ნახევარი მომრგვალებული, ქვედა სწორი, ბრტყელი ძირისკენ თანაბრად შევიწროებული. ყური ტიპური. ტანის ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული ბადისებრი ორნამენტით, რომელიც ბოლოვდება პარალელურ ზოლებს შორის მოქცეული დახრილი ხაზებითა და მონაკვეთებად დაყოფილი წერტილოვანი სარტყლით. ტანის ქვედა ნახევარს თითქმის ძირამდე მიუყვება სადა ვერტიკალური ზოლები. ზომები: სიმაღლე 18 სმ, მუცლის დიამეტრი 13 სმ, ძირის დიამეტრი 8,5 სმ. (კახიძე, ძნელაძე.., 2017:86. ტაბ. IX/4, XVII/2; კახიძე, სურმანიძე..., 2016:113, კატ. 167).

ყურმილიანი დოქი (მახვ.2015/225). მთლიანად დაცული. თიხა მოყავისფრო-მოყვითალო, ალაგ-ალაგ მოშავო (ტაბ.VII/5). სწორი, გარეთკენ გადაშლილი პირი, მომაღლო ყელი, ტანი სფეროსებური. ყური ტიპური. ტანის ზედა ნახევარი შემკულია ჰორიზონტალურ ზოლებში ჩასმული, სუსტად გამოხატული ბადისებრი დეკორით.

ზომები: სიმაღლე 18 სმ, პირის დიამეტრი 8,5 სმ, მუცლის დიამეტრი 14 სმ, ძირის დიამეტრი 8 სმ (კახიძე, ძნელაძე..., 2017:86. ტაბ. IX/3,XVII/4; კახიძე, სურმანიძე.., 2016:113, კატ. 168). ფორმისა და დეკორის მიხედვით, ამათი მსგავსია

ყურმილიანი დოქების მეტნაკლებად დაცული სხვა ნიმუშებიც (მახვ.2015/243; მახვ.2015/216; მახვ.2014/100). შემკულობის მიხედვით განსხვავებული ჩანს ერთი დოქი (მახვ. 2015/164). ტანის ზედა ნახევარი შემკულია სამკუთხედებად განლაგებული ბადისებრი ორნამენტით (ტაბ.VIII/1-2.ტაბ. VII/2), რომელიც მხრის არეში სრულდება სადა ჰორიზონტალური ზოლით. ტანის ქვედა ნახევარი დაფარულია ვერტიკალური ღარებით (კახიძე, ძნელაძე..., 2017:86. ტაბ. XVII/3, 5). წარმოდგენილ ყურმილიან დოქებს შორის განსხვავებულ ვარიანტს ქმნის ერთი ნიმუში (მახვ.2014/97). ნაწილობრივ აღდგენილი. აკლია პირი და ყელის ფრაგმენტები. თიხა მოწითალო-მოყავისფრო (ტაბ.VII/1). ჰქონია ფართო დაბალი ყელი, მკვეთრად ბიკონუსური ტანი, მაღალი გამოყვანილი ძირი. ყური ტიპური. ტანზე დატანილია წიწვისებური ორნამენტი. ძირის დიამეტრი 5სმ, მუცლის დიამეტრი 13,5სმ (კახიძე, ძნელაძე.., 2017:86, ტაბ. IX/2; XVII/6).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახვილაურის კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი ყურმილიანი დოქების უახლესი ნიმუშები ძვ.წ. VII საუკუნით თარიღდება. ჩანს, რომ მევენახეობა-მეღვინეობა საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობის დარგია ამ ეპოქისათვის. მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო და სასუფრე ჭურჭლის მომრავლება სახეზეა მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა ნამოსახლარებზე ასევე, კოლხეთის დაბლობზე, მთიან და ყველაზე მაღალმთიან ოლქებშიც (კახიძე, მამულაძე, 1988:53-54; ლორთქიფანიძე, 2002:173-174; მამულაძე, ხალვაში, 2002:31, ტაბVIII/6). ზემოთქმული კი მიუთითებს კოლხური კერამიკული ხელოსნობის ნაწარმის სასაქონლო ხასიათზე, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შიდა კოლხური ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის, როგორც გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ასევე წინა ანტიკურ და ანტიკურ ხანაშიც. ამ მხრივ ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია ფიჭვნარი. სამარხეული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ანტიკური ხანის ფიჭვნარი ყურმილიანი დოქების წარმოების

უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენდა (კახიძე, ვიკერსი, 2004:31-32; კახიძე, მნელაძე.., 2015:17,24, ტაბ.XXXII/3, XXXVI/3, L/4, LII/3).

## § 2. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ჭურჭლები

**დერგი.** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში დერგი განმარტებულია, როგორც „დიდი ზომის ქილა, ქვევრის მოყვანილობის (ქ.ე.გ.ლ., 1953:1149), „დერგი - დიდი ქილა ქვევრის მოყვანილობისა“ (ქ.ე.გ.ლ., 1986:212) ან „მცირე ზომის ქვევრი „ჭურთუმცირესი“ (ქ.ე.გ.ლ., 1965:22). მორფოლოგიური მახასიათებლებით დერგები ქოთნებისა და კოჭბების ურთიერთმსგავსი ჭურჭლის კატეგორიას განეკუთვნებიან. მათ შორის ძირითადი განსხვავება ზომაშია, აქედან გამომდინარე დანიშნულებაშიც. პირობითად, ამგვარი ჭურჭლის იმ ნაწილს, რომლებიც 30 სმ აღემატება განვიხილავთ დერგად, რომელთა სიმაღლე მერყეობს 10-30 სმ შორის ქოთნებად მოვიხსენიებთ ხოლო 10 სმ. ნაკლები ზომისას კი კოჭბებად (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:34;43,53). აღსანიშნავია, რომ ვანის ადრეანტიკური მონაპოვრების მიხედვით გამოყოფილია დერგების შვიდი ტიპი. ერთ-ერთ ტიპში გაერთიანებულია ქვევრისებური დერგები, რომლებიც ქვევრებისაგან მეტრული პრინციპითაა გამიჯნული, კერძოდ 19-28 სმ დიამეტრის მქონე პირებისა და 1 სმ -ზე ნაკლები სისქის კედლების მქონე ფრაგმენტები დერგისეულადაა მიჩნეული. ტიპების მიხედვით განსხვავებულია დერგების სიმაღლეც (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:26-28).

დიდი ზომის დერგისებური ჭურჭლების დამზადების ტრადიციას ენეოლითის ეპოქაში ეყრება საფუძველი. ვარაუდობენ, რომ ასეთ ჭურჭლებში ინახებოდა მარცვლეული და საკვები პროდუქტები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი შეიძლება სხვადასხვა სითხისა და ღვინის შესაკავებლადაც ყოფილიყო გამოყენებული. აღნიშნული ჭურჭლის განვითარებამ და ფორმის თანდათანობით დახვეწამ, რომელიც ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა, შემდგომში მოგვცა თანამედროვე ქვევრი (ბოხოჩაძე, 1963:116-117; ხახუტაიშვილი, 2007:191-192). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დერგები გამოირჩევიან არამარტო დახვეწილი

ფორმებით, არამედ გულდაგული დამუშავებითაც. მათთვის დამახასიათებელია გარეთ გადაკეცილი და რამდენადმე ჩახვეული პირები, განიერი მუცელი, ყელზე ორნამენტული სარტყელი და ხშირ შემთხვევაში კორპუსის შავად გაპრიალება (მიქელაძე, 1974:62, ტაბ. VIII/4). დერგების თითქმის უმეტესობა ყელგამოყვანილია ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. აღსანიშნავია, რომ დერგების მთლიანი ნიმუშები კოლხეთის ძეგლებისათვის უცნობია. ყელთან შემორჩენილი მხრებისა და ტანის ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ დერგები მუცელგანიერი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო (მიქელაძე, 1978:55,ტაბ. XXIV, ფ.-61-83;XXV, ფ.-61-96; 61-106; კახიძე, 1971:44, ტაბ. V/6). მსგავსი დიდი ზომის, სამეურნეო დანიშნულების დერგისებური ჭურჭლები, რომლებიც საკმაოდ სქელკედლიანია საქართველოს თითქმის ყველა ნამოსახლარებზეა მოპოვებული (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:15-16; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:61-62;47; ლორთქიფანიძე, 2002:171-172; სურ.135,138; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021:286). დიდი ზომის დერგისებური ჭურჭლები აჭარის ძეგლებზეც ძირითადად პირ-ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის დერგების დახასიათებას ე.წ. „ნამჭედურის“ ექვსფენიანი ნამოსახლარის მონაპოვრებით დავიწყებთ, სადაც უძველესი დასახლება ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებს, ხოლო უახლესი ძვ.წ. II ს მიეკუთვნება. ჩვენთვის საინტერესო დერგები ძირითადად ნამჭედური მე-IV და მე-III კულტურულ ფენებშია წარმოდგენილი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედითაა განსაზღრული. დერგების მრავალრიცხოვანი ნიმუშების მიხედვით შესაძლებელი ხდება მათი განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა. ზოგიერთი ნიმუში სადაა, აქვს სწორი გარეთკენ გადაშლილი პირი და გაფართოებული მხრები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985. ტაბ. 41/1; 42/2;46/6). გვხდება ნიმუშები, რომელთა პირის კიდე (გვირგვინი) და მხრის არე შემკულია წიწვისებური ორნამენტით თუ დახრილი ჭდეებით (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:15-18, ტაბ. 41/3-5; 42/8-9; 43/3-7; 44/1-6; 45/1-2,6). ზოგიერთი მხრის ფრაგმენტზე დატანილია ჰორიზონტალური ღარები ან წრეები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:16-17, ტაბ. 41/9,11;43/2;44/1). ყურადღებას იქცევს ე.წ. კანელურებით შემკული მხრების ფრაგმენტებიც (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:16-

18, ტაბ. 40/1,2,4,6,7). ფიჭვნარის ნაქალაქარისა და კოხის არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული სხვადასხვა ორნამენტაციით შემკული დერგის მხრისა და ტანის ფრაგმენტები (აჭმ.19525; აჭმ. 19531; აჭმ.19329; აჭმ. 19330; აჭმ. 19330/33) დაცულია ასევე აჭარის მუზეუმის ხ. ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციასა და ფონდებში (ტაბ. VIII/3-4, X/1-3).

მდიდრული შემკულობით გამოირჩევა ფიჭვნარის ნაქალაქარზე მოპოვებული დერგისებური ჭურჭლის მხრისა და ტანის ფრაგმენტები (ტაბ.IX/1). ერთ-ერთი დერგის ფრაგმენტს მხრის დასაწყისში შემოუყვება ჰორიზონტალური ზოლები, რომელიც სრულდება წერტილოვანი დახრილი ჭდეებით შედგენილი სარტყელით. ტანის დასაწყისი დაფარულია ჭდეებით შემოფარგლული კლაკნილი ზოლებისაგან შექმნილი ორნამენტით (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:14-15. ტაბ. 24;26/1;8;27/1;28/1;29/1,4; 42;43,44; კახიძე, სურმანიძე.., 2016:88, კატ.129). მთლიანადაა დაცული მოზრდილი დერგისებური ჭურჭელიც, რომელიც ფართო კანელურებითა და ე.წ. ზოომორფული ყურებითაა შემკული (ტაბ.VIII/5). დერგისებურ ჭურჭლებში ასეთი ფორმების გამოჩენას ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ვარაუდობენ. ნამჭედურის ნამოსახლარის მიხედვით ჩანს, რომ ზოომორული ყურებით შემკული ჭურჭლების წარმოება ადრე იწყება, განსაკუთრებულ აღმავლობას კი რკინის ხანაში აღწევს (ხახუტაიშვილი, 2007:191, ტაბ. 19-20; კახიძე, სურმანიძე.., 2016:87, კატ. 128). ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მრავლადაა მოპოვებული სხვადასხვა ორნამენტაციით შემკული დერგების ფრაგმენტები (ქფ. 88/217; ნამჭ.70/532, ტაბ.IX/2-3) დიდი მოცულობის, დერგის ფორმის ჭურჭლების გაჩენა მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე (ხახუტაიშვილი, 2007:191, ტაბ. 21/1,2, კახიძე, სურმანიძე.., 2016:87, კატ.128).

ადრეული დერგების სიმრავლით გამოირჩევა ციხისძირიც. ჯერჯერობით მიმდინარეობს საფონდო-სარესტავრაციო სამუშაო და მასალები მზადდება სამომავლოდ გამოსაცემად. წარმოგიდგენთ 1987 წელს სააღაპო მოედნის ტერიტორიაზე მოპოვებული, ნაწილობრივ აღდგენილი, რამდენიმე დერგის ნიმუშს (ტაბ.IX/5-7).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული ქობულეთის

მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაქვის ჩაისუბანში აღმოჩენილი დერგის პირის (ტაბ.IX/4) ფრაგმენტი (ხახუტაიშვილი, თავამაიშვილი, 2002:34-36; კახიძე, სურნამიძე.., 2016:129, კატ.191) ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი, სადაც სამეურნეო ჭურჭლის ეს სახეობა მრავლადაა გამოვლენილი არის ბათუმისციხე. ისინი წარმოდგენილია პირის, ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტების სახით. მეორდება შემკულობის მოტივებიც. იშვიათად გვხდება ჰორიზონტალური, მერიდიანული და ე.წ. ტალღოვანი ქედებით შემკობა. მსგავსებას იჩენს, ციხისძირის, ფიჭვნარის, კოლოტაურის, სიმაგრის, გურიანთის, ზემო ფარცხმის, ვანის ნაქალაქარის და კვაშტის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ზოგიერთ ნიმუშთან (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:62, ტაბ.XIX /8-11, იქვე სხვა ლიტ; კახიძე, მამულაძე,1988:52, მამულაძე, ხალვაში, 2002:29-30).

აღსანიშნავია, რომ დერგების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა უახლესი აღმოჩენების შედეგად. სამეურნეო ჭურჭლის ეს სახეობა ბათუმისციხეზე 2012 წლის არქეოლოგიური სამუშაოების დროსაც გამოვლინდა. ისინი წარმოდგენილია ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტების სახით და იმეორებენ კოლხურ ქვევრებზე გამოყენებული შემკულობის მოტივებს. პირზე აქაც გამოსახულია ჯვარედინი, დახრილი ხაზები და ჭდეები. ტანის არე უმეტესად სადაა. აღსანიშნავია, რომ დერგების ორნამენტირებული ფორმები უფრო ადრეული, არქაული და კლასიკური ხანისათვისაა დამახასიათებელი. ელინიზმის ეპოქის ნიმუშები გამოირჩევიან სისადავითა და თხელკედლიანობით (კახიძე, სურმანიძე.., 2013:12, ტაბ. XVII/1, XXII/4).

დერგისებური ჭურჭლების უახლესი აღმოჩენები გვაქვს ჭოროხის ქვემო წელის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მურმანეთი) 2017-2018 წლების არქეოლოგიურ მონაპოვრებშიც (ტაბ.X/2,4-9). ძვ.წ. I ათასწლეულის ნამოსახლარზე აღმოჩნდა რუხკეციანი, სქელკედლიანი დერგის ძირ-კედლის ფრაგმენტები, რომელთა ტანიც შემკულია ფართო კანელურებით (ჭარ.2018/47;48). გვაქვს შედარებით თხელკედლიანი დერგების, პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტები (ჭარ.2017/34). ისინი მოყავისფრო ან რუხკეციანია. გამორჩეულია რომბისებურური სარტყლით შემკული ნატეხი, მასზე წრიული ფორმის სავინტილაციო ნახვრეტია

დატანილი (შალიკაძე, 2019:96, ტაბ. 8/1-2,4), რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. აქვეა სავარაუდოდ დერგის პირ-ყელის, ტანისა და ყურის ფრაგმენტებიც. აქვს გარეთ გადმოშლილი სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, გამოყვანილი ყელი, მხარზე შერჩენილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტი, კეცი ყავისფერი მსგავსი ფართო პირიანი, ორყურა დერგები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ძვ. წ. V ს. დახურულ კომპლექსებში (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:27 ტაბ.41/88; შალიკაძე, 2019:96). რაც შეეხება დერგების კლასიფიკაციას, უნდა ვთქვათ, რომ კოლხურ კერამიკაში ჭურჭლის ეს ფორმა ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მხოლოდ ვანის ნაქალაქარისა და დახურული კომპლექსების მიხედვით შექმნილი წინაანტიკური და ანტიკური ხანის დერგების კლასიფიკაცია, რომელიც ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლება ამ სახის ნაკეთობით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. ვანში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დერგების ქრონოლოგიური დიაპაზონი მერყეობს ძვ.წ. VI-III სს. შორის. გამოყოფილია სულ 7 ტიპი. სხვადასხვა ტიპებში გაერთიანებული დერგები ერთმანეთისაგან განსხვავდება კეცის სისქით, სიმაღლით, პროპორციებით, პირის გვირგვინის, ყელისა და მხრის შემკულობით. გამორჩეულია ორყურა დერგების ტიპიც. არის დერგების ისეთი ფრაგმენტებიც, რომელზეც წრიული ფორმის ნახვრეტია დატანილი. ჩანს, რომ კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი სხვა ნიმუშების მსგავსად მათი წარმოება წინა ეპოქებიდან მომდინარეობს.

სამეურნეო დანიშნულების დიდი და საშუალო ზომის ჭურჭლები მრავლადაა დაცული მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში, რომლებიც სხვადასხვა ძეგლებიდან მომდინარეობენ (სულავა, 2014:51; სულავა, ქორიძე, 2017:145) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დერგების შესასწავლად საყურადღებოა ასევე, ყულევის უახლესი არქეოლოგიური მონაპოვრები. ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის კულტურულ ფენაში, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო დერგის პირყელის, კედლის და ძირის 200 ცალამდე ფრაგმენტი. ყულევში აღმოჩენილი დერგების კლასიფიკაციისას გაზიარებულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შემუშავებული ადრეანტიკური ხანის კერამიკის

აღწერის პრინციპი. გამოყოფილია დერგების ორი ტიპი (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:34;43,50). პირველი ტიპის დერგებს ქვევრისებურსაც უწოდებენ, რადგანაც მათი საერთო იერი და განსაკუთრებით პირის გვირგვინის გაფორმება, შემდგომი ეპოქის ქვევრებისთვის დამახასიათებელი ელემენტი ხდება. ფრაგმენტები მასიურია. აქვთ გადაშლილი პირის გვირგვინი. პირყელის ფრაგმენტები სადა, ორნამენტირებული ან სხვადასხვა პროფილიანია. კორპუსის კედლები შემკულია კანელურებით. აქვთ ბრტყელი ძირი (პაპუაშვილი, ჩიტაია..., 2017:53, ტაბ. 14/1-33). მეორე ტიპის დერგებიც ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია ფართე, გადაშლილი პირი, სხვადასხვა პროფილიანი პირის გვირგვინი. ოდნავ გამოყვანილი მაღალი ყელი, სფერული ან ქილისებური კორპუსი, ბრტყელი ძირი. ძირითადად ორნამენტირებულია პირის გვირგვინი, ყელი და მხარი. იშვიათად კორპუსი. ორნამენტად გამოყენებულია რელიეფური სარტყლები, კოპები, ჭდეები, ნაკაწრი ხაზები, ერთ შემთხვევაში ცხენების ფიგურებია გამოსახული. მხარზე დატანილი რელიეფური სარტყელი, ამ ტიპის დერგებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია (პაპუაშვილი, ჩიტაია.., 2017:53, ტაბ. 15/1-25). როგორც ვხედავთ, კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაოსა და წინაანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და დახურულ კომპლექსებში გამოვლენილი დერგების ორნამენტაცია და ფორმები, იშვიათი გამონაკლისების გარდა ერთგვაროვანია. ჩანს, რომ მრავალფეროვანი ორნამენტისა თუ ფორმების შესაქმნელად კოლხი მეთუნეები იყენებდნენ მრავალრიცხოვან ხელსაწყოებს და სწრაფმბრუნავ მეთუნის მორგვს (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:16-17, ტაბ.36-51; ხახუტაიშვილი, 2007:191; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:62).

**ქვევრი.** „ქვევრს" ქართულ მეტყველებასა და სალიტერატურო ენაში მრავალი სინონიმი გააჩნია, რაც ისტორიულ-ეკონომიური აუცილებლობით იყო განპირობებული. დასავლეთ საქართველოში ქვევრი ძირითადად მცირე მოცულობის ჭურჭელს აღნიშნავს, დიდი მოცულობისას კი ჭური ეწოდება. უდიდესი ზომის ჭურს „ჩასავალი" ქვია. რაც ნაწარმოებია ზმნა ჩასვლა-დან, რადგანაც დიდი ზომის ქვევრი მხოლოდ, შიგ ჩასვლით ირეცხება. საქართველოში ქვევრს სხვა სახელებსაც უწოდებენ, საბას განმარტებით, „ჭური არს კეცთაგან ჭურჭელი: ქვევრი, ყვიბარი, ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვანი, ლაგვინარი და მისთანანი (სულხან-საბა ორბელიანი,

1928:368,419; სულხან-საბა ორბელიანი, 1949:372, 374; ჯავახიშვილი, 1986:652; ფრუიძე, 2018:58-59).

საქართველოში, მევენახეობის კლასიკურ ქვეყანაში, კერამიკული წარმოების ერთი დარგი მექვევრეობა, მთლიანად მეღვინეობის ინტერესებს ემსახურება. ქვევრში მიმდინარეობს ყურძნიდან მიღებული ტკბილის ჩასხმა, დადუღებასთან დაკავშირებული, დაღვინება და ბოლოს თვით ღვინის შენახვა. მექვევრეობა შრომატევადი საქმეა და დიდ გამოცდილებასაც მოითხოვს (ბოჭორიშვილი, 1949:17-18,120-128). ქვევრი ღვინის გარდა ზოგჯერ სხვა პროდუქტების (მარცვლეული, ზეთი, დამარილებული თევზი და სხვ.) შესანახად და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება. კოლხური ქვევრები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში (პანტიკაპეიონი, მირმეკიონი, ნიმფეიონი, ტირიტაკი), რაც ანტიკურ ხანაში ქვევრების ექსპორტსა და ღვინის სასაქონლო ხასიათსაც ადასტურებს (ბოხოჩაძე, 1963:114; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:93; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..,1981:14-15; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:60; ცეცხლაძე, 1991:49-56; ფრუიძე, 2018: 58).

მიჩნეულია, რომ ქვევრი თიხის ენეოლითური ჭურჭლის ევოლუციის გზით ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშობილი. საქართველოში კულტურული მევენახეობა ძვ.წ. II ათასწლეულიდან ივარაუდება, ხოლო მეღვინეობა უფრო ადრეც არსებობდა. სწორედ კულტურული მევენახეობის გაჩენას უნდა უკავშირდებოდეს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ჭურჭლებისა და ინვენტარის წარმოშობა (ბოხოჩაძე 1963:115; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..,1981:14-15). მიუხედავად იმისა, რომ ქვევრის წარმოშობის სათავეები, ადრეული ლითონის ეპოქაშია საძიებელი, მათი ფორმების საბოლოო ჩამოყალიბება ძვ. წ. VII ს დასასრულს ან რამდენადმე შემდგომ უნდა მომხდარიყო, რაც კულტურული მევენახეობის განვითარებას უკავშირდება.

მოკლედ მიმოვიხილავთ ქვევრის ევოლუციის გზას და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ადრეანტიკური და ანტიკური ხანის კოლხური ქვევრების კლასიფიკაციას. ასევე მოვიტანთ ნიმუშებს აჭარის წინანტიკური და ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებიდან. ჯერჯერობით

ადრეული, საწყისი ეტაპის კოლხური ქვევრების ტიპები არაა ცნობილი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე (ნამჭედური, ციხისძირი, ცეცხლაური, ფიჭვნარის დიუნური დასახლებები და სხვ) დიდი რაოდენობით გვხვდება სქელკედლიანი, მოზრდილი, პირფართო და ბრტყელძირა თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება ღვინის შესანახ ჭურჭლებად მივიჩნიოთ. თ. მიქელაძე ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებიდან კოლხურ კერამიკაში გავრცელებული ქვევრების სამ ჯგუფს გამოყოფს. პირველ ჯგუფში დიდი ზომის მუცელგანიერი ქვევრები ერთიანდებიან, რომელთაც ყელის არეში შემოუყვებათ სამი რიგი ფართო ღარებისა. ქვევრის კორპუსი ქვემოთკენ სხივისებურადაა გაშლილი. ამ ქედებს შორის ფართობი სადაა ან შევსებულია ნაკაწრი ღარებით. სხივურად გაშლილ ღარებს ზემოდან აქვს ნათითურები. ქვევრის პირი ზემოდან ბრტყელია და გარეთკენაა გაზიდული, კვეთაში სამკუთხაგანივკვეთიანია. პირქობი შემკულია რომბული ორნამენტით ან ხვიისებური სარტყლით. ეს შემკულობა ხშირად ტანზეცაა დატანილი (მიქელაძე, 1974:61-62, ტაბ.VII/1-2; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:91, ტაბ. XXIII, 4). მეორე ჯგუფში ერთიანდება ქვევრები, რომელთაც ზედაპირი შემკული აქვთ წვრილი, ერთმანეთზე მიჯრილი ზერელე ღარებით, რომლებიც გოფრირებულ ზედაპირს ქმნიან. ეს ზედაპირი დაფარულია ჩვეულებრივი ღარებითა და გლუვი მომრგვალებული ქედებით. ხშირად ამ ტიპის ქვევრებზე გამოსახულია ცხოველები, განსაკუთრებით იმ ეგზემპლარებზე, რომლებიც დასაკრძალავ ურნებადაა გამოყენებული. თუმცა დასაკრძალავად იყენებდნენ ისეთ ქვევრებსაც, რომლებზეც არ იყო გამოსახულებები. მეორე ჯგუფის ქვევრები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერისაა და გაპრიალებული (მიქელაძე, 1974:61, ტაბ.VIII/1). ქვევრების მესამე ჯგუფი გამოირჩევა კედლების მდიდრული, რელიეფური შემკულობით. სამკაული წარმოადგენს რელიეფური, თოკისებური გრეხილით შესრულებულ სხვადასხვა ორნამენტს (მიქელაძე, 1974:61, ტაბ.VIII/2-3,5).

არქეოლოგიურ ძეგლებზე ქვევრების ნატეხების არაჩვეულებრივი სიმრავლე ძვ.წ. VI-IV სს ყველა კოლხურ ნამოსახლარზე მოწმობს ქვევრების დამზადებაში დასაქმებული სპეციალიზებული სახელოსნოების არსებობას. ადრეანტიკური

ხანიდან ქვევრების დამზადება წარმოგვიდგება კერამიკული ხელოსნობის ცალკე დარგად (ლორთქიფანიძე, 2002:171-173,სურ.138/1-2, 6-7). განსაკუთრებით მრავლადაა კოლხური ქვევრები ფიჭვნარის მონაპოვრებში. მიჩნეულია, რომ კოლხური ქვევრების დამზადება ფიჭვნარში ძვ.წ. VII საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო. მათი სიმრავლე გამოწვეული იყო ეკონომიური აღმავლობით. ღვინის შესანახ ჭურჭელზე მზარდი მოთხოვნილების არსებობა შიგა და ნაწილობრივ გარე ბაზარზე, რაც თავის მხრივ ღვინის სასაქონლო ხასიათს და მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ დაწინაურებას უკავშირდება (კახიძე, 1971:40; მიქელაძე, 1974:61-62; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:95-96; კახიძე, 2007:258-260). მოგვიანებით ქვევრმა მეღვინე- მევენახეთა საძვალის ფუნქციაც შეითავსა (მიქელაძე, 1974:61-62; თოლორდავა, 1980:65). ელინისტური ხანიდან მეღვინეობაში უკვე გამოუსადეგარ ჭურჭელსა და მის ნაწილებს იყენებდნენ მიცვალებულის დასამარხად. სამარხად იყენებდნენ არა მარტო გამოყენებულ და გატეხილ ქვევრებს, ქვევრის ნატეხისაგან დამზადებულ სარქველსაც (ხოშტარია, 1959:247, ტაბ. XXIV/3). ქვევრსამარხები გავრცელებულია, იმ ადგილებში, სადაც ვაზის კულტურის გაშენებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა. ასეთი ტიპის სამარხები დასავლეთ საქართველოში მიკვლეულია: დაბლაგომში, ფარცხანაყანევში, ქუთაისში, ბანძაში, ბორში, ძევრში; აღმოსავლეთ საქართველოში: თეთრიწყარო, მცხეთა, ზემო ავჭალა, მუკუზანი, ურბნისი, წითელწყარო, კავთისხევი და სხვა (ბოხოჩაძე, 1963:133; ვაშაკიძე, 1985:23-116; ინაძე, 1994:154-155).

ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრებისათვის დამახასიათებელია არცთუ ფართე პირი, გამსხვილებული და გარეთ გადმოწეული ქობა, ცილინდრული, დაბალი ყელი, ამობურცული მხრები, გამობერილი მუცელი შევიწროებული კალთები და ვიწრო ბრტყელი ძირი. განსხვავდება პირის გვირგვინის, ყელის, მხრისა და ტანის შემკულობა. კოლხური ქვევრი მდიდრულადაა ორნამენტირებული სხვადასხვა სახის კომბინაციებით. ხშირად ზედაპირი დაფარულია ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ზოლებით. ადრეულ ქვევრებზე (ძვ.წ. VI ს) ზოლები (ირიბი) მეტია, მოგვიანებით კი (ძვ.წ.III-II სს) ისინი თითქმის ქრება (ხოშტარია, 1959,247, ტაბ.XXIV/3; ბოხოჩაძე, 1963:127; ლორთქიფანიძე,

გიგოლაშვილი.., 1981:16; ლორთქიფანიძე, 2002:171-173). ადრინდელი ქვევრები მიწისზედა დასადგამ ჭურჭელს წარმოადგენდა. ისინი სპეციალურ სადგამ მოწყობილობაზე ან მიწის მცირე ორმოებში იდგმებოდა ქვედა ნაწილით იმ დონემდე, საიდანაც ქვევრების შემკობა იწყებოდა. ადრინდელი ქვევრების სახურავად თიხის ან ხისაგან სპეციალურად გაკეთებული სარქველები გამოიყენებოდა. ქვევრების პირველი სახეობების სიმაღლე 1 მეტრს არ აღემატებოდა, ზოგჯერ კი 1,5 მ აღწევდა. ადრეანტიკური ხანის ქვევრების კეცი რუხი, ყავისფერი ან შავია. ქვევრების პირის დიამეტრი 25-45 სმ-ს შორის მერყეობს, ძირის დმ. 17-30 სმ-მდე, ხოლო კეცის სისქე 1,1 სმ-დან 2,5 სმ-მდეა. ძვ.წ. III საუკუნიდან ქვევრები იცვლიან ფორმას, რაც ღვინის დაყენებისა და შენახვის ტექნოლოგიით იყო ნაკარნახევი. ეს ცვლილებები ქვევრის მიწაში ჩადგმასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. სწორედ ძვ.წ. III საუკუნიდან ქვევრის ბოლომდე ჩაფლვა ხდება მასობრივი მოვლენა, რასაც უკავშირდება მისი ფორმის საგრძნობი ცვლილებები. მათი ტანი შედარებით გრძელდება და კვერცხისებური ხდება, ფართე ბრტყელი ძირი ვიწროვდება. ქობა ბრტყელი ხდება და ოდნავ გარეთაა გადაშლილი. ასეთი ფორმის ჭურჭელზე თანაბრად მოქმედებს მიწის სიმძიმე და წნევა თანაბარი რაოდენობით ნაწილდება. ქობის გასქელებისა და გაბრტყელების აუცილებლობა გამოწვეული იყო მიწაში დაფლულ ქვევრზე ქვის სარქველის დახურვით. ამავე პერიოდიდან ქრება ქვევრის გარედან შემკობაც, რადგანაც მიწაში დაფლული ქვევრის გაფორმებამ დაკარგა მნიშვნელობა (ზოხოჩაძე,1963:128,141; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:25; ფრუიძე, 2018:73-74; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021:283-286).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აჭარის არქეოლოგიური ძეგლებიდან პირველ რიგში უნდა ვახსენოთ, ფიჭვნარის დიუნაზე მოპოვებული სამეურნეო ჭურჭლები (დერგები, ქვევრები). ისინი წარმოდგენილია ყელისა და მხრის ფრაგმენტებით, რომლებიც შემკულია რელიეფური სარტყლებითა თუ ვერტიკალური ზოლებით. მოპოვებული ფრაგმენტები მსგავსია ურეკის, დაბლაგომის, სოხუმის მთაზე და ოჩამჩირეში მოპოვებული ძვ.წ. VIII-VI სს მასალებისა (რამიშვილი, 1964:23-25, ტაბ. XIII).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამეურნეო და სასუფრე ჭურჭლები გვხდება

ფიჭვნარის ნამჭედურის ნამოსახლარის IV ( ძვ.წ. XI-IX სს) და Ш (ძვ.წ. I ათსწლეულის პირველი მეოთხედი) კულტურულ ფენებში (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:13-17,таб.6-7, 25-54). ეს ძეგლი კოლხური ქვევრების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა, მაგრამ სამწუხაროდ ადრეული ქვევრები მთლიანი სახით არც აქაა მოპოვებული. ქვევრის ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ ჩნდება ამოკაწრვის მეთოდით შესრულებული სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები: სამკუთხედები, ხაზები, რომბები, კანელურები, გირჩისებური ორნამენტი და ა.შ. იშვიათი გამონაკლისის გარდა ჭურჭლებს გააჩნიათ ბრტყელი ძირი გამობერილი ტანი დაბალი ყელი, გადმოზნექილი გვირგვინი. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კერამიკული პროდუქციის ფორმები, რომლებიც პირველად ჩნდება წინა ნამჭედური IV-ის ფუნქციონირების დროს (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისი), არსებობას აგრძელებენ ნამჭედური III დასახლების ფენაშიც. მათ ბაზაზე კი შემდგომში იქმნება საოჯახო თუ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლების ახალი ფორმები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე თავს იჩენს ძვ. წ. VI-IV სს. (Микеладзе, Хахутаишвили,1985:14-15. ტაბ.24/1-6,45/1,2.6). სსიპ აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდსა და ექსპოზიციაში დაცულია ფიჭვნარის ნაქალაქარზე სხვადასხვა წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას მოპოვებული კოლხური ქვევრის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (ტაბ.XI/1-5, XII,XII).

წინაანტიკური ხანის კოლხური ქვევრები მოპოვებულია ციხისძირის ნამოსახლარზე, პირველ კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. აღმოჩენილი ქვევრის ტიპის ჭურჭლის პირ-ყელის, მხრების, გვერდებისა და ძირის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები შესაძლებლობას იძლევა წარმოვიდგინოთ სამეურნეო ჭურჭლის (ქვევრის) საერთო იერი. მათ აქვთ ფართო პირი, რომელიც ბოლოვდება შესქელებული გვირგვინით. ბრტყელ, მკვეთრად გამოყოფილ ქობაზე შემოუყვება რელიეფური წიბო. იგი შემკულია ე.წ. „სავარცხლის ტექნიკით“ გამოყვანილი „თევზიფხური“ ორნამენტით. ყელი შედარებით დაბალია, ძაბრისებური თანდათანობით გადადის მომრგვალებულ

მხრებში, რომელიც შემკულია რელიეფური, ერთმანეთთან ახლოს განლაგებული ვერტიკალური ან ირიბი მიმართულების რელიეფური ვიწრო ქედებით. ისინი მხრებიდან ქვემოთკენ სხივისებურად იშლებიან და ქვევრის ძირში ისევ იყრიან თავს. ეს მოტივი დამახასიათებელია ანტიკური ხანის ქვევრებისთვისაც. ძირი ბრტყელია და ტანისაგან არაა გამოყოფილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია მინარევებიანი. მოვარდისფროდ გამომწვარი. ქვევრის კეცის სისქე მერყეობს 1-დან 3 სმ-მდე. ამ ეპოქის ქვევრების ზედაპირის შემკულობისა და ძირის მიხედვით ჩანს, რომ ისევე, როგორც, მაგალითად კრეტა-მიკენური პითოსები, მიწაში არ იმარხებოდა, დასადგმელად იყენებდნენ და ამიტომ გარეგნულ შემკულობასაც დიდი ყურადღება ექცეოდა (ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:94-95, ტაბ. XXIII/1-6. აქვე სხვა ლიტ.).

ჩვენი საკვლევი ტერიტორიიდან ადრეული ქვევრების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ბათუმისციხის ადრეანტიკური ხანის გორანამოსახლარი (ტაბ.XII/1-6) ჩანს, რომ ადგილობრივ კერამიკაში ქვევრებს წამყვანი ადგილი ეკავა (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:59-61; ხახუტაიშვილი, 2007:292; კახიძე, სურმანიძე..., 2013:11-13). სხვა თანადროული ძეგლების მსგავსად წარმოდგენილია ქვევრების პირ-ყელის, მხრისა და ძირის ფრაგმენტები. ორნამენტაციის მოტივები განსაკუთრებით მრავალფეროვანია არქაული და კლასიკური ხანის ქვევრების ფრაგმენტებზე. გვხდება მუცლისა და პირ-ყელის შემკობის სხვადასხვა მოტივის თანაარსებობა. გამოყენებულია: რომბული, ბადის ორნამენტი, წიწვისებურ-ტალღისებური, ჯვარედინი ხაზები, მცენარეულ-რელიეფური, ჭდეები, გრეხილი რელიეფური ქედები, მჭიდროდ მიჯრილი პარალელური ღარები და ა.შ. ადრეული ნიმუშების თიხა ზოგჯერ მოჩალისფრო-მოყვითალოა. გვიანარქაული და კლასიკური ხანის ქვევრები დაახლოებით 750-800 გრადუს ტემპერატურაზე იყო გამომწვარი და მუქი, მოშავო-მორუხო-მონაცრისფრო შეფერილობისაა. მათი ძირი ბრტყელია. ზოგიერთი ქვევრს გამოწვამდე გაკეთებული აქვს სავენტილაციო ნახვრეტებიც. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ყელის არეში დატანილი ნახვრეტები მარცვლეულის შესანახ ქვევრს უკეთდებოდა. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვევრზე ნახვრეტების დატანა ორი მიზეზით აიხსნება. თუ ქვევრი, მარცვლეულისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ სავენტილაციო ნახვრეტები გვერდზე, ძირზე, ან ძირის

მახლობლად უკეთდებოდა, ხოლო სადუღარ (სამაჭრე) ქვევრებს პირის ქვედა მხარეს, ყელის არეში, რაც ღვინის დადუღებისთვის იყო საჭირო. ეს კარგად გამოჩნდა ურბნისის მარნის არქეოლოგიური შესწავლისას, სადაც ერთ ზოლში დაფლული იყო საღვინე ქვევრები, ხოლო მეორე ზოლში დაფიქსირდა ნახევრად დაფლული მარცვლეულისათვის განკუთვნილი ქვევრები, რომელთაც ძირზე ჰქონდათ ნახვრეტები. ერთ-ერთ მათგანში დაფიქსირებულ იქნა მარცვლეულიც (ზოხოჩაძე, 1963:127,140-141; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:98-101; კახიძე, მამულაძე, 1988:52; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:59-61, ტაბ.VI/4; VII/2,3,4-5; VIII/4-5,6; XIII/1-5; XVI/1-7; ლორთქიფანიძე, 2002:172-173, ფრუიძე, 2019:74). აჭარაში მსგავსი, ნახვრეტებიანი ქვევრები შესწავლილია კოხის, ბათუმისციხისა და კვაშტის არქეოლოგიური გათხრების დროს (ტაბ.XIII/1,5, XIV/1-4) ვთვლით, რომ ქვევრები, რომელთაც პირ-ყელის არეში აქვთ დატანილი ნახვრეტი ღვინის სადუღარი ჭურჭლები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა.

ადრეანტიკური ხანის ქვევრების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა ბათუმისციხის ტერიტორიაზე 2012 წელს განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების დროსაც (ტაბ.XI/6-9). კახიძე, სურმანიძე.., 2013:11-13,ტაბ.XXI,XXIII/1-3). ქვევრის ფრაგმენტები აღმოჩნდა ასევე ჭარნალის მურმანეთში ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებით დათარიღებულ ნამოსახლარზე. მასთან ერთად გამოვლინდა კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი დერგის, სასმისის, ჯამისა და ქოთნის ფრაგმენტებიც (შალიკაძე, 2019:95-96, ტაბ. VIII). ადრეული კოლხური ქვევრების ფრაგმენტები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი, ასევე კოლოტაურისა და კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე (ტაბ. XII/8-9, XIII/1) ისინი გამოირჩევიან მდიდრული ორნამენტაციით (კახიძე, მამულაძე, 1988:52-53; მამულაძე, ხალვაში, 2002:28-29, ტაბ.IV/1-3).

კოლხური ქვევრის კედლისა და ძირის ფრაგმენტები აღმოჩნდა 2005 წელს ჩაქვში ე.წ. ჯვრის მთაზე შემთხვევით გამოვლენილი ანტიკური ხანის სამოსახლოზე. კედლის ზედაპირი შემკულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ქედებით. მათი ერთი ნაწილი დაბალი, წაწვეტებულზედაპირიანია, სხვები

მომრგვალებული. ერთ-ერთ ფრაგმენტზე ქედები დაძერწილია ზედაპირის მოსწორების შემდეგ (სურმანიძე, 2013:27, ტაბ.I,II,VI/1-3,7). აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ ქვევრი ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის წამყვანი ფორმაა. ისინი აღმოჩენილია, თითქმის უკლებრივ ყველა ძეგლზე, რომელიც შეიცავს ძვ.წ. VI-IV საუკუნეების მასალებს (კვაშტა, ბათუმისციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოების ნამოსახლარები, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, გურიანთა, ვანი, დაფნარი, დაბლაგომი, ქუთაისი და მისი მიდამოები, ყვირილას ხეობის ნამოსახლარები და სხვა (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..,1981:15, იქვე სხვა ლიტ; კახიძე, მამულაძე, 1988:50-51 კახიძე, ფარტენაძე, 2017:23, კატ.22,24; კატ.23-24,30; კატ.32-33).

როგორც მასალების განხილვამ გვიჩვენა დიდი ზომის თიხის ჭურჭელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა განვითარებას, ფორმებისა და მოყვანილობის დახვეწას, რაც ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის დღეს არსებული და ფართოდ გავრცელებული ქვევრის ჩამოყალიბებით დასრულდა (ზოხოჩაძე, 1963:126-135; მიქელაძე, 1974:62; ხახუტაიშვილი, 2007:191).

## თავი III. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში კლასიკურ და ელინისტურ ხანაში

### § 1. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში კლასიკურ ხანაში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ კოლხეთის სამეფოს ზღვისპირა ზოლში ძვ.წ. VII ს დასასრულსა და VI საუკუნის დამდეგს დასტურდება მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროდან (იონიიდან) გამოსული ბერძნული თემების გამოჩენა. კოლხეთი აქტიურად ჩაება დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში (კახიძე, 2007:241). ბერძნული კოლონიზაციის ადრეულ ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც დასტურდება დიდ წინააღმდეგობას უწევდა მოახალშენეებს. ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების ადრეული ეტაპი კარგად ჩანს ბათუმისციხის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით. ბათუმის ციხეზე ფიქსირებულია ბრძოლებისა და წვა-ნგრევის ამსახველი არქეოლოგიური შრე სათანადო დამათარიღებელი მასალებით. ჩანს, რომ მოსახლეობამ შეძლო შეენარჩუნებინა ადრინდელი სტატუსი. სახელმწიფოებრიობის გზაზე მდგომ კოლხეთს აღმოაჩნდა ძალები არ დაეშვა პოლისური, თვითმართვადი ერთეულების შექმნა და ბერძნებმა მართლაც ვერ შეძლეს ვრცელი ადგილების დაკავება. ადგილობრივი ზედა ფენების წარმომადგენლები თანდათანობით ელინებთან ვაჭრობის გზას დაადგა. მათივე ხელისშეწყობით კოლხური სამოსახლეობის გვერდით უნდა გაჩენილიყო ბერძენ თემთა დასახლებები. მსგავსმა პირობებმა ელინებს საშუალება მისცა კონტაქტები გაეფართოებინათ შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ მიმართულებითაც. შედარებით მცირე მასშტაბის იონური დასახლებები უნა ყოფილიყო ბათუმის, ციხისძირის, ფიჭვნარის ურეკის, ოჩამჩირისა და ეშერას მიდამოებში. მათი დიდი ნაწილი სხვა ბერძნული აპოიკიების მსგავსად უპირატესად სამიწათმოქმედო, სახელოსნო და გარკვეულად სავაჭრო პუნქტები უნდა ყოფილიყო (კახიძე, 2007:242). იონური ახალშენების გაჩენამ მნიშვნელოვნად დააჩქარა კოლხეთის სოციალური განვითარება, კერძოდ კლასების ფორმირების პროცესი და სასაქონლო ფულადი ურთიერთობა. იმატა ექსპორტმა. მოგვიანებით ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარზე, განსაკუთრებით ბერძნულ

ნეკროპოლზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკული მასალა ადასტურებს, რომ აქ ათენელთა დასახლება ძვ.წ. V საუკუნის 80-70-იან წლებში ჩნდება. მოახალშენეთა რიცხვიც არ იყო დიდი. ისინი უპირატესად ღარიბი ფენების, კერძოდ უმიწაწყლოთა ფენების წარმომადგენლები იყვნენ. ჩანს, რომ იონური კოლონიზაციის პერიოდისაგან განსხვავებით, ატიკური კოლონიზაციის ამ ეტაპზე კოლხეთის სამეფოს მესვეურებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ახალ ძალასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება. 1,5 საუკუნის განმავლობაში ფიჭვნარში გვერდიგვერდ მშვიდობიანად იცხოვრეს კოლხურმა და ბერძნულმა თემმა (კახიძე, 2007:242).

საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდი მევენახეობა-მეღვინეობის საქმის განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნება. ჩანს, რომ ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების, შენახვა-მოხმარების ტრადიციამ, რომელსაც წინა ეპოქებში ჩაეყარა საფუძველი და მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში, ანტიკურ ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ეს ეხება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. ჩვენი საკვლევი ტერიტორია (აჭარა) ძვ.წ. VI-I1V საუკუნეებში შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომელიც მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას. კოლხეთი ამ დროს წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმლიერეს ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნას. არქეოლოგიურ მასალებთან ერთად ამას ადასტურებს მდიდარი წერილობითი წყაროებიც, რომლებზეც შესავალ ნაწილში უკვე გვქონდა საუბარი (ლორთქიფანიძე, 1972:42-48; კახიძე, 2007:248; ჭილაშვილი, 2002.91). ანტიკური ხანის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებულ დაწინაურებასა და მის სასაქონლო ხასიათზე მიუთითებს არაერთი არქეოლოგიური მონაპოვარი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ. კოლხეთიდან ქვევრებით საექსპორტოთ გაჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ღვინო, თაფლი, ცვილი და ა.შ. სწორედ კოლხეთიდან ღვინის ექსპორტის მაუწყებელი უნდა იყოს ძვ.წ. მე-IV საუკუნის კოლხური ქვევრებისა თუ ამფორების აღმოჩენა ყირიმისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების დროს (ლორთქიფანიძე, 1966:68-94;

ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:14, იქვე სხვ ლიტ.; ლორთქიფანიძე, 2002:173; კახიძე 2007:256).

მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად განსაკუთრებით მდიდარი არქეოლოგიური მასალები გვაქვს აჭარის კლასიკური ხანის ძეგლებიდან. ანტიკური ხანის ქართული მეურნეობისა და კულტურის შექმნაში, ჩანს თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, კერძოდ, აჭარის, როგორც ზღვისპირეთმა, ისე მთისწინეთმა და მთიანეთმა. აქ მოპოვებული მდიდარი მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური საზოგადოების ისტორიის ისეთი მოვლენები, როგორიცაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთის სახელმწიფოს ფორმირება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება, ეკონომიკის, მეურნეობის დარგების, კულტურის, რელიგიისა და საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი საკითხი.

კლასიკური ხანის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ მონაპოვრებში სასუფრე და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებს ღვინის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული, სატრანზიტო კერამიკული ნაწარმიც ემატება. კლასიკური ხანის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის განხილვას დავიწყებთ აჭარის ტერიტორიაზე შესწავლილი ძეგლების მიხედვით. ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალები გვაქვს ყოროლისწყლის შესართავთან მდებარე ბათუმისციხის ტერიტორიიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი წარმოადგენდა ტიპიურ ურბანიზებულ გორასამოსახლოს, სადაც დასახლება ძვ.წ. VIII-VII სს-დან არსებობდა. აქვე დადასტურებულია ძვ.წ. VII ს დასასრულისა და VI ს. დამდეგის არქეოლოგიური შრე, რომელშიც ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმთან ერთად წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესი იმპორტი (იონიური თიხის ჭურჭლები და თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები). გვიანარქაულ და კლასიკურ ხანის ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი საწაფები, ხელსაფქვავები, ქიოსური, ლესბოსური, სამოსური და თაზოსური ამფორები, იონიური, იშვიათად ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი და ჩვენთვის საინტერესო მდიდრულად შემკული კოლხური ქვევრებისა თუ სხვა სახის

ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ნატეხები (კახიძე, 2007:249; კახიძე, მამულაძე, 2016:32; კახიძე, შალიკაძე.., 2013:8-17).

მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ ძვ.წ. VI-IV სს- ში ბათუმისციხის ურბანიზებულ სამოსახლოს, ჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო (ე.წ. ქორა) რაიონი (ვარშალომიძე, 1996:31; უზუნაძე, 2013:41). მიწათმოქმედების და მესაქონლეობის გვერდით დაწინაურებული ჩანს ხელოსნური წარმოება, ფუნქციონირებდა კერამიკული წარმოების ლოკალური კერა (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:42-45; კახიძე, 2007:249). იგივე შეიძლება ითქვას წინაანტიკური და ანტიკური ხანის ჩაქვისწყლის ხეობისა (სურმანიძე, 2002:82-88; კახიძე, 2007:249) და ციხისძირის მრავალფენიანი ნამოსახლარის, ასევე გარექალაქის ტერიტორიაზე გვიანარქაული, კლასიკური, ელინისტური და ადრე ფეოდალური ხანის ვრცელი სამაროვანის მიმართ (ინაიშვილი, 1993; კახიძე, 2007:249).

ჩვენი საკვლევ თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მდიდარი ნივთიერი მასალებია აღმოჩენილი ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ძეგლი მდებარეობს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით, ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისის ზონაში. პირდაპირი წერილობითი ცნობა მისი ადრინდელი ისტორიის შესახებ არ შემოინახა. შესაძლებელია, პომპონიუს მელასთან მოხსენიებული კიკნოსი ამ უნიკალური ძეგლის უძველესი სახელწოდება იყოს (კახიძე, 2007:250). გარდა ნაქალაქარისა, ამ ზონაში დაცულია ძეგლთა მთელი ჯგუფი, რომელიც მიითვლის ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს, ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებს. ანტიკურ ქალაქთან უშუალოდ დაკავშირებულია ძვ.წ. V ს კოლხური, ძვ.წ. V-IV სს ბერძნული და ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-II სს) ვრცელი სამაროვნები. ფიჭვნარის ნაქალაქარი ძვ.წ. V-II საუკუნეებში წარმოადგენდა კოლხეთის (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის) და საერთოდ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მსხვილ ურბანისტულ ცენტრს. სწორედ ამ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის განხილვით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ კლასიკური ხანის მევენახება-მეღვინეობის შესახებ (კახიძე, 1965:67-93; კახიძე, ვიკერსი, 2004: 15-16; კახიძე, 2007:250; კახიძე, მამულაძე, 2016: 36-46).

აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ხანაში გამაგრებული მსხვილი სამოსახლოები

ჩნდება აჭარისწყლის ხეობაშიც. ჩანს, რომ ეს ხეობა ანტიკურ ხანაში იყო საქართველოს ზღვისპირეთის დამაკავშირებელი რგოლი სამცხე-ჯავახეთსა და შავშეთ-კლარჯეთის ისტორიულ პროვინციებთან. კლასიკური ხანის, კერძოდ ძვ.წ. V ს. საყურადღებო მასალაა მოპოვებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. კვაშტას ნამოსახლარის გათხრებისას 1983-1984 წლებში (კახიძე, მამულაძე, 1988; მამულაძე, 2000:57-80). იგი წარმოადგენდა გამაგრებულ სათვალთვალო პუნქტს, რომელიც იცავდა და კონტროლს აწესებდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთზე. გამაგრებული სამოსახლოები ხეობის სხვა პუნქტებშიც (აგარა, ურეხი, მახვილაური, ბზუბზუ, კოლოტაური, საღორეთი, ტაკიძეები, პაქსაძეები, ხიხაძირის ვარდციხე და ა.შ.) უნდა არსებულიყო (კახიძე, მამულაძე, 2007:237-238; კახიძე, მამულაძე, 2016:47-48). ამ ეპოქის ძეგლებში წამყვან ადგილს სამეურნეო კერამიკა იკავებს (ქვევრები და დერგები). ზღვისპირა ზოლის საქალაქო ტიპის დასახლებებისა და სამოსახლოებისგან განსხვავებით კვაშტის სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკა არ გამოირჩევა ფორმათა მრავალგვარობითა და სინატიფით. ჭარბობს შედარებით ტლანქად ნაკეთები დოქები, ჯამები, სასმისები, ქოთნები, ტაფისებური ჭურჭელი, ლანგრები და ა.შ. კვაშტის მონაპოვარში წარმოდგენილია ასევე იმპორტული თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხიც-სადაზოლებიანი იონური კერამიკის, ატიკური შავლაკიანი კილიკისა და ე.წ. სასმისებრძირიანი ამფორის ნატეხების სახით (კახიძე, მამულაძე, 2007:238-239; კახიძე, მამულაძე, 2016:47-48). კვაშტის მსგავსი გამაგრებული ტიპის ძეგლი მიკვლეულია იგივე მუნიციპალიტეტის სოფ. კოლოტაურში, საიდანაც შესანიშნავად მოჩანს აჭარა-გურიისა და აჭარა-შავშეთის მთების ფერდობებზე შეფენილი სოფლები და თვით აჭარისწყლის ხეობა. არქეოლოგიურ მასალებში წარმოდგენილია უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან, რთვა-ქსოვასთან, მეთევზეობასთან, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული არტეფაქტები. მათ შორის ცალკე ჯგუფს ქმნის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონაპოვრები. საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი სამეურნეო, სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკული ნაწარმი. გვხვდება იმპორტული ნაწარმი სინოპური ამფორების სახით (მამულაძე, ხალვაში, 2002:28-41;

კახიძე, მამულაძე, 2007:237-238; კახიძე, მამულაძე, 2016:47-48).

**§ 2.** ანტიკური სამყარო და მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურება ძველ კოლხეთში (ფიჭვნარში აღმოჩენილი მასალების მიხედვით)

**ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს ნაქალაქარი.** აჭარის ანტიკური ხანის მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად ფართო ინფორმაციის მომცველია ფიჭვნარის ნაქალაქარისა და ძვ.წ. V-IV სს კოლხური და ბერძნულ ნეკროპოლისებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. ფიჭვნარი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან. ფიჭვნარი უნდა ყოფილიყო მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კოლხეთის სახელმწიფოს ცხოვრებასა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის სფეროში. იგი წარმოადგენდა ადგილობრივ საწარმო-სახელოსნო საქალაქო ცენტრს, რომელიც აერთიანებდა ბერძნულ ემპორიონსაც. წერილობითი წყაროები ფიჭვნარის ნაქალაქარის შესასწავლად არ მოგვეპოვება, ამიტომაც უპირატესობა არქეოლოგიურ მასალებს ეთმობა. სამწუხაროდ გასული საუკუნისათვის ნამჭედურის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ხელისშემშლელი ფაქტორების, კერძოდ, გრუნტული წყლების სიახლოვის გამო ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები არ ჩატარებულა. ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის დაწყება ნ. ხოშტარიას სახელთანაა დაკავშირებული. 1953 და 1956 წელს მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა მდ. ჩოლოქსა და მისი შენაკადის ოჩხამურს შორის არსებულ გორანამოსახლარზე. 1960-1961 წლებში ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქობულეთის რაიონში (ხუცუბანი, ციხისძირი, ბობოყვათი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მცირე მასშტაბის სამუშაოები აწარმოა ნაქალაქარის ტერიტორიაზეც. 1963 წელს შეიქმნა ნაქალაქარის სქემატური ტოპოგრაფიული გეგმა. ნაქალაქარი დაიყო რამდენიმე უბნებად. ერთ-ერთ პირველ უბანს „ნამჭედურის“ მიდამოები წარმოადგენდა, რომელიც 1964-1965 წწ და 70-იან

წლებში ჩატარებული კვლევა-ძებაის შედეგად ფიჭვნარის სახელოსნო უბნად იქნა მიჩნეული. მან დიდი როლი შეასრულა ამ მსხვილი დასახლების შემდგომ დაწინაურებაში. სულ ნამჭედურის გორა-ნამოსახლარზე დაცულია ექვსი კულტურული ფენა (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:12-19; კახიძე, ვიკერსი, 2004:11-15). ძეგლის კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო დიდი ხნის განმავლობაში საველე სამუშაოების ძირითად ობიექტად იქცა ნაქალაქართან არსებული ძვ.წ. V ს კოლხური და ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძნული ნეკროპოლი და ელინისტური ეპოქის სამაროვანი. დროგამოშვებით საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი ექსპედიცია სამაროვნების გათხრების პარალელურად ნაქალაქარის ტერიტორიაზეც აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. ფიჭვნარის ნაქალაქარზე  მეღვინეობასთან დაკავშირებული სასუფრე და სამეურნეო კერამიკის შესახებ უკვე ნაწილობრივ ვისაუბრეთ წინა თავში. იგივე დანიშნულების კერამიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანია ნაქალაქარის კლასიკური ხანის კულტურულ ფენებში. აღსანიშნავია, რომ მონაპოვრებში ტრადიციულ სასუფრე და სამეურნეო კერამიკულ ნაწარმს (დოქები, სასმისები, ჯამები, ქვევრები, დერგები) დაემატა იმპორტული სატრანზიტო ჭურჭელი (კოლხური თუ სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული ამფორები).

ფიჭვნარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიაში ახალი ეტაპი 2015 წლიდან იწყება. ფიჭვნარის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით 2015 წელს აწარმოა ძირითადი სამუშაოები  ფიჭვნარის ნაქალაქარის კერძოდ ნამჭედურის ბორცვსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოვლინდა სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური მასალა. საველე სამუშაოები წარმოებდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, ადრე გათხრების შედეგად წარმოქმნილი სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით. გამოვლინდა გვიანარქაული (იონიური კერამიკის მიხედვით), კლასიკური და ელინისტური ხანის კულტურული ფენები (კახიძე, სურმანიძე..,2017:113-133). მსგავსი დანიშნულების არქეოლოგიური მასალები ფიჭვნარის ნაქალაქარის კლასიკური ხანის კულტურულ ფენებში ბოლო წლების  არქეოლოგიური გათხრების დროსაც ჩნდება. მათგან საურადღებოა კლასიკური ხანის ფენებში გამოვლენილი სამკუთხაგანივკვეთიანი

ქვევრის პირი (ქ.ფ.2015/33), რომლის ფართო კალთაზე დაკბილული იარაღით დატანილია რომბისებური ბადის ორნამენტი (კახიძე, სურმანიძე..,2017:117, ტაბ.XXI/1XXII/7,9,XXIII/6). ამავე პერიოდის ჩანს კოპებიანი დოქის (ქ.ფ.2015/28) ყური, რომლის ბოლოზე კოპია დაძერწილი, კეცი ნაცრისფერი. კლასიკური ხანის ფენებში აღმოჩნდა ასევე სატრანზიტო ჭურჭლების პროტოთაზოსური თუ თაზოსური ამფორების (ქ.ფ.2015/ 2, 9, 17, 24, 26, 32) ყურებისა და კედლის ნატეხები (კახიძე, სურმანიძე.., 2017:117. ტაბ.XI/4-10, XXIII/8-9).

ქვევრი კოლხური კერამიკის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ქვევრების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა. აღვნიშნავთ, რომ აჭარის ანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ქვევრების განხილვისას ვხელმძღვანელობთ ვანის მონაპოვრების მიხედვით შემუშავებული (კლასიკური ხანის) ქვევრის ზოგადი კლასიფიკაციით. ცნობილია, რომ სხვა კოლხური ნამოსახლარების მსგავსად, ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ქვევრების ნიმუშები ძვ.წ. VI-IV სს. ადგილობრივი კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან. თუმცა ისინი წარმოდგენილია ცალკეული ფრაგმენტების (პირის გვირგვინების, პირ-ყელის, ყელის, ყელისა და მხრის, კედლების, ძირ-ტანის ფრაგმენტები) სახით ვინაიდან კოლხური ქვევრი მდიდრულადაა ორნამენტირებული, შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის კომბინაციები (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:15-17, იქვე სხვა ლიტ.).

დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე დაგროვებული მასალების მიხედვით შეიძლება დავახასიათოთ ანტიკური ხანის ქვევრი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანტიკური ხანის ქვევრები მთლიანი სახით არც აჭარის ძეგლებიდანაა ჩვენამდე მოღწეული. ამიტომაც ცალკეული ნაწილების (პირი, ყელი ძირი, კედლები) მიხედვით გვიწევს მათი ტიპოლოგიურად დალაგება. ქვევრის პირის თითოეული ნაწილის დახასიათებისას გამოიყოფა სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ჩამოყალიბებული სახით თანაარსებობენ. მათ აერთიანებთ შემდეგი ნიშნები: ერთნაირი შემადგენლობის კეცი, დაკბილული შტამპით შესრულებული ორნამენტი. გვირგვინების თითოეულ ვარიანტს გარკვეული ორნამენტული მოტივი შეესაბამება (ღრმა ირიბი ღარები, ჯვარედინი ხაზები, ტალღისებური, წიწვისებური და რომბული ბადის სხვადასხვა

ვარიაციები და ა.შ). დეკორის თავისებურებები იძლევა გვირგვინების ტიპოლოგიური გამიჯვნის შესაძლებლობას. ძვ.წ. IV-III სს-ის ქვევრის პირის გვირგვინებს ახალი ნიშნები უჩნდებათ: ზედა გვერდის სიგანე იზრდება, გარეთა კი სწორხაზოვანპროფილიანი ხდება, განივკვეთი კვადრატს უახლოვდება. ვანის დახურული კომპლექსების მასალების მიხედვით ჩანს, რომ ეს ნიშნები უცვლელი სახით არსებობს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე. საყურადღებოა, რომ მსგავსი ტიპის პირის გვირგვინები ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებშიც გვხდება (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:15-21,სურ.25-25). ძვ.წ. VI-IV სს. დათარიღებული ქვევრების ყელი ორი სახისაა: სადა და ორნამენტირებული. ჭარბობს სადა ნიმუშები. შემკულობის მოტივებში ხშირია ირგვლივი ქედები ან ნაჭდევები (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..., 1981:21-22, სურ.19-26). ადრეანტიკური ხანის ქვევრების მხრის შემკულობა ოთხი ვარიანტითაა წარმოდგენილი. მათ შორისაა მერიდიანული და ჰორიზონტალური ქედები, ერთმანეთში ჩასმული რელიეფური სამკუთხედები, ცხოველთა და ფანტასტიკურ არსებათა გამოსახულებები, გეომეტრიული სახეები. მსგავსი შემკულობის მქონე ქვევრები აღმოჩენილია კოლხეთის სხვადასხვა ძეგლებზე. ითვლება, რომ ასე მდიდრულად შემკულ ქვევრებს მიწაში არ დგემდნენ (ვაშაკიძე, 1973:74-75; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:99-100; ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი.., 1981:23, სურ.23-27,28; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:96-97). რაც შეეხება ქვევრების ტანის შემკობას ვანის მაგალითის მიხედვით გამოიყოფა სამი ვარიანტი. პირველი ორი ვარიანტის მთავარი მოტივი არის ირიბი და მერიდიანული ქედები, რომლებიც ხშირად ღილაკებით ბოლოვდება. მესამე ვარიანტი ხასიათდება ორნამენტის მეტი მრავალფეროვნებით. ჰორიზონტალურ და მერიდიანულ ქედებს ემატება ერთმანეთში ჩასმული ნალისებური მოყვანილობის ქედები. თვით ქედებზე კი ირიბი ნაჭდევებია დატანილი. არის სადა ზედაპირიანი ქედებიც. სადა ნალისებური ქედები უფრო გვიან ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებული ქვევრებისთვისაცაა დამახასიათებელი (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი...,1981:24-25,სურ.29-35). ქვევრების ძირები ძირითადად ბრტყელია, ტანს კუთხით უერთდება. შეერთების ადგილის გაფორმების მიხედვით ორი ვარიანტი გამოიყოფა. 1 - ძირი ტანისაგან არაა გამოყოფილი. 2 - ძირი

ტანისაგან გამოყოფილია. გამოზიდული კიდე მომრგვალებული ან სწორხაზოვნადაა ჩამოჭრილი. შესაძლოა ისინი დიდი ქვევრებისა იყოს. ასეთი ძირიანი ქვევრები კოლხეთში ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. VI-IV სს ძეგლებზე (ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი..,1981:25, იქვე სხვა ლიტ.).

გარდა ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალებისა სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ადრეანტიკური და კლასიკური ხანის საფონდო კოლექციებში დაცულია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის შეუსწავლელი მონაპოვრებიც (ფონდში დაცული არტეფაქტების და საექსპედიციო მუშაობის საველე დღიურების თუ ანგარიშების შესახებ ინფორმაციული დახმარება გაგვიწია მეცნიერ-თანამშრომლებმა: ნარგიზ სურმანიძემ და მალხაზ ნაგერვაძემ). ჯერჯერობით მოხერხდა მათი გრაფიკული ჩახატვა და ფოტოფიქსაცია.

წინაანტიკური და ანტიკური ხანის სხვადასხვა ორნამენტაციით შემკული კოლხური ქვევრების ფრაგმენტები დაცულია ასევე აჭარის მუზეუმის, ხ. ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში (აჭმ.18646; აჭმ.19330/37;აჭმ. 19330/52; აჭმ.19330/4;აჭმ. 18650;აჭმ. 19604; აჭმ. 18634;აჭმ.18640;აჭმ. 18635; აჭმ.18633; აჭმ.17534). ეს არტეფაქტები გასულ საუკუნეში კოხის არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. ისინი ჯერჯერობით არაა სრულყოფილად შესწავლილი კლასიფიკაციისა და ქრონოლოგიის მიხედვით. ამჯერად წარმოვადგენ მათ ფოტომასალას შესწავლა კი სამომავლო საქმეა (ტაბ.XIII,XIV/1-4).

**ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს. კოლხური სამაროვანი.** ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვნის თანამიმდევრული გეგმაზომიერი კვლევა 1966 წლიდან დაიწყო და მცირედი შესვენებებით დღეისათვისაც გრძელდება (კახიძე, ვიკერსი, 2004:11;16; კახიძე, 2016:41-54). ფიჭვნარელი კოლხების სამარხები მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდებარე შემაღლებულ ბორცვზეა განლაგებული, რომელსაც დღეს მოსახლეობა „ნაპურვალას“ ეძახის (კახიძე, 2016:55; კახიძე, სურმანიძე.., 2017:113-133). მიუხედავად იმისა, რომ ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე შესწავლილია რიგითი მეთემეების, საშუალო შეძლებისა და საკმაოდ

უქონელთა ფენის წარმომადგენელთა სამარხები, ისინი მაინც წარმოადგენს ძვირფას წყაროს კოლხეთის ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის. როგორც წესი სამარხეულ ინვენტარში წამყვან ადგილს იკავებს თიხის ჭურჭელი. ჩნდება ნაირნაირი სამკაული. კანონიკური ჩანს, ელინური სამყაროსათვის დამახასიათებელი „ქარონის ობოლის" ჩაყოლების რიტუალი, ხშირია უცხოური ფუფუნების საგნები და სხვადასხვა ნაკეთობანი. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით დასტურდება, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დასრულებულია ადრეკლასობრივი საზოგადოების, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ვაჭართა ფენის ფორმირება. აქაური მოსახლეობა ჩართულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებში, მჭიდრო კონტაქტები აქ დამყარებული ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრთან (კახიძე, ვიკერსი, 2004:17-30; კახიძე, 2014: 13-30; კახიძე, 2016:62-64). შესწავლილი კოლხური სამარხებისა (500-მდე) და სამარხეული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ადრეკლასიკური ხანიდან დაწყებულია ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესები. განსაკუთრებით ეს ითქმება ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის შემთხვევებზე, რომელიც წმინდა ელინური ტრადიციაა. ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე ბერძნული ნეკროპოლისაგან განსხვავებით კრემაციული სამარხები და სააღაპო მოედნები ჯერჯერობით არაა დაფიქსირებული. ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს, რომ დაკრძალვის რიტუალში მონაწილეობა მიუღიათ ბერძენ მოახალშნეებს. სამარხის თავზე თითქოსდა მათ მიერ შესრულებული ერთგვარი აღაპის ნაშთები შეინიშნება (კახიძე, 2016:56, ტაბ. 33/1). თვალსაჩინოა, რომ იმ ქვეყნად გაყოლებული ნივთების გარდა, ჭირისუფალთ შემდგომშიც, გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მიჰქონდათ მოსაკითხი, საიმქვეყნო საგზალი, რაც დასტურდება სხვადასხვა სახის ადგილობრივი თუ იმპორტული ჭურჭლების აღმოჩენით. დაკრძალვის ცერემონიასა და ჩაყოლებულ საიმქვენო ინვენტარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღვინოსთან დაკავშირებულ სატრანზიტო და სასუფრე ჭურჭლებს (კახიძე, 2016:61). ღვინო დაკრძალვის შემდგომ მიცვალებულის მოხსენიების რიტუალშიც აქტიურად გამოიყენებოდა. ერთ-ერთი სამარხეული ინვენტარის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ სავარაუდოდ დაკრძალვიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ ჭირისუფალს ამფორით ღვინო მიუტანია. თაზოსურ

ამფორაში ატიკური შავლაკიანი ბოლსალის ნატეხებიც დაფიქსირდა. ჩანს ღვინის ნაწილი სასმისითვე ქვესკნელის ღვთაებისადმი დაუტოვებიათ. თვალში საცემია, რომ საიმქვეყნო ინვენტარის დიდი ნაწილის ჩაყოლება თავისა და მხრის არეში ფიქსირდება, შედარებით ზომიერად კი ფეხების ახლო-მახლოც ლაგდებოდა). სიტყვას აღარ გავავრცობთ სამარხთა საერთო დახასიათებაზე, დაკრძალვის წესებსა და ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებაზე. აღსანიშნავია, რომ საიმქვეყნო ინვენტარში ჭარბობს ადგილობრივი თუ იმპორტული თიხის ნაწარმი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეღვინეობასთან დაკავშირებული სასუფრე, სატრანზიტო თუ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები. ადგილობრივი ნაწარმიდან ესენია: თიხის სადა თუ ყურმილიანი დოქები, ჯამები, სასმისები და ა.შ. უცხოური ნაწარმიდან კი მეღვინეობას უკავშირდება სხვადასხვა საწარმოო ცენტრის კერამიკული ტარა, ასევე ატიკური და იონური ნაწარმი (შავლაკიანი ბოლსალები, შავლაკიანი კილიკები, შავლაკიანი თასები, იონური ჯამები, სკიფოსები, ტოლჩა, ამფორები და სხვ.). ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ფორმისა თუ შემკობის მოტივების მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა. 1) ზოგადქართული, ზოგადკავკასიური, 2) საერთოკოლხური ნაკეთობანი, 3) ფიჭვნარული ფორმები, 4) ელინიზებული ფორმები (კახიძე, 2016:62-65).

დავიწყებთ ღვინის სმასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლების მიმოხილვას. ღვინის სმასთან დაკავშირებული ზოგადქართული, ზოგადკავკასიური ფორმებიდან ჩვენთვის საინტერესოა თიხის ჯამები. ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე ისინი მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა. მათი კედლები უსწორმასწოროა ხელით ნაძერწი. სხვადასხვა ზომის ჯამებს აქვთ შედარებით ფართო ძირი, ოდნავ მომრგვალებული ტანი არცთუ ისე მაღალია, ხშირად პირის შიდა კალთა სითხის შეჩერების მიზნით შიგნითკენაა მიმართული. კეცი მოშავო მონაცრისფრო. ფიჭვნარის ქვიშაზვინულების არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, ჩანს, რომ თიხის ჯამები გავრცელებას იწყებენ ადრერკინის ხანიდან (ძვ.წ. VIII-VII სს) ჯამები განსაკუთრებით თავს იჩენს ნაქალაქარის კლასიკური ხანის ფენებში და გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ადრეელინისტურ ხანამდე. შემდგომში კი უკვე ქუსლიანი ყავისფერკეციანი ჯამები იწყებს გავრცელებას

(კახიძე, 2016:65).

კოლხურ სამარხებში მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ყურმილიანი დოქები. ადრეულ ნიმუშებზე უკვე გვქონდა საუბარი. კლასიკური ხანის თუ მომდევნო ეპოქის ყურმილიანი დოქები ბევრგანაა აღმოჩენილი ხიხაძირი, კვაშტა, მახვილაური, ბათუმისციხე, კოლოტაური, გონიო-აფსაროსი, ყულევი, დაბლაგომი, ვანი და ა. შ. (კახიძე, 2016:67). ფიჭვნარი კი ძვ.წ. V საუკუნისათვის ყურმილიანი დოქების წარმოების ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრად გვევლინება. საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაში ყურმილიანი ხელადების ადგილობრივი დამზადება მოგვიანო პერიოდში, ახ.წ. I-II საუკუნეებში გრძელდება. თვით კოლხეთში კი ძვ.წ. III საუკუნეში ისინი აღარ იწარმოება (კახიძე, 2016:68, იქვე იხილეთ სხვა ლიტ.). ფიჭვნარის ყურმილიანი დოქების დიდი ნაწილი სამკაულითაა დაფარული როგორც წესი, ორნამენტირებულია ყურის, ყელის, მხრისა და და ტანის ცალკეული მონაკვეთები. არის სადა ნიმუშებიც. შემკობისას გამოყენებულია, როგორც წინარე ეპოქებისათვის დამახასიათებელი მოტივები, ასევე ეპოქისათვის დამახასიათებელი ნოვაციებიც (ტაბ.XIV/5). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შემკულობას იმეორებს 220-ე სამარხში აღმოჩენილი ყურმილიანი ხელადა (კახიძე, 2016:68; ტაბ. L/11; LXXI/17).

განსაკუთრებით გამორჩეულია ფიჭვნარის ქოთნისებრი ყურმილიანი დოქი, რომელსაც მდიდრული სამკაულის მიხედვით პარალელი არ ეძებნება (კახიძე, 2016:69; LXIX/1). ტანის ზედა ნახევარი დაფარულია წვრილი ჭდეებისაგან შედგენილი მცენარეული ორნამენტის სამ რიგს შორის დატანილია მჭიდროდ განლაგებული წერტილოვანი წრეხაზების ორი ჰორიზონტალური ზოლი. წელის არეში მოსდევს ასევე მჭიდროდ განლაგებული წრეხაზების რიგი. ყურის ზედა ბოლოზე სამკუთხედად განლაგებული სამი კოპია გამოსახული. რაც შეხება სხვა ნიმუშებს მათ შესახებ სიტყვას აღარ განვავრცობთ (კახიძე, 2016:69,LVIII/22;LXXXI/1;XLVIII /1,26;LXVIII/9 და ა.შ). ყურმილიანი ხელადების რიცხვი გაიზარდა 2014-2015 არქეოლოგიური კვლევების შედეგადაც. ადრე გამოვლენილ ნიმუშებს შეემატა ახალი ეგზემპლარები (კახიძე, სურმანიძე.., 2016:120, ტაბ.XXXV/5,8, XXXVI/2,3).

**სასმისები.** ფიჭვნარული სასმისებიდან აღსანიშნავია ღვინის სმასთან დაკავშირებული განსხვავებული ფიგურული სასმისი, რომელიც პირველად აღმოჩნდა 2014 წელს ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე №451 სამარხში. სასმისს აქვს გარეთკენ გადმოშლილი პირი და მაღალი, ცილინდრული ყელი. ტანი გადმოცემულია ოთხი კვერცხისებრი განშტოებით. თითოეულ მათგანს აქვს ბრტყელი დასადგამი (ტაბ. XIV/6). კეცი მონაცრისფრო-მოყვითალო (კახიძე, 2016:72,224, ტაბ. LXXXIV/11,12; კახიძე, სურმანიძე.., 2016:121, ტაბ.XXXVII/1; კახიძე, ფარტენაძე, 2017:87). მას ანალოგი არ ეძებნება ჩვენთვის ცნობილ სხვა მონაპოვრებს შორის. იგი მიეკუთვნება ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც ფართოდ გავრცელებულ ე.წ. ზიარჭურჭლის უძველეს სახეობას. მსგავსი ჭურჭლების შექმნის იდეას სათავე ადრებრინჯაოს ხანიდან  დაედო. მისი გავრცელების არეალიც ფართოა. ფიქრობენ, რომ ფორმა წარმოადგენდა სარიტუალო ჭურჭელს ისმებოდა დიდი დედისათვის განკუთვნილი წმინდა სითხე (ფხაკაძე, 2002:29-33, პაპუაშვილი, ჯიბლაძე, 2014:80-84). ჩანს, რომ ფიჭვნარელი მეთუნეებიც იშვიათად ამზადებდნენ წყვილყურიან ჭურჭელს (კახიძე, 2016:73; ტაბ.XL/12). საინტერესო ჩანს ე.წ. პელიკის ფორმის წყვილყურიანი ჭურჭელი, რომელსაც ადგილობრივ ნაკეთობათა შორის ანალოგი არ ეძებნება (კახიძე, 2016:73; ტაბ.LXVIII/11).

ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის საიმქვეყნო ინვენტარში ნაკლებადაა წარმოდგენილი ადგილობრივი სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები, რადგანაც საიმქვეყნოდ ისინი ნაკლებად გამოიყენებოდა (დერგები, ქვევრები). როგორც, ჩანს კოლხეთის შიდა რაიონებში ფართოდ  გავრცელებულ ქვევრსამარხთა კულტურას ზღვისპირეთამდე, მათ შორის ფიჭვნარამდე არ შემოუღწევია. სხვადასხვა წლების (1966, 1998 წწ.) არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულია დერგის პირის, ხელისა და მხრის რამდენიმე ფრაგმენტი. რაც შეეხება ქვევრებს, ისინი ერთეული შემთხვევების სახითაა დაფიქსირებული (1975/176;1987/210). ფიჭვნარში მოპოვებულია დერგის პირის ნატეხი, რომელსაც კალთაზე ჯვარედინი ხაზები აქვს დატანილი და კედლის ფრაგმენტი, რომელიც ფართო ღარებითაა დაფარული (კახიძე, 2016:73; XXXIX/10). აჭარის ძეგლებისაგან განსხვავებით დერგსამარხები გავრცელებული ჩანს აფხაზეთის თანადროულ სამაროვნებზე.

ზოგადკოლხური ფორმებიდან გვხდება სუფრისათვის განკუთვნილი სურისებრი ჭურჭელი (კახიძე, 2016: 74 ტაბ.LXXXII/4; LXXXII/1,LXXIV/7, LVIII/26,LXXXI/5) და მისი ნაირსახეობა ე.წ. ჭიჭლები, (კახიძე, 2016:74, ტაბ. LIX/17,LXXXIII/1), რომლებიც პატარა ზომის სასმისების ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ. კლასიკურ ხანაში ფართოდ ჩანს გავრცელებული კოლხური სასმისები, რომელთაც მეტოქეობას ვერ უწევს ბერძნული მრავალფეროვანი საღვინე ჭურჭელიც კი. კოლხური სასმისების ფორმათა ორიგინალობა და შემკობის მოტივები, ცხადყოფს, რომ ისინი კოლხ მეთუნეთა შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. ღვინის სმასთან დაკავშირებული ჭურჭლის ეს ფორმა, როგორც უკვე წინა თავში აღვნიშნეთ აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება ძვ.წ. VII საუკუნიდან, ხოლო ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მასობრივი წარმოების საგანი. კოლხურ სამაროვანზე სხვადასხვა წლების მონაპოვრებშიც გვხდება სწორკედლიანი, ძირისკენ შევიწროებული კონუსისებრი ტანი მქონე სასმისები (კახიძე, 2016:75, XLII/10,LXIII/9). აღსანიშნავია, რომ მაღალფეხიანი სასმისების დისკოსებური თუ კონუსისებური ძირები (ქ.ფ. 992 /2; ქ.ფ.06/8,20,24), ხშირად ჩნდება ჰუმუსოვანი ფენის გათხრების დროსაც. აშკარაა, რომ კოლხთა დაკრძალვის პროცესს გამოსათხოვარი ღვინის სმის რიტუალი ახლდა (კახიძე, 2016:75).

ფიჭვნარული ფორმებიდან აღსანიშნავია ასევე პატარა ზომის დოქები. ისინი მრავლადაა წარმოდგენილი და კოლხური კერამიკის სრულიად ახალ, განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან, როგორც შემკობის, ასევე ფორმის მიხედვითაც. მათი საერთო დაასიათება ასეთია: აქვთ მეტ-ნაკლებად გარეთკენ გადაშლილი პირი, ფართო მომაღლო ცილინდრული ყელი, დაბალი მომრგვალებული ტანი. ბრტყელი ზოგჯერ ოდნავ შიგნით შეწეული ძირი. ყურების განივკვეთი უპირატესად გეომეტრიული კონტურების მქონეა. როგორც წესი ყურის ზედა ბოლო პირზეა დაძერწილი, ქვედა კი ტანის არეში. ასეთი დოქების ზედაპირი საგულდაგულოდაა დამუშავებული მოშავო-მოყავისფროდ, ან ნაცრისფრად. ტანის დასასრული და ყელის დასაწყისი ხშირად დაფარულია სხვადასხვა ორნამენტაციის ჭდეებითა და წვეროებით პირისაკენ მიმართული უფუძო სამკუთხედების ზოლით. ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე ეგზემპლარზე. ამ ჯგუფის ერთი დოქი გამოირჩევა იმით, რომ

მარყუჟისებრი ყური ქოთნების მსგავსად ტანის არეშია დასმული (კახიძე, 2016 :77, ქ.ფ 1978, სამარხი.170, ტაბ. XLVIII/9 ). ზოგიერთი მათგანის ზედა ბოლოს მიუყვება ფართო ღარი, რომელიც დაფარულია მცენარეული ორნამენტით, ხოლო ერთ შემთხვევაში მრგვალგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლოზე დაძერწილია ოთხი მეჭეჭისებური კოპი (კახიძე, 2016:77, ქ.ფ.2005 სამარხი. 345, ტაბ. LXXIX/8). მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა ფიჭვნარული დოქები, რომელთა ტანზე, უფრო ზედა ნახევარზე დატანილია ვერტიკალურად განლაგებული რელიეფური ნუშისებრი თვალები. მათი რიცხვი სხვადასხვაა. ზოგზე დაშტამპულია სამ-სამი თვალი, მეტია ოთხ-ოთხ თვალიანი (კახიძე, 2016:77, ტაბ.XXXIX/3; XLII/3,9; XLVI/9), იშვიათია ექვსთვლიანიც (კახიძე, 2016:77, 2001/127, სამ.303, ტაბ.LV/11;LXXV/12). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ამ წამყვან მოტივს ერწყმის სხვა სახის ორნამენტი. ერთ-ერთ მათგანზე ექვს, ნუშისებრ თვალს შორის დატანილია მცენარეული ორნამენტის, ხუთი ვერტიკალური ზოლი (კახიძე, 2016:77, ტაბ. LII/25;LXXIII/8). განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი დოქი, სხვა ნიმუშების მსგავსად, ყელის დასაწყისს გარს უვლის ჭდეების ჰორიზონტალური ზოლი. ტანზე იკითხება დაუდევრად დატანილი ხუთი ნუშისებრი თვალის კონტურები (კახიძე, 2016:78, ტაბ. LXXIV/3). ჩანს, რომ დაკრძალვის რიტუალისათვის განკუთვნილი დოქი სახელდახელოდ დაუმზადებიათ. არაა გამორიცხული, რომ საკვებთან ერთად საიმქვეყნოდ ღვინოც ყოფილიყო გატანებული.

ფიჭვნარის კოლხური სამარხების არქეოლოგიურ მასალაში ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედიდან თავს იჩენს ელინიზებული კერამიკული ნაწარმი. მათ შორის პირველ რიგში, როგორც ჩანს კოლხთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ღვინის სასუფრე ჭურჭელმა. მათ შორისაა ოინოხოია. საბერძნეთში ღვინის ჩამოსასხმელ და გასაზავებელ ცალყურა სურას, რომელსაც ე. წ. სამტუჩა პირი ჰქონდა ოინოხოია ეწოდებოდა (ლორთქიფანიძე, 1971:122, ნახ.189-11; Блаватский, 1953:50). ოინოხოია გამოიყენებოდა კრატერიდან ღვინის ამოსაღებად და სხვადასხვა სასმისებში ჩამოსასხმელად. ფიჭვნარის ელინიზებული ოინოხოიის საერთო დახასიათება ასეთია: როგორც წესი ყველა მათგანს აქვს სამტუჩა პირი, დაბალი, ცილინდრისებური ყელი, ბიკონუსური თუ სფეროსებრი ტანი. ხშირად გვხდება

ისეთი ნიმუშებიც, რომელთა ტანის ზედა ნახევარი მომრგვალებულია, გარეთკენ გადაშლილი კედლები კი სწორხაზოვანი, ძირი ბრტყელი. სხვადასხვა სახეობისაა ყურებიც. ერთი ნაწილი წყვილღერიანია (კახიძე, 2016:80, ტაბ. LVII/7). არის ოთხკუთხაგანივკვეთიანებიც (კახიძე, 2016:80,ტაბ.LXX) და ოვალურგანივკვეთიანებიც. ფიჭვნარელ მეთუნეებს ოინოხოიის ყელის დასაწყისი საკმაოდ ხშირად დაფარულია წერტილოვანი (კახიძე, 2016:80, LIX/23), მცენარეული (კახიძე, 2016:80, XLIV/11;XLIX/14;LVIII/23), ჰორიზონტალური ღარებითა (კახიძე, 2016:80, LVII/21) თუ ჭდეებით (კახიძე, 2016:80, LVIII/5). განსაკუთრებით მდიდრული მორთულობით გამოირჩევა რამდენიმე ოინოხოია. მოვიტანთ აღწერილობას: ოინოხოია (ქ.ფ89/1. სამარხი.222). აკლია პირის მცირე მონაკვეთი, ყელი ცილინდრული, ტანი დაბალი, სფეროსებრი, ძირი ბრტყელი, ყური ოვალურგანივკვეთიანი. ზედა ბოლო შემკულია წერტილოვანი ჭდეებისაგან შედგენილი მცენარეული ორნამენტითა და წყვილი წერტილიანი კოპით. ტანის დასაწყისს შემოუყვება ჭდეების ჰორიზონტალური ზოლი, საიდანაც ეშვება სიმეტრიულად განლაგებული ბოლოც შემკულია ჭდეებით. კეცი მონაცრისფრო-მოყვითალოა (კახიძე, 2016:81, L/13; LXXI/14). ცალკე სახეობას ქმნის ოინოხოია, რომლის ტანის ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული მცენარეული ორნამენტითა და სიმეტრიულად განლაგებული დახრილი ვერტიკალური ხაზებით (კახიძე, 2016:81, XL/3). ერთ-ერთი მოხდენილი ფორმის ოინოხოიის ტანის ზედა ნაწილი მთლიანად დაფარულია ტალღისებური ორნამენტით (კახიძე, 2016:81, LV/6). ერთ-ერთი ნიმუშის შუა წელი კი დაფარულია მჭიდროდ განლაგებული მოკლე ვერტიკალური ზოლების ჰორიზონტალური სარტყლით (კახიძე, 2016:81, LVI/23). კოლხურ სამაროვანზე მოპოვებულია ასევე ოინოხოია, რომლის ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლოზე დაცულია გრაფიტო B. ტანის ზედა ნახევარი შემკულია პრიალა შავი ზოლებით (კახიძე, 2016:81, XLI/10;LXII/12). უნდა აღინიშნოს, რომ ელინიზებული ფორმების გაჩენასთან ერთად ჩნდება გრაფიტოც. გრაფიტოები თანადროული ბერძნული ნაკეთობებისთვისაა დამახასიათებელი. მსგავსი ელინიზებული ოინოხოიები, როგორც ადრეული ფორმები ასევე მოგვიანო ნიმუშები გარდა ფიჭვნარისა გვხდება დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზეც (დაფნარი,

დაბლაგომი და სხვ.). სამტუჩა ოინოხოიისებრი დოქები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც, რომელთა გავრცელება მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ურარტუს გავლენით აიხსნება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოინოხოიისებრი ჭურჭლების საქართველოში გავრცელების ორი დამოუკიდებელი გზა არსებობდა. უფრო ადრე აღმოსავლურ ქართულ კულტურაში შეღწეული ჩანს ურარტუსთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის გზით, ხოლო დასავლურ-ქართულ კოლხურ კულტურაში კი ძვ.წ. V საუკუნიდან საქართველოს ზღვისპირა ზოლის ბერძნულ სამოსახლოებთან კონტაქტების გზით. ამ პერიოდის თანადროული აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული სამტუჩა ოინოხოიისებრი ხელადები, როგორც ფორმის, ასევე სამკაულისა და კეცის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (კახიძე, 2016:82).

უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა, სამარხეული კომპლექსების დათარიღების, აქ დაკრძალულ პირთა სოციალური მდგომარეობის, ელინებთან ურთიერთობების შინაარსის შესწავლის საქმეში. მათ შორის მრავლადაა ინვენტარი, რომელიც უკავშირდება ღვინის სმასა და ტრანსპორტირებას. ისინი წარმოდგენილია ეგეოსურ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ამფორების. ატიკური მოხატული, ორნამენტირებული, თუ სადა შავლაკიანი კერამიკის, ასევე სადაზოლებიანი, ე.წ. ოინური ჭურჭლის სახით.

**ამფორა.** ჩვენთვის საინტერესო საიმქვეყნო ინვენტარიდან გამოირჩევა ღვინის სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭელი ამფორა. ამფორა ორყურა ჭურჭელია და მისი წარმოშობა ძველ აღმოსავლეთს ქანაანს უკავშირდება. ქანაანიდან ეგვიპტელების მეშვეობით მისი ეს ფორმა გადაიღეს ბერძნებმა, სრულყვეს და ფართოდ გაავრცელეს მთელ ანტიკურ სამყაროში, როგორც ყველაზე პრაქტიკული და მოსახერხებელი ჭურჭელი სამეურნეო თუ სავაჭრო საქმიანობისათვის. ამფორა განკუთვნილი იყო მარცვლეულის, ზეითუნის ზეთის, ღვინის, თხილის, თაფლის, პარკოსანი კულტურების, სუნელ- სანელებელის, მატყლის, ფისის, საღებავების, დაკონსერვებული ან დამარილებული თევზის და სხვა პროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის (Блаватский, 1953:36; ლორთქიფანიძე, 1971:161; ხალვაში,

2002:5-6, 94-97). მათი მთავარი დანიშნულება მაინც ღვინისა და ზეთის გადატანას უკავშირდება. ამაზე მიუთითებს ჭურჭლის ფორმის სტანდარტულობა, სრულიად გარკვეული სარწყაო ოდენობა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ბერძნულ ქალაქებში მზადდებოდა ფართოპირიანი დიდი ზომის ამფორები, რომლებიც პროდუქტების შესანახად იყო განკუთვნილი. ამფორების დანიშნულების კვლევისას გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი ანუ მისი პირველადი და მეორადი გამოყენება, შესანახი და სატრანსპორტო-გადასაზიდი საშუალება. ამფორა, როგორც თხევადი და მშრალი ნედლეულის გადასატანი საშუალება წამყვანი იყო, როგორც საზღვაო ისე სამდინარო ტრანსპორტირებისათვის. გემის ტრიუმის დახრილ კედელზე მიდგმული ამფორების პირველი რიგი წარმოადგენდა საყრდენს შემდეგი რიგებისათვის. მათი ძირი ჩაფლული იყო სილის ფენაში. ბერძნებმა ამფორების უსაფრთხოდ გადატანის მიზნით მოიგონეს თოკისაგან დამზადებული ე.წ. „ამფორების კვანძი“, რომლითაც იქმნებოდა ერთიანი შეკრული რყევისაგან დაცული კონსტრუქცია. ამგვარად შეკრული ამფორების რიგზე ლაგდებოდა ახალი რიგი. მსგავსი მეთოდით დატვირთული გემი ნაპოვნი იქნა მარსელთან ახლოს. ამფორის ტრანსპორტირება ხმელეთზე გაცილებით რთული იყო. ისინი გადაქონდათ ორთვალა ურმებით, რასაც ადასტურებს რომაული პერიოდის ფრესკებზე, მოზაიკებზე თუ რელიეფებზე უხვად წარმოდგენილი მსგავსი სიუჟეტები. პომპეისა და ეგვიპტური აკლდამის კედლებზე, ასევე ბაზელის ისტორიულ მუზეუმში დაცული კედლის მოხატულობის მიხედვით, ჩანს რომ ამფორების გადატანა ხდებოდა ორი ადამიანის მიერ მხრებზე გადებული გრძელი ჯოხის მეშვეობით, რომელზეც იყო ჩამოკიდებული ამფორა (ხალვაში, 2002:5, იქვე სხვა ლიტ.). რთული იქნებოდა ამფორების ტრანსპორტირება მთიან რაიონებში. რაც შეეხება ამფორების შემკულობას, ისინი უმეტესად სადაა. იშვიათად გვხდება საღებავით დატანილი მარტივი მოხატულობა, რომელიც უკავშირდება თუ რისთვის იყო განკუთვნილი ამფორა. გვხდება ამფორებზე ლაკით ან საღებავით დატანილი, არცთუ ისე მსხვილი ზოლები. ყველაზე ხშირად ამფორებს უკეთდებოდა სხვადასხვა სავაჭრო ნიშანი, რომელიც უკავშირდებოდა პროდუქციას, ფასსა და რაოდენობას. ყურისა და ყელის არეში ამფორებს უკეთდებოდა დამღა. მსგავსი ნიშნები საინტერესოა ამფორების

დათარიღებისა და წარმომავლობის შესწავლისათვის. სხვადასხვა სამრეწველო ცენტრისა თუ ეპოქის ნიმუშებს გააჩნია ფორმისა თუ შემკულობის კონკრეტული მახასიათებლები (Блаватский,1953:36-39).

გარდა სამეურნეო დანიშნულებისა ამფორებს იყენებდნენ სამარხებადაც, ან დაკრძალვის რიტუალის შესრულებისას (მაგ. მიცვალებულის სამარხთან დგამდნენ ღვინით სავსე ამფორას), მაგრამ ეს წესი უკვე ამფორის მეორადი გამოყენებაა და აღნიშნული მიზნებისათვის მათ სპეციალურადაც ამზადებდნენ. ამფორები მზადდებოდა ანტიკური საზოგადოებიდან მოყოლებული (ძვ.წ. VII-VI სს) ადრეული შუასაუკუნეების ჩათვლით (ზოგიერთ ადგილებში ამფორებს ახ.წ. X საუკუნემდე იყენებდნენ). ამათუ იმ დასახლებულ პუნქტებში სხვა საწარმოო ცენტრის ამფორების აღმოჩენა მოწმობს, რომ აქ იგი სავაჭრო ურთიერთობების გზითაა მოხვედრილი. ძვ.წ. VI-IV სს. ბერძნულ სამყაროში ამფორები მზადდებოდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში, რომელთაგან თითოეულს დამახასიათებელი ფორმა და კეცი ჰქონდა (ლორთქიფანიძე, 1971:116,161). არქაულ ხანაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ადრეულ და საკმაოდ გავრცელებულ  ჯგუფს ქმნიან ე.წ. „თეთრანგობიანი“ ამფორები. ამ ამფორების კეცი ძალზე უხეშია, სილანარევი. ზედაპირი თეთრი ფერის ანგობითაა დაფარული და შემდეგ მუქი ფერის (შავი) საღებავითაა მოხატული. „თეთრანგობიანი“ ამფორები ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირა ოლქებში (ჰისტრია, ბერეზანი, ნიმფეიონი, პანტიკაპეიონი, ბათუმის მიდამოები) უკვე ძვ. წ. VII ს ბოლოსა და VI ს დასაწყისიდან გვხდება. ამ ამფორების საწარმოო ცენტრი ჯერ დადგენილი არაა, მკვლევართა ერთი ნაწილი „თეთრანგობიან“ ამფორებს კუნძულ ქიოსის პროდუქციად მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1971:163).

როგორც ავღნიშნეთ, ამფორა ელინური დაკრძალვის ტრადიციაში ინტენსიურად გამოიყენებდა, თუმცა კოლხური მოსახლეობის დასაკრძალავ რიტუალში ეს ადათ-წესი არც თუ ისე გავრცელებული ჩანს.  იშვიათად ფიჭვნარელი ელინების მსგავსად ხის კუბოს გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ინვენტარის საერთო დონესთან შედარებით 10-15 სმ-ით მაღლა დგამდნენ. ზოგიერთი მათგანი სამარხეულ კომპლექსს არც უკავშირდება.

შესაძლებელია, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიცვალებულთა

სულის მოხსენიების მიზნით მიტანილი საღვინე ჭურჭელი ადგილზევე დაუტოვებიათ. ასეთივე სურათი ჩანს ღვინის დასალევად განკუთვნილი შავლაკიანი ჭურჭლის ზოგიერთ სახეობასთან დაკავშირებით (კახიძე, 2016:83; ხალვაში, 2002:6-7). კოლხურ სამაროვანზე შედარებით ხშირად ჩნდება ქიოსური ამფორები. მათი უადრესი ნიმუშები ბათუმის ციხეზეა გამოვლენილი (კახიძე, 1971:30-31, ტაბ I/1). გვიანარქაული ხანის ყელგამობერილი ქიოსური ამფორის კარგად დაცული ფრაგმენტები მოპოვებულია „ნაპურვალაზე," 1956 წელს ჯერ კიდევ ნინო ხოშტარიას მიერ. ეს ამფორა გამოირჩევა იმითაც, რომ ერთ-ერთ ყურზე წრეში ჩაწერილი წერტილია ნაკვეთი (კახიძე, 1971:32, ტაბ I/2). ასეთივე ნიშანი დატანილია ბათუმისციხის ამფორის ყურზეც (კახიძე, 1971:32,33, ტაბ I/7). საინტერესოა კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ყელგამობერილი ქიოსური ამფორა (კახიძე, 2016:83,LVIII/3). მას აქვს ცილინდრული ძირი, ბოლოში ოდნავ გაფართოებული ძირი, ფოსო ღრმა კალთებისაკენ გაწეული რაც მხოლოდ ამ პერიოდის ქიოსური ამფორებისათვისაა დამახასიათებელი. ტანი კვერცხისებური, კედლები არათანაბარი სისქის. დაბალი ყელი მკვეთრადაა გამობერილი, პირი მასიური და ელიფსისებური შემოწერილობის (კახიძე, ვიკერსი, 2014:31, სურ.16/3). მეტია ძვ.წ. V საუკუნის შუახანებისა თუ მეორე ნახევრის ქიოსური ამფორები. მათი კორპუსი უფრო მაღალია, მაღლდება ყელიც. მხარი მკვეთრადაა გამოხატული. ტანი კონუსისებრი, იცვლება ძირის კონფიგურაციაც. იწარმოება, როგორც შედარებით დიდი ასევე პატარა ზომის ამფორები (კახიძე, 2016:83, იქვე იხილეთ სხვა ლიტ). მთლიანი ტევადობის ქიოსური ყელგამობერილი ამფორა, რომლის სიმაღლე 68-70 სმ. უდრიდა დაახლოებით 21,5 ლ სითხეს იტევდა, ხოლო ნახევარტევადობისა კი 10,75 ლიტრ სითხეს (ლორთქიფანიძე, 1971:165-67).

მცირერიცხოვანი ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი რუხკეციანი ლესბოსური ამფორები, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგეიდაში, მთლიანად ანტიკურ სამყაროში და საქართველოს ზღვისპირეთშიც. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ძვ.წ. VII-IV საუკუნეების მეორე ნახევარი). მათი ტანი კონუსური მოყვანილობისაა, ყელი ცილინდრულია, მასიური გვირგვინით დაბოლოებული. ყურები მრგვალგანივკვეთიანია, კეცი რუხი ფერისაა და შეიცავს

ქარსის მბრწყინავ წვრილ მარცვლებს. ლესბოსური ამფორები ხშირად შავი ფერის საღებავითაა დაფარული. გვხდება ამ წრის წითელკეციანი ამფორებიც. ისინი გვხდება კოლხეთის, როგორც ზღვისპირა (ბათუმი, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები) ასევე შიდა რაიონებშიც (გურიანთა, დაბლაგომი). მნიშვნელოვანია, რომ წყაროებში კუნძული ლესბოსი მოიხსენიება, როგორც ყურძნის მტევნებით დახუნძლული, ღვინით მდიდარი მხარე (ლორთქიფანიძე, 1971:167: კახიძე, 2016:83, იქვე იხილეთ სხვა ლიტ). მთლიანად დაცული ლესბოსური ამფორა ნანახია ნაპურვალაზე ჯერ კიდევ 1956 წელს, როგორც ჩანს იგი ერთ-ერთ სამარხეულ კომპლექსში შედიოდა (კახიძე, 965:73,74, ტაბ.14:1971:41-42.სურ.3). 2005 წელს ფიჭვნარის კლასიკური ხანის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩნდა ლესბოსური ამფორა, რომელიც გამოყენებული იყო ახალშობილის დასაკრძალავ ურნად, რაც ერთადერთი შემთხვევაა კოლხური სამაროვნისათვის. აქვს რგოლისებრი პირი. მაღალი, ოდნავ შებერილი ცილინდრული ყელი, პროპორციული, კვერცხისებური მოყვანილობის ტანი, კორპუსისკენ ოდნავ გაფართოებული ცილინდრული ძირი. მრგვალგანივკვეთიანი ყური პირს ქვემოთაა მიძერწილი. კეცი ტიპური, ნაცრისფერი (კახიძე, 2016:84, LVII/1). არის ლესბოსური ამფორის ცალკეული ფრაგმენტებიც გამოვლენილი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ გვიანარქაულსა და კლასიკურ ხანაში ლესბოსს კოლხეთთან მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობა ჰქონდა.

კლასიკური ხანის ფიჭვნარის მონაპოვარში ცალკე ჯგუფს ქმნიან ე.წ. პროტოთაზოსური თუ „თაზოსის წრის“ ამფორები. ძვ.წ. V საუკუნიდან ბერძნულ სამყაროში ფართოდ ვრცელდება კუნძულ თასოსის ამფორები. კუნძული თასოსი ცნობილი იყო ღვინისა და ნელსაცხებლების წარმოებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შავიზღვისპირეთთან თასოსის პროდუქციით ვაჭრობაში ძვ.წ. V-ს საშუამავლო როლს ასრულებდა ათენი (ლორთქიფანიძე, 1971:168). ამ ჯგუფის ამფორა ფიჭვნარში „ნაპურვალას“ სამაროვანზე 1966 წელს 34-ე სამარხში აღმოჩნდა. მისი ერთი ნახევარი მთლიანადაა დაცული, ორივე ყურითა და ძირით. ძირი დაბალია, ცილინდრული მოყვანილობის, ბოლო საყრდენი არე ოდნავ ამობურცული. ცენტრში აქვს პატარა ფოსო. ტანი კვერცხისებური, მუცლის არე საკმაოდ ფართოა (დმ-32 სმ).

ფართოა ასევე მომრგვალებული მხრები, ყელი დაბალი. ამფორა გამოირჩევა იმითაც, რომ ერთ-ერთ ყურთან ნაკაწრი აქვს სვასტიკა - მზისა და მუდმივი მოძრაობის სიმბოლო (კახიძე, 1971:44; კახიძე, 2016:84, XLI/4). ფიჭვნარში ჰუმუსოვანი თუ სილნარი ფენების გათხრებისას მოპოვებულია სხვა თაზოსური ამფორებიც, როგორც მთლიანი ასევე ფრაგმენტების სახით. კლასიკური ხანის კოლხური სამარხების საიმქვეყნო ინვენტარიდან ჩანს, რომ ძვ.წ. V საუკუნისათვის ძველი კოლხეთისათვის ზეითუნის ზეთისა და სხვადასხვა ხარისხის ღვინის მიმწოდებელი კუნძულები ქიოსი, ლესბოსი და თაზოსი უნდა ყოფილიყო.

კოლხურ სამარხებში მრავლადაა ჩაყოლებული იმპორტული სასუფრე ჭურჭლები, რომლებიც საიმქვეყნოდ გაუტანებიათ გარდაცვლილთათვის. მათ შორისაა ჩვენთვის საინტერესო ღვინის სმასთან დაკავშირებული სამეთუნეო ნაკეთობანი. როგორც ჩანს, მასობრივი წარმოების მრავალი დასახელების ატიკური ვაზები წარჩინებულ კოლხთა ყოველდღიური მოხმარების საგანი ყოფილა. ფიჭვნარის რიგით და განსაკუთრებით ღარიბი ფენების წარმომადგენლებს ატიკურ მოხატულ კერამიკაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ატიკური შავფიგურული მოხატული კერამიკა კოლხური სამარხების საიმქვეყნო ინვენტარში ცოტაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ღვინის სასმელად განკუთვნილი შავლაკიანი კილიკების საუკეთესო ნიმუშები სწორედ კოლხურ სამაროვანზეა აღმოჩენილი.

ძვ.წ. VII ს. ბოლოსა და VI ს. პირველ ათეულ წლებში ბერძნულ მხატვრულ კერამიკაში ჩამოყალიბდა მოხატვის ახალი ტექნიკა - ჭურჭლის ზედაპირის წითელი ფონის შავი სილუეტით მოხატვა. ეს ტექნიკა შავფიგურული კერამიკის სახელწოდებითაა ცნობილი. შავფიგურული ნახატი სილუეტურია. ნარინჯისფერი ატიკური თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ზედაპირი ჯერ ჯანგმიწით ოდნავ შეფერილი გამჭვირვალე ფერის ანგობით იფარება და შემდეგ მაღალი ხარისხის შავი ფერის საღებავით (ე.წ. ლაკით) იხატება. შავფიგურიანი კერამიკის აყვავების ხანა ძვ.წ. VI საუკუნეა, მაგრამ შავფიგურული ტექნიკით მოხატულ ჭურჭლებს ვხდებით ძვ. წ II საუკუნემდე (ლორთქიფანიძე, 1971:135).

**კილიკი.** ფიჭვნარის მონაპოვრებში გამორჩეული ადგილი უკავია ღვინის სმასთან დაკავშირებულ ატიკურ შავლაკიან კილიკებს. ძველი ბერძნები ღვინის

დასალევად მრავალფეროვან ჭურჭელს იყენებდნენ. მათ შორის ყველაზე საყვარელი ღვინის დასალევი სასმისი იყო კილიკი. იგი ფართო პირიანი, ორყურა, ქუსლიანი ჯამია. კილიკი ანტიკური კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ფორმის არსებითი ცვლილებები განიცადა. ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევარსა და V საუკუნის დასაწყისში უპირატესად გავრცელებულია მაღალყელიანი კილიკები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტს გვაძლევენ. ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისიდან და შუახანებიდან კი ვრცელდება დაბალი კილიკები, რომელთა ქუსლი ლილვისებური მოყვანილობისაა. იგივე ფორმები ასევე მსუბუქი და დახვეწილი ხდება. ფიჭვნარში მოპოვებული კილიკები განსხვავდება პირის გვირგვინის მიხედვითაც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ ნატიფი კლასის კილიკები დიდი მოწონებით სარგებლობს ფიჭვნარელ კოლხებს შორის (Блаватский, 1953:45-48; ლორთქიფანიძე, 1971:121; კახიძე, 2016:89-91). შავლაკიანი კილიკები ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის სამარხეულ ინვენტარში მოზრდილ ჯგუფს ქმნიან. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები მერყეობს ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედიდან ბოლო მესამედის ჩათვლით. წარმოგიდგენთ რამდენიმე ნიმუშს. პირველად დავახასითებთ ადრეულ ფორმებს. მათ შორის აღსანიშნავია პატარა ზომის კილიკები. მათ აქვთ ვიწრო, დაბალი, რგოლისებრი ქუსლი, მცირე ტევადობისმომრგვალებული ტანი, მოგრძო რკალისებრი ყურები მიძერწილია ტანის არეში. ქუსლის გარეთა არე და ძირის ზედაპირი რეზერვირებულ-ანგობირებულია, ცენტრში მოხატულია წერტილიანი შავი ლაკის წრეხაზი, მოშორებით ერთი ან ორი ფართო წრეხაზი. ლაკი ადრეულია, საუკეთესო ხარისხის მოზეთისხილისფრო. ერთ-ერთის ძირის გარეთა ზედაპირზე დატანილია გრაფიტო (კახიძე, 2016:90, XL/2; LI/11; LXXII/9). მრავლადაა მასიურ კედლიანი ატიკური შავლაკიანი კილიკები. ისინი ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით თარიღდებიან და ღრმა ტევადობით გამოირჩევიან. მათ შორის ზოგიერთი ნიმუში, ათენის აგორის კილიკთა მსგავსია. რამდენიმე მათგანს ძირის გარე ზედაპირზე დატანილი აქვს გრაფიტო (კახიძე, 2016:90, LVI/10; LXXVII/17; LXII/11; LII/19; LXXIII/6, იქვე სხვ. ლიტ). განსაკუთრებული სინატიფითა და მაღალმხატვრული ნაკეთობით გამოირჩევა 2001 წელს 305-ე სამარხში აღმოჩენილი შავლაკიანი კილიკი

(კახიძე, 2016:91, LV/16; LXXVI/17). ძირის გარეთა ზედაპირი წიბოებით შემოფარგლული რელიეფური ზოლებითაა პროფილირებული. შიდა ზედაპირის ცენტრში დაშტამპულია რელიეფური წრეებით შემოფარგლული თორმეტი ოვი, რომელსაც გარს უვლის რკალებით დაკავშირებული ამდენივე პალმეტი. მეორდება წრეებით შემოწერილი ოვების წრეხაზი (მათი რიცხვი ორმოცს უდრის) შემდგომ ნაკვეთია დაშტრიხული ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან შედგენილი რომბისებრი ბადის ფართო ზოლი, რომელსაც გარს უვლის ოვების (81) მესამე რიგი. მეორდება ასევე რკალებით დაკავშირებული პალმეტების (40) კიდევ ერთი წრიული რგოლი. მედალიონი სრულდება წრეხაზებით შემოფარგლული ოვების (106) მეოთხე რიგით. ძირის გარეთა ზედაპირზე მოცემულია ლიგატურა HP. მდიდრულად მოხატული შავფიგურული კილიკი აღმოჩნდა 2010 წელს 412-ე სამარხში. იგი მიცვალებულს თავის არეში ჰქონია ჩაყოლებული. კილიკს ორივე მხარეს მოხატულია ერთგვაროვანი კომპოზიციით. კერძოდ მოზრდილ პალმეტებს შორის მოთავსებულია ორცხენიანი ეტლისა და მხედრის დინამიური გამოსახულებანი. მსგავსი სიუჯეტი ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ ვაზათმომხატველობაში. მას საკმაოდ ღრმა ტევადობის თასი და ზემოთკენ აზიდული წყვილი ტრაპეციისებრი ყური აქვს. მკვეთრად გამოყოფილი მომაღლო ცილინდრული ძირი, ბოლოვდება მკვეთრად გარეთკენ გაფართოებული დისკოსებრი ქუსლით. იგი ძვ.წ. V ს. პირველი მეოთხედით თარიღდება (კახიძე, 2016:85,LXXXII/5,LXXVIII/3).

**კანთაროსი.** ფიჭვნარის კოლხური სამარხების საიმქვეყნო ინვენტარში გვხდება ღვინის სმასთან დაკავშირებული მორიგი ფართოდ გავრცელებული ელინური ჭურჭელი კანთაროსი. კანთაროსი ღვინის დასალევი მაღალფეხიანი ჭურჭელია ზეაწეული ორი ყურით. ჭურჭლის ეს ფორმა ძვ.წ. VI-IV სს განიცადიდა არცთუ ისე მკვეთრ ცვლილებებს, რომელიც მხოლოდ პროპორციებისა და ფორმის საერთო იერის დახვეწაში აისახებოდა. ძვ.წ. IV-II სს ჩნდება კანთაროსის ერთგვარი ნაირსახეობანი. ვრცელდება ფართომუცლიანი კანთაროსი, რომლის ტანი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ზედა ნაწილი უფრო ვიწროა და ყელის შთაბეჭდილებას ქმნის, ხოლო ქვედა (მუცელი)უფრო გამობერილია (ხშირად ეს ნაწილი კანელურებითაა დაფარული). თავისებურია ჭურჭლის ყურების მოყვანილობაც. ისინი მშვილდივითაა მოხრილი

და ვერტიკალურად მიძერწილი, ხოლო ზემოდან, პირის დონე ჰორიზონტალურად მიძერწილ ღეროსთან შეერთებული. კანთაროსის მრავალი ვარიანტი გვხდება ელინისტურ ხანაში. აღსანიშნავია, რომ კანთაროსს, როგორც ღვინის სასმისს იყენებდნენ ბერძენი ღვთაებები. კანთაროსზე ხშირად გამოსახული იყო ღვინის ღვთაება დიონისე და თვით ჭურჭელიც მისი განუყრელი ატრიბუტი იყო. გამოიყენებოდა ასევე მსხვერპლშეწირვისა და კულტმსახურების დროსაც (ლორთქიფანიძე, 1971:122; კაჭარავა, 1977:115-116; Блаватский, 1953:48-49). ფიჭვნარელი კოლხის სამარხში გვხდება გამორჩეული Sent-Valentin-ის ტიპის კანთაროსი (კახიძე, 2016:86-87,LXXV/3,LIV/9). კანთაროსი (ქ-ფ- 001/103) მთლიანადაა აღდგენილი. პირი ფართო გარეთკენ გადაშლილი, ტანი მომაღლო, სწორი, ცილინდრისებრი. ძირთან შევიწროებული. ქუსლი რგოლისებრი. ბრტყელგანივკვეთიანი ვერტიკალური ყურების ზედა ბოლო მიძერწილია პირთან ახლოს, ქვედა ტანის არეში. ძირი ოდნავ ამობურცულია და მეწამული საღებავითაა ანგობირებული. კანთაროსის ტანის გარეთა ზედაპირი (გარდა მოხატულის) დაფარულია მოშავო- მოყავისფრო ლაკით, ხოლო შიდა შავი ლაკით.

ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე 1985 წელსაც იქნა მოპოვებული ამავე სტილის შტამპირებულორნამენტიანი კანთაროსის ცალკეული ნატეხები (კახიძე, 2016:87,LXXXI/24; კახიძე, ვიკერსი, 2004:36-37). ფსკერის შიდა ზედაპირის გარდა კანთაროსი მთლიანად დაფარულია სქლად წასმული საუკეთესო ხარისხის შავი ატიკური ლაკით. ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ატიკური კერამიკის ეს ჯგუფი დახურულ კომპლექსებში იშვიათად გვხდება, ფიჭვნარი ამ მხრივ გამოირჩეული ძეგლია (კახიძე, 2016:87,იქვე სხვა ლიტ.). მორიგი საინტერესო იმპორტული ნაკეთობაა, შავლაკიანი ტოლჩა. თვლიან, რომ მას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: სახაპავი (ჩამჩა), სასმისი, საწყაო, საჭაშნიკე და ა.შ. ტოლჩა მოსახერხებელი იყო მოგზაურობის დროსაც და გამოსახულებებში ჩვეულებრივ ვხედავთ მოგზაურებისა და ჯარისკაცების ხელში. ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე მოპოვებულია ამ სახის შესანიშნავი ნიმუში (კახიძე,2016:88,LXXI/9). იგი 1987 წ აღმოჩნდა № 212-ე სამარხში. ფორმა ტიპურია, პირი გარეთკენ გადაშლილი, ყელი ცილინდრული, ფართო, ტანი დაბალი, მომრგვალებული. წყვილღერიანი ყურის

გაფართოებული ზედა ბოლო პირზეა მიძერწილი, ქვედა – ტანის არეში. ძირი პროფილირებულია. ტოლჩის ზედაპირი მთლიანად გაფორმებულია წრეხაზების, პალმეტებისა და დაშტამპული ოვების სამკაულით. იგი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. გარდა ამისა ფიჭვნარში 1985 წელს #194 სამარხში მოპოვებულია ასევე სადა შავლაკიანი ტოლჩა (კახიძე, 2016:88,XLIX/11; LXX/11). ფორმა ტიპურია. ყური დაკარგულია. ტანს დაფარულია მკვეთრი, ფართო ვერტიკალური კანელურებით. ზედაპირი დაფარულია მოშავო-მოყავისფრო ლაკით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჭურჭელი უფრო ხშირად ჩნდება ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე. მათ შესახებ მომდევნო თავში გვექნება საუბარი. მორიგი ღვინის სასმელი ჭურჭელი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში და პოპულარობით სარგებლობდა ფიჭვნარელ კოლხებშიც, სკიფოსია. სკიფოსი ღრმა, ჭიქისებური ფორმის, ბრტყელ ძირიანი, ორყურა ჭურჭელია. ჰორიზონტალური ყურები, როგორც წესი, ზედა ნაწილზე, უშუალოდ პირს ქვემოთაა მიძერწილი, ხოლო მუცელი ქვემოთკენაა შევიწროებული და მთავრდება ბრტყელი ძირით, რომელსაც დაბალი, რელიეფური სარტყელით გამოყვანილი სადგარი აქვს. სხვა ღვინის სმასთან დაკავშირებული ჭურჭლებისაგან განსხვავდება ტევადობით. არქაული ხანიდან მოყოლებული ჭურჭლის ამ ფორმამ სხვა ბერძნულ სასმისებთან შედარებით ყველაზე ნაკლები ცვლილება განიცადა (ლორთქიფანიძე, 1971:119-120; Блаватский, 1953:48). ფიჭვნარში აღმოჩენილი შავლაკიანი სკიფოსების ადრეული ფორმები დიდი ზომისაა. ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედით თარიღდება 2014 წელს აღმოჩენილი სკიფოსი (კახიძე, 2016:89, LX/6, LXXXIV/4). მას აქვს რგოლისებრი ქუსლი, ერთიანი მრუდის მქონე ტანი, რგოლისებრი ყურები პირის არეშია მიძერწილი. ქუსლის საყრდენი არე ანგობირებულია. ცენრტში მოხატულია შავი ლაკის წერტილიანი წრეხაზი. სკიფოსი დაფარულია მაღალი ხარისხის შავი ლაკით. არის სხვადასხვა ზომის სხვა შავლაკიანი სკიფოსებიც, ერთ-ერთი  მათგანის ძირზე არის გრაფიტოც. საინტერესოა ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე 2014 წელს #439 სამარხში აღმოჩენილი კორინთული სკიფოსი (კახიძე, 2016:89,LXX, XIII/13). მას აქვს გამოყოფილი დისკოსებრი ძირი. გარეთკენ გაზიდული კალთა. შიდა არეს შემოუყვება წრიული ჩაღრმავება. ტანი თანაბრად გაშლილი, კონუსისებრი შემოწერილობის. პირი ფართო, რგოლისებრი ყურები

მიძერწილია პირთან ახლოს. ძირის გარეთა კალთა, ტანის დასაწყისი და ზედა ნახევარი შავი საღებავის სხვადასხვა სიფართის მუქი ყავისფერი ჰორიზონტალური ზოლებითაა შემკული. კეცი მოყვითალო, წვრილმარცვლოვანი. კლასიკური ხანის სკიფოსების წითელფიგურული ნიმუშები, თუ კორინთული ნაწარმი მოპოვებულია ბერძნულ ნეკროპოლზე და ციხისძირის სამაროვანზეც (კახიძე, 2016:89, იქვე სხვა ლიტ).

ღვინის სმას უკავშირდება ასევე კოლხურ სამარხებში მოპოვებული შავლაკიანი ბოლსალები. ბოლსალისათვის დამახასიათებელია ფრიალა ჯამი, პირისკენ ვერტიკალურად აზიდული კედელი, ზედმიწევნით დამუშავებული ქუსლი, პირთან ახლოს მიძერწილი წყვილი ყური. ხშირად ფსკერის შიდა ზედაპირი მარტივი ქარგის შტამპიანი სამკაულითაა გაფორმებული. ბოლსალების შიდა ზედაპირიც გაფორმებულია ფაქიზად შესრულებული გადაბმული თუ ჯვარედინად განლაგებული პალმეტებით. ჭურჭლის ამ სახეობის სიმრავლე მიუთითებს, რომ კოლხურ მოსახლეობაში ისინი ფართო მოხმარების საგანი ყოფილა (კახიძე, 2016:92, XLIX/10;XLIV/4;XLVIII/5,28;XLIX/1;LV/3) მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. V საუკუნით შემოიფარგლება. არის გრაფიტოიანი ნიმუშებიც, მათ შორის არის მიძღვნითი წარწერაც (ქფ.კ.V:396/1976,ს.113). ჭურჭელს ვინმე მუაკადოსი უძღვნის აპოლონს. ღვთაების სახელი ბოლსალის პირზეა ამოკაწრული, ხოლო დედიკანტის-მუაკადოსისა კი ჭურჭლის ძირზე. ჩანს, ვინმე მუაკადოსი ჭურჭელს უძღვნის აპოლონს (კახიძე, 2016:92,LXVI/13; ძნელაძე, 2007:37).

კოლხურ სამაროვანზე მეტნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი სითხის სმასთან დაკავშირებული მასობრივი მოხმარების სასუფრე ჭურჭლები. მათ შორისაა სადა და შავლაკიანი ჯამები თუ თასები (კახიძე, 2016:92-94).

**იონური ოინოხოიები.** კოლხურ სამარხებში გარდა ატიკური შავლაკიანი ჭურჭლებისა გვხდება იონური ნაწარმიც. ჩვენთვის საინტერესო მეღვინეობასთან დაკავშირებული მონაპოვრებიდან საინტერესოა იონური ჯამები, დოქები, ოინოხოიები თუ ამფორები. განსხვავებული ფორმით გამოირჩევა იონური ოინოხოიები. სამარხებში გვხდება სხვადასხვა ზომის ნიმუშები: პატარა, საშუალო და მოზრდილები. მათ შეიძლება მიეცეს საერთო დახასიათება. აქვთ სამტუჩა პირი,

არცთუისე მაღალი ფართო ყელი, მომაღლო სფეროსებრი ტანი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქუსლი, ბრტყელი თუ წვრილღერიანი ყური. პირის, ყურის, ყელის დასაწყისის და ტანის არე, როგორც წესი შემკულია მეწამული წითელი, მუქი, ყავისფერი ან განზავებული წითელი ფერის სადა ჰორიზონტალური ზოლებით. კეცი ღია მოყვითალო, წვრილმარცვლოვანია (კახიძე, 2016:96,XLI/13; LV/1; LVI/38;LXI/2; LXXVII/14; LXXXII/1; LXXV/1). კოლხურ სამარხებში ხშირად ჩნდება ასევე იონური  ჯამები და დოქები. საიმქვეყნო ინვენტარში გვხდება იონური სატრანზიტო ჭურჭელი - ამფორა. მოვიტანთ ერთ-ერთი ნიმუშის აღწერილობას. ამფორას აქვს მასიური ქული, გარეთკენ გაწეული სფეროსებრი ტანი. ცილინდრული ყელი, გარეთკენ გადაშლილი პირი, ყურები ოვალურგანივკვეთიანი. ყურის ზედა ბოლოების გასწვრივ ყელს მიუყვება რელიეფური ქედი, რომელიც შიდა არეში ქმნის შესაბამის შეზნექილობას. პირის შიდა კალთა, ყელის დასაწყისი, ტანი და ძირის არე შემკულია სხვადასხვა სიფართის ჰორიზონტალური ზოლებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ მონაპოვრებში მსგავს იონურ ამფორაში დაფიქსირდა ჩიტისა და თევზის რამდენიმე ძვალი. ჩანს რომ ღვინის გარდა ამფორებით მიცვალებულებს საიმქვეყნოდ სხვადასხვა პროდუქტსაც ატანდნენ (კახიძე, 2016:92,XXV/ 13; LXVI/4).

**ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი.** მევენახეობა-მეღვინეობის საკითხთა კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალებია მოპოვებული ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე. ადგილობრივი მოსახლეობის სამარხეული კომპლექსიდან (კოლხური სამაროვანი) 100-150 მ-ის მოშორებით მიკვლეულია თანადროული ბერძნულ ეთნოსთან დაკავშირებული ნეკროპოლი. ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი ძველი კოლხეთის, პონტოსპირეთისა და საერთოდ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ელინურ ეთნოსთან დაკავშირებული მეორე სამაროვანი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მთლიანად ამიერკავკასიაში არცაა ცნობილი. შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 500-ზე მეტი სამარხი და ათეულობით სააღაპო მოედანი. მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში გვერდიგვერდ განლაგებული კოლხური და ბერძენი მოახალშენეების სამაროვნები

და სამარხეული მასალები ადასტურებენ მათ შორის არსებულ მშვიდობიან ურთიერთობებს (კახიძე, ვიკერსი, 2004:48; კახიძე, მამულაძე, 2017:49).

ბერძნული ნეკროპოლი ჯერ კიდევ 1961 წ. მოექცა ყურადღების ცენტრში. სამაროვნის ტერიტორიაზე ზედაპირული მასალები შეგროვდა 1961-1964 წწ. 1967-1968 წწ. კი განხორციელდა საველე სამუშაოები, რომელმაც მდიდარი არქეოლოგიური მასალა გამოავლინა. ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე სხვადასხვა მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა 70-80-იან წლებში. 1989 წლიდან ქვეყანაში შექმნილი სიძნელეებიდან გამომდინარე შეწყდა საველე სამუშაოები და განახლდა 1998 წლიდან, როდესაც შეიქმნა საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველი საერთაშორისო ერთობლივი ექსპედიცია. მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2020 წელსაც (კახიძე, ვიკერსი, 2004:48-50; კახიძე, 2007:12-21; კახიძე, 2016:64). ბერძნული ნეკროპოლის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მათი შესანიშნავი დაცულობა, რაც საშუალებას იძლევა მთელი სიზუსტით განისაზღვროს დაკრძალვის წესები, სამარხთა ტიპები და ა.შ. (კახიძე, 2007:23-27). არქეოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ფიჭვნარელ ელინთა შორის ფართოდ ყოფილა გავრცელებული აღაპის წესი, რომელიც მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში სრულდებოდა. განსხვავებულია სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის განკუთვნილი სარიტუალო მოედნები და სააღაპო ინვენტარი. ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრიდან სახეზეა ფუფუნებით დაკრძალვები. ჩანს ამ დროისათვის ფიჭვნარელი მოახალშენეების ერთი ნაწილი სოციალ-ეკონომიურად უკვე დაწინაურებულა. მდიდრული სამარხები და სააღაპო მოედნები მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველია. ზოგიერთ სამარხებთან იმართებოდა დაკრძალვის შემდგომი რიტუალი. ანთებდნენ ხორცის შესაწვავად კოცონს. მსხვერპლად შეწირული ცხოველის თუ ფრინველის სისხლი ჩაიღვრებოდა ესხარიაში, რომელიც სამსხვერპლო ორმოზე ე.წ. ბოტროსზე იდგმებოდა. ცნობილია, რომ ფიჭვნარსა და ანტიკური სამყაროს სხვა ნეკროპოლებზე ესხარიების ფუნქციას ასრულებდნენ ძირმომტვრეული ამფორები. ქვესკნელის ღმერთების საპატივცემულოდ ღვრიდნენ, სწირავდნენ საზედაშე ღვინოს, ზეითუნის ზეთს, რძენარევ თაფლსა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ქელეხის შემდეგ დამსხვრეულ საღვინე ჭურჭელსა თუ სხვა

ნივთებს იქვე ტოვებდნენ (კახიძე,ვიკერსი,2004:62-63; კახიძე, 2007:31-32).

ღვინისა და სხვადასხვა პროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის განკუთვნილი ამფორები, რომლებიც ურნასამარხებად გამოიყენებოდა ძვირფას ნივთიერ წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. ფიჭვნარის კლასიკური ხანის ბერძნული ნეკროპოლის სამარხთა მცირერიცხოვან ჯგუფს ე.წ. ამფორასამარხები ქმნიან. ბერძნულ სამყაროში არსებული ტრადიციის მიხედვით 6 თვემდე გარდაცვლილ ბავშვს საგანგებო ჭურჭელში, ხშირ შემთხვევაში ამფორაში კრძალავდნენ. ციხისძირის, ფიჭვნარის, ეშერას, გონიო-აფსაროსისა და ბიჭვინთის მონაცემებით ჩანს, რომ ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის ეს რიტუალი საქართველოს ზღვისპირეთშიც შემოიჭრა. უძველესი ამფორასამარხები (ძვ.წ. VI ს ბოლო V ს. დამდეგი) აღმოჩენილია ციხისძირის სამაროვანზე, ხოლო ადრეკლასიკური ხანისა კი ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე (კახიძე, ვიკერსი, 2004:61; კახიძე, მამულაძე, 2016:49-50). დაკრძალვის წმინდა ბერძნული რიტუალის პარალელურად სახეზეა ზოგიერთი ადგილობრივი ელემენტი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ადრეული სამარხების მიხედვით. სამარხეულ ინვენტარში ბერძნულ ნაწარმს ზოგჯერ ცვლის ადგილობრივი სამეთუნეო ნაკეთობანი და ხშირად სამკაულები. ფიჭვნარელ ელინებს განსაკუთრებით მოსწონდათ კოლხური ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშები, საერთო კოლხური და ადგილობრივი, ფიჭვნარული თიხის ჭურჭელი. ელინთა სამარხებში ზოგჯერ კოლხური თეთრიც გვხვდება. ადგილობრივი მასალები ხშირად თავს იჩენს სააღაპო მოედნის დამწვარ-დანახშირებულ ფენებშიაც, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ელინი მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალში ადგილობრივი მკვიდრნიც მონაწილეობდნენ. სამარხეული ინვენტარის მიხედვით ჩანს, რომ მეტროპოლიის მსგავსად ძვ.წ. V ს შუა ხანები და მეორე ნახევარი ფიჭვნარის ბერძნული თემის ეკონომიკური და კულტურული ძლიერების ხანაა. ეს სამოსახლო იქცა საქართველოს ზღვისპირეთის, საერთოდ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, ბერძნული და კოლხური კულტურის ურთიერთობისა და ურთიერთზემოქმედების ადგილად (კახიძე, ვიკერსი, 2014:82-84; კახიძე, მამულაძე, 2016:36-37).

ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს. ბერძნული ნეკროპოლის მასალებში ყურადღებას

იქცევენ საღვინე ჭურჭლები. სამარხეული მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მეღვინეობასთან დაკავშირებული  სასუფრე, სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭლები და ამავდროულად ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ადგილობრივი და იმპორტული ნაკეთობანი. ზოგიერთი მათგანის ფორმებისა და დანიშნულების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. იმპორტულ სასუფრე ჭურჭლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ატიკურ კერამიკას. საპატიო ადგილს მოხატული შავფიგურული თუ წითელფიგურული ვაზები იკავებენ (კახიძე, ვიკერსი, 2004:68). ღვინისათვის განკუთვნილი სასუფრე ჭურჭლების განხილვას დავიწყებთ შავფიგურული ოინოხოიებით. 237-ე სამარხში აღმოჩენილი შავფიგურული ოინოხოია გამოირჩევა სილუეტური ტექნიკით შესრულებული ნახატით. ფრთოსანი ღვთაება, რომელიც ეშვება საკურთხევლისკენ, ხელში ფიალა უკავია, რომლიდანაც  თითქოსდა სითხე იღვრება (კახიძე, ვიკერსი, 2004:68, სურ.161). განსაკუთრებული სიუჟეტითა და მხატვრობის სტილით გამოირჩევა 195-ე სამარხში მოპოვებული შავფიგურულ ოინოხოია, რომელზეც მარჯვნივ მიმართული მხედარი და ცხენია გამოსახული (კახიძე, ვიკერსი, 2004:68, სურ.137). სიტყვას აღარ განვავრცობთ ზემოთ უკვე ნახსენებ ღვინის სმისათვის განკუთვნილ შავფიგურული ჭურჭლის ფორმებზე. მხოლოდ შევჩერდებით შავფიგურული კილიკის უადრეს ნიმუშზე ციხისძირიდან. დაბალძირიანი, ღრმა, პირშეზნექილი კილიკის გამოსახულება გადარეცხილია, ყურებთან შემორჩენილია პალმეტების, ხოლო გვერდებზე ვაზის რტოს გამოსახულება. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნის პირველი მეოთხედით ან მისი დასასრულით (ვაშაკიძე, ინაიშვილი, 1999:14).

ბერძნული ნეკროპოლის საიმქვეყნო ინვენტარში გვხდება წითელფიგურული ვაზებიც. მათგან ადრეულია წითელფიგურული ,,ბ’’ ტიპის სკიფოსი. ღვინის სმისათვის განკუთვნილ ამ ჭურჭელს კოტილასაც უწოდებენ. ძველ საბერძნეთში ფართოდ გავრცელებული, სკიფოსად წოდებული სასმისის ორი - „ა“ და „ბ“ ტიპი გამოიყოფა, იმის მიხედვით თუ როგორაა მიძერწილი ყურები. „ა“ ტიპი ჰორიზონტალურყურებიანია, „ბ“ ტიპის ნიმუშებს კი ერთი ყური ჰორიზონტალურად აქვს მიძერწილი, მეორე კი ვერტიკალურად.  ვერტიკალური ყური დამატებითი ფუნქციური ელემენტია, რომლის მეშვეობით ეს მომცრო სასმისი

თანადროული ცალყურა ტოლჩის მსგავსად სითხის სახაპავის ან ჩამჩის მოვალეობასაც ასრულებდა. „ბ“ ტიპის სკიფოსებზე ხშირად დატანილია წითელფიგურული სტილით შესრულებული ქალღმერთ ათენას სიმბოლოები: ბუ და ზეთისხილის რტოები. სწორედ ეს სიუჟეტია გამოსახული ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის 118-ე სამარხში (ქ.ფ. 86-124) გამოვლენილ „ბ“ ტიპის წითელფიგურულ სკიფოსზე. იგი დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით, ძვ.წ. 480 წ. (სიხარულიძე, 1988:67-70; კახიძე, 2007:273:სურ.39/3; კახიძე, 2007:78,სურ.15/1). სკიფოსების „ბ“ ტიპი წარმოდგენილია ციხისძირის სამაროვნის მასალებშიც. ისინი ათენის აგორის პარალელური მასალების მიხედვით ძვ.წ. 480-450 წწ არის დათარიღებული (ვაშაკიძე, ინაიშვილი, 1999:14).

გარდა განხილული ფორმისა სამარხეულ ინვენტარში ატიკური წითელფიგურული ჯგუფის ვაზებიდან გამორჩეულია ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ე.წ. სენტ- ვალენტინის კლასის კანთაროსი (ქ.ფ 2000/34,სამარხი. 190). ფიჭვნარის „სენტ-ვალენტინის“ ტიპის კანთაროსი მიესადაგება ჰოუარდ-ჯონსონისეული კლასიფიკაციით განსაზღვრულ რამდენიმე ჯგუფს. მის მოხატულობაში დომინირებს შავი, თეთრი და წითელი ფერით მოხატული, რომბები, ვერტიკალური ხაზები და ა.შ. მისი, როგორც წინა ასევე უკანა მხარე დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით. დასახელებული ატიკური მოხატული ჭურჭლები ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეთხედით თარიღდება (კაჭარავა, 1977:115-117; კახიძე, ვიკერსი, 2004:70- 71, სურ.129; კახიძე, 2007:273:სურ.39/2; კახიძე, მამულაძე, 2016:37-38).

ფიჭვნარელი ელინებისათვის უფრო მასობრივი მოხმარების საგანს წარმოადგენს სადა და ორნამენტირებული ატიკური კერამიკა. ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედის კომპლექსებში და სააღაპო მოედნებზე ხშირად გვხდება ღვინის სმასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლები: მაღალძირიანი შავლაკიანი თასები, თხელკედლიანი კილიკები, სხვადასხვა ტიპის ჯამები, სკიფოსები, ბოლსალები, ცალყურა თასები, ღრმა ტევადობის შავლაკიანი კილიკები, თას-კილიკები და სხვ. ვინაიდან ისინი უკვე შესულია სამეცნიერო მოიმოქცევაში, ამისათვის მხოლოდ ლიტერატურის მითითებით შემოვიფარგლებით (კახიძე, 1971:99-100; სიხარულიძე, 1987:51-105; სიხარულიძე, 1988:62-70; კახიძე, ვიკერსი,2004:71-73,სურ.169-170;

28;155;145;159;168;173; იქვე იხილეთ სხვა ლიტ.). საყურადღებოა ცალყურა თასები, რომლებიც იდეალურია მოგზაურობისა და ჯარისკაცებისათვის. ბრტყელი ფორმის გამო შესაძლებელი იყო მისი გამობმა სამგზავრო ტომარაზე. ცალყურა თასი გამოიყენებოდა, სხვადასხვა სითხისა და საკვების მისაღებად. ჭურჭლის ეს ფორმა გავრცელებული ჩანს ელინისტურ ხანაშიც (კახიძე, 2007:279; კახიძე, 2007:105 სურ.21 /1;22/1). გარდა ატიკური მოხატული თუ სადა შავლაკიანი ნაკეთობებისა სამარხეულ კომპლექსებსა და სააღაპო მოედნებზე გვხდება სადა ზოლებიანი იონური კერამიკაც. ყურადღებას შევაჩერებთ იონურ დოქზე, რომელზეც ამოკაწრულია ითიფალური სცენის ამსახველი გამოსახულება. ითიფალური გამოსახულებები ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმებოდა და დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბევრი ბერძენი ღვთაების (დიონისეს, დემეტრა, პერსეფონა) კულტმსახურებაში. ცნობილია, რომ დიონისესადმი მიძღვნილი საკულტო მსახურებისათვის დამახასიათებელი იყო მოსავლის აღებისას შესრულებული ფალიური სიმღერები, დიონისიებზე პროცესია ფალოსის გამოსახულებებს ატარებდა (კახიძე, ვიკერსი, 2004:74, სურ. 116; ძნელაძე, 2007:42).

ბერძნული ნეკროპოლისზე გამოვლენილ არტეფაქტებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ღვინის გაზავებასთან დაკავშირებულ ანტიკური ვაზათმომხატველობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. ჩანს, ფიჭვნარელ ელინთა სატრაპეზო სუფრას ამშვენებდა ღვინისა და წყლის გასაზავებელი, საყოველთაოდ ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი წითელფიგურული კრატერები (კახიძე, მამულაძე, 2016:66). ცნობილია, რომ ბერძნულ საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული კრატერი, ჭურჭელი, რომელიც აუცილებელი იყო ყოველი სუფრისათვის, რადგანაც ბერძნებისათვის გაუზავებელი ღვინის დალევა მიუღებელი იყო. კრატერში ხდებოდა ღვინის წყლით გაზავება. ბერძნები თვლიდნენ, რომ გაუზავებელი ღვინის დალევა ზღვარგადასულ თრობას იწვევდა. ტრადიციულად ისინი ერთ წილ ღვინოზე ორ წილ წყალს ურევდნენ და ისე მიირთმევდნენ. კრატერი ჯერ კიდევ გეომეტრიული სტილის ეპოქიდან (ძვ.წ. IX-VIII სს.) ჩნდება და ბერძნული კერამიკის არსებობის ყველა ეტაპზე არსებობდა. ანტიკური ხანის სხვადასხვა საფეხურზე გავრცელებული იყო კრატერის რამდენიმე ნაირსახეობა.

კრატერის ფორმა წინაარქიული ეპოქიდან მოყოლებული განიცდიდა სხვადასხვა სახის ცვლილებას. მისთვის დამახასითებელია სადა, პრაქტიკული ფორმა. მასიური, ღრმა ტევადობის ტანი. ტანისაგან გამოყვანილი დისკოსებური ძირი. სახელურები მიმაგრებული აქვს პირის ან მხრის არეში. (Блаватский, 1953:42-43; ლორთქიფანიძე, 1971:117). ადრეკლასიკური ხანის წითელფიგურული სტილის მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს 1967 წელს ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის პირველ სამარხში აღმოჩენილი ჯამისებური (a calice) ფორმის კრატერი. იგი დამზადებულია ატიკაში დაახლოებით ძვ.წ. 450 წელს. მისი მომხატველია ე.წ. ნიობიდების მხატვარი. იგი წითელფიგურული ვაზათმომხატველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია და ითვლება მონუმენტური ვაზათმომხატველობის ფუძემდებლად. ფიჭვნარის კრატერის მდიდრული მხატვრობა ორფრიზიანია. ზედაპირი შემკულია ვოლუტებიანი პალმეტების, ლოტოსის ყვავილების, ოვების ორნამენტის, მეანდრისა და ჯვრების ჰორიზონტალური ზოლებით. (კახიძე, 1975:34-43; სიხარულიძე, 1987:60-65; კახიძე, 2007:274-278, სურ.40-41; კახიძე, 2007:79-82, სურ. 23-27; კახიძე, მამულაძე,2017:38-40,ტაბ.63,65). რაც შეეხება მითოლოგიურ პერსონაჟებსა და სცენებს, რომლებიც კრატერზე ორ ფრიზადაა განლაგებული, სიტყვას აღარ განვავრცობთ. მომდევნო წითელფიგურული სვეტისებრყურიანი კრატერი (ქფ.68/78,89. სამარხი.22) მიეკუთვნება პოლიგნოტოსის ჯგუფს და თარიღდება ძვ.წ. 440 წლით. კრატერის წინა მხარე სამფიგურიანი კომპოზიციითაა გადმოცემული (ფრთოსანი ქალის ფიგურა ეოსი და შუბოსანი ჭაბუკი კეფალოსი). ნაწილობრივაა გადარჩენილი უკანა მხარეს გადმოცემული მდგომარე ფიგურა (სიხარულიძე, 1987:66-67; კახიძე, 2007:82,სურ.63/1,2; კახიძე, მამულაძე, 2016:40 ტაბ.60). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კიდევ ერთი წითელფიგურული, ზარისებური კრატერი, რომელიც აღმოჩნდა 2005 წელს ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლზე. იგი ნაწილობრივ არის აღდგენილი. მის წინა მხარეზე გამოსახულია სავარძელზე მჯდომარე უზენაესი ღვთაება ზევსი და ფრთოსანი ირისი, რომელიც დოქიდან უვსებს კანთაროსს. უკანა მხრის სიუჟეტის განსაზღვრა არ ხერხდება. მსგავსი ტიპის კრატერების გავრცელება იწყება ძვ.წ. 500 წლიდან (კახიძე, ვიკერსი, 2004:72,სურ. 49; კახიძე, მამულაძე, 2016:40, ტაბ.61).

**სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭელი. ამფორები.** სამეურნეო კერამიკის ეს სახე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შესაბამისი ეპოქის მეტროლოგიის, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის კვლევისათვის. ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლისის შესწავლამ აჩვენა, რომ ფიჭვნარელი ელინები სხვადასხვა სახის, ზოგჯერ ძვირადღირებული ღვინის ფართო მომხმარებლები ყოფილან. სამარხეულ ინვენტარში და სააღაპო მოედნებზე გვხდება სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული ამფორები. ღვინის ფართო მოხმარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ისინი ზოგჯერ ღარიბულ სამარხებშიაც გვხვდება. შედარებით დიდი რაოდენობით გვხდება ღვინითა და მონათვაჭრობით ცნობილი ცენტრის ქიოსის ამფორები. ადრეული ნიმუშები ე.წ. თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები აღმოჩენილია ბათუმისციხეზე, რომელიც უძველეს ბერძნულ იმპორტს მიეკუთვნება და ძვ.წ. VII ს. ბოლოთი და VI ს. დამდეგით თარიღდება. ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ ქიოსური ამფორების სამი სახეობის თანაარსებობაზე. ისინი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა. პირველში ერთიანდება ძვ.წ. V. ს. მეორე მეოთხედის, ხოლო მეორეში ძვ.წ. V ს. მესამე და მეოთხე მეოთხედების ნაკეთობანი. ქიოსური ამფორების მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება ორი სტანდარტის: დიდი (21 ლ) და პატარა (დიდი ამფორის ნახევარი) ზომის ამფორები. ფიჭვნარის სამაროვნებისა და ნაქალაქარის ძვ.წ. V საუკუნის მრავალრიცხოვანი მასალების მიხედვით ჩანს, რომ აქ მცხოვრებ ბერძნებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობდა კუნძულ ქიოსის ღვინო. მისი იმპორტი გრძელდებოდა ძვ. წ. IV საუკუნეშიც. ამ პერიოდისათვის გავრცელებული ჩანს ე.წ. ჩაჩისებრძირიანი ამფორები. ხშირია მათი გამოვლენის შემთხვევები ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზეც, ქიოსური ნაწარმი გამოვლენილია კოლხეთის, როგორც ზღვისპირა ასევე ცენტრალურ რაიონებში. რაც ადასტურებს ქ. ქიოსსა და კოლხეთს შორის უშუალო, პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობას (კახიძე, 1971:112-113; კახიძე, 1975:11-13, ტაბ.4/1, 6/2,3, 7/1,2; ხახუტაიშვილი, 1989:74-79; კახიძე, ვიკერსი, 2004:65-66, სურ.141,144; სურ.179; სურ.121; კახიძე, 2007:61,63; კახიძე, 2007:260; კახიძე, ვიკერსი, 2014:68; კახიძე ა. კახიძე ე, 2014:21-22,ტაბ. 24/15,64/4,69/2; კახიძე, მამულაძე, 2016:36-

37, ტაბ.72).

ბერძნული ნეკროპოლის ინვენტარის მიხედვით მჭიდრო კონტაქტები ჩანს ღვინით მოვაჭრე კ. ლესბოსთანაც. წერილობითი ცნობების მიხედვით დასტურდება, რომ კ. ლესბოსზე საუკუნეების მანძილზე არსებობდა ღვინის ფართო წარმოება. სხვადასხვა ბერძენი ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა აქაურ ღვინოს და მიუთითებდა, რომ ლესბოსურ ღვინოზე უფრო სასიამოვნო არ არსებობდა. მათი სიტყვით, ლესბოსურმა ღვინომ არ იცის თავის ტკივილი, სასარგებლოა კუჭისათვის და დაჰკრავს ზღვის გემო, უფრო გამჭვირვალეა ვიდრე ქიოსისა და კნიდის ღვინოები. კ. ლესბოსი წყაროებში მოიხსენიება, როგორც ყურძნის მტევნებით დახუნძლული, ღვინით მდიდარი მხარე. ყველაზე მეტი ღვინო კუნძულის ჩრდილო რაიონებში იწარმოებოდა. საქალაქო მონეტების მიხედვით დასტურდება დიონისეს კულტის არსებობა. ლესბოსური ღვინით ვაჭრობდნენ პონტოელი სოვდაგრები. ლესბოსური ამფორების ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. VII ს შუახანებიდან ძვ.წ. IV ს. შუახანებამდე. ადრეული ნაცრისფერკეციანი ნიმუშები დიდი ზომისაა ხოლო ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება წითელკეციანი მცირე მოცულობის ფორმები. ლესბოსური ამფორების ტევადობა მერყეობდა 33,6 - 11,2 ლიტრას შორის (Монахов, 2003:43-49,იქვე სხვა ლიტ., კახიძე, ვიკერსი, 2004:66-67; კახიძე, 2007:64). ლესბოსის ჯგუფის ამფორა პირველად 1956 წელს ნაპურვალას ბორცვზე იქნა მიკვლეული. 1962 წლიდან კი კუნძულ ლესბოსის პროდუქცია გვხდება დაბლაგომის, ფოთის, გურიანთის, ბათუმისციხისა და ციხისძირის შესწავლისას. მათი რიცხვი საკმაოდ გამრავლდა მომდევნო წლების (1986, 1998-2002, 2005) მონაპოვრებშიც (კახიძე,1965:82; კახიძე,1971:113; კახიძე, ვიკერსი, 2004:66; კახიძე, 2007:261; კახიძე, 2007:64,სურ.96.7; კახიძე, მამულაძე, 2016:37).

ძვ.წ. V ს 80-იანი წლებიდან ფიჭვნარის მონაპოვარში წამყვან ადგილს იკავებს, თაზოსისა და მასთან დაკავშირებული წრის კერამიკული ტარაც. აღიარებულია, რომ თაზოსური პროდუქცია შავიზღვისპირეთში ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით ვრცელდებოდა. ცნობილია, რომ ბერძნული სამყაროს მრავალრიცხოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებიდან ღვინისა და ზეითუნის ზეთის ექსპორტში დიდ როლს ასრულებდა საშუამავლო ვაჭრობა. რაც დადასტურებულია, როგორც წერილობითი

წყაროებითაც ასევე ნივთიერი მასალით. საყურადღებოა, რომ ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლის სამარხეულ ინვენტარში გვხდება, მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის თაზოსის კერამიკული ტარა. ისინი ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ანტიკური სამყაროს სხვა რეგიონებში. გვხდება, როგორც ე.წ. პროტოთაზოსური, თაზოსის წრის და თვით თაზოსური ამფორები.

ამ წრის ამფორები ხშირად ფიქსირდება ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლისის სააღაპო მოედნებზეც. 2002 წელის არქეოლოგიური კვლევების დროს აღმოჩნდა ერთ-ერთი თაზოსური ამფორა (სამარხი.238), რომელიც ახალშობილის დასაკრძალავ ურნადაც ყოფილა გამოყენებული. 174-ე სამარხში მოპოვებულ ამფორას გრაფიტოც ჰქონია დატანილი. სავარაუდოდ ქტონური ღვთაებების სახელის აბრევიატურებია გადმოცემული 2002 წელს ფიჭვნარის ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე მოპოვებულ თაზოსურ ამფორაზეც. თაზოსური ამფორები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე: ბათუმისციხე, ციხისძირი, კოხი, გურიანთა, ფაზისის მიდამოებში, დაბლაგომი, დაფნარი და ა.შ. (ლორთქიფანიძე, 1971:162; კახიძე, ვიკერსი, 2004:67,სურ.119;162-163; კახიძე, 2007:65-66; კახიძე ა. კახიძე ე, 2014:22, ტაბ.31/7; კახიძე, ვიკერსი, 2014:68,სურ.45/2; კახიძე, მამულაძე, 2016:37, ტაბ. 72/3,4). საინტერესოა 310-ე სამარხში ბრინჯაოს ჩამჩასა და შავლაკიან ბოლსალთან ერთად აღმოჩენილი თაზოსური ამფორა.

დიდია ინტერესი ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე 1968 წელს მოპოვებული მენდეს ადრეული (ძვ.წ. V ს ბოლო მეოთხედი) ამფორისადმი, რადგანაც ესაა ქალქიდიკის (ეგეიდის ჩრდილო სანაპირო) ერთობ ცნობილი და ძვირადღირებული ღვინის იმპორტირების პირველი შემთხვევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. არქეოლოგიური მონაპოვრებთან ერთად წერილობითი ცნობებითაც დადასტურებულია, რომ მენდეს ღვინით მარაგდებოდა, როგორც ეგეოსის ასევე პონტოსპირეთის რეგიონები. საინტერესოა მენდეს ამფორის ყურზე დატანილი დამღა, რომელიც იმეორებს მენდეს მონეტის გამოსახულებას (დიონისე სახედარზე). აღსანიშნავია, რომ ანტიკურ სამყაროში მენდეს ღვინოს მიიჩნევდნენ სამკურნალო საშუალებადაც. ძვ.წ. IV-III ს ბერძნული ნეკროპოლისა და ნაქალაქარის

კულტურული ფენების მასალების მიხედვით ჩანს, რომ მენდეს ღვინის იმპორტირება განსაკუთრებით გაზრდილია. მენდეს ღვინის იმპორტი გრძელდება მომდევნო ეპოქებშიაც, რაც დასტურდება ე.წ. კათხისებრძირიანი ამფორების მასობრივი აღმოჩენებით. ცალკეული ფრაგმენტები მოპოვებულია ბათუმისციხესა და ვანის ნაქალაქარზე (კახიძე, 1971b:48-49; ფუთურიძე, 1983:20,№35-37; Брашинский, 1984:33-38; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:85; Монахов, 2003:88; კახიძე, 2007:68-69, სურ. 59/3,60/1, იქვე სხვა ლიტ; კახიძე ა. კახიძე ე, 2014:22-23, ტაბ.18/1,24/14; კახიძე, მამულაძე, 2016:37, ტაბ. 72/5).

ძვ.წ. IV საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებას იწყებს პონტოსპირეთის კერამიკული ტარაც. მათ შორისაა ჰერაკლეას ამფორები. ფიჭვნარის გარდა მისი ადრეული ნიმუში შემთხვევითაა ნაპოვნი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე (ადგილი ჭაობი). სხვა საწარმოო ცენტრების კერამიკული ტარიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ე.წ. სოლოხას ტიპის (ბიზანტიონის) და პანტიკაპეონის ამფორები, მაგრამ მათი რიცხვი მოკრძალებულია. კერამიკული ტარის მიხედვით ჩანს, რომ აჭარის ეს ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ანტიკური სამყაროს არა ერთ მნიშვნელოვან სახელოსნო და სავაჭრო ცენტრთან. გარდა ზემოთ დასახელებული ცნობილი სახელოსნო ცენტრების ამფორებისა ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლზე გამოვლენილია პატარა ზომის ყელგამოზერილი ამფორები, რომელთა საწარმოო ცენტრები ზუსტად არაა განსაზღვრული (კახიძე ა, კახიძე ე., 2014:23-25,13/2,15/4,19/7,32/3,17/6-7; კახიძე, მამულაძე, 2016:37. ტაბ.85/1). მეღვინეობასთან დაკავშირებული უახლესი სამარხეული ინვენტარი გამოვლინდა ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ჩვენთვის საინტერესო სამარხეულ ინვენტარში წამყვან ადგილს იმპორტული თუ კოლხური სამეთუნეო ნაკეთობანი იკავებს.

იმპორტული კერამიკული ტარა სატრანზიტო ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. ადრეული მონაპოვრების მსგავსად სახეზეა კუნძულ ქიოსის, თაზოსის თუ თაზოსის წრის ამფორები. ჩანს კვლავ გრძელდება ძვირადღირებული ღვინოების იმპორტირება, რასაც ადასტურებს ძვ.წ. IV საუკუნისათვის ქალქიდიკის ცნობილი ცენტრის–მენდეს ე.წ. კათხისებრძირიანი ამფორები. ახალ აღმოჩენათა რიცხვს

მიეკუთვნება ამ სახის ამფორების ორიოდე ყური. ძვ.წ. IV საუკუნის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებას იწყებს პონტოსპირეთის კერამიკული ტარაც. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჰერაკლეის (თანამედროვე ერეგლი) ამფორები. ისინი წამყვან ადგილს იკავებენ ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლის სამარხეულ ინვენტარში. აქვთ სამკუთხა მოყვანილობის პირი (ზედა კალთა ოდნავ მომრგვალებულია), მაღალი, ცილინდრული მხრებისკენ ოდნავ გაფართოებული ყელი, დაქანებული მხრები, კონუსისებრი ტანი, სადგამისკენ ოდნავ გაფართოებული ცილინდრული ძირი. ძირს გააჩნია მკვეთრად გამოსახული კონუსისებრი შეღრმავება. კეცი მოყავისფრო-მოყვითალო, მინარევებიანი. ამ ცენტრის ამფორები წარმოდგენილი იყო სამ სამარხში. ერთ-ერთი მათგანი 147-ე სამარხში ფეხების არეში ყოფილა ჩადგმული. მთლიანადაა დაცული და, როგორც წესი, მოხდენილი პროპორციების მქონეა. მისი ზომებია: სიმაღლე – 66 სმ, პირის დიამ – 10,6 სმ, ყელის – 12 სმ. ტანის – 25 სმ, ძირის – 5,4 სმ (ტაბ.XV/1).

თითქმის მთლიანად აღდგა 148-ე სამარხის ჰერაკლეის ამფორა. მისი ზომებია: შემორჩენილი სიმაღლე-50 სმ, ყელის დმ-13 სმ, ტანის სიფართე-25 სმ, ძირის დმ-5 სმ (ტაბ. XV/2). 146-ე სამარხის ჰერაკლეის ამფორის მხოლოდ ტანის ქვედა ნახევარია გადარჩენილი, მისი ზომებია: სიმაღლე – 22 სმ, ძირის დმ – 5,2 სმ, კონუსისებრი ფოსოსი – 1,3 სმ. როგორც ჩანს გვიანკლასიკური ხანიდან, ფიჭვნარის მოსახლეობას ახლო კონტაქტები დაუმყარებია სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქ. ჰერაკლეასთან. მოცემულ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრთან სასაქონლო ურთიერთობანი წინ უნდა უსწრებდეს ამ რეგიონის საყოველთაოდ ცნობილ სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრანზიტო ცენტრ სინოპესაც კი.

ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე შედარებით მრავალრიცხოვანია ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი. გრძელდება ბერძნულ სამარხებში ადგილობრივი ღვინის სასუფრე ჭურჭლის, კოლხურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული, ე.წ. ყურმილიანი დოქების ჩაყოლება. ამ ტიპის დოქი აღმოჩნდა 145-ე სამარხში. აქვე მოვიტანთ მის მოკლე აღწერილობას. ყურმილიანი დოქს მომტვრეული აქვს პირის ზედა მონაკვეთის გარკვეული ნაწილი. აქვს კონუსისებრი ყელი (პირი ყელისგან არაა გამოყოფილი), ბიკონუსური ტანი, ბრტყელი ძირი,

მილიანი ყური. ყელის დასასრული შემკულია ჰორიზონტალური რგოლებით. კეცი მონაცრისფრო, სადა, სიმაღლე – 15,5 სმ, პირის დმ–8 სმ, ტანის დმ–12,5 სმ, ძირის - 6 სმ (ტაბ. XV/4). კიდევ ერთი თიხის დოქი აღმოჩნდა 144-ე სამარხში. მთლიანად დაცული. აქვს მაბრისებრი პირი, სფერული ტანი, ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო, პირის ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა–ტანის არეში. ძირი ბრტყელი. კეცი განატეხში მოყავისფრო. ტანის დასაწყისი შემკულია ოდნავ დახრილი, პატარა ზომის ჭდეებითა და სადა ზოლით შემოფარგლული, მჭიდროდ განლაგებული წვრილი ხაზებით გამოსახული ტალღისებრი ორნამენტის საკმაოდ ფართო ჰორიზონტალური სარტყლით. სიმაღლე – 17 სმ, პირის დმ – 7 სმ, ტანის - 14 სმ, ძირის – 7,5 სმ. ყელი, პირი და ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა დაბოლოება არაა შერჩენილი. არის სწორი პირისა და ყელის ორიოდე ნატეხი. ტანი სფეროსებრი, ძირი - ბრტყელი, სადა. სიმაღლე ყურის ზედა ბოლომდე - 20,5 სმ, ყელის - 7 სმ, ტანის - 18 სმ, ძირის დიამ. – 9,8 სმ. კეცი მოყავისფრო (ტაბ. XV/5). 148-ე სამარხში აღმოჩენდა ე.წ. ფიჭვნარული დოქი, მთლიანად დაცული (ტაბ. XV/5). თიხა მოშავო- მონაცრისფრო. სიმაღლე - 13,5 სმ, პირის დმ–8 სმ, ყელის-6,8 სმ, ტანის-12,5 სმ, ძირის-7 სმ.

გარდა დოქებისა, საინტერესოა კრემაციული დაკრძალვისათვის გამოყენებული საშუალო ზომის ადგილობრივი წყვილყურიანი დერგი, რომელიც დახურული იყო ადგილობრივი დოქის გადამტვრეული ქვედა ნახევრით. დერგის პირი ოდნავ დაზიანებულია, ყელი და ტანი - მთლიანად დაცული (ტაბ.XV/3) წყვილყურიანი დერგი-პირი გარეთკენ მიმართული ფართო ყელისაგან არაა გამოყოფილი, ტანი-ბიკონუსური, ძირი-ბრტყელი, ყურები-ოვალურგანივკვეთიანი, კეცი-მოშავო ფერის. სიმაღლე-37 სმ, პირის დმ-21,5 სმ, ტანის დმ-30 სმ, ძირის დმ-12 სმ, ყელის დმ-19 სმ (ტაბ. XIV/5,6). ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების 2020 წლის ანგარიშში მკვლევარი პროფ. ა. კახიძე აღნიშნავს, რომ მიცვალებულის კრემაცია მომხდარა გარეთ, საკრემაციო მოედანზე. საბოლოოდ კი ფერფლი გარეთ დერგსამარხში შეუნახიათ. როგორც ითქვა, ფიჭვნარის ძვ.წ. IV ბერძნულ ნეკროპოლისზე 1976 წელსაც აღმოჩნდა.

ჩვენს მიერ განხილულ საქალაქო ცენტრებთან აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური

ურთიერთობების მაჩვენებელია ძვ.წ. V-IV სს დათარიღებულ ბერძნულ სამარხებში აღმოჩენილი მონეტები. ადგილობრივ მონეტებთან ერთად გვხდება პანტიკაპეის, აპოლონიის, ნიმფეის ვერცხლის ფულები (კახიძე, ვიკერსი, 2004:77; ა.კახიძე, ე.კახიძე, 2014:50) მათ შორის ანტიკური ხანის მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქ ნიმფეიონის ვერცხლის მონეტა. ვერცხლის დიობოლი, რომელიც 1968 წელს ბერძნული სამაროვნის # 9 სამარხში აღმოჩნდა თარიღდება ძვ.წ. V ს. ბოლო მეოთხედით. მონეტის ავერსზე ქალის თავია მარცხნივ (ნიმფა), ხოლო რევერსზე ჩაჭდეული კვადრატი, რომლის შიგნითაც გამოსახულია ვაზი და ყურძნის მტევნებითა და ფოთლებით. ვაზზე გაკეთებულია ქალაქის აღმნიშვნელი წარწერა „NYM." ცნობილია, რომ ქ. ნიმფეა განთქმული იყო ვაჭრობითა და ხელოსნობით. არსებობდა მისი სამი მცირე ნომინალი დრაჰმა, დიობოლი და ნახევარობოლი. სამივეზე ერთიდაიგივე გამოსახულება იყო დატანილი. მონეტაზე გამოსახული ვაზი ასახავდა ბუნებრივ სიმდიდრეს და ეკონომიკას, ასევე შესაძლებელია იგი დაკავშირებული ყოფილიყო დიონისეს კულტის გავრცელებასთან (კახიძე, 1974:82; კახიძე, იაშვილი, 1999:22-23; Казаманова, 1969:129; ვარშალომიძე, 2016:10, კატ. 8).

ბერძნული ნეკროპოლის სამარხეულ მასალაში მრავლად გამოვლენილი მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო-სატრანზიტო თუ სასუფრე ჭურჭლების მიხედვით, ჩანს რომ ფიჭვნარელი ელინები ძვირადღირებული ღვინის ფართო მომხმარებლები ყოფილან. მათ სატრაპეზო სუფრას თავის დროზე ამშვენებდა ანტიკური ვაზათმომხატველობის უბრწყინვალესი ნიმუშები, ღვინისა და წყლის გასაზავებელი, საყოველთაოდ ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი წითელფიგურული კრატერები; კრატერიდან ღვინის ამოსახაპი, ჩამოსასხმელი თუ სმისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ჭურჭლები. ცხადია ნაირ-ნაირი ფორმის სადა, ორნამენტირებული, მოხატული შავლაკიანი თუ წითელფიგურული ვაზები, კოლხური სასმისები და სხვა სახის ნატიფი ჭურჭლის ნიმუშები სუფრის მდიდარ სერვისს ქმნიდნენ (კახიძე, მამულაძე, 2016:45).

**§ 3.** მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში ელინიზმის ეპოქაში. სამეთუნეო ნაკეთობათა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის სასაქონლო ხასიათის ზრდა

ელინიზმი არის ეპოქა, როდესაც ანტიკურ სამყაროში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და იდეოლოგიაში. ამავდროულად ესაა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების აღმავლობის ეპოქაც. ცნობილია, რომ მაკედონელისა და მისი მემკვიდრეების დროს ფართოდ გაშლილ ბერძენთა კოლონიზაციას მოჰყვა ელინური და აღმოსავლური ელემენტების თანაარსებობის, შერწყმისა და ურთიერთზემოქმედების რთული და საინტერესო პროცესი მათ მიერ დაპყრობილი სპარსეთის იმპერიის ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე მხარეებში. მართალია, პირველ ქართულ სახელმწიფოებს კოლხეთსა და იბერიას არ შეხებია ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკური ექსპანსია, მაგრამ ჰქონდათ საკმაოდ ინტენსიური და მრავალპროფილიანი კონტაქტები ბერძნულ და აღმოსავლურ ცივილიზაციებთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის კოლხეთზეც გადიოდა „მსოფლიო" მნიშვნელობის, ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. არქეოლოგი ვ. ლიჩელი თვლის, რომ საქართველოში „ელინიზმის" გავრცელების ძირითად რეგიონად კოლხეთი მოიაზრება, რასაც ხელი შეუწყო კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-I სს ეპოქასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა (ლორთქიფანიძე, 1966:117; ლორთქიფანიძე, 1972:59; ლორთქიფანიძე, 1984:38-57; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:11-12)

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის კვლევისათვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო არქეოლოგიურ მასალას იძლევა ფიჭვნარის ელინისტური ხანის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული სამარხთა კომპლექსები. ასევე ითქმის ციხისძირის სამაროვნის, ბათუმისციხის, გონიოს და სხვა შემთხვევითი აღმოჩენების მიმართაც (კახიძე, მამულაძე, 2016:49-55). 1998 წლიდან საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მნიშვნელოვანი საველე კვლევა-ძიება განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსა თუ შიდა

რაიონებში ელინიზმის ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით. გამოვლენილი ნივთიერი მასალა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ღვინოსთან დაკავშირებულ სამეთუნეო ნაკეთობებს და მათ სასაქონლო ხასიათს. ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობამ გავლენა მოახდინა კოლხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კულტურასა და იდეოლოგიაზე. სახეზეა სიახლეები დაკრძალვის წესებში. ამ მხრივ საინტერესოა სამეურნეო დანიშნულების ქვევრების სამარხებად გამოყენება, რაც განსაკუთრებით ძვირფას ინფორმაციას გვაძლევს ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. არსებობს განსხვავება დასავლეთ (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ბორი, ზანძა, ქუთაისი, ნოსირი და ა.შ) და აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთა, ზემო ავჭალა, ურბნისი, თბილისი და სხვ.) ქვევრსამარხთა გავრცელების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. ქვევრსამარხებად უმეტესწილად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული, კარგად განახეხი, ქვევრები, რაც ელინისტურ ხანაში მექვევრეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურების პირდაპირი მაჩვენებელია (აფაქიძე, 1970:691-693). როგორც აღვნიშნეთ, ელინისტური პერიოდი კოლხეთში, ისევე როგორც მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და სავაჭრო ურთიერთობათა მანამდე არნახული აღმავლობის ხანაა. მატერიალურ კულტურაში ინერგება ანტიკური ფორმები, ვრცელდება ბერძნული რელიგიური (დიონისე, დემეტრა და სხვა) კულტები (ლორთქიფანიძე, 1966:117; აფაქიძე, 1970:780-781; ლორთქიფანიძე, 1972:60-73; თოლორდავა, 1980; ვაშაკიძე, 2007:319; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:11-13,91-95; იქვე სხვა ლიტ.).

როგორც პროფესორი ა. კახიძე აღნიშნავს, დიდია მეცნიერებისათვის ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის მნიშვნელობა, ვინაიდან ფიჭვნარის ზღვისპირა ნამოსახლარის სამაროვანზე ბერძნები და კოლხები ერთად იკრძალებოდნენ, სამარხეულ ინვენტარში ჩნდება ორი ეთნოსისათვის დამახასიათებელი ნივთები. სწორედ სამარხეული კომპლექსები მოიცავენ მასობრივ ინვენტარს და წარმოადგენენ ძირითად საყრდენს ელინისტური ხანის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დასახასიათებლად. კარგად ჩანს, რომ ქვეყანაში შემოდის ბერძნული პროდუქცია და კოლხეთიდან საბერძნეთშიც ხდება ექსპორტი (ზებლერი,

2005:11-12).

ფიჭვნარში შესწავლილია ელინისტური ხანის 350-ზე მეტი სამარხი და ათეულობით სააღაპო მოედანი. ძირითადად გავრცელებული იყო ორმოსამარხები. შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის კრემაციული სამარხები და კრამიტსამარხები. დადასტურებულია ამფორაში დაკრძალვის რამდენიმე შემთხვევაც. ადრეელინისტური ხანიდან ფიჭვნარელ კოლხებშიც ჩანს ელინური აღაპის წესის შესრულება. დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროს ქტონური ღვთაებების საპატივცემულოდ ღვრიდნენ ღვინოს, ზეითუნის ზეთს, რძენარევ თაფლს და ა.შ. ანთებდნენ კოცონს და წვავდნენ სამსხვერპლო ცხოველსა თუ ფრინველს. ქელეხის შემდეგ ნახანძრალ ადგილას ყრიდნენ დამსხვრეულ ჭურჭლებს, სამკაულებს და ა.შ. მათ შორის წამყვანია კოლხური ამფორები, რომლებითაც, როგორც ჩანს საზედაშე ღვინო მიჰქონდათ. მათთან ერთად ხშირად მოპოვებულია ღვინის გადმოსასხმელად საჭირო დოქები, ჩაფისებრი ჭურჭელი და ღვინის სმასთან დაკავშირებული ადგილობრივი თუ იმპორტული თიხის ჯამები, კანთაროსები. ჩნდება ასევე დერგები, სანელსაცხებლეები, იხთიები და ა.შ. საგანგებოდ მიუტანიათ რიყის ქვები, რომლებითაც აღაპის დასრულების შემდეგ ამტვრევდნენ გამოყენებულ ჯამ-ჭურჭელს. ელინისტური ხანის სამარხებში იშვიათობაა ამფორის ჩაყოლება, ხოლო მონეტის - ქარონის ობოლის ჩაყოლება კანონზომიერებად ქცეულა. სამარხებში აყოლებდნენ ასევე სხვადასხვა სახის სამკაულებსა და ნივთებს (ლიჩელი, 2001:34; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:21-27).

ელინისტური ხანის მასალები გამოვლენილია ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზეც. ელინისტური ხანის მასალებში წარმოდგენილია კოლხური ქვევრები, ამფორები (ე.წ. ,,კათხისებრძირიანი,’’სინოპური, პანტიკაპეონის, სოლოხა I ტიპის, ადგილობრივი კოლხური), დერგები, ჯამები (ვაშაკიძე, 2007:297; კახიძე, მამულაძე, 2016: 49).

კოლხური ქვევრების ფრაგმენტები მრავლადაა მოპოვებული 2014-2015 წლების ფიჭვნარის ნაქალაქარის (ნამჭედურის) არქეოლოგიური გათხრების დროს. ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში წარმოდგენილი იყო ქვევრის პირისა და კედლის ფრაგმენტები (კახიძე, სურმანიძე.., 2017:116, ტაბ.XII/2-8, XIII/1-3, XVI). ისინი

შემკულია წინაანტიკური ხანის ქვევრებისათვის დამახასიასიათებელი სხვადასხვა სახის ორნამენტაციით.

ფიჭვნარის გარდა ელინისტური ხანის საყურადღებო მასალებია მოპოვებული ციხისძირის გორანამოსახლარზე, სადაც წინაანტიკური და კლასიკური ხანის საოჯახო კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ელინისტური პერიოდის კოლხური ქვევრები, სინოპური და ადგილობრივი ამფორები და სხვა (ვაშაკიძე, 2007:297). როგორც ჩანს, ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში ციხისძირი წარმოადგენდა ქობულეთის ,,ქვეყნის'' ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონს (კახიძე, 1971:132). ციხისძირის ამ პერიოდის დასახლებებს უნდა უკავშირდებოდეს ბობოყვათის ზღვისპირა მონაკვეთის ვრცელი სამაროვანი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მას უჭირავს ისტორიულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული ციხე- ქალაქ პეტრას ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა დაბლობის ნაწილი. ამ მიდამოებში სხვა ძეგლებთან ერთად გამოვლენილ იქნა ანტიკური ხანის ვრცელი სამაროვანი, რომელიც ძვ.წ. VI ს. ბოლოდან ახ.წ. IV-V სს-მდე ფუნქციონირებდა. შესწავლილი 313 სამარხიდან უმეტესობა ელინისტურ ხანაზე მოდის. ფიჭვნარის სამაროვანის მსგავსად აქაც გავრცელებულია ორმოსამარხები, იშვიათად დასტურდება მიცვალებულის ამფორაში დაკრძალვა (ვაშაკიძე, 2007:297-298; კახიძე, მამულაძე, 2016:49-50).

ელინისტურ ხანაში ცხოვრების კვალი დადასტურებული იქნა ბათუმის გორასამოსახლოზეც, სადაც მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს მოკიდებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1988:57). ელინისტური ხანის მასალები წარმოდგენილია კოლხური ქვევრების, დერგების, ჯამების, ადგლობრივი და სინოპური ამფორების და კრამიტის ფრაგმენტების სახით. ნაპოვნია ასევე რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული პირამიდისებური საწაფები და კვირისტავები (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1988:57; ვაშაკიძე, 2007:298). ბათუმის სამოსახლო, როგორც ჩანს, ამ მხარის ეკონომიკური, პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი იყო. მსხვილი ურბანიზებული სამოსახლოს გააჩნდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი (ე.წ. ქორა), სახელოსნო უბნები და ფართო სააღებმიცემო

ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ბათუმის სამოსახლო ელინისტურ ხანაშიაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და მას ეს ფუნქცია მომდევნო პერიოდებშიც არ დაუკარგავს. ელინისტური ხანის სამოსახლოს ნაშთები მიკვლეულია ბათუმის ციხის მახლობლად სოფ. განთიადის ტერიტორიაზე (კახიძე, 2005:116-119; ვაშაკიძე, 2007:298-299).

ელინიზმის ეპოქის მასალა აღმოჩნდა გონიო-აფსაროსსა და მის მიდამოებში (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964:85-92). აქ წარმოდგენილია ადგილობრივი და უცხოური, ძირითადად სინოპური კერამიკული ნაწარმის (ამფორები, კრამიტი, ლუთერია) ფრაგმენტები (ხალვაში, 2002). ასევე, როდოსული და კოსის ამფორები. აქვე აღმოჩენილია ძვ.წ. IV ს ბოლო - III ს კარგად დაცული კოლხური ამფორა, შესანიშნავი შავპრიალა სამკუთხა შევრონებით შემკული კოლხური დოქი და სხვ. (ჩხაიძე, 1983:87-93). ეს არქეოლოგიური მონაპოვრები ადასტურებს, რომ გონიო ადრეელინისტური ხანიდანვე ქცეულა ქალაქად და გაშლილა ვრცელ ტერიტორიაზე (ვაშაკიძე, 2007:299; კახიძე, მამულაძე, 2016:51).

ელინისტურ ხანაში ცხოვრების კვალი დადასტურდა მახვილაურის გორა-სამოსახლოზეც. ელინისტური ხანის შემოტანილი კერამიკა წარმოდგენილია ყავისფერლაკიანი ჭურჭლების (მოზრდილი ლანგრები და ჯამები, ყავისფერლაკიანი პატარა ჯამები და სხვ.) ჯგუფით, რომელიც, როგორც ჩანს, შავლაკიანი კერამიკიდან წითელლაკიანზე გარდამავალ საფეხურს ქმნის. აქ აღმოჩენილი ლანგრები ფორმის მიხედვით ემსგავსება გვიანელინისტური ხანის წითელლაკიან ნაწარმს (ფუთურიძე, 1965:103; ებრალიძე, 2000:28-36; ვაშაკიძე, 2007:299).

აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის ძეგლები, წერილობით წყაროებთან ერთად, გარკვეულად აშუქებენ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, გვიქმნიან მეტ-ნაკლებად სრულ სურათს მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების შესახებ, რის საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ელინისტურ ხანაშიც ჩვენი საკვლევი ტერიტორია დაწინაურებული სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო, რომლის ეკონომიკის საფუძველს ისევ სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ყველა ნაქალაქარისა და ნამოსახლარის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში

მრავლადაა მოპოვებული დიდი ზომის თიხის კოლხური ქვევრები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ღვინისა და მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ქვევრის კედელზე დატანებული სავენტილაციო ნახვრეტი. მრავლადაა ასევე კოლხური ამფორები. მათი სიმრავლე მევენახეობა-მეღვინეობის მკვეთრ აღმავლობაზე მიუთითებს (ვაშაკიძე, 2007:300; კახიძე, მამულაძე, 2016:51-52).

ელინიზმის ეპოქის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მეურნეობის დაწინაურებულ დარგს, რომ მეღვინეობა წარმოადგენდა ამის დასტურია კოლხური ქვევრებისა და ამფორების განსაკუთრებული სიმრავლე. ისინი ელინისტური ხანის კულტურული ფენების ყველაზე მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარებს წარმოადგენენ. საქართველოში ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში და სამარხეულ კომპლექსებში მასობრივად აღმოჩენილია ასევე რკინის მოხრილი დანები, რომელიც ვაზის გასასხლავ იარაღადაა მიჩნეული. მათი სიმრავლე მევენახეობის მსხვილი მეურნეობის არსებობაზე მიუთითებს. ისინი აღმოჩენილია ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ბერძნულ სამაროვანზე, ციხისძირში და ფიჭვნარის ძვ.წ. IV-III სს ელინისტურ სამაროვანზე (ინაიშვილი, 1993:84,87,89; ვაშაკიძე, 2007:300; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:89, სურ. 39/10; 59/9; 125/2,3; 126/1; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:21; კახიძე, მამულაძე, 2016:52).

მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად განსაკუთრებით საინტერესოა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზენითში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კლდეში ნაკვეთი დიდი წარმადობის მონოლითური საწნახელი. იგი ანალოგებს პოულობს და ერთიან ჯაჭვს აბამს აღმოსავლეთ საქართველოს (უფლისციხე), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და წინა აზიის (წინა აზია, სირია-პალესტინა) საწნახლებთან. ზენითის საწნახლის მასიურობა მიუთითებს ყურძნის მოსავლის სიმრავლეზე და მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებაზე (ხახუტაიშვილი, 1963:156-162; ბოხოჩაძე, 1963:88-94; ვაშაკიძე, 2007:300; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:21; ფრუიძე, 2018:82).

ელინიზმის ეპოქაში სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დაწინაურებული დარგია მეთევზეობა. ჩანს, რომ ამ დროსათვის თევზის რეწვამ სასაქონლო ხასიათი

მიიღო, დამარილებული თევზი ექსპორტის საგანსაც შედაგენდა, რაც დადასტურებულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ძეგლებზე გამოვლენილი მასალებითაც (კახიძე, 1981:131; ცეცხლაძე, 1991:49-56). ამ დროს თევზჭერის ფართო ხასიათზე მიუთითებს ფიჭვნარისა და ციხისძირის ელინისტური ხანის ფენებში დიდი რაოდენობით მოპოვებული ქვის საწაფები და სამაროვანზე აღმოჩენილი ტყვიის მოგრძო, მართკუთხედის ფორმის ბადის საძირავები. სამარხებში ტყვიის საწაფებთან ერთად გვხვდება ბრინჯაოს მასიური ანკესებიც. ფიჭვნარის ზოგ სამარხში (№208) მთლიანი ბადეც ჩაუყოლებინათ (კახიძე, 1971:53-55; კახიძე, ხახუტაიშვილი,1989:68, ტაბ.XXV,3; ვაშაკიძე, 2007:301; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:90; კახიძე, მამულაძე, 2016:52).

აჭარის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული ელინიზმის ეპოქის ხელოსნური წარმოების შესწავლისათვის. ტექნიკურ სიახლედ ითვლება სამშენებლო მასალების, კერძოდ, კრამიტის (გვერდებაკეცილი-სოლენი და ღარიანი-კალიპტერი) წარმოება. ორივე ტიპის კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩენილია ფიჭვნარის ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე (კახიძე, 1965:75), ციხისძირში, ბათუმისციხეზე (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:58,111-112), მახვილაურში, გონიო-აფსაროსში და სხვ. ფიჭვნარში სამშენებლო კერამიკის, ადგილობრივი წარმოების გაფართოებას ვარაუდობენ ძვ. წ. IV ს-დან (Кахидзе, 1981:10; კახიძე, 1981:54-55; ინაიშვილი, 1993:48; ლიჩელი, 2001:33;-34; კახიძე, მამულაძე, 2004:47-50). ამ მხვრივ განსაკუთრებულია ფიჭვნარის ელინისტური ხანის ნაქალაქარისა და სამაროვნის მონაპოვრები. ჩანს, რომ ფიჭვნარი იყო მსხვილი საწარმოო ცენტრი, სადაც ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოსნობის ცალკეული დარგები განვითარების მაღალ დონეს აღწევდნენ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ელინიზმის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი ხდება კრამიტსახურავიანი სამარხები. ისინი ძირითადად შეძლებულთა დასაკრძალავად გამოიყენებოდა. ფიჭვნარის ამ ტიპის ერთადერთი სამარხი გაძარცვული აღმოჩნდა. სინოპური კრამიტები აღმოჩნდა ქვიშაზვინულების ტერიტორიაზე, სადაც ისინი გამოყენებული იყო მოზრდილი ადამიანის სამარხის სახურავად (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:23-24,49-50).

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო წინაურდება საფეიქრო საქმე. ამ დარგის ნაწარმმა საკმაოდ ადრე მიიღო სასაქონლო ხასიათი და აღიარება მსოფლიო ბაზარზე. ელინისტურ ხანაში ფართოდ გამოიყენებოდა ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგები, რაზეც მიუთითებს თიხის პირამიდული საწაფების აღმოჩენები. ჩანს, კოლხური სელის ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზეც გადიოდა. საფეიქრო საქმეს უკავშირდება თიხის კვირისტავები, რომლებიც ფართოდ ჩანს გავრცელებული კოლხურ კულტურაში. ისინი ხშირად ჩნდება ფიჭვნარის ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში და კომპლექსებში, ასევე ბათუმისციხეზე, ჭარნალის ნამოსახლარზე და სხვ. სამარხეულ ინვენტარში კვირისტავს, როგორც სიცოცხლის განახლების სიმბოლოს, ატანდნენ ბედის მწერალ ქალღმერთთან მოსახვედრად (ვაშაკიძე, კახიძე, 1979:77; კახიძე, 1981:55; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:67-68; კახიძე, ვიკერსი, 2004:76,სურ.125; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:32; კახიძე, მამულაძე, 2016:53; შალიკაძე, 2019:96,ტაბ.8/6,7).

ელინისტურ ხანაში გაიზარდა საშინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები, ქვეყანა ჩაება საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საშუამავლო ვაჭრობას. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარების პარალელურად იზრდებოდა მოთხოვნილება სამეურნეო (ქვევრები) და სატრანზიტო (ამფორები) ჭურჭელზე. მეღვინეობამ ფართო სასაქონლო ხასითი მიიღო, რამაც გაზარადა მოთხოვნილება, როგორც ღვინის დასადუღებელ და შესანახ, ასევე სატრანზიტო ჭურჭელებზე.

პირველ რიგში ვისაუბრებთ ელინისტური ხანის კოლხური ქვევრის შესახებ. მათი დანიშნულებისა და კლასიფიკაციის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. მდიდრულად შემკული კოლხური ქვევრების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. VI-IV სს შემოიფარგლება. ხაზგასმით მიმოვიხილავთ იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ კონკრეტულ ეპოქაში. ძვ.წ. III საუკუნიდან იწყება მასობრივად ქვევრის მიწაში ბოლომდე ჩაფლვა, რამაც ქვევრის საბოლოო ფორმირება და სტანდარტიზაცია გამოიწვია. მათი ტანი გრძელდება და კვერცხისმაგვარი ხდება, ყელი მაღალი ხდება, სქელი და ბრტყელი ქობა ოდნავ გარეთ არის გადმოწეული. დაბალი პირის გვირგვინი მასიური და ოთხკუთხაგანივკვეთიანია, ყელი

ცილინდრულია. მხრებს ოვალური მომრგვალებული პროპორციები აქვთ. ფართე, ბრტყელი ძირი ვიწროვდება. ძირს, ქუსლს ძირითადი ფუნქცია დაკარგული აქვს. მიუხედავად ერთგვარი სტანდარტიზაციისა, რაც ალბად უფრო ტევადობას შეეხო, ცალკეული ქვევრები ინდივიდუალური ნიშნების მატარებელიცაა. ქვევრებზე ქრება ორნამენტი და მოხატულობა, სამაგიეროდ ჩნდება დამღები და ასო-ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ მოტივის გაჩენა-გაქრობა ქრონოლოგიურ დიფერენციაციას არ ექვემდებარება. თანაარსებობენ სხვადასხვა ტიპის ქვევრები. თუ ძვ.წ. IV-III საუკუნეებისათვის ქვევრები, უფრო შემკულია რელიეფური ქედებითა და სხვა ორნამენტული სახეებით, ძვ.წ. III საუკუნის დასასრულიდან ჩნდება სადა ზედაპირიანი ცალები. შეინიშნება შემკულობის თანდათანობით გაქრობის ტენდენციაც. რაც უნდა გამოეწვია ქვევრის მასობრივ წარმოებას. ქალბატონი ნ. ვაშაკიძე აღნიშნავს, რომ ეს გამოწვეული იყო სასაქონლო წარმოების ზრდის აუცილებლობით. ორნამენტით შემკობას კი გარკვეულიო დრო ჭირდებოდა და უდაოდ აძვირებდა მეთუნეთა პროდუქციას, ეს კი არ იქნებოდა ეფექტური სასაქონლო წარმოებისათვის, რადგანაც მასზე მზარდი მოთხოვნა იყო. ქვევრებზე შემკულობის გაქრობა დაკავშირებული უნდა იყოს ასევე მათი მიწაში მთლიანად დაფლვის გავრცელებასთანაც. ქვევრის ევოლუციის მიზეზი ღვინის ტექნოლოგიაში მიმდინარე ცვლილებებითაც იყო ნაკარნახევი. ძვ.წ. III-II სს ქვევრები გაანგარიშებულია მიწაში ყელამდე ჩაფლვისათვის. აჭარის არქეოლოგიური ძეგლების კულტურული ფენებსა და ცალკეული კომპლექსებზე გამოვლენილი მრავალრიცხოვანი ქვევრების მიხედვით ჩანს, რომ ელინისტური ხანაში მექვევრეობა ცალკე დარგადაა ჩამოყალიბებული (ბოხოჩაძე, 1963:128; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:93-107; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:60-62; მაღრაძე, 2014:68; ფრუიძე, 2018:72). აქვე გავამახვილებთ ყურადღებას ქვევრში დაკრძალვის წესზე, რომელიც ელინისტური ხანისათვისაა დამახასიათებელი. ცნობილია, რომ ქვევრში დაკრძალვა თითქმის ერთადერთი წესია მიცვალებულის დაკრძალვისა ელინისტური ხანის შიდა კოლხეთისთვის (ვანი, დაბლაგომი, დაფნარი, წიფნარი, ჩიბათი, ქუთაისი, ბუკისციხე, გოგორეთი, ზემო ფარცხმა და სხვ). ადრეელინისტური ხანიდან მიცვალებულის დაკრძალვის სხვა წესებთან ერთად ქვევრში დაკრძალვა

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც. ქვევრში დასაკრძალავად იყენებდნენ სამეურნეო დანიშნულების კოლხურ ქვევრებს, თუმცა არის შემთხვევები, როცა მათ საგანგებოდაც ამზადებდნენ. ადრეელინისტურ ხანაში სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად თავდაყირა იდგმებოდა. მომდევნო პერიოდში კი ჩანს ჰორიზონტალურად გამართვა. მიცვალებული იკრძალებოდა ინჰუმაციის წესით. დაკძალვის ამ წესის წარმოშობისა და გავრცელების საკითხი ჯერ კიდევ სადაოა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ქვევრში დაკრძალვის წესი, როგორც კოლხეთში ისე იბერიაში სამხრეთიდან მიგრირებულ მესხ ტომებს უკავშირდება. მკვლევართა ნაწილი დაკრძალვის ამ წესის გავრცელებას ხშირად მევენახეობა-მეღვინეობის ინტენსიური განვითარებითაც ხსნიან, რაც ნაკლებ სარწმუნოა, რადგან მხოლოდ ეს მოვლენა არ იქნებოდა საკმარისი დაკრძალვის ახალი წესის აღმოცენებისათვის. ჩვენი საკვლევი ტერიტორია აჭარა ექცევა შავიზღვისპირა სანაპიროს იმ ფართო ზოლში, სადაც ქვევრსამარხები დადასტურებული არაა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესოა ელინისტური ხანის სამარხებად გამოყენებული ქვევრის ტიპი, ფორმა და შემკულობა, ასევე მდიდარი საიმქვეყნო ინვენტარი, რომელიც უკავშირდება მევენახეობა-მეღვინეობას (ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:102-105; თოლორდავა,1980:3-8,56-66; რამიშვილი, 2001:54-55; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:91-116; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:20).

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები განსაკუთრებით კარგად ჩანს ღვინის, ზეითუნის ზეთის, მარცვლეულის და სხვ. პროდუქტებისათვის განკუთვნილი ამფორების სიმრავლით. აჭარის გარდა ისინი მრავლადაა მოპოვებული კოლხეთის სხვადასხვა ნამოსახლარებზე (ლორთქიფანიძე, 1966:68-92). ელინისტური ხანაში სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის სასაქონლო ხასიათის ზრდამ ბიძგი მისცა ანტიკური კერმიკული ტარის ადგილობრივ დამზადებას. ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრიდან, დაიწყო სატრანზიტო ჭურჭლის ელინიზებული ფორმის ,,ყავისფერთიხიანი“, იგივე კოლხური ამფორების მასობრივი წარმოება. ფართოდაა გავრცელებული კოლხური ამფორის მეტად თავისებური ტიპი, რომლის დამახასიათებელი ნიშანია წელშეზნექილობა (ლორთქიფანიძე, 1966:136-140; ლორთქიფანიძე, 1971:354; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021: 294-297). აღსანიშნავია,

რომ ელინისტური მატერიალური კულტურის გავლენის თვალსაზრისით ამფორა, როგორც კერამიკული ფორმა არ ფიქსირდება, არც იბერიის, არც ალბანეთის სამეთუნეო წარმოებაში. ამდენად იგი ელინისტური ხანის კოლხური კერამიკული წარმოების ერთ-ერთ განუყოფელ კომპონენტად იქცა (ლიჩელი, 2001:33). აჭარის ტერიტორიაზე ,,ყავისფერთიხიანი'' ამფორები მრავალ ადგილასაა (ქობულეთ-ფიჭვნარი, კოხი, ციხისძირი, ბათუმისციხე, გონიო-აფსაროსი, მახვილაური, კოლოტაური და ა.შ) დადასტურებული. მიიჩნევენ, რომ ელინისტურ ხანაში კოლხური ამფორების წარმოების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ფიჭვნარი წარმოადგენდა (კახიძე, 1971:55; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:38). ფიჭვნარში კოლხური ამფორები არაერთხელაა დადასტურებული სააღაპო მოედნებზე. ორჯერ გამოყენებული იყო ახალშობლის დასაკრძალავ ურნადაც (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:22-23,38).

საინტერესოა კოლხური ამფორების წარმოებასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრება. აღიარებულია, რომ ელინისტურმა გავლენამ კოლხეთში პირველ რიგში თავი იჩინა კერამიკულ წარმოებაში. ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ჩნდება ადგილობრივი ყავისფერკეციანი ამფორები, რომლებიც სინოპური ამფორების მიბაძვითაა დამზადებული. ეს კერამიკული ფორმა, რომელიც საექსპორტო საქონლის ხასიათის (თაფლი, ცვილი, ზეთი, ღვინო) გამო სწრაფად გავრცელდა კოლხეთში. შესაძლოა ითქვას, რომ ადგილობრივ მინაბაძებს შორის ამფორები ყველაზე დიდი რაოდენობით იწარმოებოდა. კოლხური ამფორები აღმოჩენილია ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე (პანტიკაპეიონი, ნიმფეა, ქერსონესი, ოლბია). ეს ფაქტი კი ადრეელინისტური ხანის კოლხეთში ღვინის წარმოების მნიშვნელოვან აღმავლობაზე მიუთითებს. ვინაიდან ადგილობრივი ამფორების წარმოების დაწყება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თხევადი პროდუქტების (ღვინისა და ზეთის) სასაქონლო ხასიათთან. ღვინის ადგილობრივ წარმოებასთან ერთად წერილობით დადასტურებულია სელის ზეთის ადგილობრივი წარმოებაც (მათიაშვილი, 1977:99). ფიქრობენ, რომ სინოპურ მოდელზე დაფუძნებულ კოლხურ ამფორებს ძვ.წ. IV ს შუახანებიდან III საუკუნემდე თვით სინოპელი მეთუნეები კოლხური თიხისაგან ამზადებდნენ. კოლხურ

ამფორებზე დატანილი დამღებიც სინოპურის იდენტურია. ამასთანავე ისინი აღმოჩენილია ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში, რის საუძველზეც რჩება შთაბეჭდილება, რომ პროდუქტები (სელის ზეთი, ღვინო, ცვილი), რომლებიც გადაჰქონდათ კოლხური ამფორებით გამიზნული იყო ბერძენი კოლონისტებისათვის. კოლხურ ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი ადგილობრივი ამფორების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური ღვინო დიდი რაოდენობით შიდა მოხმარებისთვისაც გამოიყენებოდა. რაც შეეხება ბერძნულის მიბაძვით დამზადებულ სხვა ელინიზებულ ფორმებს ისინი ელინისტურ ხანაზე ადრეცაა დადასტურებული (ლიჩელი, 2005:35-36; ბოერი, 2005:12-13; ზენსი, 2005:30).

კოლხეთს ელინისტურ ხანაში მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთანაც. რასაც ადასტურებს ,,ყავისფერთიხიანი'' კოლხური ამფორების ფართოდ გავრცელება ბოსფორის სახელმწიფოს ქალაქებში. ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის კერამიკული ტარა დადასტურებულია ფიჭვნარში (,,ნამჭედურის'' ნამოსახლარისა და ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში), სადაც გვხვდება პანტიკაპეიონის ძვ.წ. 370-340 წწ. ამფორების ძირები (კახიძე, 1971:114-115; ლორთქიფანიძე, 1972:48; მათიაშვილი, 1977:100; ბოერი, 2005:12-13; Монахов, Кузнецова.., 2016:182).

ელინისტური ხანის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭლების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დამღების გამოყენება. ამფორებზე დატანილი დამღები, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ღვინის წარმოების, იმპორტისა და ექსპორტის შესახებ. მას იყენებდა მრავალი საწარმოო ცენტრი და სახელოსნო. დამღის დასატანად გამოიყენებოდა თიხის, ძვლის, ხის ან ლითონის თეგი. დამღების დანიშნულების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. შესაძლოა ის განსაზღვრავდა მოცულობას, ემსახურებოდა ოფიციალურ რეკლამირებას, მიუთითებდა ღვინის ავსების დროსა და ასაკს, ან წარმოადგენდა პროდუქციის თავისებურ ეტიკეტს თუ სერთიფიკატს. არსებობს ამფორებზე დატანილი დამღების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია (ლორთქიფანიძე, 1971:333-334; ფირცხალავა, გამყრელიძე, 2021:294-297), რომელიც წარმოადგენს ძვირფას წყაროს ელინისტურ

ხანაში ღვინით ვაჭრობის შესწავლის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში შემთხვევით ჩოლოქ-ნატანების აკვატორიაში ჩაძირული სავაჭრო თუ საბრძოლო გემების ნაშთებთან ერთად ამოღებული იქნა ელინისტური ხანის მთლიანად დაცული კოლხური ამფორა. თიხა მოყვითალო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, ჭარბად აქვს შერეული შავი ფერის პიროქსენის წვრილი ნატეხები. რაც მის სინოპურ წარმომადგენლობაზე მიუთითებს. ამფორა ძვ.წ. II ს მეორე ნახევრითაა დათარიღებული. ამავე პერიოდით თარიღდება მასთან ერთად მოპოვებული მთლიანად ჩაფი (კახიძე, მგელაძე, 2013:132, ტაბ.XVIII,XXV; ტაბ.XIX,XXVI). გარდა ამისა გვაქვს ზღვაში გრიგოლეთსა და ურეკს შორის მოქცეულ საზღვაო სივრცეში შემთხვევით მოპოვებული მთლიანად დაცული კოლხური ამფორებიც, რომლებიც ძვ.წ. V ს ბოლო და III ს პირველი ნახევრით თარიღდება (ტაბ.XVI/1,2, მასალა მზადდება გამოსაქვეყნებლად).

ელინისტური ხანის სამეურნეო ჭურჭლების შესწავლისათვის საინტერესო მასალები დაგროვდა ფიჭვნარის უახლესი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად. ფიჭვნარის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2015 წელს აწარმოა სამუშაოები ფიჭვნარის ნაქალაქარის, კერძოდ ნამჭედურის ბორცვსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამუშაოები წარმოებდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, სადაც გამოვლინდა გვიანარქაული (იონიური კერამიკის მიხედვით), კლასიკური და ელინისტური ხანის კულტურული ფენები. ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალა მხოლოდ სამეურნეო ჭურჭელის (ქვევრი (ქ.ფ. 2015/22), ამფორა) სახითაა წარმოდგენილი. ქვევრები წარმოდგენილია კედლისა და პირის ფრაგმენტების, ხოლო ამფორები ძირებისა (ქ.ფ.2015/35) და ყურების (ქ.ფ.2015/25,27,30) სახით (კახიძე, სურმანიძე.., 2017:116-117, ტაბ.XII/2-8,XIII/1-3,XVI; ტაბ.XVII/5-10, XIV/1-10,XXI/8-9).

გარდა სამეურნეო-სატრანზიტო ნაწარმისა ელინისტურ ხანაში ფართოდ იყო განვითარებული საოჯახო-საყოფაცხოვრებო კერამიკის წარმოება. ფიჭვნარისა და ციხისძირის სამარხეულ კომპლექსებში, ფიჭვნარის ნაქალაქარის, ბათუმისციხის, გონიო- აფსაროსის და მახვილაურის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში მრავლად გვხვდება ნაირნაირი დოქები, ქოთნები, მათარები, ყურმილიანი დოქები, მაღალფეხიანი ვაზისებრი ჭურჭლები, კოჭობები, ჯამები, სასმისები და ა.შ.

კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილი აგრძელებდა კოლხური კერამიკული წარმოების ტრადიციებს. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხეული ინვენტარიდან ჩანს იმპორტული ნაწარმის მიბაძვით დამზადებული ახალი ფორმები (ლანგრები, დოქები, კანთაროსები და სხვ). ზოგჯერ ელინური ფორმის, ადგილობრივი კოლხური კერამიკული ნაკეთობანი შემკულია ტრადიციული კოლხური ორნამენტით. ელინისტური ხანის მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ ფიჭვნარელი მეთუნეები კვლავაც აგრძელებდნენ ჭურჭლის ადგილობრივი ფორმების დამზადებას. მორიგ სიახლედ კი გვევლინება ყავისფერკეციანი ნაკეთობებისა და ელინიზებული ფორმების წარმოება (ლორთქიფანიძე, 1972:85; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:63-67; ვაშაკიძე, 2007:304; ვაშაკიძე, 2010:36, კახიძე, ვაშაკიძე, 2010:38-42).

ღვინის სმასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭლებიდან სიმრავლით გამოირჩევა დოქები. მონაპოვრების მიხედვით ფიჭვნარი ჩანს ყავისფერკეციანი დოქების მწარმოებლად. ყურადღებას შევაჩერებთ, 1974 წელს ელინისტური ხანის სამაროვნის 27-ე სამარხში აღმოჩენილ დოქზე. მას აქვს ფართო გარეთკენ გადახრილი პირი, მომაღალო ყელი, დაქანებული მხრები და მომრგვალებული ტანი, რომელიც ბოლოვდება ქუსლიანი ძირით. ყური ოვალურგანივკვეთიანია. დოქი წარმოადგენს მოხატული დოქის ერთადერთ ნიმუშს. პირის არე შემკულია, მეწამული საღებავით შესრულებული გვიმრის ფოთლებით, ხოლო მის ქვემოთ ჰორიზონტალურ ხაზზე განლაგებულია სუროს ფოთლები და ყვავილები. მუცლის არეს მიუყვება ჰორიზონტალური ზოლი საიდანაც ძირისაკენ ეშვება ყურძნის მოზრდილი მტევნები, ხოლო ფოთლები ზევითკენაა მიმართული (ტაბ.XIV/7). ფიჭვნარსა და საერთოდ შავიზღვისპირეთში მსგავსი მოხატული დოქი პირველად აღმოჩნდა. მას პარალელი არ ეძებნება, რითაც იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ნაკაწრების მიხედვით ჩანს, რომ ოსტატს დოქზე წინასწარ გაუკეთებია ესკიზი. დოქის მოხატულობა შინაარსობრივად მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაება დიონისესთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ ყურძნის მტევნები, სუროს ფოთლები და ყვავილები დიონისეს კულტთან დაკავშირებული ატრიბუტებია. ეთნოგრაფიული გამოცრდილების გათვალისწინებით გვიმრის ფოთლებიც დიონისეს კულტთან უნდა

იყოს კავშირში. გურია-აჭარის ეთნგრაფიულ ყოფაში, ღვინის დაწურვა-ფილტრაციის დროს, ფართოდ იყო გავრცელებული გვიმრის ფოთოლთა გამოყენება. ხელოსანს ადგილობრივი ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტი შეუტანია (თოფურია, 1984:11; ვაშაკიძე, 2007:304; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:36, სურ. 121/6-8). საყურადღებოა მოყვითალო-მოვარდისფრო თიხისაგან დამზადებული და მოწითალო წერნაქით დაფარული დოქი (ქფ. 2004/150), რომელსაც არ ეძებნება ანალოგი (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:37; სურ. 99/1,2;154). ელინისტური ხანის სამარხეულ ინვენტარში მრავლადაა სხვადასხვა ზომის ყავისფერკეციანი დოქები, რომელთაც ახასიათებთ სისადავე და დახვეწილი პროპორციები. ერთ-ერთი ნიმუშის ტანის ზედა ნახევარზე დაძერწილია მზისა და ნახევარმთვარის რელიეფური გამოსახულება. მსგავსი მთვარისა და მზის რელიეფური ორნამენტით შემკული დოქი აღმოჩნდა 2014-2015 წწ. ელინისტური ეპოქის კოლხურ სამაროვანზე (კახიძე, ვაშაკიძე.., 2013:42-43,ტაბ.II/4,6;VI/2; კახიძე, სურმანიძე.., 2016:129-130.ტაბ.LVI/5,LXIV/18). სხვა დოქების ირგვლივ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ისინი არაერთხელ არის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული. ელინიზებული კოლხური ნაწარმიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ახალი ფორმა ე.წ. დოქი-ამფორა, რომლის ზედა ტანი ოინოხოიის ტიპის დოქის მოყვანილობისაა ქვედა ნახევარი კი კოლხური ამფორისაა. ეს ჭურჭელი საწყაოდ გამოიყენებოდა. ამფორების მსგავსად მახვილი ძირი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სხვა კერამიკულ ტარასთან ერთად ხდებოდა მისი ტრანსპორტირებაც. სავარაუდოდ ღვინით ბითუმად ვაჭრობასთან ერთად გაყიდვა დარწყვითაც ხდებოდა. ამავე დანიშნულებისაა კიდევ ერთი ადგილობრივი დოქი, რომელზეც დაცულია გრაფიტო - METRONAIKA, რაც „ათსაზომიანს“ უნდა ნიშნავდეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ელინისტური ხანის კოლხურ კერამიკულ ნაკეთობებზე ხშირადაა დატანილი ბერძნული წარწერები, რაც მიუთითებს ადგილობრივ მოსახლეობაში ბერძნული დამწერლობის გავრცელებაზე. ამ მხრივ საინტერესოა ასევე ელინისტური ხანის ფიჭვნარული გრაფიტოებიც (ვაშაკიძე, 2007:319-320; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:39, სურ.106/1; 49/1; ძნელაძე, 2017:47, იქვე სხვა ლიტ).

ელინიზებული ფორმებიდან კვლავაც გრძელდება, ღვინის სმასთან

დაკავშირებული ოინოხოიებისა და კანთაროსისებრი ჭურჭლების წარმოება. ფიჭვნარში პირველად აღმოჩნდა კანთაროსის ელინიზებული ფორმა, რომლის მიხედვითაც ჩანს ღვინის სმასთან დაკავშირებული ამ ჭურჭლის „კოლხიზაციის“ პროცესი. მსგავსი ელინიზებული ფორმები ცნობილია საქართველოს სხვა ძეგლებიდანაც (კახიძე, ვაშაკიძე, 1979:75; ზენსი,2005:30-31; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:40-41,სურ.82/6,129/4, 148/5,27/3,47/3; სურ.43/4; კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013:43-44. ტაბ.II/5). 2014-2015 წწ. ელინისტური ეპოქის კოლხური სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა კანთაროსის კიდევ ერთ-ერთი ნიმუში (ქ.ფ. 014/61). ტანი ტიპური, ქვედა ნახევარი კანელურებითაა დაფარული, ზედა სადა. პირი გარეთკენ გადაშლილი, ყურის ზედა ბოლო პირს ქვემოთ ყოფილა მიძერწილი (კახიძე, სურმანიძე.., 2016:130, ტაბ.LIV/6,LXII/4).

მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპორტულ კერამიკულ ნაწარმს და ნუმიზმატიკურ მასალებს. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ ელინისტურ ხანაში ინტენსიურად გრძელდება სადა შავლაკიანი კერამიკის, სხვადასხვა საწარმოო ცენტრების (თაზოსის, ქიოსის, ჰერაკლეა, სინოპე) ამფორების შემოტანა. უფრო მოგვიანებით (ძვ.წ. III ს. მეორე ნახევარი-II ს) ვრცელდება მცირეაზიული სახელოსნოების პროდუქცია. მათ შორის გამოიყოფა პერგამისა და როდოსის სახელოსნოების ნაწარმი. განსაკუთრებული ადგილი უკავია სინოპეს სახელოსნოების ნაწარმს (ლორთქიფანიძე, 1966:120-122; მელიქიშვილი, 1970:472-478; კახიძე, 1971:111-114; ლორთქიფანიძე, 1972:58-59; მათიაშვილი, 1977:97-98; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:50,სურ.80; კახიძე, მამულაძე, 2016:53).

ღვინის სმასთან დაკავშირებული კანთაროსები ელინისტურ ხანაშიც მრავლად გვხდება ფიჭვნარისა და პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიურ მონაპოვრებში (ტაბ.XVI/4). ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ატიკური კერამიკის წარმოებაში ღვინის სასმელად განკუთვნილ ჭურჭელთა შორის, ისინი წამყვან ადგილს იკავებენ. გამოიყოფა კანთაროსების ორი კლასი. პირველში გაერთიანებულია ატიკაში დამზადებული საღვინე ჭურჭლები, რომლებიც აგრძელებენ კლასიკურ ფორმებს, ხოლო მეორეში შედის პერგამული ნაკეთობანი. ძვ.წ. III ს შუახანებამდე ორივე

კლასის კანთაროსები თანაარსებობენ. შემდგომში კი ძვ.წ. I საუკუნემდე წამყვანია პერგამონული ნაკეთობანი. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილი ნიმუშების უმრავლესობა ატიკური წარმომავლობისაა (ტაბ.XVI/3) გვხდება როგორც სადა ასევე სხვადასხვა ორნამენტებით (პალმეტი, სუროს ფოთლები, ჭდეული წრეები, კანელურები) შემკული ნიმუშები. ასევე ღვთაებასთან თუ საკუთარ სახელთან დაკავშირებული გრაფიტო (კახიძე, 1981:45,ტაბ.VII/3,IX,1,X/2,XI/1,XIII/2,XVII/1; კახიძე, ვიკერსი.., 2007:53-54, ტაბ.XIV/5-9; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:42-44, სურ.116; 74/2,3;141/4,5; კახიძე, ვაშაკიძე.., 2013:44,ტაბ.7/3). წინა წლების აღმოჩენებს 2014-2015 წლები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაემატა ახალი მონაპოვრებიც. ამ მიმართებით საყურადღებოა შავლაკიანი კანთაროსი (ქ.ფ. 014/118). პირისა და ტანის არეში გაკეთებული ნახვრეტები, მის შეკეთებაზე მიუთითებს. იგი ამ ტიპის საღვინე ჭურჭლის ადრეულ ნიმუშს მიეკუთვნება (კახიძე, სურმანიძე.., 2016:130,ტაბ.LVI/8,LXV/1).

გამორჩეულია ღვინის სმასთან დაკავშირებული ატიკური შავლაკიანი ფიალა, რომელიც პირველად 2010 წელს აღმოჩნდა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე №296 სამარხში (ტაბ.XVI/5). იგი მთლიანად დაფარულია შავი, კარგი ხარისხის ლაკით. ყელი მოხატულია მეანდრებით, ჭადრაკული და ბადისებრი ორნამენტით. პირის ქვედა კალთაზე მოცემულია წარწერა „ზევსს მხსნელს“ (კახიძე, ვაშაკიძე.., 2013:44,ტაბ.7/1). საყურადღებოა ფიჭვნარში აღმოჩენილი ღვინის სმასთან დაკავშირებული ბრინჯაოს კილიკი, რომელიც ელინიზმის ეპოქის ტორევტიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (ტაბ.XIV/8) იგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას დარღვეულ სამარხეულ კომპლექსს უკავშირდება. კილიკი მთლიანადაა დაცული (კახიძე, 1981:40-50; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:87,159/3).

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განსაზღვრისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს ფულადი ერთეული წარმოადგენს. ელინისტური ხანაში საგარეო და საშინაო აღებ-მიცემობის აღმავლობის მაჩვენებელია ზღვისპირა ზოლში თუ შიდა რაიონებში აღმოჩენილი, სხვადასხვა სახის მონეტები (ლორთქიფანიძე, 1966:120-122). საშინაო ბაზარზე ადრეელინისტურ ხანაში, სამონეტო მიმოქცევაში წამყვანი ადგილი კვლავ კოლხურ

თეთრებს ეკავა (ხოშტარია, 1959:225). კოლხური ფულების ასეთი ინტენსიური ბრუნვა ქვეყნის შიგნით გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობათა მაჩვენებელია (ტაბ.XVI/6) ფიქრობენ, რომ ე.წ. „კოლხურები“ ქვეყნის შიდა ბაზარს ემსახურებოდა და მათი ემისია ხდებოდა ზღვისპირა ქალაქებში, რომლებიც პოლიტიკურად კოლხეთის სამეფოზე იყვნენ დამოკიდებული (მელიქიშვილი, 970:411-412; ლორთქიფანიძე, 1972:53; ვაშაკიძე, კახიძე, 1979:81-82; ვაშაკიძე, 2007:316; კახიძე, ვიკერსი.., 2007:64-65, ტაბ.19/12; კახიძე, ვაშაკიძე.., 2013:44-45).

ძვ.წ. IV ს. ბოლოს და III ს. პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად შესუსტებულია, მაგრამ მაინც გრძელდება ურთიერთობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან. სამაგიეროდ, ამ პერიოდიდან მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები მყარდება სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას შორის. წამყვანია სამხრეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი სინოპე. ამ ქალაქის ნაწარმი კოლხეთში ძვ.წ. IV ს. შუა ხანებიდან მასობრივად გამოჩნდა. მიჩნეულია, რომ სინოპე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საშუამავლო ვაჭრობაშიც (ლორთქიფანიძე, 1966:124-128; მათიაშვილი, 1977:9798). ადრეელინისტური ხანის სინოპური იმპორტი ძირითადად მონეტებით და ამფორებითაა წარმოდგენილი (ტაბ.XVI/7). სინოპესთან გაცხოველებულ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიანიშნებს აჭარის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი სინოპური მონეტები, რომელთაც საგარეო ვაჭრობაში გაბატონებული მდგომარობა ეკავათ (კახიძე, 1971:123-125; მელიქიშვილი, 1977:476; ვაშაკიძე, კახიძე, 1979:81-82; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:85; ვაშაკიძე, 2007:308-309,316,სურ.83; კახიძე, ვიკერსი.., 2007:64-65, ტაბ.28/8; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:82-85; ვარშალომიძე, 2016:17-20). ყურადღებას იქცევს ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. სამაროვანზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (კახიძე, 1971:126-128; კახიძე, შალიკაძე.., 2015:36,კატ.44).

როგორც წინა თავში უკვე აღვნიშნეთ ძვ.წ. IV ს. შუახანებიდან სინოპესთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები ჩანს მცირე აზიის მეორე მნიშვნელოვან საწარმოო-სავაჭრო ცენტრთან-ჰერაკლეასთან, რომელმაც დაიწყო აქტიური საშუამავლო ვაჭრობა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებთან (ლორთქიფანიძე, 1966:128). ძვ.წ. IV-III სს. იმპორტი წარმოდგენილია მენდეს ე.წ. ,,კათხისებრძირიანი”

ამფორებით, რომლებიც აღმოჩენილია ფიჭვნარის ნაქალაქარზე, ბათუმისციხეზე და სხვ. (კახიძე, 1971:114; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:85; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:54; კახიძე, სურმანიძე.., 2013:15-16).

მცირე აზიის საქალაქო ცენტრებიდან ძვ.წ. III-II სს ყველაზე აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს პერგამოსთან (ინაძე, 1962:111). მასთან ურთიერთობის დასტურად გამოდგება ფიჭვნარსა (კახიძე, 1971:51, ტაბ. XVIII,3) და მახვილაურში (ებრალიძე, 2000:28-36) აღმოჩენილი ყავისფერლაკიანი კერამიკა (ლანგრები, თასები, კილიკები, ლეკითოსები და სხვ.). ადრეელინისტური ხანის თაზოსური ამფორის ერთეული ეგზამპლარია მოპოვებული ელინისტურ სამაროვანზე (სამარხი. 182) რაც შეეხება მომდევნო პერიოდს (ძვ.წ.II ს.) სავაჭრო ურთიერთობათა სფერო მხოლოდ შავიზღვისპირეთის აუზით შემოიფარგლა. ამ პერიოდიდან შეწყდა საერთაშორისო მნიშვნელობის ბერძნული სახელოსნო ცენტრების პროდუქცია, ჩანს მოსახლეობა ძირითად მოთხოვნებს ადგილობრივი ნაწარმით იკმაყოფილებდა. სუსტად, მაგრამ მაინც გრძელდება კონტაქტები ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან. განსაკუთრებით ახალ ფაზაში შედის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ქ. სინოპესთან (კახიძე, 1981: 56; ვაშაკიძე, 2007:313; კახიძე, მამულაძე, 2016:55).

ჩანს, რომ ელინიზმი ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობათა ხანაა. რაც გვიჩვენა აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალების მიმოხილვამ. დაწინაურებულია მეურნეობისა და ხელოსნობის ძირითადი დარგები: მეთუნეობა, ფეიქრობა, მიწათმოქმედება, მელითონეობა და სხვა. ხდება მნიშვნელოვანი ძვრები მათ განვითარებაში. მეურნეობის ზოგიერთმა პროდუქციამ მიიღო სასაქონლო ხასიათი.

## თავი IV. მევენახეობა-მეღვინეობა რომაული ხანისა და ადრეშუასაუკუნეების აჭარაში

### § 1. მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში რომაულ ხანაში (ახალი სახეობის ქვევრები)

აჭარის ტერიტორია, როგორც კოლხეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ძვ.წ. II ს. ბოლოდან (ძვ.წ.111-110 წწ.) მოექცა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და ძვ.წ. 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა. ახ.წ.63 წლიდან კი ახლადფორმირებულ რომაულ პროვინციაში შევიდა. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სიმაგრეებში იმპერატორ ნერონის დროს ჩაყენებული იქნა რომაული გარნიზონები (გამყრელიძე, თოდუა, 2006:59-60). რომაელთა პოლიტიკური გავლენის დამყარების შემდეგ, შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროზე აშენდა ციხე-ქალაქები რომაელთა მუდმივი გარნიზონებისათვის, რომლებიც აქ ახ.წ. 80-იანი წლების შემდეგ ჩნდებიან, როგორც შემადგენელი ნაწილები ე.წ. „პონტოს ლიმესისა" თუ კავკასიური საზღვრებისა. რომის იმპერიის სიმაგრეების დაცვას ემსახურებოდა, ასევე სამხედრო ბანაკების დაარსება ფასისში, დიოსკურია - სებასტოპოლისსა და პიტიუნტში. აფსაროსი ზურგიდან იცავდა ტრაპეზუნტს, სტრატეგიული თვალსაზრისით რომაელთა უმნიშვნელოვანეს სამხედრო საზღვაო ბაზას, რომელიც აკონტროლებდა მთავარ მაგისტრალს არმენიასა და სპარსეთისაკენ. აფსაროსი იცავდა ჭოროხის ხეობასაც, სადაც ცხოვრობდნენ მეომარი ტომები, რომლებიც რომაელებს დიდ უსიამოვნებებს აყენებდნენ და იბერიის შემოტევასაც იგერიებდნენ. ახ.წ. I ს. კოლხეთის რომაულ პროვინციად გადაქცევას ადგილობრივ მოსახლეობაში მოჰყვა რთული პოლიტიკური მოვლენები, რომლებზეც აღარ შევჩერდებით. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ მდიდარი პირველხარისხოვანი ცნობები დაცულია რომაელ ავტორთა წერილობით წყაროებში (ლომოური, 2007:326-329). საინტერესოა ცნობილი რომაელი ისტორიკოსისა და სამხედრო მოღვაწის, იმჟამად კაპადოკიის მმართველის, ფლავიუს არიანეს ცნობები, რომელმაც 131 წ. იმპერატორ ადრიანეს დავალებით ინსპექციის მიზნით მოინახულა გონიო-აფსაროსი.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებიდან იგი პირველად აფსაროსს აღწერს: „მოვედით აფსაროსში, სადაც დგას ხუთი სპიერა. აქ ხელფასი დავურიგე ჯარისკაცებს და დავათვალიერე, იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც თუ რა მდგომარეობაშია იყო პურის მარაგის დამზადება“. ცნობა იმის შესახებ, რომ დაათვალიერა „თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება“, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აფსაროსში უნდა ყოფილიყო საგანგებო შენობა მარცვლეულის შესანახად. თუმცა სამწუხაროდ არაფერს იუწყება, თუ როგორ იყო მომარაგება უზრუნველყოფილი, სურსათის იმპორტირება ხდებოდა თუ ადგილზე დამზადება (ლორთქიფანიძე, 2002:260-261).

რომაელთა სამხედრო გარნიზონი იდგა ასევე აფსაროსის ჩრდილოეთითაც, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში პეტრას სახელითაა ცნობილი. ამ მიდამოებიდან ცნობილია ახ.წ. II-III სს. ოქროს „განძი“ და ვრცელი სამაროვნის ტერიტორია (ინაიშვილი, 1993; ლორთქიფანიძე, 2002:262). აფსაროსსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა რომაული გარნიზონების ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მსგავსია. ისინი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი კერამიკული ნაწარმის სახით. მათ შორის მრავლადაა წილთელლაკიანი კერამიკა, მინის ნაწარმი, ამფორები და სხვ. II-III საუკუნეებში განსაკუთრებით გავრცელებულია, როგორც წელშეზნექილი, წაგრძელებული ფორმის ადგილობრივი ამფორები, ასევე სინოპისა და სხვა ცენტრების სატრანზიტო ნაწარმი. მსგავსი არქეოლოგიური მასალები მხოლოდ ზღვისპირა ქალაქებში გვხდება, ქვეყნის შიდა რაიონებში ისინი დადასტურებული არაა. აღსანიშნავია, რომ ზღვისპირა ქალაქებმა ახ.წ. პირველ საუკუნეებში დაკარგეს ეკონომიკური ფუნქცია, როგორც მთელი კოლხეთის სავაჭრო ცენტრებისა. ისინი უმთავრესად იყვნენ რომის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების განმხორციელებლები. ეს კარგად აისახა ნუმიზმატიკური მონაპოვრებითაც. ზღვისპირა ზოლში გავრცელებულია ტრაპეზუნტიდან შემოსული კესარიული მონეტები (ლორთქიფანიძე, 2002:264; მამულაძე, ხალვაში.., 2005:39). გვიანელინისტური ხანიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საქალაქო ცხოვრება საერთოდ კრიზისს განიცდის. მისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო ძვ.წ. II

საუკუნიდან დაწყებული ზღვისპირა ზოლის დაჭაობება. ანტიკურმა ქალაქურმა დასახლებამ ქობულეთ-ფიჭვნარში და მრავალმა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქმა შეწყვიტა არსებობა (ხახუტაიშვილი, 2007:24-25; ინაიშვილი, 2007:340). საქალაქო ცხოვრებისა და ისტორიული მისიის თვალსაზრისით გონიო-აფსაროსი ფიჭვნარის ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს (კახიძე, მამულაძე, 2004:4). ამიტომაც რომაული ხანის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საუბარი უმთავრესად (გონიოსა და ციხისძირის არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით მოგვიხდება.

გონიო-აფსაროსი მდებარეობს ჭოროხის დელტის მარცხენა სანაპიროზე. ციხე-სიმაგრე ზღვასთან ახლოს, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისაკენ მიმავალი გზა. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებით კი მესხებით დასახლებულ რეგიონთან, მცირე არმენიასთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან შეიძლებოდა დაკავშირება (კახიძე, მამულაძე, 2016:56). გონიო-აფსაროსი განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, სადაც აღმოცენდა ბრწყინვალე თვითმყოფადი კოლხური ბრინჯაოს კულტურა და დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან, თუ უფრო ადრე არა, გონიოს მიდამოებში შავი მეტალურგიის რამდენიმე მსხვილი სამთო-მეტალურგიული კერა (ავგია, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, კვარიათი) ფუნქციონირებდა. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ძველი კულტურული ფენა ე.წ. „დიუნური“ დასახლების ნაშთებია, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება. ციხის ტერიტორიაზე ცხოვრება კლასიკურ ხანაშიც გრძელდებოდა. ამ პერიოდის მასალები (ძვ.წ. V საუკუნის ორი სამარხი) გამოვლენილია სოფელ გონიოს თანამედროვე სასაფლაოების ტერიტორიაზე. ძვ.წ. IV ს. დასასრულსა და ძვ.წ. III ს. იწყება აფსაროსის ახალი აღორძინება. ამის დამადასტურებელია ელინისტური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები, ეპოქისათვის დამახასიათებელი ინვენტარით (კოლხური ამფორა, დერგი, შავპრიალა დოქი, მაკედონიის მეფის სახელზე მოჭრილი მონეტა, სინოპური ამფორები და ა.შ. (მამულაძე, კახიძე ა.., 2007:10; კახიძე, მამულაძე, 2016:57-60). ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში აფსაროსი არამარტო ძლიერი სამხედრო ბაზა იყო,

არამედ მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტიც. ახ.წ. VI ს. ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა: ,,ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მაჩვენებელია“. ახ.წ. III ს. შეიმჩნევა აფსაროსის სამხედრო ბანაკად გადაქცევის ტენდენცია. აფსაროსის ციხე-სიმაგრე ახ.წ. IV ს. მეორე ნახევრიდან ახ. წ. VI ს. პირველი ნახევრის ჩათვლით უბრალოდ მიტოვებულია (მამულაძე, კახიძე.., 2007:13-18; კახიძე, მამულაძე, 2016:59). აქედან გამომდინარე, კოლხეთის ზღვისპირა მოსახლეობის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ძალზე სპორადულ ხასიათს ატარებდა. ამიტომაც რთულია ვისაუბროთ სოფლის მეურნეობის დარგების შესახებ. თუმცა გვეძლევა საუკეთესო საშუალება თვალი გავადევნოთ იმპორტულ, პროდუქციას, რომელიც ძირითადად ზღვისპირა ქალაქებში მდგარი რომაული გარნიზონებისთვის იყო განკუთვნილი. გარე სამყაროსა და კოლხეთის ზღვისპირა ცენტრებს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ძირითადად რომაულ სამყაროსა და კოლხეთში მდგარ რომაულ გარნიზონებს შორის არსებული ურთიერთობაა (მელიქიშვილი, 1970:562-563; ებრალიძე, 2009:86). იგი ფართოდ არ შეხებია კოლხეთის ადგილობრივ მოსახლეობას, რის გამოც სადისერტაციო ნაშრომის ამ თავში მიმოვიხილავთ მეციხოვნეებისათვის განკუთვნილ ყოველდღიური მოხმარებისთვის საჭირო სასუფრე დანიშნულებისა და სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭლებს. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით რთულია ვისაუბაროთ რეგიონში რომაულ ხანაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ. ვინაიდან ჩვენ ხელთ არსებული სამეურნეო-სატრანზიტო, თუ სასუფრე ჭურჭლები რომაულ გარნიზონს და მეციხოვნეებს უკავშირდება. როგორც ვიცით ღვინოს ისინი მცირე რაოდენობით და იშვიათად მოიხმარდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ონლაინ ჟურნალში (the drinks business) 2013 წელს გამოქვეყნებული სტატია „ღვინო და ომი,“ რომელიც ეხება რომაელი ჯარისკაცების მიერ ლაშქრობების დროს ღვინის მოხმარებას. სტატია ეკუთვნის ერთ-ერთი ინგლისური ონლაინ გამოცემის მთავარ რედაქტორს რუპერტ მილერს, რომელიც ეწევა ღვინის ინდუსტრიის პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ რომაელ ჯარისკაცთა რაციონში ღვინო გარკვეული დოზით საკმაოდ ადრე შეიტანეს, ჯერ

კიდევ რესპუბლიკის დროიდან (ძვ.წ. VI ს.). აღსანიშნავია, რომ ღვინოს რომაელი ლეგიონერები გამოიყენებდნენ წყლის მაგივრად, რადგანაც ზოგიერთ რეგიონში იგი უფრო უსაფრთხო სასმელი იყო ვიდრე წყალი. არსებობს ისტორიკოს აპიანეს ცნობები, რომლის მიხედვით გენერალ ლუკულუსის მიერ ესპანეთის დაპყრობის დროს ძვ.წ. 153 წელს სურსათის მარაგის ჩამონათვალში იყო სასმელი, როგორც ღვინო, რომელსაც უწოდებდნენ „posca”. საუკეთესო ღვინოები განკუთვნილი იყო გენერლებისთვის, ხოლო ჯარისკაცების დასალევი იყო ე.წ. სასმელი „posca“, რომელიც გლეხების სასმელად ითვლებოდა. ეს სასმელი მზადდებოდა ღვინის ან ძმრის წყალში გაზავებით, ასევე დამატებული ჰქონდა მწვანილი. სახელწოდება „posca“ ლათინურ-ბერძნული წარმოშობისაა და ლათინურად “დალევას“, ბერძნულად კი ძალიან მწარეს ნიშნავს. როგორც ჩანს ეს დასალევი მზადდებოდა დაბალი ხარისხის ან გაფუჭებული ღვინისაგან. იგი ერთგვარი ენერგეტიკული სასმელის როლს ასრულებდა. ასეთი სასმელის მიღება ჯარისკაცებისათვის იყო C ვიტამინის მიღების საშუალება, რაც ზოგიერთი ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა, ამავდროულად ალკოჰოლი დასალევ წყალში ანადგურებდა ბაქტერიებს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ იმპერატორი ადრიანე ძალიან აფასებდა ჯარისკაცებისათვის განკუთვნილ ამ სასმელს, მისი სამკურნალო თვისებების გამო. მრავალი თანამედროვე ისტორიკოსი თვლიდა, რომ რომაული ჯარის წარმატებას დისციპლინასთან და სამხედრო მომზადებასთან ერთად განსაზღვრავდა კვების რაციონი, რომელშიც სხვა პროდუქტებთან ერთად შედიოდა ღორის ხორცი, ყველი და „posca” (Miller:16.12.,2013 https://www.thedrinksbusiness.com/2013/12/wine-and-warfare-part-1-rome/).

შესაძლებელია გონიო-აფსაროსში მდგარი ლეგიონერების კვების რაციონშიც გარკვეული დოზით გამოყენებული ყოფილიყო ღვინო, რაზეც მიუთითებს ციხის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ამფორების, ღვინისა და ზეთის გადასატანად განკუთვნილი სატრანზიტო ჭურჭელის აღმოჩენა.

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას 1994 წლიდან მოყოლებული დღემდე აწარმოებს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, შეიქმნა მდიდარი ისტორიული ბიბლიოგრაფია (შალიკაძე, 2000:56-61; ებრალიძე,

2000:62-69; ხალვაში, 2002:134-142; ლორთქიფანიძე, ნონეშვილი, 2002:168-171; ჯაფარიძე, 2002:184-191; გამყრელიძე, თოდუა, 2006:5-24; სულავა, 2009:59-70; ებრალიძე, 2009:147-167; მინდორაშვილი, მამულაძე, 2009:25-39; მამულაძე, კახიძე.., 2009:107-117; კახიძე, მამულაძე, 2016:61,ტაბ.116/1,2; 123-125). ციხის სხვადასხვა უბანზე არქეოლოგიური კვლევებისას გამოვლენილია რომაული ხანის, როგორც I-II სს. ასევე II-III სს. ნაგებობების, აბანოების, ყაზარმისათვის განკუთვნილი თუ სხვა შენობა-ნაგებობების ნაშთები, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გამართული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები, სხვადასხვა დანიშნულების ოთახები და ა.შ. (მამულაძე, კახიძე.., 2007:22-29; კახიძე, მამულაძე, 2016:61-64; მამულაძე, შალიკაძე.., 2017:207-219; მამულაძე, შალიკაძე.., 2017:239-257). არქეოლოგიურ მონაპოვარში წამყვან ადგილს სატრანზიტო ჭურჭლები ახ.წ. I-III სს. ამფორები იკავებს. ისინი შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ უნმიშვნელოვანესი ცენტრის ურთიერთობებს დანარჩენ სამყაროსთან. ამფორებში სახეობრივად ჭარბობს იმპორტული ნიმუშები. რაოდენობრივი თვალსაზრისით კი წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი. ახალი აღმოჩენების მიხედვით ცალკე გამოიყოფა თვით გონიო-აფსაროსში წარმოებული პროადუქციაც. გონიო-აფსაროსის სახით ანტიკური საწარმოო ცენტრების ფართო არეალს კერამიკული ტარის დამამზადებელი ახალი ცენტრი შეემატა. ადგილობრივი წარმოების შესახებ უდავოდ მრავლის მთქმელია აფსაროსში აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო, რომელიც ახ.წ. II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ფუნქციონირებდა. გონიოში ძირითადად ყელწიბოიან და შედარებით მცირე ზომის ყავისფერკეციან ამფორებს ამზადებდნენ. ფიქრობენ, რომ კოლხეთიდან ბუნებრივი სიმდიდრესა და ნედლეულთან ერთად კოლხური ხელოსნურ ნაწარმსაც უნდა ჰქონოდა სასაქონლო ხასიათი, რასაც მოწმობს სამხრეთ შავიზღვისპირეთში მათი ხშირი აღმოჩენის შემთხვევები (ხალვაში, 2002:56-58; ებრალიძე, 2005:88; კახიძე, მამულაძე, 2016:64). ცნობილია, რომ დღეისათვის აფსაროსის მასალებში გამოიყოფა რომაული პერიოდის ამფორების 20-დან 30-მდე ტიპი, რომლებიც თავის მხრივ ცალკეულ სახეობებად იყოფიან (ხალვაში, 2002:10; ინაიშვილი, 2007:344; კახიძე, მამულაძე.., 2009). ჩანს, რომ ციხე-ქალაქის ცხოვრების პირველ ეტაპზე, ახ.წ. I ს.

მიწურულსა და II ს-ის დასაწყისისათვის წამყვანია იმპორტული კერამიკული ტარა. ესაა იტალიკური, კოსური და როდოსული ამფორები, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის იშვიათობას წარმოადგენს. ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებიდან მდგომარეობა არსებითად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებული ამფორები (კახიძე, მამულაძე, 2016:64).რომაული ხანის მეღვინეობის შესასწავლად სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭლებთან ერთად საინტერესოა სასუფრე, ღვინის სმასთან დაკავშირებული მინის ჭურჭლები. გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე ისინი წარმოდგენილია გრაფინების, ფიალების და სხვადასხვა ტიპის სასმისების სახით (ტაბ.XVII/1,3). განსაკუთრებულია მათი მნიშვნელობა, რადგანაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომაული ხანის მინის ჭურჭლის მსგავსი ნაირსახეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ძეგლებისათვის ჯერჯერობით უცნობია. ისინი თარიღდებიან უპირატესად ახ.წ. I-III საუკუნეების სხვადასხვა საფეხურით (შალიკაძე, 2004:15-74; კახიძე, შალიკაძე, 2009:54-89). ჩანს, რომ გონიო-აფსაროსში ახ.წ. I საუკუნეში უპირატესად გავრცელებული იყო დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში წარმოებული პროდუქცია განსაკუთრებით კი მოზაიკური და ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალები (შალიკაძე, 2004;15-22, სურ. 10-14). რაც შეეხება ახ. წ. II-III საუკუნეების მინის ნაწარმს, ისინი ძირითადად დასავლეთ ხმეთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდანაა შემოტანილი (შალიკაძე, 2004:24-33,42-44). ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი იყო, რომელიც ამარაგებდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებსა და ამიერკავკასიაში განლაგებულ რომაულ ციხე-ქალაქებს წითელლაკიანი კერამიკის, სხვადასხვა სახეობის სუფრის ჭურჭლით (ტაბ.XVII/2,4). გვხვდება სხვა საწარმოო ცენტრებიდან შემოტანილი ნაკეთობანიც (ებრალიძე, 2005:27-76,81-84; ებრალიძე, 2009:147-165; შალიკაძე, ებრალიძე, 2009:169). კერამიკულ ნაწარმთან ერთად დიდი მნიშვნელობისაა, ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა, იმის გასაგებად თუ კონკრეტულად რომელ სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებიდან მარაგდებოდა გონიო-აფსაროსში მდგარი გარნიზონები. გონიოში მოპოვებული მონეტების ადრეულ ჯგუფს შეადგენს ქ. ანტიოქიისა და კაპადოკიის ქ. კესარიაში

მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები (ვარშალომიძე, 2009:51-52). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ. ტრაპეზუნტის მონეტები. გონიოს ბოლო დროის მონაპოვრებს შორისაა გორდიანე III სახელით ქ. სინოპში მოჭრილი სპილენძის მონეტაც. აფსაროსში აღმოჩენილი II საუკუნის მონეტების უმრავლესობა რომშია მოჭრილი. გვხვდება კესარიაში, აღმოსავლეთის ზარაფხანაში, ტრაპეზუნტში და ნეოკესარიაში მოჭრილი მონეტებიც (ვარშალომიძე, 2009:60-61). II-III საუკუნეების აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ აფსაროსი მცირე აზიის გავლენის სფეროა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად მიმართულია კაპადოკიის პროვინციისა და შავიზღვის სამხრეთ სანაპიროს ქალაქებისაკენ. ახ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან რომაული გარნიზონების მომარაგების პროცესში წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ ქალაქები: სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი, ჰერაკლეა და სხვა. განსაკუთრებით მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩანს ქ. სინოპესთან (Максимова, 1956:66,210; ხალვაში, 2002:53; ლორთქიფანიძე, 2002:262-263). ქ. სინოპეს სავაჭრო კავშირები მოიცავდა მცირე აზიის მნიშვნელოვან ნაწილს, მთლიანად ევქსინის პონტოს და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის გარკვეული რეგიონებს. სინოპური კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, ბათუმის ციხეზე, ქობულეთ-ფიჭვნარში, ვანში, ოჩამჩირეში, ეშერაში, სოხუმსა და ფოთის მიდამოებში. ანტიკური ხანიდან მოყოლებული ფიჭვნარში მოპოვებულია ძვ.წ. V ს. სინოპური დრაქმებიც (Максимова, 1956:211-223, 325; ლორთქიფანიძე, 1966:127; კახიძე, 1981:56; ხალვაში, 2002:53; ლორთქიფანიძე, 2002:260-261; კახიძე, ხალვაში, 2009:104-114; კახიძე, მამულაძე, 2016:54; ვარშალომიძე, 2016:18-20, კატ.23-28). ქ. სინოპეს პონტოსპირეთში განსაკუთრებული როლი დაეკისრა რომაელთა ბატონობის ხანაში. მრავალი წლის განმავლობაში სინოპე იყო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი არმიისა და ფლოტის დასაყრდენი. აქედან ხდებოდა ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებში დაბანაკებული რომაელთა ჯარების მომარაგება. სინოპეს ექსპორტის მთავარი საგანი იყო ზეთი და ღვინო (Максимова, 1956:286-353; Брашинский, 1963:136; ლორთქიფანიძე, 1966:397-398; ხალვაში, 2002:53-58; ლორთქიფანიძე, 2002:260-264).

აღსანიშნავია, რომ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების ქვევრები და დერგები გონიო-აფსაროსის მონაპოვრებში შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ მრავლადაა სამეურნეო-სატრანზიტო დანიშნულების მქონე ადგილობრივი თუ უცხოური ამფორები. ბუნებრივია აქაური გარნიზონის მეციხოვნეები მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით არ იყვნენ დაკავებულნი (კახიძე, მამულაძე, 2004:51). ჩვენთვის საინტერესოა რომაული ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ქვევრის ფრაგმენტები. ისინი თითო-ოროლა, ძირითადად პირ-ყელის ფრაგმენტების სახით ნაპოვნია ციხის თითქმის ყველა უბანზე. ქვევრები კეცის მიხედვით სინოპურ ნაწარმადაა მიჩნეული. როგორც უკვე აღვნიშნეთ სინოპური იმპორტი ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში ვრცელდება, როგორც კოლხეთის მთელ ზღვისპირა ზოლში ასევე მის შიდა რაიონებში. ზღვისპირა სავაჭრო ცენტრების მეშვეობით სინოპური პროდუქცია ვრცელდება ზღვიდან დაშორებულ პუნქტებშიც (ლორთქიფანიძე, 1966:126-127, იქვე სხვა ლიტ; კახიძე, მამულაძე, 2004:26-28, 51, ტაბ. XXXVI, XXXVII, სურ. 20, 21; მამულაძე, შალიკაძე.., 2013:192, ტაბ. VI/1,2). საყურადღებოა მარნის უბანზე გამოვლენილი სამი ქვევრი, რომელთა ტანი სიმეტრიულად დაშორებული ჰორიზონტალური ქედებითაა შემკობილი. ასეთივე, შედარებით პატარა ზომის ქვევრი ცენტრალურ უბანზეც აღმოჩნდა. როგორც ჩანს ქვევრებით ხდებოდა მეციხოვნეებისთვის სხვადასხვა მშრალი თუ თხევადი პროდუქტის იმპორტირება. ამავდროულად ქვევრები შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ხორბლის მარაგის შესანახადაც. გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები უშუალო პარალელს პოულობენ ქერსონესის რომაული ხანის მონაპოვრებთან, სადაც ერთ-ერთ საწყობში 9 პითოსი იყო ჩალაგებული. გონიო-აფსაროსისა და ქერსონესის ქვევრების აღწერილობა მსგავსია. მათ აქვთ წაგრძელებული კვერცხისებური ფორმა. ფართო, ბრტყელი ძირი არაა გამოყოფილი ტანისაგან. პირი ფართო, მასიური. კორპუსი შემკულია 0,19-0,25 მ. ინტერვალის განლაგებული რელიეფური ჰორიზონტალური წიბოებით. ქვევრების კეცი წითელია (Белов, Стрежелский, 1953:78). მნიშვნელოვანია, რომ რომაულ ხანაში პონტოსპირეთის ამ ნაწილებში გავრცელებულ ქვევრთათვის შეინიშნება ფორმათა სტანდარტიზაცია და შემკობის ერთგვარობა (ტაბ.XVII/6-15).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის გათხრებისას ნაპოვნია ქვევრის სხვა ნატეხებიც. SW მე-V სექტორის 38-ე კვადრატში დაახლოებით 0,91 სმ სიღრმეზე აღმოჩენილია ერთ-ერთი სინოპური ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქვევრის (გ.ა.96.552) პირი. გარეთა კალთას ჯერ თითისებურანაბეჭდიანი რელიეფური უწყვეტი ზოლი, შემდგომ კი მოგრძო დახრილი ჭდების ზოლი მიუყვება (ტაბ.XVII/9). არის სინოპური ქვევრის სხვა ნიმუშებიც (კახიძე, მამულაძე, 2004:51,სურ.20). ჩნდება რელიეფურ ქედებს შორის მოქცეული თითისებურ ანაბეჭდიანი ქვევრის ფრაგმენტები (გ.ა. 97.195).

რომაული ხანის ქვევრების ფრაგმენტები აღმოჩენილია 2012 წელს გონიოს ციხის შიდა ტერიტორიაზე (SO სექტორი) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს. რომაული ხანის (ახ.წ. I-III სს.) ქვევრის ყელისა და კედლის ფრაგმენტი მოწითალო-მოყავისფრო თიხისგანაა დამზადებული. გარე ზედაპირი დაფარულია ირგვლივი ჰორიზონტალური ქედებით (მამულაძე, შალიკაძე..., 2013:189,192, ტაბ.VI/2). მრავლადაა გამოვლენილი სატრანზიტო ჭურჭლები ამფორები და მათი დამამზადებელი ქურა-სახელოსნოც (ხალვაში, 2002:16; კახიძე, მამულაძე, 2004:52). რომაული ხანის ქვევრების კედლის ფრაგმენტები აღმოჩნდა 2014 წელსაც. მოწითალო მოყავისფრო თიხისაგან დამზადებულ ქვევრის კედლის ერთ ფრაგმენტს (გ.ა. 2014/747, 990). ჰორიზონტალურ ქედებს შორის დატანილია თითისებრი ნაჭდევები (მამულაძე, შალიკაძე.., 2017:209). 2015 წელს გონიოს ციხის შიდა ტერიტორიაზე (SO სექტორი 66-ე კვადრატი) აღმოჩნდა სამეურნეო კერამიკა ჩვენთვის საინტერესო რომაული მოწითალო-მოყავისფრო თიხისაგან დამზადებული ქვევრების ფრაგმენტები (გ.ა. 2015/1273). წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსად მათი (გ.ა. 2015/1272, 1348) ზედაპირი რელიეფური ზოლებითა და ჰორიზონტალურ ქედებს შორის დატანილი თითისებრი ნაჭდევებით (მამულაძე, შალიკაძე.., 2017,243-244, ტაბ.IV/1,VI/2).

2016-2017 წლებში გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე (SWVI, SWIX, SW VI, SW IX სექტორები) წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებიდან ჩვენს თემას შეიძლება დავუკავშიროთ სამეურნეო და სატრანზიტო კერამიკული ნაწარმი. ისინი წარმოდგენილია სხვადასხვა საწარმოო ცენტრის

(წელშეზნექილ კოლხური, სინოპური ა. შ) ამფორების პირ-ყელის, კედლის, ყურის, ტანის, ძირის ფრაგმენტების სახით (გ.ა.2016.111, 112, 205, 251, 299, 313, გ.ა.2016.249, 255, გ.ა.2016.99, 101, 106, 107, 109, 110, 160, 166, 273, 309, გ.ა.2016.252, 298, გ.ა.2016.108, გ.ა.2016.20, 168, 302, გ.ა.2016.165).

უახლესი მონაპოვრების რიცხვს მიეკუთვნება 2018-2019 წწ. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთებში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს მიკვლეული რომაული ხანის ქვევრის ყელისა და კედლის ფრაგმენტები (2018/398, 408, 443; გ.ა.2019, 602, 658, 664). ყავისფერკეციანი, მინარევებიანი კედლის ზედაპირზე დატანილია ჰორიზონტალურ ზოლებს შორის მოქცეული თითისებრი ნაჭდევები (ტაბ.XVII/7,8,11,12,13,14). როგორც ვხედავთ გონიოში აღმოჩენილი ქვევრები სრულიად განსხვავდება კლასიკური ხანის კოლხეთისათვის დამახასიათებელი ქვევრთა ტიპისაგან. ცნობილია, რომ ამიერკავკასიის, სახელდობრ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები განსხვავდებიან ფორმით, სიდიდითა და შემკულობით ეგეოსის ზღვის აუზის, სამხრეთ მესოპოტამიის, ეგვიპტის და სხვა ძველი ქვეყნების მსგავსი ჭურჭლებისაგან, რაც მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობით აიხსნება (ფრუიძე, 2018:71-72; ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე, 1975:91). ამ ტიპის ქვევრებს თავისი განსხვავებული შემკულობის გამო რელიეფურორნამენტიან ქვევრებს უწოდებენ. არსებობს ფორმისა და შემკულობის სხვადასხვა ვარიაციები. რომლებზეც შემდეგ თავში გვექნება საუბარი. აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ანტიკური და ელინისტური ხანის მსგავსად ადრეშუასაუკუნეების ადგილობრივ სამეთუნეო ნაწარმზე შეინიშნება იმპორტული კერამიკის გავლენა. სახეზეა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელთა რომანიზებული ფორმები. კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოპოვებული კერამიკული ნაწარმის მიხედვით ჩანს, რომ ხდებოდა მიბაძვით დამზადება, ხმელთაშუაზღვისპირეთში და სამხრეთ შვიზღვისპირეთში ჩამოყალიბებული ფორმებისა.

შეინიშნება არამარტო ფორმების, არამედ თიხის სტრუქტურის მიმსგავსების ტენდენციაც, რომელიც კარგად ჩანს ამფორების მაგალითზე (ხალვაში, 2002:56-58; კახიძე, მამულაძე, 2004:65-66). სწორედ ამ მოვლენებით აიხსნება უცხოური

წარმოშობის ქვევრთა გავრცელება ჯერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვისპირა, შემდგომ კი შიდა რაიონებშიც. როგორც, ჩანს ამფორების მსგავსად კოლხეთის მოსახლეობას რელიეფურორნამენტიანი ქვევრების ფორმა და შემკულობაც გადმოუღიათ. გონიოს ციხისა თუ მის შემოგარენში მოპოვებული ქვევრების მიხედვით, ჩანს, რომ ჯერ ჩნდება მათი იმპორტირებული ეგზემპლარები, ხოლო შემდეგ კი მიბაძვით დამზადებული ადგილობრივი ნიმუშები.

რომაული ხანის რელიეფური ორნამენტით შემკული ქვევრის ტიპს მიეკუთვნება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის მურვანეთში ო. თავართქილაძის საკარმიდამო ნაკვეთში მოპოვებული ქვევრის ნაშთები (კახიძე, შალიკაძე.., 2017:59-61; ტაბ.XVIII/1). იგივე შეიძლება ითქვას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლაში (ტაბ.XVIII/1). შემთხვევით აღმოჩენილი რომაული ხანის ქვევრის მიმართაც, რომელიც არქეოლოგიური მუზეუმის ჰოლშია ექსპონირებული (დუმბაძე, 2019:167). ადრეშუასაუკუნეებით თარიღდება კიდევ ერთი შემთხვევით გამოვლენილი ქვევრი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. თოდოგაურიდან (ტაბ. XVIII/3). მასიური ქვევრის პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანა, მხრის არე შემკულია სიმეტრიულად განლაგებული 3-4 სმ-ს დაშორების მქონე რელიეფური ქედებით. ყელთან ახლოს ჩნდება მკვეთრად გამოხატული წრეების ორი არასრული რიგი. ამ რიგების ქვემოთ დაშტამპულია სამკუთხედად განლაგებული სამ-სამი წრე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამკაულის ეს მოტივი ყურძნის მტევნის სქემატურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. რაც ამ სახეობის ქვევრთა შემკობაში სიახლეა. თოდოგაურის ქვევრი გვიანანტიკური ხანიდან ადრეშუასაუკუნეებზე გარდამავალი პერიოდის იმპორტულ ნაკეთობას მიეკუთვნება (დუმბაძე, 2019:168, ტაბ.2/1,2). მსგავსი ტიპის ქვევრები დაფიქსირებულია გონიო-აფსაროსის შემოგარენშიც. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია 2010 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახოში ოქროს განძის ადგილთან ახლოს აღმოჩენილი რომაული ხანის ქვევრი (ტაბ.XVIII/2), რომელიც განძის თანადროულია და ახ.წ. I-II სს. დათარიღებლი (კახიძე, შალიკაძე, 2015:104, ტაბ. III). აღსანიშნავია, რომ ამავე წელს სოფ. მახოში აღმოჩნდა რომაული ხანის (ახ.წ. III-IV სს.) სამარხებიც. რომაული ხანის სამაროვანზე მოპოვებული სამეთუნეო

ნაკეთობებიდან საყურადღებოა სასუფრე და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები. თიხის დოქებიდან აღსანიშნავია წებელდური დოქი (კახიძე, მამულაძე, 2016:71,ტაბ.33/2). მსგავსი თანადროული თუ ადრეშუასაუკუნეების დოქები აღმოჩენილია ციხისძირში (ინაიშვილი, 1993:87, სურ. 33/1), ფიჭვნარში (კახიძე, ვიკერსი.., 2000:75, სურ. 4, ტაბ. III/2; კახიძე, ვიკერსი, 2004:123,სურ. 286,288,290,293), თვით წებელდაში (Трапш, 1971:133, ტაბ. XX/3; Гунба, 1978:68-69, ტაბ. XI/3, XXV/3, XXVII/2 და ა.შ.). სამარხეული ინვენტარიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წყვილყურიანი ჩაფისებური ჭურჭელი (კახიძე, მამულაძე, 2016:71,ტაბ.33/3). ჩაფი, ადგილობრივი დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი სამარნე ჭურჭელია (ტაბ.XVIII/4). იგი საწყაო ჭურჭლსაც წარმოადგენს და მისი მოცულობა განსხვავებულია. ზუსტი საწყაოდ გამოსადეგი ჩაფის დამზადება ყველა მეთუნეს არ შეუძლია (ჯავახიშვილი, 1986:650; ბარისაშვილი, 2019:179). ინვენტარიდან საყურადღებოა წელშეზნექილი კოლხური ამფორა (ტაბ.XVIII/5), ასევე წითელლაკიანი და ადგილობრივი ჯამები. ისინი წითელლაკიანების მინაბაძებს უნდა წარმოადგენდნენ (Kakhidze, Shalikadze, 2010:35-48). ჩვენი აზრით გონიოს ციხის შემოგარენში იმპორტული სახეობის ქვევრთა აღმოჩენის იშვიათი შემთხვევები, შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ სააღებ-მიცემო ურთიერთობებში ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასები არ მონაწილეობდნენ, როგორც ჩანს მასში ჩაბმული იყვნენ მხოლოდ წარჩინებული ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ რომაელებთან.

## § 2. მევენახეობა-მეღვინეობის ადრე შუასაუკუნეებში (მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენა)

ადრეული შუასაუკუნეები, რომელიც საქართველოში X საუკუნის დასასრულამდე გრძელდება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ეს არის ეპოქა, როდესაც გაიმარჯვა ფეოდალურმა ურთიერთობებმა, განმტკიცდა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ქრისტიანობა, დაიწყო მოძრაობა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამავდროულად ქართველი ხალხი იბრძოდა სასანიდური ირანის, არაბების და რომის (ბიზანტია) წინააღმდეგ. მათი შემოტევები აფერხებდა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ასევე ეკონომიური ურთიერთობების ზრდასა და განვითარების (მესხია, 1973:15-25).

ქვეყნის განვითარებაში ქრისტიანობამ დიდი როლი ითამაშა. საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართული ხელოვნების, დამწერლობისა და მწიგნობრობის შემდგომ განვითარებას. ჩანს, ადგილობრივი ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად შეერწყა დასავლურ, რომაულ- ბიზანტიური კულტურის ელემენტებს (ლომოური, 1973: 181; კახიძე, ხალვაში, 2009:98).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ არსებობს სხვადასხვა წერილობითი წყაროები და მდიდარი არქეოლოგიური მონაპოვრები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის ტერიტორიაზე აფსაროსის შემდეგ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა მხოლოდ ციხისძირში დასტურდება. VI ს. ავტორს პროკოპი კესარიელს ფაზისი და აფსაროსი სრულიად გაპარტახებული დახვდა. თუმცა არქეოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ ციხე-ქალაქ აფსაროსში ცხოვრების გამოცოცხლება VI ს. მეორე ნახევრიდან კვლავ იწყება (მამულაძე, კახიძე.., 2007:13-18; კახიძე, მამულაძე, 2016:59). ადრეშუასაუკუნეებში პეტრა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს (კახიძე, ხალვაში, 2009:99-103, იქვე იხილეთ სხვა ლიტ.). სწორედ ამ ძეგლების არქეოლოგიური მასალების გაცნობით დავიწყებთ

ადრე შუასაუკუნეების მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესწავლას.

ციხისძირი, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური მასალები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. გვიანანტიკურსა და ადრეშუასაუკუნეებში ციხისძირში გაჩნდა საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტი ქალაქისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. უკვე ცნობილია, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების წარმოქმნა მეტწილად განპირობებული იყო ამ რეგიონში რომისა და ბიზანტიის სტრატეგიული ინტერესებით. ამდენად, პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიური მონაპოვრები მდიდარ ინფორმაციას შეიცავს, ერთის მხრივ, ლაზიკასა და, მეორეს მხრივ, რომსა და ბიზანტიას შორის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესასწავლად (ინაიშვილი, 1993:3).

პეტრას, როგორც ლაზიკის ცნობილი ციხე-ქალაქისა და საეპისკოპოსო კათედრის შესახებ ძირითადი წერილობითი მონაცემები შემორჩენილია VI-IX სს. ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის თხზულებები, კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები). წერილობითი წყაროების მიხედვით, ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, ზღვასთან, უმნიშვნელო დაბის ადგილას, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) ბრძანებით, გაშენდა ქალაქი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბიზანტია-ირანს შორის ეგრისისათვის გადახდილი ომის დროს. ციხე-ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა ხაზგასმულია პროკოპი კესარიელის აღწერილობაში: ,,ქალაქი პეტრა მიუვალია, ჯერ ერთი, ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველის მხრით არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად." პეტრას კედლები მრავალი საომარი შეტაკების მოწმეა. სწორედ აქ გაიმართა მნიშვნელოვანი ბრძოლები ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის VI ს-ის პირველ ნახევარში. ამ პერიპეტიებში მონაწილეობდა ლაზიკის მაშინდელი მეფე გუბაზი, რომელიც ვერაგულად მოკლეს ბიზანტიელებმა. პროკოპი კესარიელის ცნობით 550 წელს ბიზანტიელებმა მიწასთან გაასწორეს ციხის კედლები, რათა მტერს მომავალში მათთვის საქმე არ გაერთულებინა. უფრო მოგვიანო

ბიზანტიურ წყაროებში (VI-IX სს.) ეს სიმაგრე უკვე იხსენიება არა როგორც ლაზიკის ციხე-ქალაქი, არამედ როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალი ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი ეპარქიის ცენტრი (კახიძე, მამულაძე, 2016:75). პეტრას შესწავლა უკავშირდება გასულ საუკუნეში წარმოებულ შემთხვევით გამოვლენილ თუ არქეოლოგიური კვლევების დროს მოპოვებულ მასალებს: ე.წ. „ციხისძირის განძი", რომაული დამღიანი აგური, არქიტექტურული ნაგებობები, კერამიკული და მინის ნაწარმი, სამარხეული კომპლექსები, მონეტები და სხვა (ინაიშვილი, 1993; კახიძე, მამულაძე, 2016:75-78). შიდაციხის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების (1962-63 წწ) შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX სს. განეკუთვნება და დაკავშირებულია აქ ოსმალური გარნიზონის დგომასთან. მეორე ფენა შუაფეოდალურ ხანას (X-XIV სს.) განეკუთვნება და სუსტად არის წარმოდგენილი, ხოლო ნაგებობების კედლების ყველაზე ძველი ფენა VI საუკუნისაა. ამ ხანას განეკუთვნება ციხის კედლების ადრეული ფენა, სამნავიანი ბაზილიკა, სამეურნეო სათავსო და არქეოლოგიური მასალები: წელშეზნექილი და ტანდაღარული ამფორების, წითლად გაპრიალებული დოქების, წითელლაკიანი თეფშების, დოქების, ქოთნების და სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტი) ფრაგმენტები. ამ პერიოდის მინა წარმოდგენილია ქუსლიანი სასმისებით, ჭრაქებით და სარკმლის მინის ნატეხებით (ინაიშვილი, 1993:11-14; კახიძე, მამულაძე, 2016:76-77). საინტერესო მასალებია გამოვლენილი უახლესი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგადაც (მინდორაშვილი, 2020; თავამაიშვილი, 2020; აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის წარდგენილი ანგარიშები).

ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლის დროს გამოვლენილი ადგილობრივი თუ იმპორტული კერამიკული ნაწარმი დანიშნულების მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: სამეურნეო-სატრანზიტო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ღვინოსთან დაკავშირებული სამეურნეო-სატრანზიტო და სასუფრე ჭურჭელი. მრავალრიცხოვანი სატრანზიტო ჭურჭლები წარმოდგენილია სხვადასხვა სამრეწველო ცენტრების ამფორების სახით. ისინი წარმოდგენილია უმეტეს შემთხვევაში ფრაგმენტების სახით. უმეტესობა ამფორებისა ე.წ წელშეზნექილი ამფორების ჯგუფისაა. ციხისძირის ამფორები გამოყენებული იყო

ჩვილ ბავშვთა დასაკრძალავ ურნებადაც. განხილულია წელშეზნექილი ამფორების რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი. ამფორები განსხვავდებიან ზომებით, პროპორციებით, თიხის შემადგენლობით და კეცით.

წელშეზნექილი ამფორები გვიანანტიკურსა და ადრეშუასაუკუნეებში კერამიკული ტარის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც. მათი ადრეული ფორმები III-IV სს. მოგვიანო ნიმუშები კი V-VI საუკუნეებშია გავრცელებული. ციხისძირში აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორების ქრონოლოგიური დიაპაზონი ახ.წ. IV- VI სს. მოიცავს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გვიანანტიკურსა და ადრეულ შუასაუკუნეებში გავრცელებული წელშეზნექილი ამფორები გენეტიკურად დაკავშირებული არიან ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებთან. ბავშვების დასაკრძალავად გამოყენებული ამფორა-სამარხები (ახ.წ. IV-VI სს.) აქ ბერძნული ეთნიკური ელემენტის არსებობის მაჩვენებელია (ინაიშვილი, 1993:52-56,114). ამფორების მიხედვით ჩანს, რომ კვლავაც გრძელდება მეციხოვნეების მომარაგება სხვადასხვა სახის პროდუქტებით.

სამეურნეო დანიშნულების მოზრდილ ჯგუფს შეადგენს ქვევრები, რომლებიც წარმოდგენილია პირებისა და ძირების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით. მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია, ურევია სილა, ქვიშის მარცვლები, გამომწვარია ზოგჯერ ღია, უფრო კი მუქ მოწითალო-მოყავისფროდ. ქვევრის პირის ფრაგმენტებს შორის გამოიყოფა რამდენიმე ვარიანტი: ა) ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, ყელი არაა გამოყოფილი, პირდაპირ გადადის მხარშიპირის გვირგვინის ზედა გვერდზე გამოწვამდე დატანილია ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზები (ინაიშვილი, 1993:57, ტაბ.22/1). ბ) პირის გვირგვინი სამკუთხა მოყვანილობისა (ინაიშვილი, 1993:57,ტაბ .22/2,3). გ) პირის გვირგვინი ჭრილში წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობისა. ქვევრების პირის დიამეტრი მერყეობს 24-36 სმ. შორის (ინაიშვილი, 1993:57, ტაბ .22/4). ქვევრების ძირის ფრაგმენტები წარმოდგენილია სამი სახით: ბრტყელძირიანი (ინაიშვილი, 1993:57, ტაბ.23,8,9,), გამოზიდულძირიანი (ინაიშვილი, 1993:57, ტაბ.23,5-7), პროფილირებულქუსლიანი (ინაიშვილი, 1993:57, ტაბ. 23,1-4).

ციხისძირში გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის სამარხების მახლობლად აღმოჩნდა სანახევროდ მიწაში ჩადგმული ორი მთლიანად დაცული ქვევრი. მათ პირზე, ხუფის ნაცვლად, კვადრატული მოყვანილობის აგურები ჰქონდათ დაფარული. 1) ქვევრის (ცძ.83/34) პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანია, აქვს დაბალი, შეზნექილპროფილიანი ყელი. ტანის ზედა ნაწილში უფრო განიერია, ბრტყელძირიანია (ტაბ.XVII/5). მხარზე ქვევრს ამოკაწრული აქვს ბერძნული ასოებისაგან შედგენილი მონოგრამა (ინაიშვილი, 1993:97, ტაბ.40,1). საინტერესოა ამ გრაფიტოსთან დაკავშირებული ინფორმაცია. როგორც ცნობილია ანტიკური ხანის კერამიკაზე დატანილი გრაფიტოებისაგან განსხვავებით ადრებიზანტიური ხანის წარწერები კერამიკაზე ნაკლებად გვხდება. ციხისძირის ქვევრიც ამ გამონაკლის შემთხვევას მიეკუთვნება. გრაფიტო ოსტატის მიერ სველ თიხაზეა დატანილი. K და P ასოსაგან შედგენილი მონოგრამა ქრიზმის ვარიაცია უნდა იყოს. სავარაუდოდ იგი არაბერძენი, ადგილობრივი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული (ძნელაძე, 2009:888-889). 2) ქვევრს აქვს უფრო მკვეთრად გამოხატული ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, დაბალი ყელი, ტანი კვერცხისებური მოყვანილობის. გამოყვანილი ძირი ბოლოვდება პროფილირებული ქუსლით (ინაიშვილი,1993:97,ტაბ.40,2). ჩანს ადრეშუასაუკუნეების ხანის სამარხებთან ახლოს აღმოჩენილ ქვევრებს რიტუალური დანიშნულება ჰქონია. სავარაუდოდ ღვინით ან სხვა პროდუქტით სავსე ქვევრები მიცვალებულთათვის შეუწირიათ. აჭარის მონაპოვრებში ჯერჯერობით ასეთი შემთხვევა არ ყოფილა დაფიქსირებული.

აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკიურ და კულტურულ კავშირებზე მიუთითებს პეტრა-ციხისძირში მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალებიც (კესარიული დრაქმები, ანტონინიანები, ანტიოქიასა და კონსტანტინოპოლში მოჭრილი სპილენძის მონეტები), იმპორტული კერამიკა (ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა), სირიულ-პალესტინური მინის ნაწარმი, ოქროს სამკაულები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლები და სხვა (ინაიშვილი,1993:114).

გარდა ციხისძირისა ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მონაპოვრები შესწავლილია ფიჭვნარშიც. ფიჭვნარის ე.წ. ,,ნაპურვალას“ ანტიკური ხანის კოლხურ

სამაროვნებზე გათხრებისას ფიქსირებული იქნა ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენა. ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ დიდი წყვეტილის შემდეგ, ფიჭვნარში კვლავ შეიმჩნევა ცხოვრების გამოცოცხლება. აქ 1966-1967, 1975-1976,1978 წლების გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა ადრექრისტიანული ხანის ეკლესიის ნაშთები. ისინი ეკუთვნის ბაზილიკურ ნაგებობას, რომლის შიგნით და გარეთ დაფიქსირდა თანადროული სამარხებიც. აქვეა ნაპოვნი მარმარილოს მინიატურული ჯვარი, რომელზედაც ჯვარცმის სცენაა გამოსახული. ამავე ფენაში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმში გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ნაკეთობანი. ჩვენთვის საინტერესოა სამეურნეო კერამიკა, რომელიც წარმოდგენილია დერგის, ქვევრისა თუ ამფორების ნატეხების სახით. გამოვლენილია ასევე ,,ყავისფერკეციანი“ ამფორები, რომელთა რიცხვი ახ.წ. IV-V სს. საგრძნობლად იზრდება. წარმოება კი VI საუკუნემდე გრძელდება. გვაქვს ამავე პერიოდის სხვადასხვა საწარმოო ცენტრიდან (სინოპური) შემოტანილი ამფორათა ფრაგმენტები. ასევე ითქმის სამზარეულო და სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლის მიმართაც (კახიძე, ვიკერსი, 2004:123-130; კახიძე, ხალვაში, 2009:110; კახიძე, მამულაძე, 2016:79, იქვე იხ.სხვა ლიტ.).

საეკლესიო ნაგებობის გარშემო შესწავლილი იქნა ადრექრისტიანული ხანის (ახ.წ. IV- VI სს) 12 სამარხები. ამ პერიოდის სამარხეული კომპლექსები გამოირჩევიან მასალების სიმცირით, თუმცა მათში მაინც დაფიქსირდა გარკვეული ნივთები- მძივები, ზარაკები, მშვილდსაკინძები, ქამრის დეტალები, რკინისა და ვერცხლის ბეჭდები და ერთადერთი მინის გრაფინი. მოპოვებული მცირე მასალითაც კი შეიმჩნევა სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან, კერძოდ მცირეაზიულ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან, რომლებიც მიუხედავად საერთო დაქვეითებისა განაგრძობენ ვაჭრობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. საეკლესიო ნაგებობებისა (ბობოყვათი, ციხისძირი, ფიჭვნარი) და მათ გარშემო არსებული სამარხების მიხედვით შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ადრეშუასაუკუნეების აქაური მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე, სამარხთა ტიპებზე, დაკრძალვის წესებზე. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, აქ გაცილებით ადრე VI-VII სს-დან, დასტურდება საეკლესიო

ნაგებობების გარშემო მიცვალებულთა დასაფლავება (კახიძე, მამულაძე, 2016:79).

ადრეშუასაუკუნეების ხანის სამარხების მორიგი აღმოჩენა უკავშირდება საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი ექსპედიციის 1998 წლის გათხრების სეზონს. ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე პირველად აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნეების სამარხები. შესწავლილ იქნა სულ შვიდი სამარხი. გამოვლენილი სამარხეული ინვენტარი გარკვეულად ეხმაურება სამეცნიერო ლიტარატურაში კარგად ცნობილ ე.წ. წებელდურ კულტურას (კახიძე, ვიკერსი, 2004:123-127; კახიძე, მამულაძე, 2016:79-80). ახ.წ. IV-V სს. სამარხები შეიცავდა სხვადასხვა სახის ინვენტარს. ამათგან ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ღვინისათვის განკუთვნილ სასუფრე დანიშნულების ჭურჭლებზე. მათ შორისაა თიხის დოქები (კახიძე, ვიკერსი, 2004:125, სურ. 286, 288, 290, 293; კახიძე, მამულაძე, 2016:80, ტაბ.138/1). მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია ჭიქები (კახიძე, ვიკერსი, 2004:127,სურ.286-287,290). ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების ხანის სამარხებისა და მათში ჩაყოლებული მასალის მნიშვნელობა განსაკუთრებულია. მკვიდრდება ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, ამიტომაც IV ს-ის ფიჭვნარის სამარხები ცალკე უნდა გამოიყოს, როგორც ზღვარი ორ ისტორიულ ეპოქას შორის. ფეხს იკიდებს დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალი, მაგრამ ამ დროს კვლავ ვხვდებით ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ წარმართულ ტრადიციებს (კახიძე, ხალვაში, 2009:110; კახიძე, მამულაძე, 2016:80).

ადრეშუასაუკუნეების ხანის მასალები გვხდება გონიო-აფსაროსის ბიზანტიური ხანის კულტურულ ფენებში. მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ მეციხოვნეებისათვის განკუთვნილი სატრანზიტო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ნაწარმის მიხედვით. მცირე რაოდენობით გვხდება სითხის სმასთან დაკავშირებული სასუფრე ჭურჭელი. ბიზანტიური ეპოქის შედარებით მძლავრი ფენაა შესწავლილი შიდა ციხის ცენტრალურ ნაწილში. აქ მოპოვებული მასალებიდან საყურადღებოა ტანდაღარული ამფორების ის ფორმები, რომლებიც ზოგადად ახ.წ. IV-VI სს. ნაწარმად ითვლება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე, მათ შორის აფსაროსშიც ეს ამფორები ძირითადად ახ.წ. VI ს. თარიღდებიან (ხალვაში, 2002:42).

გონიოს ციხის №2 კოშკის ნახანძრალ ბიზანტიურ ფენაში აღმოჩნდა

კონსტანტინეპოლში და ანტიოქიაში მოჭრილი იუსტინიანეს 40-ნუმიანი სამი მონეტა. გათხრებმა ასევე დაადასტურა, რომ იუსტინიანეს მმართველობის ხანაში კოშკის პირველი სართული გამოყენებული იყო ამფორების საწყობად. აქ დაფიქსირდა ჰორიზონტალურად ჩალაგებული ადგილობრივი წარმოების ყავისფერკეციანი, წელში გამოყვანილი 30-ზე მეტი ამფორა. აქვე იყო კალიპტერისა და სოლენის ნატეხები ცეცხლის კვალით, ასევე დიდი ზომის ლურსმნები, ტიპიური ბიზანტიური ფეხიანი მინის სასმისის ძირი, წითელლაკიანი პროფილირებული ჯამებისა და ლანგრების ნატეხები, სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები და სხვ (ლორთქიფანიძე, ნონეშვილი, 2002:168-169; შალიკაძე, 2004:66,სურ.66; შალიკაძე, 2009:83, ტაბ.99).

ადრებიზანტიური ხანის მასალები აღმოჩენილია ასევე სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე მონაკვეთზე, №10, №20 და №21-ე კოშკის ტერიტორიებზე ბიზანტიური ეპოქის 15-20 სმ სიმძლავრის ფენა გვხდება ციხის შიდა ტერიტორიაზეც. შეინიშნება ქვის უსისტემო წყობები. ძირითადი და წამყვანი ყოფილა ხის ნაგებობები. ზოგიერთ ადგილზე გავრცელებული დანახშირებული მასები გვიჩვენებს, რომ VI-VII სს. აქ არსებული ხის შენობები ხანძრის შედეგად განადგურებულა. ხანძრის კვალი ემჩნევა სახურავსა და იატაკს შორის ჩაზავებულ ფენაში მოქცეულ მასალებსაც. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ აფსაროსი შედარებით სუსტადაა ათვისებული VIII-XII სს. (კახიძე, მამულაძე, 2016:66-67).

2018 წელს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე წარმოებული გათხრების შედეგად ერთ-ერთ სათავსოში, პირველ საპრეპარაციო დონეზე გამოვლინდა მოზრდილი ზომის ბიზანტიური ხანის ადგილობრივი ქვევრი. იგი წელის შუა მონაკვეთამდეა დაცული. ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ მისი დანიშნულების შესახებ. ქვევრის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დევს კულტურულ ფენაში, რომელიც ჯერ არაა შესწავლილი (გონიო-აფსაროსში 2018 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში).

ადრეშუასაუკუნეების ხანის მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად აჭარის სხვადასხვა არქეოლოგიურ კომპლექსებზე გამოვლენილ სამარხეულ ინვენტართან ერთად საინტერესო ინფორმაციის მომცემია რეგიონის სოფლებში, შემთხვევით თუ

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ცალკეული ქვევრები თუ სხვადასხვა ტიპის მარნები, საწნახლები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ძველი ხელსაწყო-იარაღები, კერამიკული ნაკეთობა და ა.შ., რომლებმაც დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მეტ-ნაკლებად შემოინახა თავი. მათი სიმრავლის მიხედვით ჩანს, რომ შუასაუკუნეებში მევენახეობა-მეღვინეობას სოფლის მეურნეობაში მეტად საპატიო და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა (მამულაძე, 2009:152-154; კახიძე, მამულაძე, 2016:113). ქვაზე ნაკვეთი მასიური ზომის საწნახლები განსაკუთრებით მრავლადაა შემონახული მაჭახლისწყლისა და აჭარისწყლის ხეობაში (კახიძე, 1971:6). საღვინე თუ სხვა დანიშნულების ქვევრების სიმრავლე მიუთითებს მათ ადგილობრივ წარმოებაზე. ეს ვარაუდი გამართლებულია, იმითაც, რომ თიხის სხვადასხვა ნაკეთობათა და მათ შორის ქვევრების წარმოების ლოკალური კერები არსებობდა დღევანდელი შუახევის ცენტრში, მაჭახლისა და მერისის ხეობებში. სამეურნეო ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი შემოჰქონდათ, აგრეთვე ბორჩხის (ჭოროხის ხეობა) სამეთუნეო ცენტრიდანაც (კახიძე, 2009:316).

ბოლო ათწლეულში აჭარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ მონაპოვრებს დაემატა ადრეშუასაუკუნეების ხანის რამდენიმე მარანი. მარანი იგივე „ღვინის სახლი“ წარმოადგენს მთელ კომპლექსს, სადაც ღვინის წარმოების პროცესი მიმდინარეობდა, ყურძნის დაწურვიდან დაწყებული, ღვინის საბოლოო დავარგება-დაწმენდამდე. მარნის ეტიმოლოგის, ფუნქცია-დანიშნულების, ტიპების, გამართვის კანონზომიერებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ არაერთი საინტერესო კვლევა არსებობს (გიაშვილი, 1961; ბოხოჩაძე, 1963:149-176; თოფურია, 1984; ჯავახიშვილი, 1986:651-660; ცქიტიშვილი, 2003:11-24; ფრუიძე, 2018:16-46).

ქართულმა ტრადიციამ დღევანდლამდე შემოინახა მარნის ორი ტიპი ღია და დახურული. ღია მარანის სპეციფიკას შეადგენს ღია ცის ქვეშ მიწაში ჩაფლული ქვევრები და შენობაში დაცული მეღვინეობის ჭურჭელ-ხელსაწყოები. ღია მარანი ითვლება მარნის ტიპების საწყის ფორმად. დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, ქვემო რაჭა, ლეჩხუმი, გურია, აჭარა სამეგრელო) გავრცელებულია ღია მარნები.

მიუხედავად ამისა აჭარაში გვხდება სხვადასხვა ტიპის მარნები (კახიძე, 1974:44-46; მამულაძე, 1993:156-157; მინდორაშვილი, 2015:142; კახიძე, მამულაძე, 2016:113-117; კახიძე, შალიკაძე..., 2017:29-31; მინდორაშვილი, 2017:323-333; კახიძე, სურმანიძე..., 2018:9; ქამადაძე, ჩხატარაშვილი.., 2018:367-370; დუმბაძე, 2019:260-266).

დახურული მარანი უპირატესად ქართლსა და კახეთში გვხდება. ეს რეგიონები მკაცრი კლიმატით, საკმაოდ ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით ხასიათდება. ტემპერატურის ასეთი მკვეთრი სხვაობა დუღილის პროცესზე მოქმედებს და აუცილებელს ხდის ღვინის შენობაში შენახვას. ღია მარნის გამართვისას ნიადაგის შერჩევის დროს გასათვალისწინებელია ნიადაგის თვისებები: წყალგამტარობა, ჰაერგამტარობა, წყალტევადობა, სიგრილის შენარჩუნება. ყოველივე დაკავშირებულია ნიადაგის გრუნტის თვისებებთან და მექანიკურ შედგენილობასთან, ნიადაგის შედგენილობაში ქვიშისა და თიხის ნაწილაკების ოდენობასა და ურთიერთშეფარდებასთან. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სამარნე ადგილის შერჩევისას დასავლეთ საქართველოში მშრალ, მაღლობ ადგილს ირჩევდნენ, რადგან ნესტი ღვინოს აფუჭებს. დახურული მარნის წინა ნაწილში ნიადაგში აწყობენ სხვადასხვა ტევადობის ქვევრებს, უკანა ნაწილში კი დასაწური განყოფილებაა საწნახლით. აქვე ინახება ღვინის მოვლასთან დაკავშირებული ინვენტარი (თოფურია, 1955; ლეკიაშვილი, 1980; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:64-65; ფრუიძე, 2018:48-57).

ცნობილია, რომ ვაზი და ღვინო საქართველოში უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო შერწყმული საკულტო რიტუალებთან. ასე იყო როგორც წარმართობის დროინდელ (საკურთხეველი მარანში, საზედაშე ქვევრები, საწესო ღვინის სმა, წარმართული სარიტუალო ტექსტები და ქმედებები), ისე ქრისტიანულ საქართველოში. როგორც ვიცით მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალები სრულდებოდა მარნის ტერიტორიაზე. ამიტომაც მარანი საქართველოში წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, გარკვეული რიტუალები (ქორწილი, ნათლობა და სხვ) მარანში უნდა შესრულებულიყო. იგი წმინდათაწმინდა საკულტო ადგილსაც წარმოადგენდა და როგორც სამლოცველოს ისე უყურებდნენ. მარანში საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილი, სადაც ათავსებდნენ სხვადასხვა

წმინდანების სახელზე შეწირულ ღვინის ზედაშეებს (თოფურია, 1984:27-28; ფრუიძე, 2018:16-46; ბარისაშვილი, 2019:147-156). როგორც აღვნიშნეთ მარნისა და ტაძრის ურთიერთობა უძველესი ხანიდან ჩანს, გამოკვეთილად კი ძვ.წ. V-IV სს. ღვინო გახდა ქრისტიანული ღვთისმსახურების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი. პური და ღვინო საეკლესიო რიტუალის წესით ქრისტეს ხორცსა და სისხლის მაგიერი ხდებოდა (ცქიტიშვილი, 2003:11-24). ქრისტიანობის გავრცელებისთანავე იზრდება ვაზისა და ღვინისადმი ყურადღება და პატივისცემა. ეს ყოველივე გახდა მევენახეობა-მეღვინეობის კიდევ უფრო დაწინაურებისა და აღმავლობის მიზეზი. ახ.წ. IV საუკუნიდან თითქმის ყველა ნაქალაქარზე (ნეკრესი, ურბნისი) ჩანს მარნები. თვით ეკლესია-მონასტრები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ღვინის წარმოებაში. მათ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე ყველაზე ორგანიზებული წარმოება ქონდათ და არა მარტო ღვინისა (ჭილაშვილი, 2004:106-115; ფრუიძე, 2016:178-179). ძველი ეკლესია-მონასტრების სამეურნეო ნაგებობებში მარნებს წამყვანი ადგილი უჭირავთ. არ არსებობს ეკლესია, რომელსაც საკუთარი მარანი და ქვევრები არ გააჩნია. ვენახის მოვლა-პატრონობასა და ღვინის დაყენებას თვით საეკლესიო მსახურნი და ბერები ახორციელებდნენ (ჭილაშვილი, 2004:119; ფრუიძე, 2018:24-36). მარნები და ერთეული ქვევრის ფრაგმენტები დაფიქსირებულია აჭარის ქრისტიანულ ძეგლებზეც (მამულაძე, 2009:153; კახიძე, მამულაძე, 2016:94-100).

აღსანიშნავია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მარნები ფიქსირდება მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობების (ციხე-სიმაგრეები) ტერიტორიებზეც. ასეთ ადგილებში დაფლული ქვევრები თუ რეზერვუარები მასიური ზომებით გამოირჩევიან. აჭარაში მსგავსი არაერთი მარანია შესწავლილი აჭარისწყლის ხეობაში, რომელთა შესახებ არსებობს არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია (მამულაძე, 1991; მამულაძე, 2009:153; მინდორაშვილი, 2015:132-183; კახიძე, მამულაძე, 2016:83-92; მინდორაშვილი, 2017;323-379; ფრუიძე, 2018:37-46; მამულაძე, ქამადაძე, 2019:253-257).

ერთ-ერთი ადრეული მარანი აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქობულეთის მუნიც. სოფელ ჩაისუბანში. 2012, 2017 წწ. განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლინდა ღია ტერასული ტიპის მარანი, სადაც გამოვლინდა

სამი მთლიანად დაცული ქვევრი და ორი დაზიანებული ქვევრის ფრაგმენტები (კახიძე, სურმანიძე, 2013:225-228, ტაბ.XXIII). ყველა ქვევრი წინა თავში ნახსენებ რელიეფურორნამენტიანი ქვევრების ტიპს მიეკუთვნება. აქვე მოვიტანთ ერთ-ერთის აღწერილობას: ქვევრს აქვს მასიური სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, ფართო ყელი ტანისაგან არაა გამოყოფილი, ტანი მსხლისებური მოყვანილობის, ქვედა ნახევარი სფეროსებურად მომრგვალებული, ძირი დისკოსებრი, მკვეთრად გამოყოფილი, ძირის დიამეტრი 12 სმ, სიმაღლე 3 სმ. სიმაღლე 1მ.84 სმ, მუცლის დმ. 1მ.54 სმ, პირის დიამეტრი 32 სმ, ყელის დმ 60 სმ. პირის ქვემოთ დატანილი აქვს მოზრდილი ზომის ოვალური ფორმის რელიეფური რგოლების სარტყელი. ქვევრის ყელის ზედა ნაწილი და კორპუსის ზედა შევიწროებული მონაკვეთი დაფარულია მჭიდროდ განლაგებული მკვეთრი წიბოების მქონე ჰორიზონტალური რელიეფური ღარებით (ღარების სიფართე 2 სმ). ძირთან ახლოს ქვევრს შემოუყვება ჰორიზონტალური წიბო. ტანის ქვედა ნახევარი სადაა. კეცი კარგად გამომწვარი, ღია მოყვითალო, მინარევებიანია. ურევია ქარსის ოქროსფრად მბზინავი ნაწილაკები (ტაბ.XIX/1) დანარჩენი ორი მთლიანად დაცული ქვევრებიც თითქმის ანალოგიურია ზომის, ფორმისა და შემკულობის მიხედვით (კახიძე, სურმანიძე, 2013:225-228, ტაბ. XIX XX; XXI). ერთ-ერთი ქვევრის დაფლვისას გამოყენებულია მსუბუქი ბათქაშის ფენა. ჩაისუბნის მარანი მასში გამოვლენილი ქვევრების მიხედვით სავარაუდოდ ბიზანტიური ხანისაა. ჩანს, რომ რელიეფური ორნამენტით შემკული გვიანანტიკური ხანის ქვევრებმა, გარკვეული ცვლილებები განიცადა ბიზანტიური ხანისათვის. ქვევრის პირი გახდა სამკუთხაგანივკვეთიანი, ხოლო კორპუსი უფრო ამაღლებული, კვერცხისებური მოყვანილობის, სამკაული კი უფრო მდიდრული და სტანდარტული.

მსგავსი ორნამენტაციით შემკული ქვევრების მორიგი აღმოჩენა უკავშირდება ხელვაჩაურის მუნიციპალტეტის სოფელ კაპნისთავს. სოფელი კაპნისთავი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 22 კმ. დაშორებით. ზღვის დონიდან 321 მ-ზე. ტოპონიმი „კაპანი“ უკავშირდება დაქანებულ ციცაბო, კლდოვან, ადგილს. 2015 წელს სოფ. კაპნისთავში ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ შეისწავლა სახლის კომპლექსში შემავალი მარანი (ტაბ.XIX/2), რომელიც პირველი შემთხვევაა აჭარისათვის. ქვევრების უბანზე აგეგმილი თხრილის სამხრეთ მონაკვეთში

დაფიქსირდა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ზომის მშრალი ქვის წყობით. არქეოლოგიური კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი გამოყენებული იყო მარნის დანიშნულებით, სადაც გამოვლინდა ერთ რიგად, გარკვეული სისტემის მიხედვით ჩადგმული ქვევრები. მარნის ტერიტორიაზე  გამოვლენილი 11 ქვევრი ახ.წ. VI-XI საუკუნეებითაა დათარიღებული. მათგან 4 ნიმუში (1, მე-6, მე-10 და მე-11) გამოირჩევა ადრეულებით, მათი თიხა მოვარდისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი. პირი სამკუთხაგანივკვეთიანია, ყელი ტანისაგან არაა გამოყოფილი და შემკულია ჰორიზონტალურად განლაგებული მჭიდრო რელიეფური ღარებით. ყელის დასასრულს ქვევრს შემოუყვება რელიეფური (ჯაჭვისებური) ორნამენტი ტანის ზედა ნაწილი ვიწროა, ქვედა კი ნახევარსფეროსებურად მომრგვალებული, აქვს დისკოსებური ძირი (კახიძე, შალიკაძე.., 2017:30, XV/1,2; XVI/1; XX/2, XXI). კაპნისთავის მარანში გარდა რელიეფურურორნამენტიანი ქვევრებისა გამოვლენილია ადგილობრივი ყავისფერკეციანი ქვევრებიც (მე-2, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9), რომელთაც აქვთ ოთხკუთხაგანივკვეთიანი დაბრტყელებული პირი, გამოყვანილი ყელი, სფეროსებური ტანი და დისკოსებური ძირი. მათი ტანი დაფარულია სიმეტრიულად დაშორებული ზოლებით (კახიძე, შალიკაძე.., 2017:30,ტაბ.XVI/2,XVII,XIX,XX/1). ასეთი ქვევრები ერთიანდება ჰორიზონტალურად შემკული ქვევრების ჯგუფში და გვიანანტიკური ხანიდან დღემდეა გავრცელებული. ქვევრის ამოყვანისას ორი ფენის შეერთებაზე (ძველისა და ახლის) სარტყელი უკეთდებოდა. იგი სადა, დაკბილული ან გრეხილი შეიძლება ყოფილო. მის დანიშნულებას შეერთებული ადგილების გამაგრება წარმოადგენდა, თანაც კირხსნარს უფრო მტკიცედ იჭერდა (ფრუიძე, 2018:71). ადრეფეოდალური ხანისათვის ქვევრის ფორმები საბოლოოდ დაიხვეწა: პირი გაფართოვდა, გვირგვინი ბრტყელი გახდა, ცილინდრული მოყვანილობის ყელი შედარებით დაბალია, მხრები და მუცელი ზომიერადაა გამობერილი, ძირი ბრტყელია, ტანი დაფარულია სადა ან დაკბილული სარტყელით (ბოხოჩაძე, 1963:140-146). მსგავსი ქვევრები  ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე, გამოვლენილია მარნეში დაფლული ქვევრებისა თუ შემთხვევით ცალკეული მონაპოვრების სახით. თვალსაჩინოა ისიც, რომ გვიანანტიკურსა და

ადრეფეოდალური ხანის ადრეული საფეხურიდან იწყება ქვევრების მოცულობის ზრდა. ქვევრების სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევს, მაქსიმალური დიამეტრი კი 1,20 მ. უდრის (კახიძე, სურმანიძე, 2013:227; მინდორაშვილი, 2015:142-143; მინდორაშვილი, 2017:325-327; დუმბაძე, 2018:432; დუმბაძე, 2019:263-265; დუმბაძე, 2019:169). საინტერესოა, ასევე კაპნისთავში ქვევრი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს დაზიანებული. მისი აღდგენა დაკირვამდე ხდებოდა. ხშირად ხდება გაბზარული ადგილის დამუშავება და შეძლებისდაგვარად აღდგენა. ამ პროცესს - ხიზვა, ხოლო სპეციალურად მომზადებულ მასალას კი ხიზი ეწოდება. დაზიანებული ქვევრის აღდგენას გარკვეული გამოცდილება სჭირდება. გაბზარული ქვევრის აღდგენის რამდენიმე მეთოდი არსებობს (ბარისაშვილი, 2019:122-124), ამჯერად მათ შესახებ საუბარს აღარ განვავრცობთ. საყურადღებოა ქვევრის დაკირვის საკითხი (ფრუიძე, 2018:69-72; ბარისაშვილი, 2019:228-236), რომელიც დღესაც აქტუალური საკითხია. როგორც ცნობილია ქვევრების დუღაბით დაკირვა შუაფეოდალური ხანიდან დასტურდება. ამისათვის იყენებდნენ კირხსნარს, რიყისა და ქვიშაქვის ნატეხებს, ზოგ შემთხვევაში ქვევრისა და ჭურჭლის ნატეხებსაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვევრების დაკირვას თანდათანობით იწყებენ მთელ საქართველოში, მიზეზი კი მხოლოდ ბუნების სტიქიური მოვლენები ყოფილა, რომელიც მიწაში დაფლული საღვინე ქვევრის მთავარი მტერია. ასეთი დამანგრეველი მიწისძვრა საქართველოში XI ს-ის 80-იანი წლების მიწურულიდან არის სავარაუდებელი (1080-1089), რამაც გამოიწვია ქვევრების დასკდომა, ამას კი თავისთავად უნდა მოჰყოლოდა დაზიანებული ქვევრების შეკეთების ცდა და ამ მიზნით მათი დაკირვა. როგორც ჩანს ქვევრების დაკირვა წესად გამხდარა. კირავდნენ არა მარტო გაბზარულ, არამედ ახალშეძენილ მთელ ქვევრებსაც, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე (ბოხოჩაძე, 1963:141-142, სურ.3).

ქვევრების დაკირვასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად ლ. ფრუიძე აღნიშნავს ქვევრების დაკირვის მიზანი მათი მიწისძვრისა და სხვა მოულოდნელი სტიქიური მოვლენებისგან დაცვის, გარდა ღვინის ტექნოლოგიური მოთხოვნილებებით იყო ნაკარნახევი. ქვევრის მიწაში მოქცევის შემდეგ მალევე გახდებოდა შესამჩნევი კეცის უარყოფითი მხარეები -

მსხვრევადობა და სინესტის გამტარიანობა. მეღვინეობის მასშტაბებისა და ჭურის ზომების ზრდასთან ერთად ეს პრობლემა უფრო საგრძნობი გახდებოდა და მეურნე მათ აღმოფხვრაზე ათასგვარი ექსპერიმენტით იზრუნებდა, რის შედეგადაც დაკირვამდე თანდათანობით მივიდოდა. ამრიგად ქვევრების დაკირვა გაცილებით ადრეა საძიებელი, ვიდრე XI ს-ის 80-იანი წლები, რადგანაც ქვევრი ადრეც ზიანდებოდა და მისი შეკეთება-დახიზვის საჭიროება იმთავითვე წარმოიშობოდა. XI ს-ის 80-იანი წლებიდან კი ეს ტექნიკური სიახლე ფართოდ ხდება დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე ქვევრების დაკირვის ცდები გაცილებით ადრეა საძიებელი და იგი ღია მარნების წარმოშობამ აქცია აუცილებელ საქმედ (ჯორჯაძე,1876:231-233; ფრუიძე, 1974:133-134; ფრუიძე, 2018:70-71). აღმოსავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლების კერამიკაში XI ს-ზე ადრინდელი არაერთი ჩაკირული ქვევრი გვხდება. იგივე სურათია ჩანს ჩვენს მიერ უკვე ნახსენები სოფ. ჩაისუბნის მარნის მაგალითზეც (მინდორაშვილი, 2007:91, იქვე სხვა ლიტ.). კაპნისთავის მარანის ბოლომდე შესწავლა დასრულებული არაა, ვფიქრობთ მომავალი არქეოლოგიური კვლევა მეტი სიახლის მომტანი იქნება (კახიძე, შალიკაძე.., 2017:30).

აჭარის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთი უახლესი აღმოჩენა უკავშირდება ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ზესოფელს. ცნობილია, რომ ქედა შუამთის სარტყლის მევენახეობა-მეღვინეობის გამორჩეული რეგიონია. აქ ყველაზე ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია ხარისხოვანი ღვინოების წარმოებისათვის (რამიშვილი, 1948:25-28; კეცხოველი, რამიშვილი.., 2012:44). მარნი 2018 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ნოდარ ბერიძის საკარმიდამო ნაკვეთში. სსიპ - აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ქედის ისტორიული მუზეუმის ერთობლივი ექსპედიციის მიერ 2018, 2021 წწ. შესწავლილი იქნა მარანის ტერიტორია. ანგარიშის შესახებ სრული ინფორმაცია შევა დისერტაციის პუბლიკაციაში. მარანი იყო ღია, ტერასული ტიპის, ვინაიდან ქვევრები გარკვეული დაფერდებით ტერასულადაა განლაგებული. სულ გამოვლენილია 13 ქვევრი და ერთი დერგი (ტაბ.XX/1). ქვევრები პირველ ტერასაზე მოჭრილი ქანის (თირის) შემცველ მიწაყრილშია ჩადგმული, მეორეზე მოყვითალო, მკვრივ თიხნარ გრუნტში (კახიძე, სურმანიძე.., 2018:9; დუმბაძე, 2019:170). ქვევრების ერთ ნაწილი შელესილია

ნესტგაუმტარი თიხის ფენით. თირში ჩადგმულ ორ ქვევრს წვრილი კენჭებისაგან შედგენილი სარტყელი აქვს ირგვლივ შემოვლებული. მარანის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქვევრები სხვადასხვა სახისაა (ტაბ.XX/4,6,7). მათ შორის ადრეული რელიეფურორნამენტიანი ქვევრის პირი ოთხკუთხაგანვკვეთიანია, ყელი ფართო. ტანის ნახევარსფეროსებურად მომრგვალებული. ყელის დასაწყისს შემოუყვება რელიეფური რგოლებისაგან შედგენილი სამკაული. კორპუსის ზედა მონაკვეთი დაფარულია ჰორიზონტალური ღარებით. აღსანიშნავია, რომ ამ ქვევრის პირის ფრაგმენტის ზედა ნაწილზე ამოკაწრულია ჯვარი. მივიჩნევთ, რომ იგი საზედაშე ღვინისათვის იყო განკუთვნილი. მარნის ზედა ტერასაზე გამოვლინდა, ასევე მოგვიანო პერიოდის რელიეფურორნამენტიანი ქვევრი (2 ცალი), რომლისთვისაც დამახასიათებელია სამკუთხაგანივკვეთიანი პირი. უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული ქვევრები უბრალოდ იყო მიწაში ჩაფლული. შედარებით გვიანია დაკირული (განვითარებული შუა საუკუნეები) ყავისფერკეციანი ქვევრი, რომელსაც აქვს სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, გარეთა გვირგვინი შემკულია ღრმა ჭდეებით. ყელი ფართო სადა. ერთ ფრაგმენტზე ამოკაწრულია ჯვარი. ტანის ზედა ნაწილი ჰორიზონტალური ქედებითაა დაფარული. ზესოფლის მარანში დაფიქსირებული თითქმის ყველა ქვევრი დიდი ზომის ქვებით იყო ამოვსებული. საყურადღებოა, რომ ასეთი ფაქტები აჭარაში ხშირია, რაც თურქთა ბატონობის დროს მეღვინეობის აკრძალვასა და ქვევრების განგებ დაზიანებას უკავშირდება (ტაბ.XX/7). ზესოფლის მარანში გამოვლენილი ჯვრიანი ქვევრების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარანში ინახებოდა საზედაშედ შეწირული ღვინოებიც. საყურადღებოა, რომ სოფ. ზესოფელში არსებობს ტოპონიმი „ზედაიშე“, რომელიც ოსმალების მიერ „ზედაშეს“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს (კახიძე, სურმანიძე, ფარტენაძე, 2018:9). აღსანიშნავია ზედაშესთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ზედაშე საღვთოდ შესაწირავი პირველნაწური ანუ თავღვინოა, წლიური მოსავლიდან. საზედაშე (საზარძიმე) ღვინო მხოლოდ წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის ყურძენი. საზედაშე წითელი ღვინის ჭაჭიდან მოხსნასაც მისი წესები ჰქონდა. ზედაშის ქვევრი მარანში ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენდა და მას ყოველთვის გამორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა. მეტწილად საზედაშე ღვინო განთავსებულია მარნის მარჯვენა

კუთხეში ან ღია ცის ქვეშ. არსებობდა სოფლისა და საგვარეულოს პატრონების, ღმერთის, ღვთისმშობელის, წმინდანებისა და სხვა სახელობითი ზედაშეები და მათი გაყიდვა ან გასესხება აღკვეთილი იყო. ძველად პრაქტიკულად არ არსებობდა მარანი სადაც ზედაშის, თუნდაც ერთი ქვევრი არ ყოფილიყო ჩაფლული. ამავე ადგილას სახატე ნიშიც იყო მოწყობილი, რომელშიც სანთელი ინთებოდა. ზედაშეს ქვევრის მოხსნა მხოლოდ დღესასწაულებზე ხდებოდა (თოფურია, 1984:32-38; მირველაშვილი, მაღრაძე, 2014:77; ბარისაშვილი, 2019:147-156). ზესოფლის მარანში გამოვლენილი ქვევრები განსხვავდება ტიპების, ეპოქებისა და დაფლვის დონეების მიხედვით. (ტაბ.XX/2,3,5), რაც იმის მაჩვენებელია, რომ მარანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უწყვეტად ფუნქციონირებდა ადრეშუასაუკუნეებიდან განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით, შესაძლოა უფრო გვიანაც. ზესოფლის მარნის ფუნქციონირების ქრონოლოგიური დიაპაზონის განსაზღვრისათვის საყურადღებოა, ასევე თურქი დამპყრობლების მიერ შედგენილი კანონთა და საგადასახადო ნუსხათა წიგნი, აჭარის ლივის მოკლე დავთარი, სადაც დაცულია სოფ. ზესოფელთან დაკავშირებული ინფორმაცია. იგი შედგენილია სულთან მურად III (1574-1595წწ.) დროს და წარმოდგენილია ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიეებზე (რაიონები) შეწერილი გადასახადები (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:11). დავთრიდან ჩანს, რომ სოფელ - ზედსოფელში (იგივე ზესოფელი) დავთრის შედგენისას ცხოვრობდა 11 კომლი. ისინი სხვადასხვა გადასახადებთან ერთად იხდიდნენ მურახხასიეს გადასახადს, რომელსაც იხდიდა მრევლი, იმისათვის, რომ მას შეენარჩუნებინა მღვდელი და ეკლესია. „დავთრიდან“ ჩანს, რომ დასახელებული აჭარის 54 სოფლიდან, ხუთის გარდა ყველა სოფელი და თვითეულში შემავალი ყოველი კომლი იხდიდა მურახხასიეს გადასახადს. ეს კი უტყუარი მოწმობაა, იმისა, რომ XVI ს-ის 60-70-იან წლებში აჭარის მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქრისტიანი იყო. აქედან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია, რომ ზესოფლის მარანი XVI საუკუნის მიწურულამდე ფუნქციონირებდა (შენგელია, 2009:245-248; შაშიკაძე, მახარაძე, 2011:40,50).

ჩაისუბნის, კაპნისთავისა და ზესოფლის მარნების არქეოლოგიურმა კვლევების მიხედვით, ჩანს რომ ორივე მარანის გამართვისას დაცულია ის კანონზომიერებანი,

რაც ღია მარნის გამართვისას უნდა იყოს გათვალისწინებული. როგორც ცნობილია, მარნის შესარჩევად ოდითგან ქართველი მეურნე ყურადღებას აქცევდა რამდენიმე უმთავრეს გარემოებას: „ალაგობას“ (ექსპოზიციას), “მიწას“ (ნიადაგს) ჰაერის „მუშაობას“ (ქარების მიმართულებას, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების მოძრაობას, სახმარი წყლის სიახლოვეს, მზის დამხრობას, „მზის გულობას“ (ნათებას) და ჩრდილის მონაცვლეობას. დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგი ტენიანია, მარანს შედარებით მშრალ, მაღლობ, წყლისაგან მოშორებულ ადგილას აშენებდნენ. ნიადაგ-გრუნტის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინის შესანახად და მისი ხარისხის შესანარჩუნებლად. სამარნე ადგილი ისე უნდა იყოს „შეკაზმული,“ რომ წვიმის წყალი ყველა მხრიდან იწურებოდეს. „მიწა შავი, თირი ჯობია, გრილია, სიმხურვალე ვერ ატანს, მშრალია, ნესტი ძვირად აქვს, გვალვაში არ სკდება, ჭურს კარგად ადგება, „ლაგაზივით“ არ ეგლისება, ამიტომაც თირ მიწაში ქვევრი კარგად „სუნთქავს“. უმზეო მარანიც არ ვარგა შმორის სუნი იცის და ღვინო დაცდის (ფრუიძე, 1974:108; ჯორჯაძე, 1976:222; თოფურია, 1984:6-7; ფრუიძე, 2018:50;). ამ გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ თავის დროზე კაპნისთავისა და ზესოფლის მარნებისათვის ადგილი სწორად ყოფილა შერჩეული. ადგილი შეფერდებაა, მშრალი, ზომიერად საქარული და სამზეოც და სხვ. ყოველივე ეს მიუთითებს მევენახეობა- მეღვინეობის შემდგომ დაწინაურებაზე, ღრმა ცოდნაზე, ტრადიციებსა და გამოცდილებაზე.

აჭარის ადრეშუასაუკუნეების ხანის მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესასწავლად გარდა განხილული მარნებისა საინტერესოა, ასევე შემთხვევით აღმოჩენილი ბიზანტიური ხანის ქვევრი ბათუმის ციხის მიმდებარე თამარის დასახლებიდან. 2017 წლის ნოემბერში ბათუმის ციხესთან ახლოს, ბათუმის ციხის მიმდებარედ (ე.წ. თამარის დასახლება), მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრი. განხორციელდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები. ქვევრი ჩადგმული იყო 1,5 მ. სიღრმეზე. მასში დიდი რაოდენობით იყო ჩაყრილი მოზრდილი და საშუალო ზომის ქვები, მათ შორის იყო სამკუთხაგანივკვეთიანი პირისა და ყელის ფრაგმენტები. მოხერხდა მისი ნაწილობრივი რესტავრაცია და გრაფიკული ჩანახატის გაკეთება (ტაბ.XX/8). ამჟამად

ქვევრი დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში (დუმბაძე, 2018:432-433; დუმბაძე, 2019:170-171). ქვევრი ყავისფერკეციანია, აქვს სამკუთხაგანივკვეთიანი პირი. ფართო ყელი შემკულია მდიდრულად შესრულებული რელიეფური ორნამენტით, რომლის ქვემოთ მხრის მიმართულებით დატანილია მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური ღარები. ტანი მომრგვალებულია, დაბალი, ცილინდრული ძირი ტანისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. სიმაღლე - 165 სმ; მუცლის დიამეტრი - 115 სმ; დიამეტრი - 42 სმ; ძირის - 13,5 სმ. ბათუმის ციხის მიმდებარედ შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი ადრეშუასაუკუნეების ხანის (VI-VII სს.) ადგილობრივ ნაკეთობადაა მიჩნეული (დუმბაძე, 2018:434). როგორც ჩანს, ადრეშუსაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ცენტრების გონიო-აფსაროსისა და პეტრა ციხისძირის მსგავსად ბათუმისციხეც აქტიურ როლს ასრულებდა სავაჭრო ურთიერთობებში. ქვევრის ფრაგმენტებს ჩაუტარდა მიკროსკოპული ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბარატორიაში. მიკროსკოპული კვლევის შედეგად სინჯებში გამოვლენილი მინერალური ჩანართებისა და ქანების მიხედვით, ქვევრი ადგილობრივადაა მიჩნეული. მიკროსკოპული კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ თიხა დაახლოებით 900 გრადუსზე იყო გამომწვარი, რაც საკმარისია ქვევრის ფუნქციური დატვირთვით გამოყენებისათვის (დუმბაძე, 2018:433).

ბათუმის ციხესთან შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი, როგორც ფორმის, ასევე შემკობის მოტივების მიხედვით, ანალოგიურია აჭარის ტერიტორიაზე უკვე ბევრგან გამოვლენილი რელიეფურორნამენტიანი ქვევრებისა. ესენია ჩაქვის ჩაისუბნი, კაპნისთავი, ხიხანის ციხე, ახლშენი, თოდოგაური, მახო, წინსვლა, თხილნარი, სარფი, ორცვა, ზენდიდი, ზესოფელი და ა.შ. მარნებში გამოვლენილი ქვევრებისა თუ ცალკეული აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ ფორმათა უმნიშვნელო ცვლილებითა და კიდევ უფრო გამდიდრებული ორნამენტაციის მოტივებით საღვინე ჭურჭლის ეს ფორმა არსებობას განაგრძობს განვითარებულ შუასაუკუნეებშიც. შემკულობის ამ მოტივებზე დამზადებული ქვევრების ადგილობრივი სახეობები მრავლადაა აღმოჩენილი, როგორც ზღვისპირა რაიონებში, ასევე აჭარის მთისწინა და მთიან ზონაში (კახიძე, სურმანიძე.., 2013: 5-24; კახიძე, სურმანიძე, 2013:222-234;

მინდორაშვილი, 2015:132-148; კახიძე, შალიკაძე.., 2017:25-33; მინდორაშვილი, 2017:323-333; კახიძე, მამულაძე, 2018:130-139; დუმბაძე, 2019:169).

ახალი ტიპის, რელიეფურორნამენტიანი ქვევრების გავრცელების არეალში ექცევა აფხაზეთის ტერიტორიაც. ოჩამჩირის მუნიც. სოფ. ფოქვეში, სათვალთვალო ციხე-სიმაგრის შიგნით, სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე, აღმოჩენილ ქვევრში დაფიქსირდა თევზის ფხები, რის გამოც თვლიან, რომ ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქვევრები გამოიყენებოდა სხვადასხვა პროდუქტების შესანახად (თევზი, ხორცი, მარცვლეული - ფეტვი, ხორბალი, ზეთი) ქვევრი ექსპონირებულია აფხაზეთში ქ. სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში. მკვლევარები თვლიან, რომ სოფ. ფოქვეშის ტერიტორიაზე აღმოჩენილი VII-X სს. დათარიღებული ქვევრი განსხვავებულია აფხაზეთში მანამდე აღმოჩენილ ნიმუშებისაგან (Мархолия,1980:108-112, სურ. 1-4). აფხაზეთში შუასაუკუნეებით დათარიღებული ნასახლარებსა და ციხე-სიმაგრეებშიც ხშირი იყო მსგავსი ფორმის ქვევრების აღმოჩენა. ამ ტიპის ქვევრები 1984 წ. გუდაუთის რაიონის ისტორიულ სოფელ ლიხნშიც იქნა აღმოჩენილი შუასუკუნეების ციხის კომპლექსის შესწავლისას (Хрушкова, 1989:52). ერთ-ერთ ქვევრს ყელის არეში დატანილი აქვს გრაფიტო, რის გამოც ავტორი მას იმპორტულ ნაკეთობად მიიჩნევს. ლიხნის ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები IX-X საუკუნით თარიღდება (Хрушкова, 1989:46-47, სურ:29,1,2).

მსგავსი ორნამენტაციის ქვევრები 2012-2013 წწ ისტორიული ჭანეთის მხარეში მოწყობილი ექსპედიციების მიერ დაფიქსირებულია ტრაპიზონთან ახლოს, ოფში (მთლიანი ცალები) და არხავეს ციხის ტერიტორიაზე (ფრაგმენტები). ერთი შესანიშნავად დაცული სინოპეში აღმოჩენილი ქვევრი, ტრაპიზონის აია სოფიას ტაძრის შესასვლელთანაა ექსპონირებული. რელიეფური ორნამენტებით შემკული ქვევრების მწარმოებელ ცენტრად ქ. სინოპეა მიჩნეული (კახიძე, ხალვაში, 2014:134).

წარმოდგენილი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ ადრეშუასაუკუნეებშიც გრძელდება ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მდიდრული რელიეფური ორნამენტებით შემკული ქვევრების

საწარმოო ცენტრს შესაძლებელია სამხრეთ შავიზღვისპირეთი (ქ. სინოპე) წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ ელინისტური ხანის სინოპური კერამიკული ტარის მსგავსად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კერამიკული ტარის, კრამიტისა და ლუთერიების მსგავსად, სამეურნეო კერამიკის ამ სახეობასაც (ქვევრი) გამოუჩნდა ადგილობრივი მინაბაძები. ჩანს, რომ, ადრეშუასაუკუნეების ხანისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობებში ღვინოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. აჭარის ტერიტორიაზე მრავლად გამოვლენილი მარნები და ქვევრები ადასტურებენ, რომ მევენახეობა-მეღვინეობას უწყვეტი ხასიათი ჰქონდა და სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა.

რაც შეეხება მომდევნო, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ მასალას, მათ აღარ შევეხებით, ვინაიდან ცილდება ჩვენს საკვლევ პერიოდს. შემოვიფარგლებით ბოლო წლებში აჭარის ტერიტორიაზე შემთხვევით თუ სადაზვერვო სამუშაოების დროს გამოვლენილი არტეფაქტების ჩამოთვლით. მათ შორისაა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, მაჭახლის თემის, სოფელ სინდიეთში აღმოჩენილი განვითარებული შუასაუკუნეების სამარნე კომპლექსი. დაწყებულია დასახელებული ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა. ამ ეტაპზე გამოვლენილია, სხვადასხვა პერიოდისა და ზომის 11 ქვევრი. სიახლეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიც. სოფ. მარადიდში შემთხვევით გამოვლენილი მარანიც. ერთ-ერთი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთში ვაზის დასარგავად ნიადაგის მომზადების დროს აღმოჩნდა ქვევრის (6 ცალი) ნაშთები და ღვინის სასუფრე ჭურჭლების (დოქები) ფრაგმენტები. ზედაპირული დათვალიერების შედეგად ჩანს, რომ გარკვეული კანონზომიერების დაცვით დაფლული ქვევრები განსხვავდება ზომის, ფორმისა და შემკულობის მიხედვით. ვფიქრობთ მისი შესწავლა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს, ვინაიდან, ჩანს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ღია ტიპის მარანთან. შუასაუკუნეების აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად საინტერესოა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლარას დახურული მარანი, რომელიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია, როგორც არქიტექტურული თვალსაზრისით, ასევე მონაპოვრების მხრივაც. სიტყვას აღარ განვავრცობთ სხვა ჯერ

კიდევ შეუსწავლელი მარნებისა და ერთეული ქვევრების შესახებ (სამება, თხილნარი, ორცვა, მახუნცეთი, ხალა, კვირიკე, ორთაბათუმი, ჩელტა და სხვ.) რაც მომავალი კვლევების საქმე იქნება. ვფიქრობ, რომ ჩამოთვლილი ძეგლების შესწავლა საინტერესო სიახლე იქნება აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

# დასკვნა

ჩვენს მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში თავმოყრილია წლების განმავლობაში შემთხვევით თუ არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა გვიანბრინჯაო- ადრერკინის ხანიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე.

კვლევაში გამოყენებული იქნა, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციებში შესული მასალა, ასევე აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში, ასევე, საგამოფენო დარბაზებში დაცული, ჩვენთვის საინტერესო ეპოქების გამოუქვეყნებელი არტეფაქტები და უახლესი მონაპოვრებიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა, განსაკუთრებით იჩენს თავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან. ამ მიმართებით საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი საკვლევი რეგიონიც, რომელიც ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის უძველეს კერას წარმოადგენდა. ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებამ, ასევე რკინის გამოჩენამ, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებიდან ლითონის წარმოებაში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს, გამოიწვია სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის მაღალგანვითარებული დარგების ჩამოყალიბება. არქეოლოგიურ მონაპოვრებში მრავლადაა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები. აღსანიშნავია, რომ მევენახეობა-მეღვინეობის პრეისტორიული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია არქეობოტანიკური (მცენარეები, მიკრონარჩენები) მასალა. წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილეთ, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, ვაზის შესახებ არსებული პალეობოტანიკური მონაცემების კვლევის შედეგები, რომელიც ადასტურებს, რომ ვაზის კულტურას საქართველოს ტერიტორიაზე ფართო გავრცელება ჰქონია. დღემდე არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები),

კულტურული ვაზის დაფიქსირება, ამიერკავკასიაში ამ კერის პირველობას ადასტურებს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის ფართოდ ათვისებული სამეთუნეო მორგვი და სწრაფმბრუნავი ფეხის ჩარხის არსებობა, უზრუნველყოფდა წარმოებული კერამიკული პროდუქციის სრულყოფასა და დახვეწას. სწორედ ამ ეპოქიდან სახეზეა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ნაწარმის მომრავლება. ჩნდება კოლხური ქვევრები-პითოსები (მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ორნამენტებით შემკული) და სასმისების ადრეული ფორმები (ცილინდრული და კონუსურძირიანი სასმისები), ბიკონუსური და ყურმილიანი დოქები, დიდი მოცულობის, დერგის ფორმის ჭურჭლები, რომლებსაც სხვადასხვა პროდუქტების შესანახად იყენებდნენ. აჭარის მუზეუმის ფონდებში არსებული, მათ შორის გამოუქვეყნებელი მასალის შესწავლამ, შესაძლებლობა მოგვცა კოლხეთის ძეგლების ანალოგიურ მასალაზე დაყრდნობით, გაგვეკეთებინა ზოგიერთი მათგანის (სასმისები) კლასიფიკაცია.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილეთ შემდგომი ეპოქების (მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურები) მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და მდიდარი არქეოლოგიური მონაპოვრებიც. მევენახება-მეღვინეობის დარგის განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩევა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ცნობილია, რომ კოლხეთის სამეფოს ზღვისპირა ზოლში, ძვ.წ. VII ს დასასრულსა და ძვ.წ. VI საუკუნის დამდეგს დასტურდება მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროდან (იონიიდან) გამოსული ბერძნული თემების გამოჩენა. კოლხეთი, აქტიურად ჩაება დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში. აჭარის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ჩანს, რომ ანტიკური ხანის ქართული მეურნეობისა და კულტურის შექმნაში, გარკვეული წვლილი შეიტანა აჭარის, როგორც ზღვისპირეთმა, ისე მთისწინა და მთიანმა ზოლმა (ფიჭვნარი, კოხი, ციხისძირი, ბათუმისციხე, მახვილაური, კვაშტა, კოლოტაური და სხვ.). მეღვინეობის დაწინაურებასა და მის ფართო მოხმარებაზე მიუთითებს სხვადასხვა ძეგლებზე მრავლად მოპოვებული ქვევრები, სატრანზიტო დანიშნულების ტარა (ამფორები),

ასევე ადგილობრივი თუ უცხოური ღვინის სასუფრე ჭურჭლები და სხვ. ღვინის სასაქონლო ხასიათს ადასტურებს არაერთი არქეოლოგიური მონაპოვარი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კოლხეთიდან ღვინის ექსპორტის მაუწყებელი უნდა იყოს ძვ.წ. IV საუკუნის კოლხური ქვევრებისა თუ ამფორების აღმოჩენა, ყირიმისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების დროსაც. კოლხეთიდან, ქვევრებით ღვინის, გარდა საექსპორტოდ გაჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: თაფლი, ცვილი და ა.შ.

კლასიკური ხანის მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მონაპოვრების განხილვისას, მთავარი ყურადღება მიექცა სასუფრე და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებს, ასევე ღვინის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ სატრანზიტო კერამიკულ ნაწარმს. მდიდრულად შემკული კოლხური ქვევრებისა თუ სხვა სახის ადგილობრივ, ხელოსნურ ნაწარმთან ერთად წარმოდგენილია ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესი იმპორტი (ქიოსური, ლესბოსური, სამოსური და თაზოსური ამფორები, იონიური, იშვიათად ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი და სხვ.). ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ცალკე თავი მიეძღვნა ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის, ძვ.წ. V ს. კოლხური, ძვ.წ. V-IV სს. ბერძნული და ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-II სს.) სამაროვნებზე გამოვლენილ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და იმპორტულ კერამიკას. იმპორტულ სასუფრე ჭურჭლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ატიკურ კერამიკას, მათ შორის, საპატიო ადგილს მოხატული შავფიგურული თუ წითელფიგურული ვაზები იკავებენ. ჩანს, ფიჭვნარელ ელინთა სატრაპეზო სუფრას ამშვენებდა ღვინისა და წყლის გასაზავებელი, საყოველთაოდ ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი, წითელფიგურული კრატერები. ყურადღება გამახვილებულ იქნა ზოგიერთ, ახალი არქეოლოგიური კვლევების შედეგად, თუ შემთხვევით, წყალქვეშ მოპოვებულ მასალებზეც.

ძვ.წ. II საუკუნიდან დაწყებული ზღვისპირა ზოლის დაჭაობებამ, გამოიწვია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ცხოვრების კრიზისი. ანტიკურმა ქალაქურმა დასახლებამ ქობულეთ-ფიჭვნარში და მრავალმა დასავლეთ

